

ივ. ჯაგახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სივრცე, პოლიტიკა, იდენტობა  
(სასწავლო კურსი)

გიორგი გოგსაძე,  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების პროფესორი

## შინაარსი

I თავი	3
1.1 პოლიტიკური გეოგრაფიის განვითარების ისტორია	3
1.2 ძირითადი ცნებები	19
II თავი. ნაციონალიზმი, ეთნიკურობა, იდენტობა	36
III თავი. სახელმწიფო	89
IV თავი. გეოპოლიტიკა	128
გამოყენებული ლიტერატურა	169

## I თაგი

### 1.1. პოლიტიკური გეოგრაფიის განვითარების ისტორია

პოლიტიკური გეოგრაფიის, როგორც მეცნიერების დარგის ჩამოყალიბება და განვითარება მჭიდროს არის დაკავშირებული საზოგადოებრივი გეოგრაფიის ფორმირების ისტორიასთან.

საზოგადოებრივ გეოგრაფებს შორის დღემდე მიმდინარეობს კამათი იმის თაობაზე, თუ ვინ იყო საზოგადოებრივი გეოგრაფიის სფეროში პირველი ნაშრომის ავტორი. საბჭოთა გეოგრაფიულ ლიტერატურაში (მაგ., საუსკინ ი. გ., 1973) პირველ კომპლექსურ საზოგადოებრივ-გეოგრაფიულ ნაშრომად აღიარებულია იტალიელი მეცნიერის *ლუდოვიკო გუჩიარდინის* (*Lodovico Guicciardini*) მონოგრაფია “ნიდერლანდების აღწერა”, რომელიც 1567 წელს გამოიცა. დასავლურ ლიტერატურაში (მაგ. Warf, 2006a: 218) კი საზოგადოებრივი გეოგრაფიის პიონერად მიჩნეულია გერმანული წარმომავლობის მეცნიერი ბერნარდ ვარენიუსი (*Bernhardus Varenius*). მის ნაშრომში “ზოგადი გეოგრაფია”, რომელიც 1650 წელს გამოიცა ნიდერლანდებში, გეოგრაფია და აურიცილია ზოგად და რეგიონულ (სპეციალურ) ნაწილებად. ამ ნაშრომებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს საზოგადოებრივი გეოგრაფიის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, თუმცა ისინი მხოლოდ აღწერილობითი ხასიათის არიან. გეოგრაფიულ კვლევებში აღწერილობითი მიმართულება დომინირებდა XIX საუკუნის ბოლომდე.

მეცნიერების დამოუკიდებელი დარგის შექმნისთვის კი აუცილებელი იყო თეორიულ-კონცეფტუალური ბაზისი. საზოგადოებრივ გეოგრაფიაში ამ სახის პირველი ნაშრომი XIX საუკუნის ბოლოს შეიქმნა.

საზოგადოებრივი გეოგრაფიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბება უკავშირდება პოლიტიკურ გეოგრაფიას. მისი დაფუძნების არაოფიციალურ თარიღად კი მიჩნევა 1897 წელს, როდესაც გამოქვეყნდა გერმანელი მეცნიერის *ფრიდრიხ რატცელის* (*Friedrich Ratzel*) მონოგრაფია “პოლიტიკური გეოგრაფია”. რატცელი პირველი იყო ვინც მოახდინა გეოგრაფიული სივრცის კონცეფტუალიზაცია. კერძოდ, ის მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სივრცე არის ბუნებრივი ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს მნიშვნელოვანი პროცესები. სივრცე რატცელის აზრით ქვეყნის სიძლიერის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო. რაც შეეხება სახელმწიფოს, რატცელი მას განიხილავდა, როგორც მიწიდან ამოზრდილ ცოცხალ ორგანიზმს, რომელსაც არსებობისთვის ბრძოლაში ესაჭიროება ტერიტორიული ზრდა სხვა სახელმწიფოების ტერიტორიების დაპყრობის ან მიერთების ხარჯზე. ფრანგ მეცნიერ ელიზე რეკლიუსთან (*Jean-Jacques-Élisée Reclus*) ერთად ფრიდრიხ რატცელს მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის ორგანიციაზე<sup>1</sup> გეოგრაფიული კონცეფციის განვითარებაში. რატცელმა შეიმუშავა სახელმწიფოს სივრცობრივი

<sup>1</sup> ორგანიციზმი ანუ ბიოლოგისტური სოციოლოგია სოციალურ მეცნიერებებში განვითარდა XIX საუკუნეში. ორგანიციზმის წარმომადგენლები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ სოციალური სტუქტურა ვითარდება და ფუნცქიონირებს ბიოლოგიური ორგანიზმის.

ზრდის 7 კანონი, რითაც საფუძველი ჩაუყარა მეცნიერების იმ დარგის ჩამოყალიბებას, რომელსაც ამჟამად გეოპოლიტიკის სახელით იცნობენ. გარდა ამისა, რატცელმა განავითარა ენგაირომენტალისტური დეტერმინიზმი<sup>2</sup> იდეები.

1998 წელს რატცელის ნაზრევს დაუპირისპირდა ფრანგული “ადამიანის გეოგრაფიის” (*La Géographie Humaine*) სკოლის ფუძემდებელი პოლ კიდალ დე ლა ბლაში (Paul Vidal de la Blache), რომელმაც ენგაირომენტალისტური დეტერმინიზმის კონცეფციას გეოგრაფიული ფატალიზმი უწოდა. ფრანგი მეცნიერი პირველი იყო ვინც დასაბუთა, რომ ადამიანი, როგორც გარემო, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები გეოგრაფიული ფაქტორია. მას, რატცელისგან განსხვავებით, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენების წარმართველად მიაჩნდა ადამიანის ნება და ინიციატივა. მისი აზრით გეოგრაფიული მდებარეობა რეალური და ობიექტური მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდებოდა, თუ ეს მოცემული ტერიტორიის (ქვეყნის, რეგიონის, დასახლების) მოსახლეობის ნებით და ცხოვრების წესით იქნებოდა განპირობებული. გეოპოლიტიკის საკითხების შესწავლაში დე ლა ბლაშის მიღვომამ საფუძველი ჩაუყარა გეოგრაფიული პოსიბილიზმი<sup>3</sup> განვითარებას. სწორედ პოსიბილისტური მიღვომების განვითარებით დაიწყო საზოგადოებრივი გეოგრაფიის დრეიფი სოციალური მეცნიერებების მიმართულებით, რამაც, თავის მხრივ განაპირობა გეოგრაფიული მეცნიერების ერთიანობის რღვევა, ყოველ შემთხვევაში სამეცნიერო კვლევების დონეზე მაინც.

დე ლა ბლაში გერმანულ და ამერიკულ გეოგრაფიულ კვლევებში გაბატონებული სისტემური მიღვომისგან განსხვავებით, პრიორიტეტს ანიჭებდა ცალკეული რეგიონების თავისებურებების გამოვლენას. აღსანიშნავია, რომ მან საფუძველი ჩაუყარა რეგიონული გეოგრაფიის სკოლას და პირველი იყო, ვინც მეცნიერებაში შემოიტანა და დანერგა ტერმინი “გეოგრაფიული გარემო”.

გეოგრაფიული პოსიბილიზმის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იყო ამერიკელი მეცნიერი კარლ ზაუერი (Carl Sauer). ის ითვლება ამერიკული კულტურული გეოგრაფიის მამამთავრად, რომლის ავანგარდში დღესაც არის მის მიერ დაარსებული “ბერკლის სკოლა” (Mathewson, 2006: 19). გეოგრაფიაში მან დაამკვიდრა “კულტურული ლანდშაფტის” ცნება. თავის კვლევებში ზაუერი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ისტორიულ კონტექსტს, რითაც გეოგრაფიაში მნიშვნელოვნად გააძლიერა დრო-სივრცითი მიღვომა (Warf, 2006a: 221).

<sup>2</sup> გეოგრაფიული ან გარემოს (ენგაირომენტალისტური, კლიმატური) დეტერმინიზმის იდეა ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში წარმოიშვა და განვითარება პპოვა საბერძნებთა და ჩინეთში. ამ იდეის მომსრულები ამტკიცებდნენ, რომ ბუნებრივი გარემო გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს ხალხთა ხასიათის და თვისებების ჩამოყალიბება-განვითარებაზე, შესაბამისად სწორედ ამ გამო განსხვავდებიან ერთმანეთისგან სხვადასხვა ბუნებრივ სარტყელში მცხოვრები ადამიანები. XX ს. დასაწისში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გეოგრაფიული დეტერმინიზმის იდეებს ჩამოყალიბებული თეორიების სახი მისცეს ამერიკელმა მეცნიერებმა ელენ ჩერჩილ სიმპლმა (Ellen Churchill Semple) და ელსურთ ჰანტინგტონმა (Ellsworth Huntington).

<sup>3</sup> გეოგრაფიული პოსიბილიზმის სკოლის წარმონადგენლები საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთკავშირის პრობლემატიკას განიხილავენ სივრცითი ურთიერთობების კონტექსტში, სადაც ცენტრალური ადგილი უკავია ადამიანს, მის საქმიანობას. სივრცითი ურთიერთობების წარმართველ ძალად აღიარებულია არა ბუნებრივი, არამედ სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული კრიტიკისა, რატცელის მეცნიერულმა ნააზრებმა, განსაკუთრებით პოლიტიკური გეოგრაფიის კუთხით, დიდი რეზონანსი გამოიწვია. მისი მოსწავლის შვედი მეცნიერის რუდოლფ ჩელენის (*Rudolf Kjellén*) ტერმინმა “გეოპოლიტიკა” სულ მალე დაიმკვიდრა ადგილი მეცნიერებასა და საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკაში. XX საუკუნის დასაწყისიდან მეორე მსოფლიო ომამდე ევროპასა და ამერიკაში სოკოებივით მომრავლდა გეოპოლიტიკური თეორიები. აღნიშნული პერიოდი კაცობრიობის ისტორიაში შევიდა, როგორც კოლონიზაციის და მსოფლიო ომების ეპოქა. ამდენად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ იმდროინდელი გეოპოლიტიკური თეორიები გამსჭვალული იყო იმპერიული, უფრო მეტიც რასისტული სულისკვეთებით. ადსანიშნავია, რომ ამ თეორიის ავტორთა მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგ., ჰელფორდ მაკინდერი (*Halford Mackinder*), აიზა ბოუმენი (*Isaiah Bowman*), კარლ ჰაუშეფერი (*Karl Ernst Haushofer*), ან თვითონ იყო ხელისუფლების მაღალ ეშელონებში ან მასთან მჭიდროდ თანამშრომლობდა. პოლიტიკური გეოგრაფიის განვითარების ამ პერიოდს სამართლიანად აღიარებენ კლასიკური გეოპოლიტიკის ხანად.

წინა საუკუნის დასაწყისშივე სათავე აიღო და შემდგომ სწრაფად განვითარდა ელექტორალური (საარჩევნო) გეოგრაფია. ამ დარგის პიონერი იყო ფრანგული “ადამიანის გეოგრაფიის” სკოლის კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ანდრე ზიგფრიდი (*André Siegfried*). მან გეოგრაფიაში ჩამოაყალიბა ელექტორალური ქცევის სოციალურ-ეკოლოგიური (ეკოლოგიური) მიმართულება. არჩევნების კვლევაში ის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ისეთი ფაქტორების შესწავლას, როგორიცაა ლანდშაფტის ხასიათი, განსახლების ტიპი, საკუთრებისადმი დამოკიდებულება და სხვა. ელექტორალური გეოგრაფიის სამეცნიერო და პრაქტიკულმა მიღწევებმა იმპულსი მისცა სხვა მეცნიერებების მიერ ამომრჩეველთა ქცევის შესწავლას. 1940-1960-იან წლებში აშშ-ში შეიქმნა ელექტორალური სოციოლოგიის და ელექტორალური ფსიქოლოგიის ძლიერი სკოლები. ამ პერიოდში წარმატებით ვითარდებოდა თვით ელექტორალური გეოგრაფიაც. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ის, ეკონომიკურ გეოგრაფიასთან ერთად, საზოგადოებრივი გეოგრაფიის ერთ-ერთი იმ დარგთაგანი აღმოჩნდა, რომელმაც წარმატებით აუღო ალდო რაოდენობრივ ანალიზს და მისი მეთოდებით შეიარაღდა. ელექტორალური გეოგრაფია იმდენად სწრაფად განვითარდა, რომ 1960-იანი წლების ბოლოს ის დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინადაც კი აღიარეს.

XIX საუკუნის ბოლოდან მეორე მსოფლიო ომამდე პერიოდში პოლიტიკურ გეოგრაფიისგან განსხვავებით შედარებით უმნიშვნელო იყო საზოგადოებრივი გეოგრაფიის სხვა დარგების მიღწევები. ეს უპირველეს ყოვლისა ეხება ეკონომიკურ გეოგრაფიას. მიუხედავად იმისა, რომ წინა საუკუნის მიჯნაზე და მის დასაწყისში გამოჩნდა რამდენიმე საინტერესო ნაშრომი, მათ შორის ინგლისელი ჯორჯ ჩისტოლმის (*George J. Chisholm*) “კომერციული გეოგრაფიის გზამკვლევი” (1889 წ.) და ამერიკელი რასელ სმიტის (*J. Russel Smith*) “მრეწველობისა და ვაჭრობის გეოგრაფია” (1913 წ.), ეკონომიკურ-გეოგრაფიულმა მიმართულებამ ვერ მოიპოვა სათანადო აღიარება. იგივე შეიძლება ითქვას სოციალურ და კულტურის გეოგრაფიაზე.

აღნიშნული დარგების ჩამორჩენა განპირობებული იყო რამდენიმე სუბიექტური და ობიექტური ფაქტორით. უმთავრესი მიზეზი მდგრმარეობდა იმაში, რომ პოლიტიკური გეოგრაფიის წარმომადგენლებს ქედმაღლური დამოკიდებულება ქონდათ საზოგადოებრივი გეოგრაფიის სხვა დარგების მიმართ. მაგ., რატცელი ეკონომიკურ გეოგრაფიას მიიჩნევდა ეკონომიკის და არა გეოგრაფიის ნაწილად. გარდა ამისა, სუსტი მეთოდოლოგიური ბაზის გამო, საზოგადოებრივი გეოგრაფია დიდი ხნის განმავლობაში ერთ ადგილს ტკეპნიდა და მეორე მსოფლიო ომამდე ვერ მოხერხდა მისი ერთიან დისციპლინად ჩამოყალიბება. აღნიშნულ პერიოდში ეკონომიკური გეოგრაფიის საკითხების კვლევითა და სწავლებით დაკავებული იყვნენ ეკონომისტები, ხოლო კულტურის და მოსახლეობის გეოგრაფია მეტწილად წარმოდგენილი იყო ანთროპოლოგიის შემსწავლელ აკადემიურ წრეებსა და ორგანიზაციებში. საზოგადოებრივი გეოგრაფიის გაერთიანებისთვის საჭირო იყო ისეთი კონცეფციის (თეორიის) შექმნა, რომელიც ერთ ჩარჩოში მოაქცევდა მანამადე დაქსაჭულ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ გეოგრაფიებს და ქვეყანათმცოდნეობას. საზოგადოებრივი გეოგრაფიის გამაერთიანებლის როლი თავის თავზე აიღო და ამას წარმატებით გაართვა თავი ამერიკელმა მეცნიერ-გეოგრაფმა რიჩარდ ჰარტშორნმა (*Richard Hartshorne*).

ჰარტშორნი დამსახურებულად ითვლება ამერიკული საზოგადოებრივი გეოგრაფიის, კერძოდ კი კულტურულ-გეოგრაფიული ლანდშაფტმცოდნეობის მამამთავრად. 1939 წელს გამოცემულ ნაშრომში “გეოგრაფიის ბუნება” (“The Nature of Geography”) მან პირველმა წარმოადგინა მწყობრი კონცეფცია, სადაც გეოგრაფია ერთიან მეცნიერებად განიხილებოდა, რადგან მიაჩნდა, რომ გეოგრაფიული კვლევის ცენტრში უნდა ყოფილიყო ლანდშაფტი. მოგვიანებით მის შრომებში ტერმინი “ლანდშაფტი” შეიცვალა “რეგიონით”. ის, გერმანელი ლანდშაფტმცოდნებისგან განსახვავებით, ლანდშაფტს განიხილავდა უფრო ფართოდ, ე.ი. რეგიონის მნიშვნელობით, რადგან ამ უკანასკნელისთვის დამახასიათებელი იყო კონკრეტული საზღვრები და სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები. დე ლა ბლაშისგან განსხვავებით კი ამტკიცებდა, რომ რეგიონული გეოგრაფიის მთავარი მიზანი იყო სივრცეში მოვლენების ინტეგრაციის შესწავლა, შესაბამისად აქცენტი უნდა გაკეთებულიყო მოცემულ რეგიონში არსებულ მოვლენებს შორის მიზეზობრივი კავშირების დადგენაზე.

რაც შეეხება პოლიტიკური გეოგრაფიას, ჰარტშორნმა წარმოადგინა სივრცის პოლიტიკური დიფერენციაციის კონცეფცია, რომელიც თავის მხრივ ეფუძნებოდა გერმანელი მეცნიერების კარლ რიტერისა (*Carl Ritter*) და ალფრედ ჰეტნერის (*Alfred Hettner*) ნააზრევს. ის ამტკიცებდა, რომ პოლიტიკური გეოგრაფიის კვლევის ძირითადი ობიექტი უნდა ყოფილიყო იურიდიულად გაფორმებული, ე.ი. ობიექტურად არსებული ტერიტორიული ერთეულები. აქედან გამომდინარე, ჰარტშორნის კონცეფციაში პოლიტიკური გეოგრაფიული კვლევის მთავარ ობიექტად განიხილებოდა უპირველეს ყოვლისა სახელმწიფო, ასევე სახელმწიფოთაშორისი ალიანსები და გარკვეულ შემთხვევებში სახელმწიფოს ავტონომიური ერთეულები. რეგიონის ჰარტშორნისეულმა კონცეფციამ ანგლო-

ამერიკულ გეოგრაფიულ კვლევებში საფუძველი ჩაუყარა პოზიტივისტური<sup>4</sup> მიმართულების განვითარებას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად ზღუდავდა, როგორც კვლევის საგანს, ასევე კვლევის ფარგლებს. პოლიტიკური გეოგრაფია, კონკრეტულად და საზოგადოებრივი გეოგრაფია, მთლიანობაში, გაიგივებულ იქნა გეოგრაფიულ ქოროლოგიასთან და კლასიკურ გეოპოლიტიკასთან.

მოგვიანებით, ჰაროსპორნის კრიტიკით გამოვიდა ახალგაზრდა ამერიკელი ეკონომისტი ფრედერიკ შეფერი (Frederick Schaefer), რომლის აზრითაც გეოგრაფიულ კვლევაში ძირითადი ყურადღება უნდა დაომობოდა არა მოვლენებს, არამედ ტერიტორიულ არეალებს შორის კავშირების, ე.ი. მოვლენების სივრცითი ორგანიზაციის შესწავლას. შეფერმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო წმინდა გეოგრაფიული კანონების გამოვლენას. ის ამტკიცებდა, რომ რაც უფრო ახლოს მდებარეობენ ერთმანეთთან გეოგრაფიული ადგილები მით უფრო მჭიდრო კავშირი არსებობს მათ შორის. მისი აზრით, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ადგილების (ობიექტების) სიახლოესა და მათ შორის კავშირების ინტენსივობას შორის არის ჭეშმარიტად გეოგრაფიული კანონი.

1960-იან წლებში მეცნიერების, მათ შორის გეოგრაფიის განვითარების ისტორიაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა. გეოგრაფია გადაიქცა “რაოდენობრივი ანუ პოზიტივისტური რეკოლუციის” არენად<sup>5</sup>. გეოგრაფ-პოზიტივისტები თავიანთ კვლევებში ხელმძღვანელობდნენ ანტიკური ხანის ძერძენი მოაზროვნის დეკარტეს პრინციპით: “გეოგრაფია გეომეტრიის დარად” (Warf, 2006a: 222).

გეოგრაფიაში პოზიტივიზმის და გარკვეულწილად ბიპევორიზმის განვითარებას ხელი შეუწყო გერმანელი გეოგრაფის ვალტერ კრისტალერის (Walter Christaller) ცენტრალური ადგილების თეორიიამ. 1933 წელს გამოქვეყნდა კრისტალერის წიგნი “სამხრეთ გერმანიის ცენტრალური ადგილები” (“Die zentralen Orte in Süddeutschland”), სადაც ავტორი ამტკიცებდა, რომ შესაძლებელია არსებობეს განსახლების ოპტიმალური ქსელი, თუკი დასახლებათა სტრუქტურა დერძულ-ქსელური ხასითის იქნებოდა. ცენტრალურ ადგილთა სისტემას/სტუქტურას (“კრისტალერის ბადე”) ფუტკრის ფიჭის ფორმა აქვს. ფიჭის თითოეული უჯრედის (ე.ი. დასახლების) ცენტრი წარმოადგენს უფრო მაღალი იერარქიის სხვა უჯრედის წიბოს. კრისტალერი მიიჩნევდა, რომ დასახლებათა ფიჭური სტრუქტურა უზრუნველყოფდა მომსახურების და ტრანსპორტირების, ასევე ტერიტორიის მართვის მაქსიმალურ ეფექტიანობას. ცენტრალურ ადგილთა თეორია თავისი არსით აბსტრაქტულია, რადგან “კრისტალერის დასახლებათა ბადე” მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული

<sup>4</sup> პოზიტივიზმის, როგორც სამეცნიერო მიმართულების ჩამოყალიბება და განვითარება უკავშირდება მე-19 საუკუნის ცნობილი სოციოლოგის ოგიუსტ კონტის (Auguste Comte) სახელს. კონტი აღიარებდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, კერძოდ ფიზიკის პრიორიტეტს სამეცნიერო აზრისა და კვლევების განვითრებაში და მიიჩნევდა, რომ სოციოლოგიას და ზოგადად სოციალურ მეცნიერებებს უნდა გამოეყენებინათ ფიზიკაში გაბატონებული კვლევის ძირითადი მეთოდები, კერძოდ დაკვირვება და ექსპერიმენტი.

<sup>5</sup> ადსანიშნავია, რომ იმავე პერიოდში “რაოდენობრივ რეკოლუციას” ადგილი ქონდა ფსიქოლოგიაში, პოლიტიკურ მეცნიერებაში, სოციოლოგიაში და ისტორიულ მეცნიერებაშიც კი.

ადგილის (ტერიტორიის) ლანდშაფტზე. მოცემული თეორია პრაქტიკულად გამოუყენებლია მთიანი რეგიონებისთვის. მიუხედავად ნაკლოვანებაბისა, კრისტალერის მიერ შემოთავაზებულმა თეორიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გეოგრაფიული და ეკონომიკური მეცნიერებების განვითარებაში. კრისტალერის თეორიაზე დაყრდნობით 1954 წელს შეიქმნა გერმანელი ეკონომისტის ავგუსტ ლიოს შიხს (August Lösch) ცენტრალური ადგილების მოდიფიცირებული თეორია, რომელშიც განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა არა დასახლებათა მდებარეობაზე, არამედ ეკონომიკურ რენტაბელობაზე.

მთლიანობაში, პოზიტივისტების მთავარი მიზანი იყო გეოგრაფიაში იმ დროს გაბატონებული აღწერილობითი (იდიოგრაფიული) მიდგომა უკანა პლანზე გადაეტანათ, ხოლო მათემატიკური მოდელირებისა და სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით წინ წამოეწიათ ემპირიული (ნომოთეტური) მეთოდები. ამის შედეგად, გეოგრაფიულ კვლევებში გაბატონდა აღწერილობითი და ინდუქციური სტატისტიკა, გრავიტაციული, შემთხვევითი და დეტერმინისტული მოდელირება და ა.შ. რაოდენობრივად რევოლუციამ ხელი შეუწყო საზოგადოებრივი გეოგრაფიის გაერთიანებას, რადგან ამჯერად მისი ყველა დარგი ერთსა და იმავე მეთოდების იყენებდა. “რაოდენობრივი რევოლუციის” ეპოქა ყველაზე პროდუქტიული აღმოჩნდა ელექტორალური გეოგრაფიისა და ქვეყანათმცოდნეობისთვის. უკანასკნელში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქვეყნების ტიპოლოგიამ კომპლექსური მახასიათებლების გამოყენებით. გეოგრაფიულ კვლევებში მაკრო დონე ჩაანაცვლა მეზო (ქვეყანა, მსხვილი რეგიონი) დონემ.

გეოგრაფიაში პოზიტივისტური მიდგომა, მიუხედავად მნიშვნელოვანი წარმატებებისა მკაცრი კრიტიკის ობიექტი გახდა. მათემატიკურმა მოდელირებამ გამოიწვია საზოგადოებრივ-გეოგრაფიული პროცესების აღქმისა და შესაბამისად ანალიზის ჭარბი ფორმალიზება, მითუმეტეს, რომ ეს ანალიზი არ ეყრდნობოდა რამდენადმე მნიშვნელოვან თეორიული ბაზისს. რაოდენობრივ ანალიზს, როგორც წესი, ხელარეწიფება ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული პროცესების სრულყოფილი ახსნა, რადგან გეოგრაფიული სივრცე, სადაც აღნიშნული პროცესები მიმდინარეობს, თავისი ბუნებით რადიკალურად განსხვავდება მათემატიკური, ე.ი. ვირტუალური სივრცისგან.

“პოზიტივისტურ რევოლუციას” დაწყებიდან ათიოდე წლის შემდეგ საზოგადოებრივ გეოგრაფიას “თავს დაატყდა” ახალი, ამჯერად “თეორიული რევოლუცია”, რომელიც თავისი არსით მარქსისტული იყო.

1960-70-იან წლებში დასავლური ქვეყნები მოიცვა საპროტესტო სოციალურმა მოძრაობამ, რომელიც რიგ შემთხვევებში სამოქალაქო მდელვარებაშიც კი გადაიზარდა. თავისი შემადგენლობით ეს ახალგაზრდული მოძრაობა გამოდიოდა სოციალური უთანასწორობის, სამოქალაქო და ეკონომიკური უფლებების დარღვევის, ვიეტნამის ომის წინააღმდეგ. მას სამეცნიერო წრეებშიც ბევრი მხარდამჭერი აღმოაჩნდა. ყოველ ეპოქაში სამეცნიერო აზრი სწრაფ რეაგირებას ახდენს შექმნილი სოციალური სიტუაციაზე და ცდილობს გამოიმუშაოს რეკომენდაციები დაძაბულობის განმუხტვის მიზნით. აღნიშნული პერიოდში მემარცხენე მეცნიერებმა გაბატონებული სოციალური თეორიების ალტერნატივად მიიჩნიეს მარქსიზმი -

მოძღვრება, რომელიც თავისი არსით გამოდიოდა სოციალური, ეკონომიკური და კლასობრივი უთანასწორობის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირში მარქსიზმსა და სოციალიზმს აიგივებდნენ, რაც არასწორია. მარქსიზმი არის მოძღვება, რომელიც ითვალისწინებს კაპიტალიზმის, როგორც საზოგადოების ორგანიზაციის სისტემის ნერევას. მარქსი ამტკიცებდა, რომ კლასობრივი დაპირისპირების შედეგად აუცილებლად დადგებოდა კაპიტალიზმის კრიზისი. საზოგადოებრივი ცვლილების მთავარი მონაწილე (აგენტი) უნდა ყოფილიყო მუშათა კლასი, რომელსაც მომავალში კომუნიზმი უნდა აეშენებინა. ლენინი კი ამტკიცებდა, რომ მუშათა კლასს არ შეუძლია გადამწყვეტი სოციალური ცვლილებების განხორციელება და, რომ მას ავანგარდში უნდა ჩაუდგნენ პროფესიონალი რევოლუციონერები. გარდა ამისა, მარქსი არაფერს ამბობდა იმაზე, რომ სოციალიზმი უნდა ყოფილიყო გარდამავალი ეტაპი კაპიტალიზმიდან კომუნიზმისაკენ, რასაც ადგილი ქონდა საბჭოთა კავშირში. ლენინიზმის აღნიშნული და სხვა დებულებები მიუღებელი აღმოჩნდა დანარჩენი მსოფლიოს მემარცხენე მოძრაობების უმრავლესობისათვის. თუ ისტორიული შედეგით ვიმსჯელებთ, აღმოჩნდება, რომ ლენინიზმი დამახინჯებული მარქსიზმია, ხოლო მარქსიზმ-ლენინიზმი ხელოვნურად შეკოწიწებული ტერმინია, რომელსაც ცოტა აქვს საერთო კლასიკურ მარქსიზმთან.

საზოგადოებრივმა მეცნიერებებმა მარქსიზმის მიმართ “ექსპლუატატორული” დამოკიდებულება გამოამჟღავნა. ამ მოძღვრებას ყველა მეცნიერი ისე აღიქვამდა, როგორც მას სურდა. შედეგად შეიქმნა მრავალფეროვანი სამეცნიერო მიმართულებები და გამოცემებიც კი. მაგ., 1969 წელს დაარსდა გეოგრაფიული ურნალი “ანტიპოდი”, რომელიც დღემდე რადიკალური მარქსიზმის იდეების ერთგული რჩება. გავლენის მიხედვით გამოყოფენ თრ მარქსისტულ სამეცნიერო მიმდინარეობას. პირველის წარმომადგენლები მხარს უჭერენ “დემოკრატიულ სოციალიზმს”, რომელ შიც წამყვანი როლი განკუთვნება სახლემწიფოს, ხოლო მეორე მიმართულება წარმოდგენილია “უტოპიურ სოციალიზმის” მომხრეებით. მარქსისტული გეოგრაფიის ყველაზე თვასაჩინო წარმომადგენელია ინგლისელი მეცნიერი დევიდ ჰარვეი (David Harvey). 1984 წელს მან გამოაქვეყნა ნაშრომი “გეოგრაფიის ისტორიისა და დღევანდელი მდგომარეობის შესახებ: ისტორიულ-მატერიალისტური მანიფესტი”. მასში მოცემულია გეოგრაფიის სამომავლო განვითარების ხუთი პრინციპი, რომელთა მიხედვითაც: გეოგრაფია უნდა იყოს ინტეგრირებული და არა ნეიტრალური მეცნიერება; ისტორიული მატერიალიზმის საფუძველზე უნდა მოხდეს გეოგრაფიული ცოდნის და გამოცდილების ინტეგრაცია სოციალურ თეორიებთან; გეოგრაფია უნდა იქცეს ჭეშმარიტად სახალხო და გამოყენებად მეცნიერებად; უნდა შეიქმნას პოლიტიკური პროექტი, რომელიც ისტორიულ-გეოგრაფიული გადასახედიდან განსაზღვრავს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლას (Harvey, 1984). ჰარვეი უტოპისტ-სოციალისტია და მიაჩნია, რომ საზოგადოება უნდა შედგებოდეს პატარა თვითმართვადი კომუნებისგან, რომელთა ცხოვრებაში სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს (Gilmartin, Mary 2009: 146).

მთლიანობაში “თეორიული რევოლუციის” დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ მან საზოგადოებრივი გეოგრაფია მყარად და საბოლოოდ დააკავშირა სოციალურ და პოლიტიკურ თეორიებთან. დასრულდა აღწერილობითი გეოგრაფიის ხანა. საზოგადოებრივი გეოგრაფიის სოციალიზაციამ (სოციოლოგიზაციამ) ხელი შეუწყო ისეთი მრავალფეროვანი საკითხების კვლევას ან ახლებურად გააზრებას, როგორებიცაა კლასი, გენდერი, ნაციონალიზმი, ძალაუფლება, კანონი, სამუშაო, სოციალური რეპროდუქცია, სამოქალაქო საზოგადოება და სხვა (Cox et al., 2008: 6). საზოგადოებრივი გეოგრაფიის სოციალური მეცნიერებების ორიენტირებით აღჭურვამ კიდევ უფრო დააშორა ის საბუნებისმეტყველო (ფიზიკურ) გეოგრაფიას. ამ პერიოდის კვლევებში ცენტრალური ადგილი დაიკავა მიკროგეოგრაფიამ.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პოზიტივიზმისა და მარქსიზმის პარალელურად საზოგადოებრივ გეოგრაფიაში მნიშვნელოვანი ასახვა პპოვა სტრუქტურულ-ფუნქციონალურმა ანალიზმა. მის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი, ერთი მხრივ, ბიპულირიზმის იდეების გავრცელებამ, ხოლო, მეორე მხრივ პუმანისტური გეოგრაფიის განვითარებამ.

გეოგრაფიაში ბიპულირიზმის მიღების დანერგვა უკავშირდება ცნობილი პოლიტოლოგების დევიდ ისტონისა (David Easton) და სტეინ როკანის (Stein Rokkan) სახელს. კანადური წარმოშობის მეცნიერმა დევიდ ისტონმა 1960-იან წლებში გამოაქვეყნა ნაშრომი პოლიტიკური სისტემების შესახებ, სადაც ეს სისტემა წარმოდგენილია იყო “შავი ყუთის” სახით, რომლის “შესასვლელში” თავს იყრის საზოგადოების მოლოდინები და მოტივაციები, ყუთის შიგთავსი გვევლინება, როგორც ადგილი, სადაც მიმდინარეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესი, ხოლო ყუთის “გასასვლელში” ადგილი აქვს ხელისუფლების პოლიტიკურ ქმედებას (Easton, David 1965: 32). ინგლისელმა მეცნიერებმა პიტერ ტეილორმა (Peter Taylor) და რონ ჯონსტონმა (Ron Johnston) 1979 წელს შემოგვთავაზეს ისტონის თეორიის მოდიფიცირებული ვარიანტი ნაშრომში “არჩევნების გეოგრაფია” (“Geography of Elections”). ეს ნაშრომი ელექტორალური გეოგრაფიის სფეროში საუკეთესო ნაშრომად არის აღიარებული და მიუხედავად იმისა, რომ ის დიდი ხნის წინ დაიწერა, მას დღესაც არ დაუკარგავს სამეცნიერო ლირებულება და აქტუალობა.

საზოგადოებრივი გეოგრაფიის კიდევ ერთი, ამასთან რომანტიული მიმართულება – პუმანისტური გეოგრაფია აღმოცენდა ეპზისტენციალიზმის<sup>7</sup>

<sup>6</sup> გეოგრაფიული ბიპულირიზმის ძირითადი დებულება მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანის ქცევა სივრცეში განპირობებულია მის მიერ გარემოს შესახებ ინფორმაციის აღქმასა და შემცნებაზე. შესაბამისად, გეოგრაფიული ბიპულირიზმის მიმდევრები ცდილობენ დაადგინონ კავშირი ადამიანის პიროვნულ თვისებებსა და მის სოციალურ ქმედებებს შორის. ბუნებრივია, რომ გეოგრაფიაში ბიპულირიზმა ყველაზე დიდი გასაქანი მიიღო პოლიტიკურ, კერძოდ კი ელექტორალურ გეოგრაფიაში.

<sup>7</sup> ეპზისტენციალიზმი იკვლევს ადამიანების და სოციალური ჯგუფების მისწრაფებებს, ფასეულობებს და მიზნებს. ეპზისტენციალიზმის, როგორც ფილოსოფიური მიმართულების აღმოცენება უკავშირდება XIX ს. ფილოსოფოსების, ნორვეგიელი სორენს კიურკეგაარდის და გერმანელი ფრიდრიხ ნიცშეს სახელებს, ხოლო ამ თეორიის დახვეწაში დიდი დამსახურება მიუძღვის XX ს. გერმანელ მეცნიერს მარტინ ჰაიდეგერს. ხელოვნებაში ეპზისტენციალიზმის თავლსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ უა-პოლ სარტრი, ფილოსოფიურების ფრანს კაფკა, ალბერტ კამიუ.

საფუძველზე. “ჰუმანისტ-გეოგრაფები” სამეცნიერო არენაზე გამოვიდნენ 1970-იანი წლების დასაწყისში. მათ ნაშრომებში აშკარად იგრძნობოდა პოზიტივისტური მიდგომების მიუღებლობა. ზოგადად, “ჰუმანისტები” მიიჩნევენ, რომ პოზიტივისტების მიერ შემოთავაზებული მათემატიკური მიდგომების შედეგად ხდება სოციალური მოვლენების ფორმალიზება, რის გამოც იკარგება ის კომპლექსურობა, ე.ი. სივრცეში მიმდინარე გეოგრაფიულ და სოციალურ მოვლენათა მრავალგვარობა. ჰუმანისტური მიდგომის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ სოციალური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კვლევის საგანები რადიკალურად განსხვავებულია (კაჭკაჭიშვილი, 2008: 5).

ჰუმანისტური გეოგრაფიის პიონერად და ამ ტერმინის ავტორად მიიჩნევა ჩინური წარმოშობის მოქმედი ამერიკელი მეცნიერი ი-ფუ ტუან (*Yi-Fu Tuan*). მისთვის სივრცე და ადგილი ურთიერთდამოკიდებული ცნებებია, რადგან ერთი ადგილიდან მეორეში გადაადგილება მხოლოდ სივრცეში არის შესაძლებელი, შესაბამისად ადგილი მხოლოდ სივრცეში შეიძლება არსებობდეს. ისინი ამტკიცებენ, რომ ადამიანის დამოკიდებულება ადგილისადმი ყალიბდება უფრო ემოციური, ვიდრე პრაგმატული გრძნობების საფუძველზე. ადამიანს ადგილის მიმართ გამოუმუშავდება საკმაოდ პოზიტიური, უფრო მეტიც თბილი დამოკიდებულება. ამის გამო, ადამიანის ტერიტორიული თვითიდენტიფიკაციის გრძნობა საკმაოდ ძლიერი და სტაბილურია. მთლიანობაში, ჰუმანისტური გეოგრაფიის მიდგომები ხელს უწყობს ისეთი რთული საკითხების შესწავლას, როგორიცაა ადამიანი და გარემო, კულტურული ლანდშაფტი, იდენტობა, ცივილიზაცია (Warf, 2006b: 232-235).

მოდერნიზმის ეპოქიდან მოყოლებული ანგლო-ამერიკული სკოლა ხდება საზოგადოებრივ გეოგრაფიის მოდის კანონმდებელი. ამას ხელი რამდენიმე ფაქტორმა შეუწყო, მათ შორის რაოდენობრივი ანალიზისა და სოციალური მეცნიერებების სკოლების მძლავრმა განვითარებამ ამერიკის უნივერსიტეტებში და პოლიტიკურ გადაწყვეტილებების მიღებისას სამეცნიერო (საექსპერტო) აზრის გათვალისწინებამ. სოციალური მეცნიერებებისა და გეოგრაფიის პრაქტიკული გამოყენება აშშ-ში ახალ საფეხურზე ავიდა.

ჯერ “სოციალისტური ბანაკის”, შემდგომ კი საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავის დაშლამ და ამ ქვეყნების ტერიტორიაზე აღმოცენებულმა ეთნო-პოლიტიკურმა კონფლიქტებმა დაამსხვრია მითი ევროპის სახელმწიფოების საზღვრების შეუვალობის შესახებ. შეიქმნა ახალი გეოპოლიტიკური რეალობები: 1990-იან წლებიდან დაიწყო მსოფლიოს ერთპოლარული პოლიტიკური წესრიგის ჩანაცვლება მრავალპოლარულით. პოლიტიკური გეოგრაფია, განსაკუთრებით გეოპოლიტიკა “საღათას ძილიდან” გამოერკვა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეს უკანასკნელი, როგორც მეცნიერების დარგი იდეოლოგიურ ჩიხში აღმოჩნდა, რაც განაპირობა კარლ ჰაუსკოფერის და რიგი სხვა მეცნიერების მონაწილეობამ ნაციისტური გერმანიის იდეოლოგიის შექმნასა და განხორციელებაში. ომის შემდგომ პერიოდში გეოპოლიტიკა აღიარეს, როგორც რეაქციული მეცნიერება და ამ სფეროს განვიტარების ხელშეწყობა ხნის განმავლობაში პრაქტიკულად ტაბუდადებული იყო. პოცდამის ხელშეკრულებით განსაზღვრული ევროპის საზღვრები იმდენად ურყევი ჩანდა, რომ პოლიტიკურ გეოგრაფიაში ძნელი წარმოსადგენი იყო კვლევის ობიექტი ყოფილიყო სხვა რამ, გარდა

სახელმწიფოსი. მაგრამ, ზემოთ აღნიშნულმა გლობალურმა ცვლილებებმა დადგებითი როლი შესრულებს პოლიტიკური გეოგრაფიის აღორძინებაში. პოლიტიკურმა გეოგრაფებმა, უპირველეს ყოვლისა კი მეცნიერებელი გეოპოლიტიკოსებმა დაიწყეს მანამდე არსებული კლასიკური თეორიების და კონცეფციების კრიტიკული გააზრება და გადაფასება.

მნიშვნელოვანია, რომ 1990-იანი წლებში ყალიბდება და ვითარდება მრავალფეროვანი პოსტმოდერნული და პოსტსტრუქტურალური თეორიები. ამ თეორიების დედაარსი მდგომარეობს იმაში, რომ მიუღებელია ეპისტემოლოგიის და ონტოლოგიის<sup>8</sup> განცალკევება, რადგან შეუძლებელია ჰეშმარიტების წინასწარ დადგენა. გარდა ამისა, პოსტმოდერნისტები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ნებისმიერი მოსაზრება ან იდეა სუბიექტურია, რადგან ის წარმოადგენს მოცემული პიროვნების პოზიციას, ე.ი. ხედვას გარკვეული ადგილიდან. პოსტმოდერნის გეოგრაფთა ნაწილი ემსრობა იმ იდეას, რომ სასურველია მოვლენების ხედვა ხდებოდეს არა კონკრეტული ადგილიდან, არამედ განყენებული პოზიციიდან (“View from nowhere”) (Flint, 2006: 13).

ზემოთაღნიშნულმა ახალმა ინტელექტუალურმა მიმართულებებმა, რაც სოციალურ მეცნიერებებში ცნობილია, როგორც “კულტურული ცვლილება” (“Cultural Turn”), მთელი სიგრძე-სიგანით მოიცვა საზოგადოებრივი გეოგრაფიის ყველა დარგი. ამ უკანასკნელის სოციალიზაცია წინანდელზე უფრო მეტი ინტენსივობით წარიმართა, რის შედეგადაც შეიქმნა ახალი კონცეფციები და შეიცვალა არსებული პარადიგმები.

გამოიკვეთა პოსტმოდერნული საზოგადოებრივი გეოგრაფიის კვლევის ძირითადი საგნები: სახელმწიფოს როლისა და ფუნქციების კრიტიკული გააზრება; მსოფლიო-სისტემათა თეორია და სივრცე; დისკურსის ზეგავლენა ტერიტორიის ფორმირებაზე; ადგილი და იდენტობა; ცალკეული სოციალური თუ კულტურული ჯგუფების მზარდი როლი გლობალურ პოლიტიკაში. რაოდენობრივმა და ბიპევიორისტულმა მიდგომებმა უკანა პლანზე გადაიწია და პრიორიტეტი მიეცა სიგრცითი პროცესების ისტორიულ და კულტურულ კონტექსტში შესწავლას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანობაში გეოგრაფიულ და კონკრეტულად საზოგადოებრივ-გეოგრაფიულ მეცნიერებაში კვლავ დიდი ადგილი დაიკავა მაკრო დონის კვლევებმა.

პოსტმოდერნიზმა საზოგადოებრივ გეოგრაფიაში სხვა საკითხებთან ერთად შემოიტანა დისკურსის ცნება<sup>9</sup>. სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლები ჯერ კიდევ 1960-იანი წლებიდან იკვლევენ დისკურსის როლსა და ადგილს სოციალურ ურთიერთობებში.<sup>10</sup> თანამედროვე გეოგრაფები

<sup>8</sup> ფილოსოფიის მიმართულებები, რომლებიდანაც ეპისტემოლოგია სწავლობს შემცნების საკითხებს, ხოლო ონტოლოგია ყოფიერების საყოველთაო საფუძვლებს. მარტივად, ონტოლოგს აინტერესებს, როგორ არის მოწყობილი სამყარო, ხოლო ეპისტემოლოგი მეტ უურადღებას უთმობს იმას, თუ როგორ ხდება სამყაროს მოწყობის შესწავლა.

<sup>9</sup> დისკურსის არსი განიხილება სახელმძღვანელის I თავში, გვ. ????

<sup>10</sup> დისკურსის შესწავლაში ცენტრალური ადგილი უკავია ფრანგი ფილოსოფოსის, ისტორიკოსის და კულტუროლოგის მიშელ ფუკოს (Michel Foucault) ნაშრომებს. ფუკოს განმარტებით დისკურსი წარმოადგენს მეტყველების ნიშნებისგან შემდგარ წინადადებათა ან მსჯელობათა რიგს, რომელიც ქმნის გარკვეულ სისტემას, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი სიმბოლური დატვირთვა. აქედან გამომდინარე, დისკურსი ისტორიულია (ისტორიის ფრაგმენტია). დიკურსული პრაქტიკები, ფუკოს აზრით, მოქმედებენ კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში და კონკრეტულ

ცდილობენ დაადგინონ დისკურსის მნიშვნელობა სივრცის ფორმირებაში. მიშეღ ფურს ნაშრომების საფუძველზე დევიდ ჰარვეიმ შემოგვთავაზა კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ადამიანის (ადამიანთა ჯგუფების) მიერ სივრცის აღქმა და მისადმი დამოკიდებულება ცვალებადია დროსა და სივრცეში და ამ აღქმაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი (სოციალური) პრაქტიკა. ეს უკანასკნელი მოცავს არა მარტო ქმედებებს, არამედ, ასევე ცოდნას (გამოცდილებას) და სიმბოლოებსაც კი.

დისკურსულ პრაქტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც ისტორიულ-გეოგრაფიულ, ასევე კულტურულ სიმბოლოებს. მათ დიდი ზეგავლენა აქვთ ადამიანების აღქმის ჩამოყალიბებაზე, რაც საბოლოო ჯამში აისახება ინდივიდთა დამოკიდებულებაზე ამა თუ იმ მოვლენასა თუ გეოგრაფიულ ადგილზე. ალბათ, ამით უნდა აიხსნას ის, რომ რუსულენოვან პრესაში სოხუმი და ცხინვალი სახელდება, როგორც “სუხუმ” და “ცხინვალ”. დღევანდელ საერთაშორისო პოლიტიკურ დისკურსში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა სახელით მოიხსენიებენ ისტორიული შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილს - “ცხინვალის რეგიონად” ან “სამაჩაბლოდ” თუ “სამხრეთ ოსეთად”. პოლიტიკური დისკურსი სახელმწიფო იდეოლოგიის საგანია, შესაბამისად იზრდება ტოპონიმიკის მნიშვნელობა სიმბოლურ სოციალურ-ფიქროლოგიურ და გეოპოლიტიკურ დისკურსებში.

დისკურსის შესწავლას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია კრიტიკულ გეოპოლიტიკაში (კრიტიკული გეოპოლიტიკის ვრცელი დახასიათება მოცემულია სახელმძღვანელოს IV თავში). კრიტიკული გეოპოლიტიკის წარმომადგენლები “ბრალს სდებენ” კლასიკური გეოპოლიტიკის თეორეტიკოსებს იმის გამო, რომ ისინი ფართო მასებს აწვდიდნენ ზედაპირულ ინფორმაციას და ანალიზს მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ, ე.ი. ცდილობდნენ საზოგადოების აღქმა მსოფლიო პოლიტიკის შესახებ დაეყვანათ “სიტუაციურ (სიტუაციის) ცოდნამდე”. სინამდვილეში კი, მათ კარგად იცოდნენ რეალურად რა ხდებოდა პოლიტიკის კულისებში და ცდილობდნენ ამის მიჩქმალვას.

ზოგადად, პოსტმოდერნულ სოციალურ მეცნიერებებში ძალზე მოდური გახდა “კრიტიკული” მიმართულებების შექმნა და განვითარება. ეს დამახასიათებელია, როგორც საზოგადოებრივი გეოგრაფიისათვის (“კრიტიკული სოციალური გეოგრაფია”, “კრიტიკული კულტურული გეოგრაფია” და ა.შ.), ასევე სოციალური მეცნიერებისათვის (“კრიტიკული სოციოლოგია”, “კრიტიკული ფსიქოლოგია”, “კრიტიკული სართაშორისო ურთიერთობები” და ა.შ.).

პოსტმოდერნიზმის და პოსტრუქტურალიზმის ხანის დამახასიათებელი თვისებაა ნეომარქისტული თეორიების დიდი სიმრავლე. მათ შორის ბევრმა მათგანმა დიდი ზეგავლენა იქნია საზოგადოებრივი გეოგრაფიის, განსაკუთრებით გეოპოლიტიკისა და გეოეკონომიკის განვითარებაზე. ასეთ თეორიებს შორის აღსანიშნავია ამერიკელი მეცნიერების ჯორჯ მოდელსკის (George Modelska) და უილიამ ტომსონის (William Thomson) “მსოფლიო პოლიტიკის

---

ლინგვისტურ, სოციალურ, ეკონომიკურ და გეოგრაფიულ სივრცეში. დროთა განმავლობაში სოციალური ჯგუფების, საზოგადოების აზროვნების სტრუქტურა იცვლება და შესაბამისად იქმნება დისკურსის ახალი ფორმები.

განვითარების გრძელი ციკლების თეორია”<sup>11</sup> და ინგლისელი პოლიტოლოგის ჯეტონი გიდენსის (*Anthony Giddens*) “სტრუქტურაციის თეორია”.

აღსანიშნავია, რომ პოსტმოდერნისტულ საზოგადოებრივ გეოგრაფიაში არცერთ თეორიას არ მიუღია ისეთი ფართო გამოყენება, როგორც ამერიკელი სოციოლოგის იმანუელ მორის უოლერსტეინის (*Immanuel Maurice Wallerstein*) მხოლოდსისტებათა თეორიას (ეს თეორია, ასევე ცნობილია მსოფლიო-სისტემათა ანალიზის სახელწოდებით).

მთლიანობაში უოლერსტეინი ამტკიცებს, რომ არ არსებობს მსოფლიო ქვეყნების ეკონომიკების ერთობლიობა - არსებობს ერთიანი მსოფლიო ეკონომიკა; არ არსებობს მსოფლიო ქვეყნების საზოგადოებების ერთობლიობა - არსებობს ერთიანი მსოფლიო საზოგადოება. რაც შეეხება პოლიტიკის სფეროს, ამერიკელი მეცნიერი არ ამტკიცებს, რომ არსებობს მსოფლიოს ერთიანი პოლიტიკური სისტემა. უფრო მეტიც, ის მიიჩნევს, რომ მრავალრიცხვანი სახელმწიფოების არსებობის გამო ჩვენი პლანეტის პოლიტიკური სისტემა დაქსაქსული და წინააღმდეგობრივია. აღსანიშნავია, რომ უოლერსტეინი დიდ უურადღებას არ უთმობს ნაციონალიზმის, იდენტობის, ხალხების კულტურული თავისებურებების ანალიზს ანუ გვერდს უგლის იმ მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებენ მსოფლიოს კულტურული მოზაიკის არსებობას. მიუხედავად, ძალზე ბევრი დადგებითი ასპექტისა, უოლერსტეინის თეორიისთვის, როგორც ყველა მარქსისტული ნაშრომისთვის დამახასიათებელია, ერთი მხრივ, გადაჭარბებული “ეკონომიკური დეტერმინიზმი”, ხოლო, მეორე მხრივ, კულტურული ნიპილიზმი.

ენტონი გიდენსის “სტრუქტურაციის თეორია” (Structuration Theory), რომელიც ხაზს უსვამს სოციალური მოქმედების ობიექტურ ხასიათს. გიდენსის მიერ სტრუქტურა წარმოჩენილია, როგორც მოქმედების, პროცესის ორგანული ნაწილი და მისი პროდუქტი (კაჭკაჭიშვილი, 2008: 95). სტრუქტურაციის თეორიას დიდი წელილი მიუძღვის იმაში, რომ მან წინ წამოწია ინდივიდების როლი სოციალური კვლავწარმოების პროცესში ადამიანები, გარკვეულაწილად ლიმიტირებული, მაგრამ მაინც კარგად გათვითცნობიერებული სოციალური აგენტები არიან (King, 2005: 217).. “ინდივიდების სოციალიზაცია და საზოგადოების კვლავწარმოება ერთი მედლის ორი მხარეა; სოციალური ურთიერთობების მაკროსტრუქტურები გადაჯაჭვებულია ყიველდღიური ცხოვრების მიკროსტრუქტურებთან” (Warf, 2006c: 466). ადამიანები, ძირითადად ქვეცნობიერად, მათი ყოფიერი ქცევით ქმნიან სამყაროს, რომელიც, თავის მხრივ “ქმნის” ადამიანებს სოციალიზაციის პროცესში. ამგვარ მიღგომას მივყავართ დასკვნამდე სივრცის სოციალური ბუნების შესახებ. რაც მნიშვნელოვანია, “როდესაც სოციალური ინსტიტუტების მოდელირება ხდება დროსა და სივრცეში, მაშინ სახეზეა სოციალური სისტემა”, რომელიც გულისხმობს მისი ყველა დონის ცალკეული ელემენტების (აგენტების) მჭირო ურთიერთკავშირს (კაჭკაჭიშვილი, 2008: 106)..

<sup>11</sup> მოდელსკის და ტომსონის თეორია ეფუძნება მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში “გრძელი ტალღების” თეორიას, რომელიც 1922 წელს შექმნა რუსმა მეცნიერმა ნიკოლაი კონდრატიევმა (Николай Кондратьев).

უკანასკნელი ოციოდე წლის განმავლობაში სოციალურ მეცნიერებებში განსაკუთრებული განვითარება მიიღო ფემინისტურმა თეორიებმა. ფემინისტურ მოძრაობას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ მისი რეალური აღიარება მოხდა 1960-იანი წლებიდან, როდესაც მეორე ფემინისტურმა ტალღამ მნიშვნელოვანი გარღვევა მოახდინა განვითრებული სამყაროს სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში<sup>12</sup>. ფემინისტურ გეოგრაფიას საფუძველი ჩაეყარა 1970-იან წლებში. ამჟამად, ფემინისტ-გეოგრაფებს მყარი პოზიცია გააჩნიათ, განსაკუთრებით აშშ-ში. მათი ნაშრომები იძეჭდება პრესტიული გეოგრაფიული პერიოდიკის ყველა გამოცემაში; მათი გამოსვლებს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა გეოგრაფების ნებისმიერ ფორმზე; გენდერის გეოგრაფია შეტანილია ამერიკის თითქმის ყველა უნივერსიტეტის კურიკულუმში. ფემინისტ-გეოგრაფების კვლევა არ შემოიფარგლება მხოლოდ გენდერული გეოგრაფიის საკითხების კველვით. მათ სამეცნიერო დღის წესრიგში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სივრცის, ადგილის და იდენტობის შესწავლას<sup>13</sup>. ფემინისტები მიიჩნევენ, რომ რადგან სივრცე წარმოადგენს სოციალურ კონსტრუქციას, ის არ უნდა აღვიქვათ მხოლოდ მამაკაცთა მოდვაწეობის არენად. სივრცის სოციალურ კონსტრუირებაში ქალი და მამაკაცი ერთნაირი როლს თამაშობენ.

ფემინისტთა მტკიცებით, დასრულდა დრო, როდესაც პოლიტიკა იყო მდიდარი, თეორკანიანი მამაკაცის სამფლობელო. ისინი გამოდიან არა მარტო გენდერული, არამედ რეალური სოციალური თანასწორობის მოითხოვნით. მამაკაცების ხელში კონცენტრირებულია მატერიალური სიმდიდრის უდიდესი ნაწილი, რაც ფემინისტების აზრით, არსებული სოციალური უსამართლობის ძირითადი მიზეზია, ხოლო რეალური სოციალური თანასწორობა დამყარდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდება მატერიალური სიმდიდრის სამართლიანი გადანაწილება გენდერულ და სხვა სოციალურ ჯგუფებს შორის.

ფემინისტები მკაცრად აკრიტიკებენ “კრიტიკოსების” ზემოთ აღწერილ პრინციპს “განყენებული ხედვის” შესახებ და მიიჩნევენ, რომ ცოდნა ყოველთვის გარკვეულ სამეცნიერო პოზიციას ემყარება და, პირიქით, პოზიციის შემუშავება ხდება კონკრეტული ცოდნისა და გამოცდილების კონტექსტში.

განვითარების ასწლიანი ისტორიის განმავლობაში პოლიტიკურ-გეოგრაფიულ, ისევე, როგორც ზოგადად საზოგადოებრივ-გეოგრაფიულ კვლევებში გამოიყენებოდა (გამოიყენება) შემდეგი მიდგომები და მეთოდები:

- რაოდენობრივი ანალიზი (*სივრცით-ანალიტიკური მიდგომა*);
- პოლიტ(იკურ)-ეკონომიკური ანალიზი;
- პოსტმოდერნისტული (დისკურსების როლი პოლიტიკური ლანდშაფტის ფორმირებაში);
- გეოინფორმაციული.

<sup>12</sup> Thomas, Mary (2006). “Feminisms”, in in Warf, Barney (ed.), *Encyclopedia of Human Geography*. Thousand Oaks, CA: Sage. გვ. 155.

<sup>13</sup> Thomas, Mary (2006). “Feminist Geographies”, in in Warf, Barney (ed.), *Encyclopedia of Human Geography*. Thousand Oaks, CA: Sage. გვ. 159.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ პოლიტიკური გეოგრაფიის განვითარებაში პირობითად შეიძლება ოთხი ძირითადი ეტაპი გამოიყოს:

**I ეტაპი:** 1897-1930 წწ. – პოლიტიკური გეოგრაფიის, უმთავრესად კი კლასიკური გეოპოლიტიკის ეპოქა. ელექტორალური გეოგრაფიის აღმოცენება და განვითარება.

**II ეტაპი:** 1930-1950 წწ. – რეგიონული გეოგრაფიის ანუ კულტურულ-გეოგრაფიული ლანდშაფტმცოდნეობის ეპოქა.

**III ეტაპი:** 1960-1980 წწ. – “რაოდენობრივი” და “თეორიული” რევოლუციების ეპოქა;

მესამე ეტაპის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნებია:

- გეოპოლიტიკის უძრაობის ხანა. მისი ცრუ მეცნიერებად გამოცხადება.
- “რაოდენობრივი” რევოლუცია – პოზიტივისტური რევოლუცია – სივრცითი ანალიზი – სტრუქტურულ-ფუნქციონალური ანალიზი.
- ბიპევიორიზმის გეოგრაფიის და ჰუმანისტური გეოგრაფია ჩასახვა და განვითარება.

**IV ეტაპი:** 1980 წ. – დღემდე: პოსტმოდერნიზმის და პოსტსტრუქტურალიზმის ეპოქა.

ამ ეტაპის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნებია:

- პოლიტიკური გეოგრაფიის, განსაკუთრებით გეოპოლიტიკის აღორძინება.
- პოსტმოდერნული და პოსტსტრუქტურალური თეორიები; “კულტურული ცვლილება” (“Cultural Turn”).

პოლიტიკური გეოგრაფიის განვითარების თანამდეროვე ეტაპზე ჩამოყალიბდა მისი შემდეგი ახალი პრიორიტეტები:

- სახელმწიფოს როლისა და ფუნქციების კრიტიკული გააზრება;
- მხოლოდსიხმათა თეორია და სივრცე;
- დისკურსის ზეგავლენა ტერიტორიის ფორმირებაზე;
- ადგილისა და იდენტობის ურთიერთკავშირის ახლებური გააზრება;
- ცალკეული სოციალური თუ კულტურული ჯგუფების მზარდი როლი გლობალურ პოლიტიკაში.

უკანასკნელი ერთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში საზოგადოებრივმა გეოგრაფიამ მნიშვნელოვანი და საინტერესო ცვლილებები განიცადა. რეგიონულმა გეოგრაფიამ საფუძველი დაუდო საზოგადოებრივი გეოგრაფიის ერთიან მეცნიერებად ჩამოყალიბებას. პოზიტივისტებმა შემოიტანეს ფარდობითი სივრცის ცნება და შეძლეს გეოგრაფიულ სივრცეში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენების მოდელირება; მარქსიზმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სოციალური უთანასწორობის და სიღარიბის პრობლემატიკის გამოვლენაში; ჰუმანისტურმა გეოგრაფიამ ახალი იმპულსი მისცა გეოგრაფიული რომანტიზმის განვითარებას; ფემინიზმა შემოგვთავაზა

გენდერული ბალანსის დაცვა სივრცესა და სოციალურ ურთიერთობებში; კრიტიკულმა საზოგადოებრივმა გეოგრაფიამ ხელი შეუწყო “არატრადიციული აქტორების” როლის წინ წამოწევას; ზოგადად, პოსტმოდერნისტულმა გეოგრაფიამ განავრცო რელაციური სივრცის კონცეფცია.

## ლიტერატურა

- კაჭკაჭიშვილი, იაგო (2008). *სოციალური თეორია*. თბილისი: გამომცემლობა “ინტელექტი”.
- ფილოსოფიის ლექსიკონი (1982). მე-4 გამოცემა. ი.ტ. ფროლოვას რედაქციით. თბილისი.
- Cox, Kevin R., Murray Low, and Jenifer Robbinson (2008). “Introduction: Political Geography: Traditions and Turns”, in Cox K. R., M. Low, and J. Robbinson (eds.), *The Sage Handbook of Political Geography*. Bangalore, India: Sage.
- Easton, David (1965). *A Systems Analysis of Political Life*. New York: Wiley.
- Flint, Colin (2006). *Introduction to Geopolitics*. New York: Routledge.
- Gilmartin, Mary (2009). "Nation-state", in Carolyn Gallaher et al. (eds.) *Key Concepts in Political Geography*. Sage: Chippenham, GB.
- Harvey, David (1984). *On the History and Present Condition of Geography: an Historical Materialist Manifesto*. The Professional Geographer, 36 (1), 1984, 1-11.
- Johnston, Ron (2006). *Sixty Years of Change in Human Geography*. Paper prepared for the History of Postwar Social Science Seminars, London School of Economics, 25 April, 2006.
- King, Anthony (2005): Structure and Agency. In: *Modern Social Theory* (edited by Austin Harrington), Oxford University Press.
- Kuhlke, Olaf (2006). Space, human geography and. In Warf, Barney (ed.), *Encyclopedia of Human Geography*. Thousand Oaks, CA: Sage.
- Mathewson, Kent (2006). “Berkley School”, in Warf, Barney (ed.), *Encyclopedia of Human Geography*. Thousand Oaks, CA: Sage.
- Su, Daniel (2006). Tobler’s First Law of Geography. In Warf, Barney (ed.). *Encyclopedia of Human Geography* (494). Thousand Oaks, CA: Sage.
- Taylor, Peter and Ron Johnston (1979). *Geography of Elections*. London: Penguin
- Thomas, Mary (2006). “Feminisms”, in Warf, Barney (ed.), *Encyclopedia of Human Geography*. Thousand Oaks, CA: Sage.
- Thomas, Mary (2006). “Feminist Geographies”, in Warf, Barney (ed.), *Encyclopedia of Human Geography*. Thousand Oaks, CA: Sage.
- Warf, Barney (2006). “History of Geography”, in Warf, Barney (ed.), *Encyclopedia of Human Geography*. Thousand Oaks, CA: Sage.
- Warf, Barney (2006). “Humanistic Geography”, in Warf, Barney (ed.), *Encyclopedia of Human Geography*. Thousand Oaks, CA: Sage.
- Warf, Barney (2006). “Structuration Theory”, in Warf, Barney (ed.), *Encyclopedia of Human Geography*. Thousand Oaks, CA: Sage.

- Валлерстайн, Иммануэль (2001). *Анализ мировых систем и ситуация в современном мире*.  
Санкт-Петербург: Университетская книга.
- Колосов В.А., Мироненко Н.С. (2001). *Геополитика и политическая география*. М.:  
Аспект Пресс.
- Саушкин Ю.Г. (1973) *Экономическая география: история, теория, методы, практика*.  
М.: Мысль.
- Хорев Б.С. (1981) “Территориальная организация общества”. В сб. *Актуальные проблемы  
регионального управления и планирования в СССР*. М.: Мысль.

## 1.2 ძირითადი ცნებები

### სივრცე

სივრცე გეოგრაფიის ყველაზე ფუნდამენტური ცნებაა. გეოგრაფები დაახლოებით 60 წელია ცდილობები სივრცის კონცეფციის ჩამოყალიბებას. ეს ცნება გეოგრაფიაში გამუდმებით იცვლებოდა და ახალი შინაარსით იცვლებოდა. სივრცის აღქმასა და შეფასებაზე ბევრად არის დამოკიდებული თვით გეოგრაფიის, როგორც მეცნიერების განვითარების ტენდენციები.

უნდა აღინიშნოს, რომ წინა საუკუნის შუა პერიოდამდე გეოგრაფია დიდ აქტივობას არ იჩენდა სივრცის შესწავლაში. გეოგრაფებისთვის მისაღები იყო სივრცის ფილოსოფიური და მეტაფიზიკური განმარტებები. ფილოსოფიას აინტერესებს სივრცე რეალურია თუ აბსტრაქტული. XX საუკუნემდე მოღვაწე ფილოსოფიის იდელისტური ფრთის მიმდევრები უარყოფთდნენ სივრცისა და დროის მატერიაზე დამოკიდებულებას და ამ ორ უმნიშვნელოვანეს კატეგორიას მიიჩნევდნენ “ან ინდივიდუალური ცნობიერების ფორმებად (ბერკლი, ჰიუმი, მახი) ან გრძნობადი ჭვრეტის აპრიორულ ფორმებად (კანტი) ან აბსოლტური გონის კატეგორიებად (ჰეგელი)”. მარქსიზმის აღმოცენების შემდეგ, კერძოდ კი დიალექტიკური მატერიალიზმის თეორიამ სივრცე და დრო მჭიდროდ დაუკავშირა მატერიას. მატერიალიზმის განმარტებით “სივრცე გამოხატავს თანაარსებულ ობიექტთა განლაგების წესრიგს” (ფროლოვა, 1982: 145).

დროისა და სივრცის განმარტებაში არანაკლები როლი მიუძღვით ფიზიკოსებს. XVII-XVIII საუკუნეებში მოღვაწე ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი ისააკ ნიუტონი სივრცესა და დროს მიიჩნევდა თვითმყოფად კატეგორიებად, რომლებიც მოძრაობისა და მატერიისგან დამოუკიდებლად არსებობენ. ნიუტონისეულმა ამ განმარტებამ სათავე დაუდო აბსოლტური სივრცის ცნებას. მაგრამ, XX საუკუნის დასაწყისში ალბერტ აინშტაინის ფარდობითობის ზოგადმა თეორიამ შეცვალა ფიზიკასა და ზოგადად მეცნიერებაში სივრცის შესახებ მანამადე არსებული წარმოდგენები. აინშტაინმა დაამტკიცა, რომ დრო და სივრცე ერთმანეთთან უნივერსალურ კავშირში იმყოფება, რის შედეგადაც დროის სვლა და სხეულთა სივრცეში განლაგება განპირობებულია ამ სხეულთა მოძრაობის სიჩქარეზე.

გეოგრაფიაში დაწყებული განვლილი საუკუნის 50-იანი წლებიდან სივრცის მრავალი კონცეფცია განიხილებოდა, მათ შორის აბსოლტური, აბსტრაქტული, მატერიალური, ჰერფორმაციული, შეფარდებითი, სოციალური, რეპრეზენტატული, რელაციური და სხვა.

რიჩარდ ჰარტსპორნი იყო პირველი გეოგრაფი, ვინც შეიმუშავა სივრცის გეოგრაფიული კონცეფცია. უპვე აღინიშნა, რომ ჰარტსპორნი გეოგრაფიას ქოროლოგიასთან აიგივებდა, ხოლო გეოგრაფიული კვლევის ძირითად ამოცანად მას მიაჩნდა სივრცეში მოვლენებს შორის კავშირების დადგენა. აქედან გამომდინარე, ის სივრცეს აბსოლტურ განზომილებაში განიხილავდა (ნიუტონისეული მოდგომა). ჰარტსპორნის აბსოლტური სივრცის კონცეფციას დაუპირისპირდა ამერიკელი მეცნიერ-ექონომისტი ფრედ შეფერი, რომელიც ამტკიცენდა, რომ გეოგრაფიის მთავარი ამოცანა იყო არა მოვლენებს, არამედ ადგილებს შორის კავშირების გამოვლენა. სივრცითი მოვლენების განვითარება, შეფერის აზრით, დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა მანძილია მოცემულ ადგილების შორის. შესაბამისად, მოვლენების ინტენსივობა იზრდება მანძილის შემცირებასთან ერთად. ამით, შეფერი მივიდა დასკვნამდე, რომ სივრცე ფარდობითი ცნებაა. შეფერის ფარდობითი სივრცის კონცეფციამ ჩაანაცვლა გეოგრაფიულ კვლევებში მანამადე გაბატონებული ჰარტსპორნის აბსოლტური

სივრცის იდეა. შესაბამისად, შეიცვალა რეგიონული გეოგრაფიის პარადიგმა, რომელიც შემდეგომი ორი ათწლეულის განმავლობაში ჩაანაცვლა რაოდენობრივ ანალიზზე დაფუძნებულმა პოზიტივისტური გეოგრაფიის პარადიგმამ.

სიეტლის უნივერსიტეტის მეცნიერ-გეოგრაფთა ჯგუფმა განავითარა შეფერის ფარდობითი სივრცის იდეა, რამაც გეოგრაფიაში მოახდინა “რაოდენობრივი რევოლუცია”. აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი შორის იყო ვალდო ტობლერი (*Valdo Tobler*), რომელმაც განავრცო შეფერის მოსაზრება ფარდობითი სივრცის შესახებ და 1970 წ. ის შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: “ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული, მაგრამ ახლოს მდებარე საგნებს შორის მეტი კავშირი არსებობს” (“Everything is related to everything else, but near things are more related to each other”). მოგვიანებით, ტობლერის ეს განმარტება აღიარებულ იქნა, როგორც გეოგრაფიის უპირველესი კანონი (Su, 2006: 494).

პოზიტივისტური გეოგრაფიის – რაოდენობრივი (სივრცითი) ანალიზის წარმომადგენლები მიიჩნევდნენ, რომ გეოგრაფიის ფუნდამენტური ცნებები იყო დისტანცია, მდებარეობა, მოდელი და ადგილი. გეოგრაფია, განსაკუთრებით კი მისი საზოგადოებრივი მიმართულება იქცა მათემატიკური მოდელირების არენად. ასეთი მიდგომის შედეგად გეოგრაფიული სივრცე პრაქტიკულად მის გეომეტრიულ ანალოგს დაემსგავსა. სივრცე რაოდენობრივი ანალიტიკოსების მიერ აღიქმებოდა, როგორც გეოგრაფიულ არეალებს შორის არსებული უბრალო არითმეტიკული მანძილი. შესაბამისად, გეოგრაფიაში მყარად დამკვიდრდა ფარდობითი სივრცის კონცეფტი. იმავდოულად, ნაკლები უურადღება ეთმობოდა იმ ფაქტორების შესწავლას, რომლებიც განაპირობებდნენ სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული პროცესების სივრცით თავისებურებებს და პირიქით.

სივრცის პარადიგმის შემდგომი ცვლილება განპირობებული იყო გეოგრაფიის სოციალიზაციით, რასაც სათავე დაუდო “თეორიულმა რევოლუციამ”. მარქსიზმის ზეგავლენით გეოგრაფიულ კვლევებში მოხდა ადგილის მნიშვნელობისა და როლის გადაფასება. ამჯერად, ადგილი და არა სივრცე გახდა გეოგრაფიული კვლევის ახალი ლეიტმოტივი (Johnston, 2006). თუ, მანამადე ადგილი განიხილებოდა სივრცის შემადგენელ კომპონენტად, მარქსისტების მეცადინეობით ადგილი და სივრცე ლამის თანაბარზომიერ ერთეულებად (კატეგორიებად) აღიარეს.

სივრცის პარადიგმის ცვლილებაში მნშივნელოვანი როლი ითამაში ანრი ლეფევრის (*Henri Lefebvre*) და ენტონი გიდენსის ნაშრომებმა. ლეფევრის ცნობილ ნაშრომში “სივრცის პროდუციება (აღწარმოება)” (“The Production of Space”), რომელიც 1974 წ. გამოიცა, ფრანგი მეცნიერი ამტკიცებს, რომ ნებისმიერ სისტემას, ერთი მხრივ, ეკონომიკურს, სოციალურს თუ კულტურულს, და, მეორე მხრივ, მონათმფლობელურს, ფეოდალურს თუ კაპიტალისტურს “გააჩნია” განვითარების საკუთარი კანონები, რის საფუძველზეც ხდება სივრცის ფორმირება და არა პირიქით (Kuhlke, Olaf 2006: 443). ენტონი გიდენსი კიდევ უფრო რადიკალურად უდგება ამ საკითხს და მიიჩნევს, რომ დრო და სივრცე ერთდოულად არის საზოგადოებრივი ურთიერთობების მწარმოებელიც და პროდუქტიც. მან მეცნიერებაში შემოიტანა ახალი ტერმინი “დრო-სივრცითი დისტანციაცია” (“Time-space distanciation”), რაც ახლოს არის გეოგრაფიაში გავრცელებულ ცნებებთან, “დრო-სივრცითი კონვერგენცია” და “დრო-სივრცითი კომპრესია” (Warf, 2006: 466).

საზოგადოებრივი გეოგრაფიის სოციალიზაციის პროცესში გამოვლინდა სივრცის კონსტრუქციის რთული და მრავალფეროვანი ხასიათი. კერძოდ დადგინდა, რომ სივრცისთვის დამახასიათებელია ვერტიკალური იერარქია,

სადაც მოვლენების განვითარება ხდება გლობალურ, რეგიონულ, სახელმწიფო და ადგილობრივი მასშტაბის (ებით (დონეებზე) და პორიზონგალური სტრუქტურა, რომელიც ყალიბდება არა მარტო ფიზიკური (ბუნებრივი), არამედ, ასევე სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული პროცესების ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირის საფუძველზე. პოსტმოდერნისტები სივრცეს განიხილავენ არა სოციალური პროცესებისგან განცალკევებით, არამედ როგორც მის შემადგენელ ნაწილს. უფრო მეტიც, სივრცე მიიჩნევა, როგორც ერთ-ერთი საწარმოო ძალთაგანი.

ამჟამად, გეოგრაფიებს შორის მიღწეულია კონსენსუსია იმის თაობაზე, რომ გეოგრაფიული სივრცე არის სოციალური კონსტრუქცია. შესაბამისად გეოგრაფიები მივიღნენ დასკვნამდე, რომ სივრცე არის არამარტო აბსოლუტი (Absolute) ან ფარდობითი (Relative) არამედ, ის, ასევე რელაციურია (Relational).

### ცხრილი №1 სივრცის სახეები გეოგრაფიულ კვლევებში

აბსოლტური სივრცე / მათემატიკური სივრცე	შედარებითი სივრცე / სოციალურ-ეკონომიკური სივრცე	შედარებითი სივრცე / კულტურული სივრცე	რელაციური სივრცე / კონსტრუქტური სივრცე / ბიპევნიორალური სივრცე
წერტილები	სოციალურ-ეკონომიკური ობიექტები	ადგილები	земельная марка Landmark
ხაზები		გზები	მიმართულებები
ფართობები / მონაკვეთები	საწარმოო კავშირები და ურთიერთობები	ტერიტორიები	მცირე ზომის ადმინისტრაციულ- ტერიტორიული ერთეულები
პორიზონგალური პროექციები	ფუნქციური (სოციალურ- ეკონომიკური) რეგიონები	კულტურული რეგიონები	სახალხო (წარმოსახვითი) რეგიონები
კონფიგურაციები	დისტრიბუცია	კულტურული სამყაროები / ცივილიზაციები	სივრცითი მდებარეობა

ცხრილი შედგენილია შემდეგი წერტოს საფუძველზე:

Couclelis, H. (1992). Location, Place, Region and Space. In Abler, R. et al., *Geography's Inner Worlds*. Rutgers University Press: New Brunswick, US, p. 231.

რელაციურობა ხაზს უსვამს სივრცის დინამიურ, ცვალებად ხასითს, რაც დამოკიდებულია უპირველეს ყოვლისა მასში მიმდინარე საზოგადოებრივ პროცესებზე. რელაციურობა სივრცის თვისებრივი მახასიათებელია.

რა შემთხვევაში გვაქვს საქმე სივრცის რელაციურობისთან? მაგ., რომელიმე სახელმწიფოს ან რეგიონის შესწავლის შედეგად შეიძლება მივიღეთ დასკვნამდე, რომ გას გააჩნია ხელსაყრელი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა. ეს ნიშნავს, რომ მოცემული სახელმწიფოს ან რეგიონის ტერიტორია მდებარეობს მნიშვნელოვანი საგაჭრო-სატრანსპორტო მარშრუტების გზაჯვარედინზე. თუმცა, გარკვეული ეკონომიკური ან სამსედრო-პოლიტიკური კატაკლიზმების შედეგად განსახილველი ტერიტორიის სატრანსპორტო-ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძლება მკვეთრად შემცირდეს. შესაბამისად, მოცემული სახელმწიფოს ან რეგიონის სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა ნაკლებად ხელსაყრელი ან სულაც არახელსაყრელი გახდება.

## ადგილი

ი-ფუ ტუანმა ადგილისადმი ადამიანების დამოკიდებულების დახასიათების მიზნით ერთდოულად ორი ტერმინი იხმარა – ტოპოფილია და ტოპოფობია<sup>14</sup>. ჰეშმარიტად, ადგილთან ჩვენი მიმართება ორგვარია: გარკვეული ადგილები გვიყვარს, ვაღმერთებთ კიდეც, ხოლო დანარჩენი ჩვენში დისკომფორტის, შიშის გრძნობასაც კი იწვევს.

ადგილი სივრცის ღირებული ნაწილია და ის მრავალმხრივი შინაარსით არის დატვირთული. ადგილი დაკავშირებულია ადამიანის ყოველდღიურობასთან. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ რომ, რომ მისი განსაზღვრა შედარებით მარტივი საქმეა. მიუხედავად ამისა, ადგილის არსის დადგენა თანამედროვე გეოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე წინააღმდეგობრივი თემათაგანია.

თანამედროვე საბუნებისმეტყველო და სოციალური მეცნირებები მდიდარია განმარტებებით ადგილის შესახებ. ბრიტანელი გეოგრაფი ნოელ კასტრე (*Noel Castree*) მიიჩნევს, რომ ადგილს სამი შემდეგი ძირითადი მნიშვნელობა აქვს:

- ადგილი, როგორც ფიზიკური მდებარეობა;
- გრძნობათა ნაკრები (ერთობლიობა), რომელიც ადამიანს ადგილის მიმართ უყალიბდება;
- ლოკალი (*Locale*) – მიკროსამყარო, სადაც მიმდინარეობს პიროვნული და/ან საზოგადოებრივი ქმედებები და ყალიბდება ინდივიდთაშორისი ურთიერთობები (Castree, 2003: 167).

მეორე ბრიტანელი გეოგრაფი, ქალბატონი ლინ სტეელი (*Lynn Staeheli*) გვთავაზობს ხუთაუნებრიან განმარტებას, სადაც ადგილი განხილულია, როგორც:

- ფიზიკური მდებარეობა, გეოგრაფიული სივრცის ნაწილი;
- კულტურული და/ან სოციალური მდებარეობა;
- კონტექსტი;
- საზოგადოებრივ-ისტორიული კონსტრუქცია;
- პროცესი (Staeheli, 2003: 159).

ადგილის მიმართ ასეთი მრავალფეროვნება დამოკიდებულება შედარებით ახალი ფენომენია. 1970-იან წლებამდე, რეგიონული გეოგრაფიის დომინირების დროს, ადგილი მიიჩნეოდა, როგორც რეგიონი ანუ ტერიტორია, რომელისთვისაც დამახასიათებელია იურ მდებარეობა და, რომელიც თავისი ლანდშაფტით და სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლებით განსხვავდებოდა სხვა ადგილებისგან (ტერიტორიებისგან). მოგვიანებით, როდესაც გეოგრაფიაში გაბატონდა რაოდენობრივი ანალიზი, ადგილი გახდა პორიზონტალური პროექციის ერთ-ერთი წერტილი. ჰუმანისტური გეოგრაფიის, განვითარებასთან ერთად შეიცვალა დამოკიდებულება ადგილის ცნების მიმართ. ჰუმანისტ-გეოგრაფებმა შეგვახსენეს, რომ ადამიანების ყოფა არ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ მათემატიკური განზომილებებით. ადამიანები ცხოვრობენ და

<sup>14</sup> ტოპოფილია ნაწარმოები სიტყვაა და შედგება ორი ბერძნული სიტყვისგან ტოპოს ე.ი. ადგილი და ფილია ე.ი. სიყვარული. ეს ტერმინი ხმარებაში შემოიტანა ბრიტანელმა პოეტმა ჯონ ბენჯამენმა, რითაც ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ არსებობს ადგილები, რომელთა მიმართაც ადამიანს დიდი სიყვარული გააჩნია. შესაბამისად, ტოპოფობით აღნიშნავენ იმ სიტუაციას, როდესაც ადამიანს გარკვეულ ადგილებთან მიმართებაში ანტიპათია, შიში ან სიძულვილიც კი იყერობს.

მოდგაწეობები სამყაროში, რომელიც სავსეა სხვადასხვა დირებულებებით. ნებისმიერი გეოგრაფიული ადგილი ამ დირებულებების (მნიშვნელობების) მატარებელია.

გეოგრაფიული მდებარეობა იყო და რჩება ადგილის ყველაზე გავრცელებულ მახასიათებლად. ადგილი შეიძლება და უნდა აღვიძგათ, როგორც მატერიალური ცნება. დედამიწაზე ყოველ ადგილს გააჩნია კონკრეტული მდებარეობა და საზღვრები, რაც მისი უნიკალური მახასიათებლებია. კლასიკური გეოგრაფიის მიხედვით ადგილი გეოგრაფიული სივრცის ერთ-ერთი კომპონენტია. როგორც, აღინიშნა (იხ. გვ.) პოსტმოდერნისტულ მეცნიერებაში სივრცე აღიქმება, როგორც არამარტო მატერიალური, არამედ აბსტრაქტული ფენომენიც. შესაბამისად, გართულდა სივრცისა და ადგილის ურთიერთდამოკიდებულების საკითხიც. სივრცითი ანალიზი ადგილს, უმეტეს შემთხვევებში განიხილავს, როგორც “ცარიელ კონტენერს”, სადაც, განურჩევლად მისი ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლებისა მიმდინარეობს სოციალური პროცესები. ეს გეოგრაფიული ნიჰილიზმის კლასიკური გამოვლინებაა, რომელიც სამწუხაროდ დამახასიათებელი იყო და არის რაოდენობრივი ანალიზის წარმომადგენლების ნაწილისთვის.

ადამიანები წარმომადგენებ სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ან პოლიტიკური ქსელის აქტიურ მონაწილეებს. სხვა სიტყვებით, მათ ერთმანეთთან სოციალური კონტაქტები უფრო მეტად აკავშირებთ, ვიდრე გარკვეული ტერიტორია. მაგ., დიდი ხნის განმავლობაში დასავლეთში ქალის საქმიანობის არეალი მოიცავდა ტრიადას, რომელშიც შედიოდა სახლი-ეკლესია-სამეზობლო (სამეგობრო). ეს არეალი სხვაგვარად აღიქმებოდა, როგორც “ქალი შინ” ე.ი. მის ტრადიციულ სოციალურ გარემოში. ის მანდილოსანი, რომლებიც ჩაბმული იყო ბიზნესში, მენეჯმენტში ან პოლიტიკაში ანუ ქალისთვის განსხვავებულ ცხოვრების წესს ეწეოდა, აღიქმებოდა, როგორც “ქალი გარეთ”, ე.ი. თავისი ტრადიციული სოციალური გარემოს მიღმა. უკანასკნელი სამი ათწლეულის განმავლობაში განვითარებულ სამყაროში ქალთა აქტივობის მკვეთრმა ამაღლებამ შეცვალა მათი საქმიანობის, როგორც გეოგრაფიული, ასევე სოციალურ-კულტურული არეალის საზღვრები. ამან, თავის მხრივ გამოიწვია ქალაქის და უფრო მცირე ზომის დასახლებების სოციალური გარემოს ცვლილება. თანამედროვე სოციალური მეცნიერებები სულ უფრო აქტიურად იკვლევენ “ადგილს”, თუმცა ამ კვლევების ნაწილში ადგილის კულტურული და სოციალური მდებარეობა წარმოჩენილია მეტაფორის მნიშვნელობით. გეოგრაფები ამტკიცებენ, რომ ადგილი ან სხვა გეოგრაფიული მეტაფორები (მაგ., მდებარეობა, საზღვრები) არ არის მხოლოდ მეტაფორები. ისინი სოციალური პროცესის მაკონსტრუირებელ ფაქტორებად უნდა მივიჩნიოთ (Staeheili, 2003: 160).

როგორც უკვე აღინიშნა, გეოგრაფიაში ადგილი არაერთმნიშვნელოვანი ცნებაა. პოლიტიკურ მეცნიერებაში ასეთივე წინააღმდეგობრივია კონტექსტის ცნება. შესაბამისად, “ადგილი, როგორც კონტექსტი” საქმაოდ რთული ასახსნელი უნდა იყოს. თუმცა, ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერ-გეოგრაფმა ნიკოლას ეტრიკინმა ამ საკითხთან დაკავშირებით მარტივი, ამასთან ყოვლისმომცველი განმარტება შემოგვთავაზა: “ადგილის გეოგრაფიული კონცეფცია გულისხმობს მოვლენების, საგნებისა და პროცესების ტერიტორიული კონტექსტის შესწავლას” (Etrikin, 1991: 6).

პოლიტიკურ მეცნიერებაში კონტექსტის გართულებული ადქმა გამოწვეულია იმით, რომ პოლიტიკური ქცევა (მაგ., არჩევნებში ხმის მიცემა) მჭიდრდაა დაკავშირებული “მოსახლეობის კომპოზიციურ (შემადგენლობის) ეფექტთან” (compositional effect). ეს უკანასკნელი მოცავს ისეთ სოციალურ-ეკონომიკურ მახასიათებლებს, როგორებიცაა შემოსავალი და განათლება.

პოლიტოლოგების მტკიცებით ინდივიდუალურ დონეზე არჩევნებში ხმის მიცემა პრატიკულად მთლიანად დამოკიდებული ელექტორატის განათლების დონესა და მატერიალურ მდგომარეობაზე. ამგვარი მიღომა, რომელიც “მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის” სახელწოდებით არის ცნობილი რამდენიმე ათწლეული დომინირებდა პოლიტიკურ მეცნიერებაში, რის გამოც კონტექსტის კლასიკური მნიშვნელობა პრაქტიკულად დაიკარგა.

გეოგრაფია კონტექსტს უფრო მარტივად განიხილავს, რადგან გეოგრაფიაში ინდივიდები და ადგილებიც საერთო სოციალური ქსელის შემადგენელ ნაწილებად მიიჩნევა. პოლიტიკური მეცნიერებისგან განსხვავებით, გეოგრაფები ამტკიცებენ, რომ ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლებს და გეოგრაფიული სივრცის კომპონენტებს შორის ურთიერთობა ორმხრივი მოძრაობის ქუჩას გავს. სხვა სიტყვებით ადამიანის ქცევა განპირობებულია არა მარტო მისი სოციალური ან ეკონომიკური მდგომარეობით, არამედ იმ გეოგრაფიული გარემოთიც, სადაც ის ცხოვრობს და მოღვაწეობს. ელექტორალური გეოგრაფია აღწერს მრავალ შემთხვევას, როდესაც პრესტიჟულ რაიონში მცხოვრები ნაკლებად შეძლებული ადამიანის საარჩევნო ქცევა იდენტურია მისი მდიდარი მეზობლების ქცევისა. გეოგრაფების მტკიცებით ადგილი არის მედიატორი ადამიანებს, სოციალურ ჯგუფებს და სტრუქტურებს შორის. ნიკოლას ენტრიკინმა, გაუსვა რა ხაზი ადგილის კონტექსტუალურობას, ადნიშნა, რომ ადგილისთვის დამახასიათებელია შორისი პოზიცია (Betweenness of place). ადგილი პოზიცირებულია საგნებსა და ადამიანებს შორის, სხვა სიტყვებით ის მათ დამაკავშირებელ ტერიტორიას წარმოადგენს (იქვე).

ადგილი დროთა განმავლობაში იცვლება ბუნებრივი და, განსაკუთრებით საზოგადოებრივი საქმიანობის შედეგად. ის ცვლადი და დინამიურია. ეს იმას ნიშნავს, როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ სივრცე ან ადგილი სოციალური კონსტრუქციაა, იმავდროულად იგულისხმება რომ ის სოციალურ-ისტორიული კონსტრუქციაა. სხვა სიტყვებით, ადგილი არის ისტორიულ ჭრილში განხილული სოციალური პროცესის შედეგი.

თანამედროვე გეოგრაფიაში ადგილი განიხილება არა მარტო, როგორც სოციალური პროცესის შედეგი, არამედ, ასევე, როგორც თვით სოციალური პროცესიც. ბევრი თანამედროვე გეოგრაფი მხარს უჭრს ამ კონცეფტს და იმ აზრს იზიარებს, რომ ადგილს ხელეწიფება საკუთარი თავის გარდაქმნა. ჩემი სუბიექტური აზრით, ეს პოსტმოდერნისტული გეოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე წინააღმდეგობრივი კონცეფციაა. თუ, ადგილს ხელეწიფება საკუთარი თავის გარდაქმნა, ამ შემთხვევაში ვამოდის, რომ ის ცოცხალი ორგანიზმი ყოფილა. პრობლემაც იმაშია, რომ ცოცხალი ორგანიზმი იმავდროულად ვერ იქნება სოციალური კონსტრუქცია. გარდა ამისა, ამგვარ ლოგიკას “გეოგრაფიული დეტერმინიზმის” ან სულაც “ორაგნიციზმის” თეორიამდე მივყავართ. გავიხსენოთ, რომ თვითონ პოსტმოდერნიზმის წარმომადგენლები მკაცრად აკრიტიკებენ ამ თეორიებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, “გრძნობა ადგილისადმი” დადებითი ემოციებით არის გაედენთოლი. ეს ემოციები იმდენად ძლიერია, რომ მათ საფუძველზე ადამიანს ტერიტორიული იდენტობა უყალიბდება. ეს გრძნობა დაკავშირებულია ადგილის ბუნებრივ და კულტურულ ლანდშაფტთან, განსაკუთრებით კი ადამიანებთან. ადამიანებს შორის ურთიერთობა გადამწყვეტია ტერიტორიული იდენტობის ფორმირებაში. ამასთან, ადამიანს ყველა ადგილისადმი თბილი გრძნობა არ და ვერ ექნება. ინდივიდისთვის დამახასიათებელია, როგორც “ტოპოფილია”, ასევე “ტოპოფობია”. სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგად დამტკიცდა, რომ ადამიანი ადგილთა

დიდი უმრავლესობისადმი ინდეფერენტულია. რესპოდენტები ასეთ ადგილებს შორის ასახელებენ სატრანსპორტო კვანძებს, სავაჭრო მოლებს, ქალაქის ახალი სამოსახლოებს, ზოგ შემთხვევაში ტურისტულ ობიექტებსაც კი.

გლობალიზაციის პირობებში გაიზარდა მიგრაციების მასშტაბი და ინტენსივობა. ადამიანები ხშირად იცვლიან საცხოვრებელს. თანამედროვე მობილურ სამყაროში ხშირად წააწყდებით სიტუაციას, როდესაც მიგრანტი რომელიმე ქვეყანაში ცხოვრობს, მაგრამ ამ ქვეყანაში ის მხოლოდ ფიზიკურად იმყოფება. ის არ ფლობს სახლემწიფო ენას, არ მონაწილეობს ქვეყნის კულტურულ, სოცილურ ან პოლიტიკურ ცხოვრებაში. აქ მისი ჰაბიტატი მოიცვას პატარა ტერიტორიას, სადაც განსახლებულია დიასპორა. ამგვარი სიტუაციების აღსაწერად ჰუმანისტ-გეოგრაფებმა შემოიღეს ტერმინი “Placelessness”, რაც შეიძლება ითარგმნოს, როგორც ადგილდაკარგულობა ან ადგილნაკლულობა. სხვა სიტყვებით, ადამიანი ადგილთან დაკავშირებულია ფიზიკურად, მაგრამ არა კოგნიტურად ან სოციალურად.

გლობალიზაციის პროცესში სატრანსპორტო და მასობრივი კომუნიკაციების საშუალებების განვითარების შედეგად შემცირდა დრო და შეიკუმშა სივრცე. შესაბამისად, ჩვენი პლანეტის ადგილები ერთმანეთს დაუახლოვდა ამ სიტყვის გადატანითი მნიშვნელოვით. მიუხედავად ამისა, ადგილები ინარჩუნებენ მათვის დამახასიათებელ უნიკალურ თვისებას – განსხვავებულობას. ნოელ კასტრეს აზრით ამას ხელს უწყობს შემდეგი გარემოებები:

- დრო-სივრცითი კომპრესიის<sup>15</sup> მიუხედავად, მოგზაურობას მაინც გარკვეული დრო სჭირდება, შესაბამისად ადგილები ერთმანეთისგან დაშორებული არიან ამა თუ იმ მანძილით;
- გლობალიზაცია აყალიბებს ჰეტეროგენულ გეოგრაფიულ სივრცეს სწორედ იმის გამო, რომ ადგილები განსხვავებულები არიან;
- ცალკეულ ადგილებს “გამოუმუშავდათ უკურვაქცია” გლობალური ძერების მიმართ;
- დღესდღეობით, საზოგადოებრივი ურთიერთობების დიდი ნაწილი გლობალური პროცესების მიღმა რჩება და ადგილობრივ დონეზე მიმდინარეობს;
- მსოფლიოს ადგილების უმრავლესობა ჯერ არ ან ვერ მონაწილეობს გლობალური ინტეგრაციის პროცესში (Castree, 2003: 176).

### სივრცე და ადგილი: ჰარმონია თუ წინააღმდეგობა?

ადამიანის დამოკიდებულება სივრცისა და ადგილისადმი შესანიშნავად დაახასიათა ჰუმანისტური გეოგრაფიის ფუძემდებელმა ჩინური წარმოშობის ამერიკელმა მეცნიერმა ი-ფუ ტუანმა (Yi-Fu Tuan):

“ადგილი უსაფრთხოებაა, სივრცე თავისუფლება: პირველზე მიჯაჭვულები ვართ, მეორეს კი მიველტვით. (Tuan, 1977: 3).

Place is security, space is freedom: we are attached to the one and long for the other.

<sup>15</sup> დრო-სივრცითი კომპრესია არის ტერმინი, რომელიც მიანიშნებს, რომ თანამედროვე სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების საფუძველზე მოხდა, როგორც ადგილების, ასევე ადამიანების დაახლოება.

ამ განმარტებიდან ჩანს, რომ ადამიანები ადგილს უკავშირებენ უსაფრთხოებას (“ჩემი სახლი ჩემი ციხე-სიმაგრეა”), თუმცა იმავდროულად ის ასოცირდება იზოლაციასთან, პატიმრობასთანაც კი. სივრცე იწვევს თავისუფლების გრძნობას, მაგრამ დაუცველობის განცდას. ამ ორი საპირისპირო გრძნობის ჭიდილში ადამიანების უდიდესი უმრავლესობა ირჩევს უსაფრთხოებას. მუდმივი მოგზაურობა, მითუმეტეს ახალი “სივრცეების” აღმოჩენა მხოლოდ ერთეულების ხვედრია.

ადგილი კონკრეტული რამ არის, ხოლო სივრცეს უფრო აბსტრაქტული, ამორფული მნიშვნელობა აქვს. ადგილი წარმოადგენს სივრცის ერთ-ერთ შემოსაზღვრულ არეალს. სივრცე განაცალკევებს ადგილებს, მაგრამ, ამასთანავე ადგილები ერთმანეთს სივრცის მეშვეობით უკავშირდებიან. რადიკალური განსხვავებების მიუხედავად სივრცე და ადგილი ერთმანეთთან სრულ პარმონიაში არიან, რადგან თრივე (სოციალურთან ერთად) ბუნებრივი კონსტრუქციაა.

### ტერიტორია და ტერიტორიულობა

ტერიტორია გეოგრაფიულ კვლევებში წარმოჩენილია სამი ძირითადი მიმართულებით: ხმელეთის ნაწილი, ძალაუფლების საფუძველი და ფუნქციური სივრცე (Paasi, 2003: 109). ტერიტორიის ცნება დროთა განმავლობაში იცვლებოდა. ამ ტერმინისადმი თანამედროვე მიდგომები მნიშვნელოვნად განსხვავდება მისი ისტორიული ანალოგებისაგან. პლატონი ტერიტორიას განიხილავდა, როგორც ქალაქ-სახელმწიფოს მიმდებარე ადგილს, სადაც განვითარებული იყო იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოება. არისტოტელეს აზრით, ტერიტორია მმართველი ელიტასა და მოსახლეობასთან ერთად წარმოადგენდა ქალაქ-სახელმწიფოების მესამე შემადგენელ ელემენტს, რომელსაც ქალაქის მოსახლეობის სურსათით და უსაფრთხოებით უზრუნველყოფის ფუნქცია ქონდა (Dahlman, 2009: 77).

ტერიტორიის ცნებისადმი მიდგომა შეიცვალა გვიანდელ ფეოდალიზმში, განსაკუთრებით ვესტფალიის ხელშეკრულების შემდეგ პერიოდში. ტერიტორია გახდა სახელმწიფოს სინონიმი და ის დღესაც ძირითადად ამ მნიშვნელობით იხმარება. ჰუმანისტური გეოგრაფიის კვლევებში ტერიტორიად აღიარებულია ერის (ეთნოსის) საკრალური ადგილები. შეუძლებელია არსებობდეს ხელისუფლება, განურჩევლად იმისა ის ცენტრალურია თუ ადგილობრივი, რომლის ძალაუფლება არ ვრცელდება მოსახლეობაზე და/ან ტერიტორიაზე. შესაბამისად, ტერიტორიის ცნებამ ძალაუფლების (ხელისუფლების) საფუძვლის დატვირთვაც მიიღო.

თანამედროვე გეოგრაფიაში ტერიტორიის ცნებასთან დაკავშირებული დებატები ეძღვნება დიდი ხნის განმავლობაში დამკვიდრებული სამი სტერეოტიპის გადახედვის და ცვლილების აუცილებლობას. კერძოდ, ეს სტეროტიპებია:

- ტერიტორია არის სტატიკური ობიექტი, ფიზიკურ-გეოგრაფიული ერთეული, რომელიც თავისთავად, ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობს;
- ტერიტორია არის ნორმატიული ობიექტი, ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული;
- სახელმწიფო არის ერთადერთი გეოპოლიტიკური აქტორი.

პირველი პრობლემა დაკავშირებულია იმასთან, რომ გეოგრაფიულ კვლევებში ტერიტორია ხშირ შემთხვევებში განიხილება, როგორც კონტეინერი, რომელშიც მიმდინარეობს გარკვეული ბუნებრივი და საზოგადოებრივი პროცესები. ეს, რათქმაუნდა ასეა. მიუხედავად ამისა, მხედველობიდან არ უნდა

გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ ტერიტორიაზე, ე.ი. სივრცეში მიმდინარეობს პერსონალური და საზოგადოებრივი ურთიერთობები. ტერიტორიას გააჩნია არა მარტო სივრცითი, არამედ, ასევე სოციალური (საზოგადოებრივი) კონტექსტი. ამასთან დაკავშირებით, ცნობილმა გეოგრაფმა რობერტ საკმა (*Robert Sack*) გეოგრაფიაში შემოიტანა ტერმინი “საზოგადოებრივი ტერიტორიალობა” ან უბრალოდ “ტერიტორიალობა”. საკის მიხედვით, ტერიტორია არის საშუალება, რომლის მეშვეობითაც მყარდება ურთიერთობა, ერთი მხრივ, ადამიანებს, ხოლო, მეორე მხრივ ადამიანებსა და ფიზიკურ ობიექტებს შორის. თუ, პირი ან ადამიანთა ჯგუფი გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში ცდილობს განახორციელოს ადამიანებზე, მოვლენებსა და ურთიერთობებზე კონტროლი, ამ შემთხვევაში საქმე გავაქს ტერიტორიულობასთან. ამასთან, ადამიანები თვითონ აწესებენ აღნიშნული ურთიერთობების გეოგრაფიულ საზღვრებს და ნორმებს. (*Sack, 1986: 19*). მოცემული განმარტება ხაზს უსვამს ტერიტორიულობის ორ ძალზე მნიშვნელოვან ასპექტს. პირველი მდგომარეობს იმაში, რომ აუცილებელი არ არის ტერიტორიულობა განახორციელოს მხოლოდ სახელმწიფო ინსტიტუტებმა. ეს ხელეწიფებათ ადამიანთა გაერთიანებებს, ორგანიზაციებს ან ბიზნეს სტრუქტურებს. მეორე შემთხვევაში, აღნიშნულია, რომ ტერიტორიულობა არ შეიძლება წარმოადგენდეს ველურ ანუ ინსტიტურ ფენომენს. ადამიანი არ უნდა იქცეოდეს ცხოველისთვის დამახასიათებელი ინსტიტუტების საფუძველზე, რომელიც მიმართულია გარკვეული გეოგრაფიული არეალის ძალადობრივი დაუფლებისაკენ. ტერიტორიულობა ცივილიზებული საზოგადოებრივი ურთიერთობების შემადგენელი ნაწილია.

მეორე პრობლემა ფსიქოლოგიური ხასიათისაა, რაც იმაში გამოიხატება, რომ პოლიტიკურ მსოფლიოს ჩვენ აღვიქვამთ პოლიტიკური რუკის მეშვეობით, სადაც ნაჩენებია მხოლოდ სახელმწიფოები. სინამდვილეში ჩვენს პლანეტაზე მიმდინარე პოლიტიკური პროცესები გაცილებით უფრო მრავალფეროვანი და ჭრელია, ვიდრე ეს რუკაზე შეიძლება ჩანდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მსოფლიოს ჩვენებული ხედვა სახელმწიფოცენტრულია, თუმცა სახელმწიფო მმართველობის სისტემა, როგორი ცენტრალიზებულიც არ უნდა იყოს შედგება სხვადასხვა დონის და მიმართულების აქტორებისგან, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ერთმანეთისგან დამოუკიდებელ პოლიტიკებს შეიმუშავებენ და განახორციელებენ.

მესამე პრობლემა, ასევე სახელმწიფოცენტრიზმიდან გამომდინარეობს. სახელმწიფოები გეოპოლიტიკური სცენის ძირითად მოთამაშებად რჩებიან, მაგრამ ამ სფეროში არასამთავრობო აქტორების როლი და ადგილი იზრდება. პოსტმოდერნული მსოფლიოს, როგორც ერთიანის, ასევე მისი შემადგენილი ტერიტორიების შესწავლისას აუცილებელად უნდა გავითვალისწინოთ ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციების, პროფესიული კაგშირების, უმცირესობათა გაერთიანებების, კომერციული სტრუქტურების და სხვა სახის სოციალური მოძრაობების მზარდი მნიშვნელობა კულტურული, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების და მათი განხორციელების პროცესებში.

## მასშტაბი

წინა საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული საზოგადოებრივი გეოგრაფიის კვლევის არსენალი ეტაპობრივად შეივსო თანამედროვე სოციალური და პოლიტიკური თეორიებით, რომელთა აქტიურმა გამოყენებამ გეოგრაფიული მეცნიერება თვისებრივად შეცვალა.

სივრცის შინაარსის ახალმა გააზრებამ, ბუნებრივია გამოიწვია სივრცის იერარქიის კონცეფციის რევიზია. სივრცე აღიქმებოდა პორიზონტალურ ჭრილში და, შესაბამისად კვლევაც მიმდინარეობდა მიკრო (ადგილობრივ), მეზო (რეგიონის ან ქვეყნის ფარგლებში) და მაკრო (გლობალურ) დონეებზე. შესაბამისად, პოლიტიკური გეოგრაფიის ამოცანა იყო იმის კვლევა, თუ როგორ ყალიბდება, წარიმართება და რეგულირდება პოლიტიკური პროცესები ადგილობრივ, ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეებზე. ამჟამად, ეს იერარქია განიხილება, როგორც სხვადასხვა ტერიტორიულ დონეებზე მიმდინარე საზოგადოებრივი პროცესები.

სივრცის საზოგადოებრივი (სოციალური) იერარქიის მოდელირების შემთხვევაში აღმოვაჩენთ, რომ ის ძალიან წააგავს “მატრიოშკას” (Marston, 2006: 423). საზოგადოებრივ პროცესებს, ისევე, როგორც მატრიოშკის თოჯინებს შორის არსებობს ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება. გარდა ამისა, ნებისმიერ სოციალურ კონსტრუქციას გააჩნია გეოგრაფიული მდებარეობა, ე.ი. ამ კონსტრუქციებს შორის კავშირი მყარდება შესაბამის ტერიტორიულ დონეზე, ადგილობრივიდან გლობალურის ჩათვლით. მაგრამ, აქვე ჩნდება კითხვა: როგორ უნდა დავადგინოთ სოციალურ კონსტრუქციებს შორის კავშირი გეოგრაფიულ ჭრილში? კითხვა თითქოს რიტორიკულია, შესაბამისად, პასუხიც მარტივი გასაცემი უნდა იყოს – გეოგრაფიაში ამ მიზნით გამოიყენება მასშტაბი.

მასშტაბის კონცეფცია გეოგრაფიული მეცნიერებისთვის ერთ-ერთი ცენტრალურია. მასშტაბი, როგორც ფარდობითი, ასევე აბსოლუტური სიდიდის მახასიათებელია. ის გამოიყენება სივრცის, დროის და თემატიკური საკითხების დახასიათებისას. რაც მთავარია, მასშტაბს გეოგრაფიაში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. ამ თვალსაზრისით, გამოყოფენ სამი სახის მასშტაბს. ესენია მოვლენის მასშტაბი, ანალიზის მასშტაბი და კარტოგრაფიული მასშტაბი. მოვლენის მასშტაბი გამოიყენება იმ საზოგადოებრივი ან ფიზიკური სტრუქტურებისა და მოვლენების დახასიათებისას, რომლებიც არსებობენ ჩვენგან დამოუკიდებლად. მაგ., ოკეანე უფრო დიდია, ვიდრე ზღვა; ან ქარი უფრო ძლიერია, ვიდრე სიო. ანალიზის მასშტაბი წარმოდგენას გვიქმნის იმ ერთეულის ან პროცესის სიდიდეზე, რომელიც კვლევის შედეგად დგინდება. მაგ., 2008 წლის არჩევნების შედეგების ანალიზმა ცხადჰყო, რომ საქართველოში ეთნიკური უმცირესობები უფრო მასშტაბურად (ე.ი. აქტიურად) მონაწილეობენ არჩევნებში, ვიდრე ეთნიკური ქართველები.

მასშტაბის ჩარჩოს (ფარგლების) დადგენა პოლიტიკური აქტია, რომელშიც მონაწილეობას იღებენ, როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო აქტორები. მთავრობა მასშტაბის ფორმირებას რუტინული წესით ახდენს, კერძოდ ის ქმნის ადგილობრივ მმართველობებს, უდგენს მათ ისეთ კომპეტენციებს, რომლებიც შეესაბამება ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციის მასშტაბს. ეს წარმოადგენს სახელმწიფოს სივრცითი სტრატეგიის ერთ-ერთ მიმართულებას, რაც მას საშუალებას აძლევს მართოს მისდამი რწმუნებული ქვეყნის ტერიტორია. მაგრამ, მთავრობას არ გააჩნია სახელმწიფოს მართვის ექსკლუზიური უფლება. მას ამ საქმეში ეცილებიან არასამთავრობო აქტორები. ეს კველაზე ნათლად ადგილობრივ დონეზე კლინდება.

მეცნიერები, რომლებიც იკვლევენ თვითმმართველობის საკითხებს, შესწავლის ობიექტად მიიჩნევენ იმ ტერიტორიას, რომელიც შედის ადგილობრივი მმართველობის იურისდიქციაში. მცირე ყურადღება ეთმობა იმის კვლევას, თუ რატომ და როგორ მოხდა ამ ტერიტორიის საზღვრების დადგენა; თუ რამდენად შეესაბამება ამ მმართველობის კომპეტენციები ადგილობრივ მასშტაბი და რამდენად არის ჩართული ადგილობრივი მასშტაბი უფრო მაღალი რანგის მასშტაბებში. ტერიტორიები, არ უნდა აღვიქვათ, როგორც მხოლოდ

გარკვეულ ადმინისტრაციულ საზღვრებში ფიქსირებული ადგილები. სივრცითი იერარქია მრავალმასშტაბიანია, მრავალდონიანია, სადაც ადგილი აქვს სხვადასხვა სახის (ინდივიდუალურიდან გლობალურამდე) საზოგადოებრივ ურთიერთობებს. გავიხსენოთ, რომ სივრცე, ტერიტორია, ისევე როგორც ადგილი, ბუნებრივის გარდა სოციალურ კონსტრუქციასაც წარმოადგენს.

მოსახლეობის არაერთგაროვანი ეთნო-კულტურული შემადგენლობის პირობებში მთავრობას ქვეყნის რომელიმე რეგიონის მართვაში შეიძლება შეეცილოს მასში კომპაქტურად მოსახლე ეთნო-კულტურული თემი. ამგვარი კონფლიქტი იწყება ადგილობრივ დონეზე, მაგრამ მან შეიძლება საერთაშორისო ხასიათი მიიღოს, თუ ამ კონფლიქტში სხვა ქვეყანა ჩაერევა. შესაბამისად, ქვეყნის მთავრობას მოუხდება კონფლიქტის მოგვარება, როგორც სეპარატისტულ დაჯგუფებასთან (ე.ი. ადგილობრივ დონეზე), ასევე მესამე ქვეყანასთან (ე.ი. საერთაშორისო დონეზე). ზემოთაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ერთი მხრივ, რომ პოლიტიკური ურთიერთობები დინამიურია არამარტო დორში, არამედ სივრცეშიც, ხოლო, მეორე მხრივ, კი იმაზე, რომ გეოგრაფიული სივრცე მრავალმასშტაბიანია.

მთლიანობაში, პოსტმოდერნისტულ ხანაში მასშტაბის საკითხის თეორეტიზაციამ არნახული ბუმი გამოიწვია. ამასთან, ბევრმა მეცნიერმა მასშტაბის არაადექვატური და არარელევანტური კონცეფციები შემოგვთავაზა, რამაც გეოგრაფიულ და სოციალურ კვლევებში დიდი ქაოსი და დაბნეულობა შეიტანა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ამ სფეროში მოღვაწე რამდენიმე ცნობილმა მეცნიერმა გამოიტვა მოსაზრება, რომ გეოგრაფიული ლექსიკონიდან ამოედოთ მასშტაბის ცნება. ნახევრად ხუმრობით ნათქვამი ეს ფრაზა იმაზე მეტყველებს, რომ ზღვარგადასული თეორეტიზირება მეცნიერებისთვის არანაკლებ სახიფათოა, ვიდრე არასწორი თეორიების ან კონცეფციების შემუშავება.

## დისკურსი

ზოგადად, დისკურსის არსი ბუნდოვანია, ისევე, როგორც ეს მაგ., ენის, იდეოლოგიის ან საზოგადოების. საგულისხმოა, რომ რთულად აღსაქმელი ცნებები ძალზე დიდი პოლულარობას იძენენ ხოლმე. “დისკურსი” სწორედ ასეთი შემთხვევაა.

იდეოლოგია და კულტურა (მაკროსოციალური მოვლენები), როგორც სინამდვილის კოლექტიური რეპრეზენტაციები ვლინდება დისკურსში (მიკროსოციალურ დონეზე). სასურველია, რომ იდეოლოგიის ანალიზისას არ შემოვიფარგლოთ მხოლოდ დისკურსული ანალიზით (დისკურს-ანალიზით). იდეოლოგია მხოლოდ ტექსტებისა და საუბრების მეშვეობით არა იქმნება. თუმცა, ამ საქმეში დისკურსს განსაკუთრებული ადგილი უკავია. სოციალური პრაქტიკების და სემიოტიკური კოდების (ვიზუალური სახეები, ნიშნები, ფოტოები და სხვა არავერბალური რამები) უმრავლესობისგან განსხვავებით ტექსტისა და მეტყველების თვისებები საშუალებას გვაძლევას უშუალოდ ჩამოვაყალიბოთ და გამოვხატოთ ჩვენი აბსტრაქტული იდეოლოგიური მრწამსი.

რომელიმე სპეციალიზირებული კლუბის სტაჟიანი წევრები ახალბედებთან კომუნიკაციის პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ კლუბის ტრადიციებზე საუბარს და მკაცრად იცავენ ამ ტრადიციებს. ამრიგად, იდეოლოგიური სოციალიზაციის ხორცილება დისკურსით.

ცნობილი პოლანდიელი მეცნიერის ტეუნ ვან დეიკის (*Teun van Dijk*) განმარტებით, ფართო გაგებით დისკურსი არის კომპლექსური კომუნიკაციური მოვლენა, რომელსაც ადგილი აქვს კონკრეტულ დორსა და სივრცეში ან სხვა კონტექსტში. დისკურსი შეიძლება იყოს ვერბალური ან წერილობითი და მას

გააჩნია ვერბალური ან არავერბალური მახასიათებლები (Van Dijk, 1998: ?). ამის ტიპიური მაგალითებია, დისკუსია კოლეგასთან, ექიმის და პაციენტის საუბარი, საგაზეთო სტატიის წაკითხვა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია კომუნიკაცია. ცალკე აღებული საგაზეთო სტატია ჯერ კიდევ არ არის დისკურსი. დისკურსი ყალიბდება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ამ სტატიას ვინმე კითხულობს ან უკვე წაიკითხა. დისკურსის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია ტექსტის გადმოცემის სტილი, როდესაც მნიშვნელობას იძენს არა ტექსტის შინაარსი, არამედ ამ შინაარსის აქტუალიზირებულად, არტიკულირებულად გადმოცემის უნარი. ადამიანი შეიძლება დიდი ხნის განმავლობაში საუბრობდეს ძალადობაზე, მაგრამ არ შეიქმნას ძალადობრივი დისკურსის განცდა. სხვა შემთხვევაში, პიროვნება შეიძლება ბუნების სილამაზეზე საუბრობდეს, ამასთან მისი გადმოცემის სტილმა და მანერამ შეიძლება იმ დასკვნამდე მიგვიყვანოს, რომ შეიქმნა არა მშვენიერების, არამედ ძალადობის დისკურსი.

ვიწრო გაგებით გამოყოფენ დისკურსის ვერბალურ შემადგენელს და მას განიხილავენ, როგორც ტექსტს ან საუბარს. ამ მხრივ, დისკურსი კომუნიკაციური ქმედების წერილობითი ან მეტყველებითი ვერბალური პროდუქტია.

დისკურსი გამოიყენება ამა თუ იმ ჟანრის აღსანიშნავად. მაგ., “ისტორიული დისკურსი”, “პოლიტიკური დისკურსი”, “იდეოლოგიური დისკურსი”. დისკურსის ყველაზე აბსტრაქტულ და როგორც აღსაქმელ მნიშვნელობას წარმოადგენს “დისკურსი, როგორც სოციალური ფორმაცია”. ამ მნიშვნელობით დისკურსი გამოიყენება სპეციფიური ისტორიული ეპოქის ან სოციალური ფორმაციის აღნიშვნისას. მაგ., “კომუნისტური დისკურსი” ან “ბურჟუაზიული დისკურსი”. სხვა შემთხვევებში, ამავე მნიშვნელობით იხმარება “საზოგადოებრივი ფორმაცია”, “საზოგადოებრივი მოწყობა” ან “საზოგადოებრივი წესრიგი” (იქვე).

სახელმძღვანელოს II თავში ჩვენ განვიხილავთ ისეთ საკითხს, როგორიცაა “ნაციონალიზმი, როგორც დისკურსული ფორმაცია”.

### პოლიტიკა და ძალაუფლება (ხელისუფლება)<sup>16</sup>

ტერმინი “პოლიტიკა” წარმოსდგება ბერძნული სიტყვიდან “პოლის” რაც ნიშნავს ქალაქ-სახელმწიფოს. ძველ საბერძნეთში პოლიტიკა გაიგივებული იყო საზოგადოებრივ და სახელმწიფო საქმეებთან. ეს მიღვომა დღესაც ძალაშია. ერთ-ერთი განმარტების მიხედვით პოლიტიკა არის სახელემწიფო მართვის, როგორც თეორია, ასევე პრაქტიკა. საგულისხმოა, რომ პოლიტიკის “თეორიულობა” და “პრაქტიკულობა” ინგლისურ ენაში ორი განსხვავებული ტერმინით აღინიშნება (იხ. დანართი №).

დანართი №

ცნებები Policy და Politics

<sup>16</sup> ქართულ ენაში ძალაუფლება და ხელისუფლება სინონიმები არ არის, განსხვავებით მაგ., ინგლისური და რუსული ენებისგან, სადაც ტერმინებით Power და Власть აღინიშნება, როგორც ინგლისური ტერმინი Power ძირითადად ითარგმნება, როგორც ძალაუფლება, მაგრამ გარკვეული კონტექსტიდან გამომდინარე ის შეიძლება ითარგმნოს, როგორც “ხელისუფლება”, “ძალაუფლება” უფრო ფართო ცნებაა, ხოლო, რაც შეეხება “ხელისუფლება” მას იყენებენ მხოლოდ სამთავრობო ინსტიტუტებთან მიმართებაში (მაგ., ქვეყნის ან ადგილობრივი ხელისუფლება, სასამართლო ხელისუფლება და ა.შ.). გამონაკლისს წარმოადგენს მასშედიასთან დაკავშირებული ტერმინი “მეოთხე ხელისუფლება”.

ინგლისური ტერმინები *Policy* და *Politics* სხვა ენებზე ითარგმნება, როგორც პოლიტიკა. იმასთან დაკავშირებით, რომ ინგლისურში მათ განსხვავებული მნიშვნელობები აქვთ უცხოენოვანი მკითხველისთვის ეს ერთგვარ დაბნეულობას იწვევს. *Policy* აღნიშნავს მთავრობის სტრატეგიას, მიზნებსა და ამოცანებს (კანონმდებლობის ჩათვლით). მაგ., ქვეყნის უსაფრთხოების კონცეფცია ან სამხედრო დოქტრინა ან ჯანდაცვის განვითარების პროგრამა არის *Policy*. ამ სახის დოკუმენტებში მოცემული ამოცანების გადაწყვეტის კონკრეტული დონისძიებების დასახვა და მათი აღსრულება არის *Politics*. *Policy* უფრო აბსტრაქტული, თეორიული ხასიათის პოლიტიკა, ხოლო *Politics* კი – კონკრეტული.

ცნობილია, რომ ჩინეთისთვის დამახასიათებელია ჭარბმოსახლეობა. ეს გარკვეულ პრობლემებს უქმნის ქვეყნის სოცალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ჯერ კიდევ 1970-იან წლებში ჩინეთის ხელისუფლებამ მიზნად დაისახა ხელი შეეწყო მოსახლეობის შობადობის შემცირებისთვის. ეს იყო სამთავრობო *Policy*. ამ მიზნის მისაღწევად ქვეყნის ხელმძღვანელობამ კონკრეტული დონისძიებები დასახა. ერთ-ერთის მიხედვით შრომათმოწყობის და კარიერული წინსვლის მხრივ უპირატესობა ენიჭებოდათ იმ პირებს, რომლებსაც ერთი შვილი ყავდათ. ამ შემთხვევაში, ეს არის *Politics*.

XIX ს.-მდე პოლიტიკური აზრი მხოლოდ პოლიტიკური დირექტულებების შესწავლით იყო დაინტერესებული. პოლიტიკა “პოლიტიკური ფილოსოფიის” ნაწილს წარმოადგენდა. ამ პერიოდის ცნობილი ცნობილი მოაზროვნები შემდეგნაირად განმარტავდნენ პოლიტიკას:

- “მეფური ხელოვნება” ყველა სხვა ხელოვნების მართვის შესახებ (არისტოტელები).
- ცოდნის სისტემა სწორი და ბრძნული მმართველობის შესახებ (ნიკოლა მაკიაველი).
- კლასობრივი ინტერესების ბრძოლა (კარლ მარქსი).

დღესდღეობით პოლიტიკის მრავალი განსაზღვრება გვხვდება. პოლიტიკას განიხილავენ, როგორც შესაძლებელობათა ხელოვნებას; ბრძოლას განსხვავებულ ინტერესებს შორის; რესურსების დაუფლების და განაწილების ხელოვნებას; კონსესუსის მიღწევის ხელოვნებას; დონისძიებებისა და ქმედებების ერთობლიობას, რომელიც მიმართულია კონკრეტული მიზნის მიღწევისთვის; ხალხის გაერთიანების ხელოვნებას; ბრძოლას საკუთარი წესების დაწესებისთვის; პაექრობას ინტერესებსა და დირექტულებებს შორის.

რაც მთავარია, პოლიტიკა არის ძალაუფლების, უპირატესად სახელმწიფო ხელისუფლების მოპოვების, შენარჩუნების და განმტკიცების ხელოვნება. ძალაუფლების მოპოვება პოლიტიკის მთავარი მიზანია. ძალაუფლება, თავის მხრივ არის ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ამოცანების გადაწყვეტის ძირითადი საშუალება.

რესურსების ფლობა და გა(და)ნაწილება პოლიტიკის კიდევ ერთი უნიშვნელოვანები მახასიათებელია. რესურსები ლიმიტირებულია, ამდენად პოლიტიკა მუდამ კონფლიქტის ზღვარზე ბალანსირებს. აქედან გამომდინარე, პოლიტიკა შეიძლება განვითილოთ, როგორც ქიმპი შეზღუდული რესურსების გამო, ხოლო – ძალაუფლება ამ მოცილეობის მთავარი ინსტრუმენტი (ჰეივუდი, 2007:13).

პოლიტიკისა და ძალაუფლების შესახებ დისკუსია ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში მიმდინარეობდა. პლატონის მიხედვით სახელწიფო მართვის სადაგეები

ბრძენთა ხელში უნდა იყოს. არისტოტელეს მიაჩნდა, რომ ხელისუფლებაში თავისუფალი მოქალაქეებიც უნდა მონაწილეობდნენ.

ანგლო-ამერიკულ სამეცნიერო ლიტერატურაში ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთობების დახასიათებისას გამოიყენება “პოლიტიკური სისტემის<sup>17</sup>” (Political System) ცნება. ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის გაბრიელ ოლმონდის (Gabriel A. Almond) განმარტებით პოლიტიკური სისტემა პოლიტიკური ინსტიტუტების გარდა მოიცავს სოციალურ და ეკონომიკურ სტრუქტურებს, საზოგადოების ისტორიულ ტრადიციებსა და დირექტულებებს, ასევე განვითარების კულტურულ კონტექსტს (Козлов, 2006:8). პოლიტიკური სისტემის ელემენტების ურთიერთობას სისტემური ხასიათი აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ რომელიმე ელემენტის ცვლილება მთელი სისტემის ცვლილებასაც იწვევს.

ძალაუფლება პოლიტიკის, როგორც პრაქტიკის, ასევე მეცნიერების ცენტრალური კონცეფტია. ძალაუფლების ცალსახა განმარტება არ არსებობს. ზოგადად, ძალაუფლება არის ადამიანის უნარი მეორე ადამიანს გააკეთებინოს ის, რასაც სხვა შემთხვევაში ეს უკანასკნელი არ გააკეთებდა (Roskin et al, 2008: 5). ძალაუფლება მრავალმხრივი მოვლენაა, შესაბამისად მისი დახასიათება სხვადასხვა კუთხით შეიძლება. განვიხილოთ ძალაუფლების რამდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებელი:

პიოლოგიური მახასიათებელი. ჯერ კიდევ არისტოტელე აღნიშნავდა, რომ ადამიანი არის პოლიტიკური ცხოველი. ამით ბერძენი ფილოსოფოსი მიანიშნებდა, რომ ადამიანი ბევრი ცხოველის მსგავსად ჯგუფური ცხოვრების წესს მისდევს. ადამიანების სოციალურ თანაცხოვრებას გარკვეული უპირატესობა აქვს, უპირველეს ყოვლისა საკვების მოპოვებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ბუნებრივია, რომ ჯგუფური ცხოვრება განაპირობებს სოციალური იერარქიის არსებობას. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაცია და ლიდერებისადმი დაქვემდებარება ადამიანის ბუნებრივი ინსტინქტია, რომელიც მის ცხოველურ საწყისზე მიანიშნებს. თუმცა, ამასათან დაკავშირებით იბადება რამდენიმე კიოთხვა. რითი შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ საკმაოდ ხშირად ადგილი აქვს მმართველებისადმი ადამიანების მასობრივ დაუმორჩილებლობას? გარდა ამისა, ასევე ხშირად, ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილი ნებაყოფლობით ტოვებს თავის ერთობას და სხვაგან მიემგზავრება. ცხოველებისთვის უცხოა პროგრესტის მასობრივი გამოვლინებები. აქედან გამომდინარე, ხომ არ გვაძლევს ეს საშუალებას გადავხედოთ არისტოტელეს ცნობილ გამოთქმას და ის სხვაგვარად ჩამოვაყალიბოთ: “ადამიანი არასრულყოფილი პოლიტიკური ცხოველია” (იქვე: 5).

უსიქოლოგიური მახასიათებელი. განსახილველი საკითხის შესწავლაში ფსიქოლოგები პრიორიტეტს ემპირიულ კვლევებს ანიჭებენ. ერთ-ერთი ცნობილი ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი ითვალისწინებდა დაკვირვების ობიექტის წამებას ელექტროშოკის მეშვეობით. პროფესორმა სტუდენტებს დაავალა ელექტროხელსაწყოს მეშვეობით გამოემუშავებინათ დენის ისეთი დოზა, რომელიც მათთვის უცნობი ადამიანში ტკივილს გამოიწვევდა და მოეხდინათ ამ პროცესის დეტალური აღწერა. სტუდენტებს არ სიამოვნებდათ ადამიანის ტანჯვაში მონაწილეობა, მაგრამ ყველა მათგანმა “პირნათლად” შეასრულა

<sup>17</sup> არსობრივად სისტემა იგივეა, რაც სტრუქტურა, მიუხედავად იმისა, რომ სტრუქტურა სისტემის შემადგენლად ნაწილად ითვლება. სისტემა (სტრუქტურა) არის მთელი, რომლის შემადგენლად ნაწილებს შორის არსებობს ბუნებრივი ან ნორმატიული (წესებით დადგენილი) კავშირი. საზოგადოებისა, რომ სისტემის ან სტრუქტურის კომპონენტების შორის უნდა არსებობდეს ურთიერთკავშირი. კონკრეტული სისტემა, როგორც წესი მასზე უფრო მსხვილი სისტემის შემადგენლობაში შედის. მაგ., განათლების სისტემა არის სახელმწიფო მმართველობის სისტემის ნაწილი, ხოლო ნებისმიერი სახელმწიფო, თავის მხრივ საერთაშორისო სისტემის ელემენტია.

მიცემული დავალება. სინამდვილეში, ხელსაწყო დენს არ გამოიმუშავებდა, ხოლო დაკვირვების ობიექტი იყო მსახიობი, რომელიც ტკივილის სიმულაციას ახდენდა. თუმცა, ამ ისტორიაში ეს არ არის გადამწყვეტი. მნიშვნელოვანია ის, რომ სტუდენტებმა სასწავლო კურსში დადებითი შეფასების მიღება უფრო მაღლა დააყენეს, ვიდრე პუმანისტური დირექტულებები.

ფსიქოლოგები და ბიოლოგები ამტკიცებენ, რომ კონფორმიზმი<sup>18</sup> ადამიანის ბუნებრივი, თანდაყოლილი თვისებაა. ჯგუფის წევრები ცდილობენ „მოერგონ“ ჯგუფს, მიიღონ მისი აზროვნების და ქცევის ნორმები, შესაბამისად ჯგუფში საერთო მენტალობა ყალიბდება. ჯგუფს, როგორც ასეთს არ უყვარს კრიტიკოსი და უფრთხის მას. საკმაოდ ჯგუფი კარგავს რეალობის შეგრძებას და აყალიბებს პოზიციას, იმის თაობაზე, რომ ყველაფერი კარგად მიღის და მომავალშიც ასე იქნება. ცნობილია, რომ პოლიტიკოსთა ჯგუფებმა ამერიკის ისტორიის ორ სხვადასხვა პერიოდში მხედველობაში არ მიიღეს დაზვერვის არგუმენტირებული და შესაბამისი მონაცემებით გამყარებული განსხვავებული აზრი, რის შედეგადაც ერთ შემთხვევაში ადგილი ქონდა პირლ პარბორის დაბომბვას, ხოლო მეორე შემთხვევაში – 2001 წ. 9 სექტემბრის ტერორისტულ აქტებს (იქვე: 8).

კულტურული მახასიათებელი. XX ს.-ის მეორე ნახევარში შეიქმნა არაერთი კულტურული თეორია, რომელმაც შეცვალა მეცნიერებაში მანამდე გაბატონებული მოსაზრება ადამიანის ქცევისა და იდენტობის თანდაყოლილი (ბუნებრივ-ბიოლოგიური) ხასიათის შესახებ. ამ თეორიების თანახმად ადამიანის ქცევა ყალიბდება სოციალური ურთიერთობების პროცესში.

ანთროპოლოგების კატეგორიული მტკიცებით ადამიანების ქცევაში ყოველგვარი განსხვავება კულტურული ფაქტორებით არის განპირობებული. პლურალისტული და მშვიდობიანი საზოგადოებებში ახალი თაობის აღზრდა ხდება იმ კულტურული დირებულებების მიხედვით, რომელიც დამკვიდრებულია ამ საზოგადოებებში. მოზარდი თაობის აღზრდის ინსტიტუტებს შორის აღსანიშნავია ოჯახის, სკოლის, ეკლესიის და მასმედიის როლი. ამასთან დაკავშირებით, პოლიტიკური მეცნიერების წიაღში აღმოცენდა ახალი მიმართულება – პოლიტიკური კულტურა. პოლიტოლოგებს მიაჩნიათ, რომ საზოგადოების პოლიტიკური კულტურა ყალიბდება გრძელვადიანი ფაქტორების ზემოქმედების შედეგად, ისეთების როგორიცაა რელიგია, ბავშვების აღზრდა, მიწათსარგებლობა, ეკონომიკური განვითარება. საგულისხმოა, რომ ნებისმიერი ერის (ხალხის) პოლიტიკური კულტურის ფორმირება ხდება არამარტო ეთნიკური და რელიგიური, არამედ სოციალური და ეკონომიკური ასპექტების საფუძველზე (იქვე: 8).

კულტურის თეორეტიკოსები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ გარკვეული პოპლეტები იჩნეს თავს იმ საზოგადოებაში, სადაც ადგილი აქვს პოლიტიკური და კულტურული სისტემების განსხვავებულ განვითარებას. ამის თვალსაჩინო მაგალითია ირანის მოვლენები, რომელსაც ადგილი ქონდა 1970-იანი წლების ბოლოს. ირანის შაჰმა მოჰამედ რეზა ფეხლევიდ გადაწყვიტა ქვეყნის მოდენიზაცია, რომელსაც საფუძვლად დაედო ისლამის როლის შემცირება და დასავლური დირებულებების წინ წამოწევა. ამის საპასუხოდ, ირანელები აუჯანყდნენ შაჰს და ის დამხეს (იქვე: 9).

რაციონალურობა. ჯერ კიდევ XVII ს.-ის მეორე ნახევარში შეიქმნა თეორიები, სადაც ადამიანი წარმოჩნდილია, როგორც რაციონალური არსება.

<sup>18</sup> კონფორმიზმი – ინდივიდის მიერ საგუთარი მოსაზრების, დირებულებათა სისტემის, ქცევის, აღქმის და ა.შ. იმგვარად შეცვლა, რომ ის შესაბამისობაში მოვიდეს საზოგადოებაში ან მოცემულ სოციალურ ჯგუფში გაბატონებულ მოსაზრებასთან.

ასეთი მოსაზრებები გვხდება ბრიტანელი მეცნიერების თომას ჰობსის (*Thomas Hobbes*)<sup>19</sup> და ჯონ ლოკის (*John Locke*)<sup>20</sup> ნაშრომებში. კერძოდ, ხაზგასმულია, რომ ადამიანები სურვილი შექმნან თავისუფალი და სამოქალაქო საზოგადოება ნაკარნახევია “გონების ძალით” (“Power of Reason”) (იქვე: 9-10). სიცოცხლისა და საკუთრების დაცვის მიზნით ადამიანები ირჩევენ ხელისუფლებას. თუ ხელისუფლება ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, ამ შემთხვევაში საზოგადოება მას უნდობლობას უცხადებს და იყენებს თავის ლეგიტიმურ უფლებას ის შეცვალოს.

**ირაციონალურობა.** XIX ს.-ის მეორე ნახევარში მეცნიერთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა კონცეფცია, რომლის მიხედვით ადამიანები გამოირჩევიან ირაციონალური ქცევითა და გადაწყვეტილებების მიღებით, განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც საქმე პოლიტიკას ეხება. კერძოდ, აღნიშნული იყო, რომ ადამიანებისთვის დამახასიათებელია ემოციურობა, კულტურული სიბოლოების, მითებისა და სტერეოტიპების იდეალიზირება. ადამიანთა გაერთიანებები გაიგივებული იყო ბრძოსთან, რომლისთვის დახახასიათებელია ცხოველური ინსტინქტები, ქარიზმატული ლიდერების თაყვანისცემა. ბიპევიორიზმის ამ მიმართულების აპლოგები იყო იტალიელი ფაშისტების ბელადი ბენიტო მუსოლინი. მან პრაქტიკაში გამოიყენა ირაციონალური სკოლის წარმომადგენელთა ნაზრევი. მოგვიანებით მას ადოლფ ჰიტლერმა მიბაძა (იქვე: 10).

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ დასახელებული თვისებები, სამწუხაროდ დამახასიათებელია ადამიანების პოლიტიკური ქცევისთვის. ისტორია გახსწავლის, რომ საკუთარი პოლიტიკური მიზნების მიღწევისთვის ხალხის აღნიშნული თვისებებით მანიპულირებას კატასტროფული შედეგი მოაქვს, როგორც ლიდერებისთვის, ასევე მათი მხარდამჭერებისთვისაც.

ეშირად ერთმანეთთან აიგივებენ ძალასა და ძალაუფლებას (ხელისუფლებას). ჯონ ლოკი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ “ფლობდე სახელისუფლებო საშუალებებს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ხარ ხელისუფლება” (Garner et al., 2009: 52). დემოკრატიის თეორია გახსწავლის, რომ მოძალადე ხელისუფლება ხელმოცარული ხელისუფლებაა. ხელისუფლება საკუთარ საზოგადოებაში ავტორიტეტითა და ნდობით უნდა სარგებლობდეს. ინგლისურენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში ხალხის ნდობით აღჭურვილ ხელისუფლებას უწოდებენ “Authority”, თუმცა ყოველდღიურობაში ეს ტერმინი ნებისმიერი ტიპის ხელისუფლების აღსანიშნავად გამოიყენება.

ხელისუფლების ავტორიტეტულობას სხვაგვარად ხელისუფლების ლეგიტიმურობას უწოდებენ. შეა საუკუნეებში ადგილი ქონდა მონარქისთვის ქვეყნის მართვის ლეგიტიმური უფლების მემკვიდრეობით გადაცემას. მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე რესპუბლიკების გამოჩენასთან ერთად შეიცვალა დამოკიდებულება ლეგიტიმაციის ცნებასთან დაკავშირებით. თანამედროვე პერიოდში ხელისუფლების ლეგიტიმურობა განისაზღვრება ქვეყნის ლიდერის ან ხელისუფლების მიმართ საზოგადოების ნდობის ხარისხზე. თავის მხრივ, ამ ხარისხის სიდიდე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კანონიერად და სამართლიანად მართავს ხელისუფლება ქვეყანას.

<sup>19</sup> თომას ჰობსი (1588-1679 წწ.) – ბრიტანელი მოაზროვნე, პოლიტიკური ფილოსოფოსი. ცნობილი წიგნის “ლეგიტიმაციის” ავტორი. ამ ნაშრომის დახასიათება ის. **II თავში.**

<sup>20</sup> ჯონ ლოკი (1632-1704 წწ.) – ბრიტანელი ფილოსოფოსი, კლასიკური ლიბერალიზმის თეორიის ფუძემდებელი, სამოქალაქო საზოგადოების და სამართლებრივი დემოკრატიული სახელმწიფოს იდეების პიონერი. მისი ცნობილი ნაშრომებია: “წერილი რელიგიური შემწყნარებლობის შესახებ” (A Letter Concerning Toleration), “ესე ადამიანური გაგებების შესახებ” (Essay Concerning Human Understanding), “მეორე ტრაქტატი სამოქალაქო მმართველობის შესახებ” (The Second Treatise of Civil Government), “გარკვეული მოსაზრებები აღზრდის შესახებ” (Some Thoughts Concerning Education).

მაქს ვებერი განასხვავებს სამი სახის ლეგიტიმურობას (იქვე: 51):

- ტრადიციული ლეგიტიმურობა დამახასიათებელია მონარქიული სახელმწიფოებისთვის. მიუხედავად იმისა, ყველა ევროპული მონარქია იმავდროულად დემოკრატიულ სახელმწიფოს წარმოადგენს მოსახლეობა პატივს ცემს და იცავს ფეოდალური ეპოქის გარკვეულ ტრადიციებს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტრადიციების მნიშვნელოვანი ნაწილი სამეფო კარის რიტუალებით შემოიფარგლება.
- ქარიზმატული ლეგიტიმურობა უკავშირდება რომელიმე პოლიტიკური ლიდერის ქარიზმას ანუ მის განსაკუთრებულ პიროვნულ თვისებებს. ქარიზმატული ლეგიტიმურობა განაპირობებს საზოგადოების მხრიდან ლიდერის შეუცდომლობის და ყოვლის შემძლეობის აღიარებას და მისდამი უპირობო მორჩილებას. ასეთი სახის ლეგიტიმურობა მსოფლიოს ბევრი ქვეყნის პოლიტიკური სისტემისთვის არის დამახასიათებელი. არცერთი ამ ქვეყანათაგანი არ არის დემოკრატიული. ქარიზმატული ლიდერისთვის სახელმწიფოს მართვის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს არა კანონის უზენაესობა და სამართლიანობა, არამედ მისი პირადი ამბიციები. ქარიზმატული ლიდერი, როგორც წესი ჩნდება რევულოციების, ომების ან ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობების დროს. ადსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში ქარიზმატულ ლიდერად გვევლინება არა სახელმწიფოს ოფიციალური მეთაური, არამედ რელიგიური ლიდერი. ამის კლასიკური მაგალითია 1980-იანი წლების ირანი, როდესაც მოსახლეობა უპირობოდ ემორჩილებოდა აიათოლა<sup>21</sup> ჰომეინის მოწოდებებს და ბრძანებებს. ვებერის განმარტებით ქარიზმატული ლეგიტიმურობა არასტაბილურობით გამოირჩევა, რადგან ლიდერის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ იქმნება რეალური ძალაუფლების ვაკუუმი, რასაც ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი მოაქვს.
- სამართლებრივ-რაციონალური ანუ დემოკრატიული ლეგიტიმურობა. ასეთ ლეგიტიმურობას საფუძვლად უდევს საზოგადოებრივი (ეროვნული) თანხმობა. ასეთ პირობებში ქვეყანაში გამეფებულია კონსტიტუციური კანონიერება, რაც გამოიხატება კანონის უზენაესობის, სამართლიანობის, ხელისუფლების შტოთა ბალანსის, სამოქალაქო საზოგადობის ჩართულობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პრინციპების განუხრელ დაცვასა და უზრუნველყოფაში.

<sup>21</sup> აიათოლა – ისლამის შიიტური მიმართულების უმაღლესი რელიგიური რანგი.

## თავი II ნაციონალიზმი, ეთნიკურობა, იდენტობა

“ქვეყნად ბევრი გაუგებრობაა, მაგრამ ყველაფერი გავიწყდება,  
როცა ეროვნულ პიმის მდერი”

რობერტ მუზილი. ადამიანი დირსებულის გარეშე. ტ. I, გვ. 577

### ნაციონალიზმი

1774 წელს გერმანელი ფილოსოფოსის იოანენ გოტფრიდ ჰერდერის (*Johann Gottfried Herder*) ავტორობით სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად გამოჩნდა ტერმინი ნაციონალიზმი, თუმცა მისი ფართო გამოყენება მხოლოდ XIX ს.-ის მეორე ნახევრიდან დაიწყო (Alter, 1990: 7).

ნაციონალიზმი მრავალსახოვანია და შეიძლება იყოს:

- ერების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი;
- რომელიმე ერისადმი კუთვნილების გრძნობა ან ეროვნული შეგნება;
- ენა და ეროვნული სიმბოლოები;
- ეროვნული ეგიდით მოქმედი სოციალური და პოლიტიკური მოძრაობები;
- ზოგადი და/ან კონკრეტული ეროვნული დოქტრინა (მათ შორის პოლიტიკური დოქტრინა<sup>22</sup>) ან იდეოლოგია (Smith, 2001: 5-6).
- დისკურსული ფორმაცია (Calhoun, 1997:3)

მოცემული ტიპოლოგიდან ჩანს, რომ ნაციონალიზმის ფილოსოფიის ცენტრში დგას ერი. რა არის ერი?

ერის იმდენი სამეცნიერო განმარტება შეიძლება არსებობდეს, რამდენი მკვლევრის მუშაობს ამ სფეროში. ამ ტერმინების მნიშვნელოვანი ნაწილი ურთიერთგამომრიცხავია. იბადება კითხვა, რატომ არის შექმნილი ასეთი სიტუაცია ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით?

ერთი მხრივ, ერის დეფინიცია დაკავშირებულია “მოსახლეობის” აღმნიშვნელ სხვა ცნებებთან, ისეთებთან როგორიცაა მაგ., ხალხი, ეთნოსი ან საზოგადოება. მთლიანობაში, ამ ტერმინებთან მიმართებაში მნიშვნელოვანი ქაოსი სუფექს როგორც სამეცნიერო, ასევე შურნალისტურ და პოლიტიკურ წრეებში. უფრო მეტიც, საერთაშორისო სამართალში არ არსებობს მაგ., ერის, ხალხის, ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობის განმარტება. უნიფიცირებული ტერმინოლოგიის არასებობის პირობებში ნებისმიერი დაინტერესებული მხარე ან პიროვნება ამ ტერმინებს საკუთარ ინტერპრეტაციას აძლევს. აქედან გამომდინარე, ერის და ზოგადად ნაციონალიზმის პრობლემატიკა იმით გამოირჩევა, რომ ამ სფეროში მეტი კითხვებია, ვიდრე მათზე პასუხები.

წინამდებარე თავის მთავარი ამოცანაა გავეცნოთ ნაციონალიზმის ძირითად ცნებებს, იდეებს, კონცეფციებს, მიმართულებებს, ცნობილი მეცნიერების ნააზრევს და ცალკეულ მაგალითებს.

<sup>22</sup> სპეციალისტების ნაწილი, მათ შორის მაგ., ერნსტ გელენრი ან ელი კედური მიიჩნევენ, რომ პოლიტიკური დოქტრინა ნაციონალიზმის გადამწყვეტი მახასიათებელია.

## ეთნოსი

სამეცნიერო და პრაქტიკული თვალსაზრისით ერს ყველზე მჭიდრო კაგშირი აქვს ეთნოსთან. უურნალისტურ პუბლიკაციებში და ბევრი ქვეყნის საჯარო დოკუმენტებშიც კი ეს ცნებები სინონიმებად მოიხსენიება. რამდენად კორექტულია ასეთი მიღდომა?

ტერმინ “ეთნოსი” დიდი ხნის ისტორია აქვს. ვულგატას<sup>23</sup> ინგლისურენოვან ვერსიაში ბერძნული სიტყვა ეთნოსი (ethnos) ნათარგმინია, როგორც ხალხი, რადგან ბიბლიაში ჩაწერილია, რომ ისრაელი არის ხალხი (ერი), რომელსაც გააჩნია საერთო ენა, რელიგია, ტერიტორია და მთავრობა. აქედან მოყოლებული დაახლოებით ათი საუკუნის განმავლობაში ეთნოსი იხმარებოდა ხალხის მნიშვნელობით. მე-14 საუკუნეში ინგლისში დამკიდრდა ეთნოსის მონათესავე ტერმინი “ეთნიკური” (Ethnic), რომელსაც რელიგიური დატვირთვა ქონდა და გამოიყენებოდა არაქრისტიანი ხალხების ადსანიშნავად.

თანამედროვე ინგლისურ ენაში სიტყვა ეთნოსის ზუსტი ანალოგი არ არსებობს. ანგლო-ამერიკულ სამეცნიერო ლიტერატურაში ხმარობენ ტერმინს “Ethnicity”<sup>24</sup> (ეთნისითი). ბრიტანეთსა და ამერიკაში “ეთნისითი” ხმარებაში პირველად წინა საუკუნის 30-40-იან წლებში შემოვიდა, ხოლო ოქსფორდის ინგლისურ ლექსიკონებში ის დაახლოებით სამი ათეული წლის შემდეგ მოხვდა.

ამჟამად “ეთნისითი” ორი მნიშვნელობით იხმარება. პირველი, ეს არის ადამიანთა ჯგუფი, რომლიც ერთი ან რამდენიმე კულტურული ნიშნის საფუძველზე, თავის თავს სხვებისგან განსხვავებულად აღიქვამს, ხოლო, მეორე მხრივ, იგულისხმება ინდივიდის კუთვნილება რომელიმე ეთნოსისადმი (Gilmartin, 2006: 139). შესაბამისად, ეთნისითი არის, როგორც ჯგუფის, ასევე იდივიდის ეთნიკური იდენტობის მახასიათებელი. აქედან გამომდინარე, ანგლო-ამერიკული ტერმინი ეთნისითი უნდა გავიგოთ, როგორც ეთნიკური მიმართება, უფრო ზუსტად კი – ეთნიკურობა.

ეთნოსის სინონიმი ანგლო-ამერიკულ ლიტერატურაში არის *Ethnic group* (ეთნიკური ჯგუფი). ნაციონალიზმის საკითხების გამოჩენილი ბრიტანილი მკვლევარი ენტონი დაგლას სმიტი (Anthony Douglas Smith) ამ ტერმინის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის თავიდან აცილების მიზნით, იყენებს ფრანგულ ტერმინს *Ethnie* (ეთნი), რაც ეთნოსს ნიშნავს. საბჭოთა მეცნიერებაში ტერმინი “ეთნოსის” დამკიდრება დაიწყო 1923 წლიდან, რაც დაკავშირებულია რუსი მეცნიერის სერგეი შიროკოვოვის სახელთან (<http://ru.wikipedia.org/wiki/ru>).

XX საუკუნის დასაწყისში გერმანელმა მეცნიერმა ფრიდრიხ მაინეკემ (Friedrich Meinecke) შემოიტანა კულტურული ერისა (Kulturnation) და პოლიტიკური ერის (Staatsnation, Nationalstaat) ცნებები (Oergel, 2006: 281; Miller, 1992: 33). დასავლურ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ დროისთვის ჯერ კიდევ არ იყო დამკვიდრებული ტერმინი ეთნოსი. მაინეკე ამტკიცებდა, რომ კულტურული ერის წევრობა დადგენილია ბუნებითა და ისტორიით, შესაბამისად ის მემკვიდრეობით გადადის, ხოლო პოლიტიკური ერის წევრობა ნებაყოფლობითია, რადგან მისი არსებობა დამოკიდებულია ერისადმი ცალკეული ინდივიდების ლოიალობაზე. ნათელია, რომ გერმანელი მეცნიერის მიერ შემოთავაზებული დეფინიციები ემთხვევა ეთნოსისა და ერის თანამედროვე ანალოგებს.

<sup>23</sup> ვულგატა – ბიბლიის საყოველთაოდ მიღებული ლათინური თარგმანი, რომელიც IV ს.-ის ბოლოს განეკუთვნება.

<sup>24</sup> რუსულ ენაში ამ ტერმინის შესტყვისა „Этничность“.

ეთნოსის საყოველთაოდ მიღებული განმარტება არ არსებობს. მეტიც, ამ ცნებას მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში განსხვავებული დატვირთვა აქვს. მაგ., ამერიკაში ტერმინი “ეთნოსი” ხშირად გამოიყენება რასებთან (მაგ., აფრო-ამერიკელები, აზიელები, დათინოამერიკელები) ან ამერიკაში მცხოვრებ იმ დიასპორასთან მიმართებაში, რომლებიც არ მიეკუთვნებიან “თეორკანიან ანგლო-საქსონ პროტესტანტებს”<sup>25</sup> (მაგ., პოლონელები, ბერძნები, ებრაელები, ირლანდიელები, იტალიელები) (Eriksen, 2010: 5). იმას, რასაც საბჭოთა კავშირში ერს უწოდებდნენ სინამდვილეში ეთნოსი იყო.

ჩანართი №

### ეთნიკური და რასობრივი კატეგორიები ამერიკის შეერთებულ შტატებში

1997 წელს აშშ-ის მენეჯმენტისა და ბიუჯეტის სამსახურმა შეიმუშავა კლასიფიკაცია, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება, როგორც აშშ-ის მოქალაქეების და მუდმივი რეზიდენტების (“მწვანე ბარათის” მფლობელების), ასევე უცხოეთიდან გარკვეული დროით (რამდენიმე თვე და მეტი) ჩამოსული პირების რასობრივი და ეთნიკური კუთვნილება (იხ. Definitions for New Race and Ethnicity Categories). მოცემული კლასიფიკაცია განსხვავებულია შესაბამისი სამეცნიერო მიდგომებისგან. თავდაპირველად პიროვნებამ უნდა დაადასტუროს, რომ ის:

- არის ჰისპანიკი ანუ ლათინოამერიკელი, ან
- არ არის ჰისპანიკი ანუ ლათინოამერიკელი

თუ პასუხი უარყოფითია, შემდეგ ინტერვიუერმა უნდა შემოხაზოს ერთო-ერთი ქვემოთ მოცემული კატეგორიებიდან:

- ამერიკელი ინდიელი ან ალასკის მკვიდრი;
- აზიელი;
- შავკანიანი ანუ აფრო-ამერიკელი;
- ჰავაიის ან წყნარი ოკეანის სხვა კუნძულების მკვიდრი
- თეორკანიანი

ზემოთ მოცემული თითოეული კატეგორია მოიცავს შემდეგი რასების, რეგიონების, ლინგვისტური ჯგუფების წარმომადგენლებს:

ჰისპანიკი ანუ ლათინოამერიკელი: კუბური, მექსიკური, პუერტო-რიკოული, სამხრეთ ან ცენტრალურ ამერიკული წარმოშობის პირი, განურჩევლად მისი რასობრივი კუთვნილებისა.

ამერიკელი ინდიელი ან ალასკის მკვიდრი: პირი, რომელიც წარმოშობით არის ჩრდილო ან სამხრეთ ამერიკის (ცენტრალური ამერიკის ჩათვლით) მკვიდრი ხალხებიდან და ამ ხალხის კულტურულ იდენტიფიკაციას ინარჩუნებს ტომობრივი აფილიაციის ან თემთან კავშირის საფუძველზე.

<sup>25</sup> თეორკანიანი ანგლო-საქსონი პროტესტანტები (ინგლისურად White Anglo-Saxon Protestants, შემოკლებით WASP) არაფორმალური ტერმინი, ერთგვარი კლიშე, რომლითაც აშშ-ში აღნიშნავენ ბრიტანული წარმოშობის პროტესტანტებს, რომელთა ხელში დიდი ხნის განმავლობაში იყო თავმოყრილი ფინანსური და პოლიტიკური ძალაუფლება.

**აზიელი:** პირი, რომელიც წარმოშობით მიეკუთვნება შორეული აღმოსავლეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ან ინდოეთის სუბკონტინენტის<sup>26</sup> რომელიმე მკვიდრ ხალხს.

**შავკანიანი** ანუ **აფრო-ამერიკელი:** პირი, რომელიც წარმოშობით მიეკუთვნება აფრიკის რომელიმე შავკანიან რასობრივ ჯგუფს.

**ჰავაიის ან წყნარი ოკეანის სხვა კუნძულების მკვიდრი:** პირი, რომელიც წარმოშობით მიეკუთვნება ჰავაიზე, გუამზე, სამოაზე ან წყნარი ოკეანის სხვა კუნძულებზე მობინადრე რომელიმე ხალხს.

**თეთრკანიანი:** პირი, რომელიც წარმოშობით მიეკუთვნება ევროპის, ახლო აღმოსავლეთის ან ჩრდილო აფრიკის რომელიმე მკვიდრ ხალხს.

**წყარო:** *Definitions for New Race and Ethnicity Categories.* <http://nces.ed.gov/ipeds/reic/definitions.asp>

ამ კლასიფიკაციაში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ გამოყენებულია სხვადასხვაგვარი მიღები: წმინდა რასობრივი (აფრო-ამერიკელები), ლინგვისტურ-რეგიონული (ლათინოამერიკელები), რასობრივ-რეგიონული (თეთრკანიანები), რეგიონული (აზიელები, წყნარი ოკეანის კუნძულების ხალხები) ანთროპოლოგიური (ამერიკის ინდიელები, ალასკის მკვირი მოსახლეობა).

საგულისხმოა, რომ ადამიანების რასობრივი ან ეთნიკური იდენტიფიკაცია განისაზრვრება არა თვით რესპონდენტის მიერ, არამედ აშშ-ის მენეჯმენტისა და ბიუჯეტის სამსახურის მიერ შემუშავებული კრიტერიუმებით. ბრაზილიაში ან კოლუმბიაში მცხოვრები შავკანიანი ადამიანის თვითიდენტიფიკაციაში პირველ ადგილზე შეიძლება იდგეს „შავკანიანი“, ხოლო შემდეგ „ლათინოამერიკელი“, „ბრაზილიელი“ ან „კოლუმბიელი“ და ა.შ. ინდოელი ან პაკისტანელი თავს შესაძლოა ჯერ „თეთრკანიანად“ მიიჩნევდეს, ხოლო შემდეგ „აზიელად“. ამერიკული სამსახურის მიხედვით ეს ორი უკანასკნელი „თეთრკანიანებში“ საერთოდ არ შედიან.

საინტერესოა, რომ ამ კლასიფიკაციაში არ არიან მოხსენიებული ახალზელანდიელები, სამხრეთ-აფრიკელი ან აგსტრალიელი თეთრკანიანები. იგულისხმება, რომ მათ უნდა მიუთითონ „თეთრკანიანი“, ე.ი. მიეკუთვნებიან ევროპული წარმოშობის ხალხებს. ასევე, გაუგებარია ვის მიეკუთვნებიან ცენტრალური აზიის ხალხები: ტაჯიკები, უზბეკები და თურქმენები.

მთლიანობაში შეიძლება აღინიშნოს, რომ მოცემული კლასიფიკაცია სუბიექტური და ძალზე მოძველებული. ცნობილია, რომ ბევრი უცხოელი ამ ფორმის შევსებისას თავს შეურაწყოფილად გრძნობს. მიუხედავად, მძაფრი კრიტიკისა აღნიშნული ამერიკული სამსახური ჯერ არ აპირებს მის კლასიფიკაციაში შესწორებების შეტანას. რასებისა და ეთნოსების დადგენაში ანალოგიურ მიდგომას იყენებენ მაგ., კანადისა და აგსტრალიის შესაბამისი სამსახურები.

მიუხედავად, სემანატიკური განსხვავებების დიდი ამპლიტუდისა მაინც შესაძლებელია დაგადგინოთ „ეთნოსის“, როგორც ცნების ძირითადი მახასიათებლები. ამ მიზნით შევეცადოთ ერთმანეთს შევადაროთ ცნობილი გეცნიერების განმარტებები ეთნოსის შესახებ:

<sup>26</sup> აშშ-ის მენეჯმენტისა და ბიუჯეტის სამსახური არ განმარტავს რა ტერიტორიას მოიცავს ინდოეთის სუბკონტინენტი, მაგრამ საგარაუდოა, რომ მასში შეყვათ ინდოეთი, პაკისტანი, ბანგლადეში, ნეპალი, ბუტანი, შრი ლანკა და, ალბათ მალდივის კუნძულებიც.

- მაქს ვებერის მიხედვით, “ეთნიკური ჯგუფი არის ადამიანთა გაერთიანება, რომელსითვისაც დამახასიათებელია სუბიექტური რწმენა საერთო წარმომავლობაზე, გამომდინარე მათი ფიზიკური მსგავსებიდან ან ტრადიციებიდან ან ტერიტორიის კოლონიზაციისა და/ან მიგრაციის საერთო ისტორიიდან; ეს რწმენა გადამწყვეტია ეთნიკური ჯგუფის ფორმირებაში. მნიშვნელობა არ აქვს ჯგუფის წევრებს შორის რეალურად არსებობს სისხლით ნათესაობა თუ არა” (Hutchinson & Smith, 1996: 35).
- დონალდ ხოროვიცი მიიჩნევს, რომ ეთნიკურობის საფუძველს წარმოადგენს საერთო წარმომავლობა (Horovitz, 1985: 52).
- ამერიკელი მეცნიერი ჯეიმს ფირონი გამოყოფს ეთნოსისთვის დამახასიათებელ 6 შემდეგ ძირითად ნიშანს: ეთნოსი შედეგება საერთო ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებისგან; მათ გათვითცნობიერებული აქვთ ჯგუფის წევრობა; მათ აერთიანებთ საერთო კულტურა; ეს კულტურა ჯგუფის წევრთა უმრავლესობისთვის მნიშვნელოვანი ღირებულებაა; საერთო სამშობლო ან მითი სამშობლოს შესახებ; საერთო ისტორია. (Fearon, 2003: 7).
- სტივენ გროსბის აზრით, ეთნოსისა და ერის ძირითადი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ პირველისთვის მნიშვნელოვანია რწმენა ერთიანი წინაპრის ან წინაპრების არსებობის შესახებ, იმ დროს, როდესაც ერის შემთხვევაში ძირითადი აქცენტი კეთდება გარკვეული ტერიტორიისადმი კუთვნილებაზე (Grosby, 2005: 14).
- რუსი მეცნიერის ვალერი ტიშკოვის განმარტებით ეთნოსი არის “ადამიანთა გაერთიანება, რომლის წევრებს გააჩნიათ ერთი ან რამდენიმე საერთო სახელწოდება და საერთო კულტურული ელემენტები, მითი (ვერსია) საერთო წარმომავლობის შესახებ, შესაბამისად – საერთო ისტორიული მესიერება, შეუძლიათ ასოცირება გარკვეულ გეოგრაფიულ ტერიტორიასთან, ასევე ავლენენ კოლექტიური სოლიდარობის გრძნობას (Тишков, 2001).

ზემოთ მოცემულ ყველა დეფინიციაში ფიგურირებს ერთი საერთო ნიშანი – საერთო წარმომავლობა. სხვა ნიშნებიდან უნდა გამოვყოთ საერთო კულტურა და ენა, საერთო ისტორია, საერთო სამშობლო. ეს მახასიათებლები თავმოყრილია ენტონი დ. სმიტის განმარტებაში:

“[ეთნიკური ერთობა ანუ ეთნოსი] არის საკუთარი ეთნონიმის მქონე ადამიანთა გაერთიანება, რომლისთვისაც, ელიტის დონეზე მაინც, დამახასიათებელია მითები საერთო წარმომავლობაზე, საერთო ისტორიული მესიერება, ერთიანი კულტურის ელემენტები, გარკვეულ ისტორიულ ტერიტორიასთან ქავშირი, სოლიდარობის ერთგვარი გრძნობა” (Smith, 1995:57).

ეთნოსის მახასიათებლების პრიორიტეტულობის შესახებ განსხვავებული დამოკიდებულება შემგვთავაზა ნორვეგიელმა მეცნიერმა ფრედერიკ ბარტ (Frederick Barth). მას მიაჩნია, რომ ეთნიკურობის განსაზღვრაში საერთო წარმომავლობა ან კულტურა კი არის გადამწყვეტი ფაქტორი, არამედ იმ

განსხვავებების დაფიქსირება, რომელსაც ადგილი აქვს მხოლოდ ჯგუფთაშორისი ურთიერთობის პროცესში (Barth, 1969).

ამ იდეას ავითარებს მეორე ნორვეგიელი მეცნიერი, ცნობილი ანთროპოლოგი ტომას ერიქსენის (*Thomas Eriksen*). მისი აზრით ეთნიკურობა ჯგუფთაშორისი პაკტობის შედეგად ყალიბდება, შესაბამისად ეთნიკური განსხვავებების აღმოცენება სოციალური მოვლენაა. მაგ., ახალ გვინეაში ერთმანეთის მეზობლად შეიძლება ორი თემი, რომელიც ერთმანეთისგან განსხვავდება ენით, რელიგიით და სხვა კულტურული ნიშნებით, მაგრამ მათ შორის არ არსებობს ურთიერთობა, რადგან ისინი ერთმანეთისგან იზოლირებულად ცხოვრობდნენ. და პირიქით, ორ ჯგუფს შორის პრაქტიკულად არ არსებობს კულტურული განსხვავებები, მაგრამ ისინი ერთმანეთს განსხვავებულ ერთობებად განიხილავენ. ნორვეგიელი მეცნიერი აღნიშნავს, რომ, პირველ შემთხვევაში ნაადრევია რომელიმე ჯგუფის ეთნიკურობაზე საუბარი, ხოლო მეორე შემთხვევაში კი ეს სახეზეა (Eriksen, 2010: 16-17). შეიძლება დავასკვნათ, რომ ერიქსენისთვის ეთნიკურობის განსაზღვრაში გადამწყვეტია არა თვითიდებულიფიკაცია, არამედ ურთიერთიდებულიფიკაცია. პრიორიტეტულობის საკითხი შესაძლოა საკამათო იყოს, მაგრამ წარმოდგენილი კონცეფტი სხვა მხრივ არის მნიშვნელოვანი. ის კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ეთნოსი სოციალური კონსტრუქციაა, შესაბამისად ეთნიკური იდენტობა ყალიბდება არა იზოლირებულად; არამედ სხვა კულტურულ ერთობებთან სოციალიზაციის პროცესში.

ენტონი დ. სმიტი ერთმანეთს ადარებს თანამედროვე ერს და ეთნოსს<sup>27</sup> და გთავაზობს მათ განამასხვავებელ ნიშნებს (იხ. **ცხრილი №**).

#### ცხრილი №

ეთნოსი	ერი
ეთნონიმი	ეთნონიმი
საერთო მითები წინაპრებზე	საერთო მითები
საერთო მეხსიერება	საერთო ისტორია
კულტურული თვითმყოფადობა	საერთო მასობრივი (საზოგადოებრივი) კულტურა
გარკვეულ ტერიტორიასთან კავშირი	გარკვეული ტერიტორიის ფლობა
ელიტის სოლიდარობა	საერთო უფლებები და მოვალეობები
	საერთო ეკონომიკა

წყარო: Smith, 2001: 13

ზემოთ მოცემული ცხრილის შედარებითი ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ერი ეთნოსისგან განსხვავდება შემდეგი ოთხი ძირითადი ნიშნით: საერთო მასობრივი (საზოგადოებრივი) კულტურა, საერთო უფლებები და მოვალეობები (ე.ი. საერთო კანონდებლობა), ერთიანი ეკონომიკა (ე.ი. ეკონომიკური ინფრასტრუქტურა) და გარკვეული ტერიტორიის ფლობა (ე.ი. სუვერენიტეტი). ოთხივე მათგანი იმავდოულად წარმოადგენს თანამედროვე სახელმწიფოს დამახასიათებელ ნიშანს. **აქედან, მივდივართ მნიშვნელოვან დასკვნამდე, რომ ეთნოსი, რომელმაც მოიპოვა დამოუკიდებლობა და შექმნა სახელმწიფოებრიობა არის ერი.**

ამასთან, ჯერჯერობით უპასუხოდ რჩება ორი მნიშვნელოვანი საკითხი: 1) შეიძლება თუ არა, რომ ეთნოსი წარმოადგენდეს ერს, მაგრამ მას არ გააჩნდეს

<sup>27</sup> ენტონი დ. სმიტი თავის ნაშრომებში ეთნოსის ადსანიშნავად სარგებლობს ფრანგული ტერმინით ეთნი (Ethnie).

სახელმწიფო ებრიობა? და 2) შეიძლება, თუ არა ერად მივიჩნიოთ ის ხალხი, რომელმაც შექმნა სახელმწიფო ებრიობა, მაგრამ არ წარმოადგენდა ეთნოსს.

მეორე შეკითხვაზე პასუხის გაცემა შედარებით ადგილია. თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფო ებრიობა გააჩნიათ ისეთ ერებს, რომლებიც დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესში არ წარმოადგენენ ეთნოსს ამ სიტყვის კლასიკური გაგებით. ასეთებია არიან მაგ., ამერიკელები, შვეიცარიელები, კანადელები, ავსტრალიელები, ახალზელანდიელები და იამაიკელები, მავრიკიელები. საკითხი “ნაციონალიზმი ეთნიკურობის გარეშე” უფრო დატაღურად განხილულია ამავე თავში.

პირველი შეკითხვაზე პასუხის გაცემა გაცილებით უფრო რთულია, რადგან ეს ნაციონალიზმის კვლევის ერთ-ერთი ყველაზე წინააღმდეგობრივი პრობლემაა. მოგვიანებით ჩვენ დავუბრუნდებით ამ საკითხს.

### ნაციონალიზმი, როგორც იდეოლოგია

ნაციონალიზმს, როგორც პროცესს ანუ ეროვნული მშენებლობის პროცესს მთავარ იმპულსს იდეოლოგია აძლევს. იდეოლოგია ნაციონალიზმის ტიპინა. ის განსაზღვრავს, ნაციონალიზმის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს. ზოგიერთი მეცნიერის აზრით ერი ნაციონალიზმის იდეოლოგიის პროდუქტია (იხ. მაგ. თიშკოვ, 2001).

ერის ჩამოყალიბება, მითუმეტეს მისი შემდგომი არსებობა დამოკიდებულია სამი მახასიათებლის ერთობლიობაზე. ესენია: ეროვნული ავტონომია, ეროვნული ერთიანობა და ეროვნული იდენტობა.

ენტონი დ. სმიტის განმარტებით ნაციონალიზმი არის იდეოლოგიური მოძრაობა, რომლის მთავარი მიზანია ეროვნული ავტონომიის, ერთიანობის და იდენტობის ფორმირება და შენარჩუნება, რაც, თავის მხრივ ხელს უწყობს მოსახლეობის ჩამოყალიბებას რეალურ ან პოტენციურ ერად (Smith, 2001: 9).

მოცემულ განმარტებაში საყურადღებოა ორი ასპექტი. პირველი დაკავშირებულია ერს მიერ ავტონომიის არამარტო მოპოვების, არამედ შენარჩუნების აუცილებლობასთან, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ის შეიძლება გახდეს სხვა ერის ნაწილი ან სეპარატიზმის შედეგად – დაკარგოს ავტონომიურობის ხარისხი. მეორე ასპექტი მიუთითებს პორტუგალიური ერის ფენომენზე ანუ იმ სიტუაციაზე, როდესაც დამოუკიდებლობის მიღწევა წინ უსწრებს ერად ჩამოყალიბებას (იქვე). XIX ს.-ში იტალიის განთავისუფლების შემდეგ ქვეყნის პირველმა პრემიერ-მინისტრმა მასიმო დ'აზელიომ აღნიშნა: “ჩვენ შევქმნით იტალია, ახლა უნდა შევქმნათ იტალიელი ერი”. აქედანაც ჩანს, რომ გქონდეს სახელმწიფო ჯერ კიდევ არ ნიშნავს წარმოადგენდე ერს.

### ეროვნული ავტონომია

ერის ავტონომიურობა არ უნდა აგვერიოს ხალხის თვითგამორკვევაში. ეს უკანასკნელი საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია, მაგრამ ნაციონალიზმის თეორიაში თვითგამორკვევა სხვა კუთხით განიხილება, ხოლო მის სამართლებრივ ასპექტების შესწავლას ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება.

ნაციონალიზმის თეორეტიკოსები აღნიშნავენ, რომ ერის ავტონომია მრავალსახოვანია. მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა “თვითმართვა” (self-rule). ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ერის ან უბრალოდ ხალხის ნების გამოვლენასთან, რომლის შედეგადაც მან პოლიტიკური თვითმართველობა მოიპოვა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პოლიტიკური თვითმართველობის განხორციელება შეიძლება იყოს სრული ან ნაწილობრივი. სხვა სიტყვებით,

პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ერ-სახელმწიფოსთან, ხოლო მეორე შემთხვევაში კი – პოლიტიკურ (ე.ი. ადმინისტრაციულ) ან კულტურულ ავტონომიასთან. ამგვარ მიღვომას მოწინააღმდეგებიც გააჩნია.

სპეციალისტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ერი შეიძლება ვუწოდოთ მხოლოდ იმ ხალხს, რომელსაც სახელმწიფოებრიობა გააჩნია. მათი მირითადი არგუმენტი იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოებრიობის გარეშე შეუძლებელია ერის ფუნქციების შესრულება, ისეთების როგორიცაა თვითმართვა და თვითრეალიზაცია ანუ საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. ეს ძალიან ძლიერი არგუმენტია მონოეთნიკური ქვეყნების შემთხვევაში. მაგრამ, რამდენად მიესადაგება აღნიშნული მიღვომა ბიეთნიკურ ან მრავალეთნიკურ ქვეყნებს? განვიხილოთ ბელგიის მაგალითი. ამ სახელმწიფოში დაახლებით თანაბრად არიან წარმოდგენილები ვალონები და ფლამანდიულები. გამოდის, რომ არსებობს ბელგიული ერი, მაგრამ არ არსებობს არც ვალონი და არც ფლამანდიული ერები. სხვა შემთხვევებში ერებად არ ჩაითვლებიან კატალონიულები, ბასკები, უელსელები, ბენგალიულები, ტიბეტელები, შოტლანდიულები და მდიდარი ისტორიის მქონე სხვა მრავალრიცხოვანი ერები, ხოლო, მეორე მხრივ, მსოფლიოში საკმაოდ არიან დამოუკიდებელი ერები, რომელთა რაოდენობა 100 ათას ადამიანსაც ვერ აღწევს. გარდა ამისა, ამ დებულების გაზიარების შემთხვევაში აღმოჩნდება, რომ ქართველი ერი არ არსებობდა 1992 წლამდე (გაეროს წევრ-სახელმწიფოდ აღიარებამდე) ან კიდევ უარესი, ისტორიის გარკვეულ პერიოდებში, კერძოდ დამოუკიდებლობის პირობებში ის ერი იყო, ხოლო სხვა შემთხვევებში კი ამ “სტატუსს” არ ფლობდა.

ნაციონალიზმის მკვლევართა მეორე ნაწილის აზრით ერის განსაზღვრაში უმნიშვნელოვანებია ეთნოსის ნება იყოს დამოუკიდებელი ანუ ქონდეს პოლიტიკური თვითმართველობა. ამასთან, ეს ნება არ შეიძლება იყოს პასიური ან დამახასიათებელი მხოლოდ ადამიანიების ერთი ჯგუფისთვის, თუნდაც ელიტისთვის. ეთნოსის წევრებისთვის დამახასიათებელი უნდა იყოს ერთიანობის და ურთიერთსოლიდარობის განცდა და თვითგამორკვევის პროცესში აქტიური ჩართულობა. სპეციალისტთა მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით, ამ შემთხვევაში, ეთნოსი უნდა მიჩნეულ იქნას ერად (მაგ., Symmons-Symonolewicz, 1985: 221; White: 2000: 17). სმიტისეულ, ზემოთ მოცემულ ჩამონათვალში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მასობრივი საზოგადოებრივი კულტურის როლისა და ადგილის განხილვა ერების მშენებლობის პროცესში. სმიტის აზრით, სწორედ საზოგადოებრივი კულტურა აძლევს ერს საშუალებას შექმნას ისტორიული, კულტურული, ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური სტანდარტიზებული სისტემა. სხვა სიტყვებით, ერის ფორმირებასა და განვითარებაში მასობრივ კულტურას გადამწყვეტი იდეოლოგიური მნიშვნელობა ენიჭება.

ქართველი მეცნიერი ზურაბ დავითაშვილი გვთავაზობს ერის განმარტებას, სადაც მოცემულია მცდელობა, რომ ერის იდენტიფიცირებაში სახელმწიფოებრიობის როლი არ განისაზღვრებოდეს მხოლოდ მოცემული მომენტით. დავითაშვილი მიიჩნევს, რომ “ერი არის მხოლოდ ის ეთნოსი, რომელსაც აქვს (ან წარსულში ჰქონდა) საქაუთარი სუვერენული სახელმწიფო, სადაც ამ ეთნოსის მშობლიური ენა ქვეყნის ოფიციალური სახელმწიფო და ლიტერატურული ენაა. ამასთანავე, დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შენარჩუნება (ან მისი ადგენა), ეთნოსის უმთავრესი მიზანია”. (დავითაშვილი: )

ეროვნული ერთიანობა

ეროვნული ერთიანობა ნაციონალიზმის, როგორც იდეოლოგიის მეორე მნიშვნელოვანი ატრიბუტია. ადამიანების გაერთიანების ავტონომიურობა დაკაგმირებულია ტერიტორიასთან და საზოგადოების წევრებს შორის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული სოლიდარობის არსებობასთან. ეს

იდეა პირველად გაუდერდა იაკობინენელების მიერ საფრანგეთის რევოლუციის დროს: “რესპუბლიკა ერთიანი და განუყოფელი” (“*La République, une et indivisible*”), რასაც მოყვა ქვეყნის შიგნით რეგიონული მასშტაბის საკონტროლო და საბაჟო პუნქტების, სხვა უწყებების გაუქმება და ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო ინსტიტუტების, ეკონომიკური და კულტურული ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება. საფრანგეთის ტერიტორიის რეზიდენტებმა რესპუბლიკის მოქალაქის სტატუსი მიიღეს (Smith, 2001: 26).

ტერიტორია ერის უმნიშვნელოვანების მახასიათებელია. ერი უნდა ფლობდეს გარკვეულ ტერიტორიას ან მასთან კოგნიტური კავშირი მაინც უნდა ქონდეს. პირველ შემთხვევაში სიტუაცია იდეალურია: ერს გააჩნია ტერიტორია, რომელზეც მისი სუვერენიტეტი ვრცელდება, ე.ი. საქმე გვაქვს ერსახელმწიფოსთან. “ხელი ხელს ბანს, ორივე ერთად კი პირს”. ერი ცდილობს დაიცვას საზღვრების შეუვალობა და სახელმწიფოს ფუნქციონირება, ხოლო სახელმწიფო, თავის მხრივ იცავს მისი ხალხის კულტურულ თვითმყოფადობას, უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებების, ასევე ხელს უწყობს პირვენების განვითარების შესაძლებლობის რეალიზაციას. ამ იდეალისტურ სქემაში, ერსა და სახელმწიფოს შორის ადგილი აქვს ორგანიზაციულ და იდეოლოგიურ ქორწინებას (Jones: 94).

ადამიანებსა და ადგილს (ტერიტორიას) შორის შორის არსებობს ძლიერი, შეიძლება ითქვას ურდვევი კოგნიტური კავშირი. კონკრეტული ადგილი ადამიანების შემცნებაში ასოცირდება მათი წინაპრების წარსულთან, გაზოგადებულად კი ერის ისტორიასთან. ერის ცხოვრებაში ტერიტორიის ფსიქოლოგიური როლი კარგად დაახასიათა ჯეიმს ანდერსონმა:

“ერის უნიკალური ისტორია დაკავშირებულია დედამიწის განსაკუთრებულ ნაწილთან ანუ სამშობლოსთან. წინაპართა მიწა, რომელიც გაიგვებულია ერის დიდების ეპიზოდებთან ანუ ეროვნულ მითოლოგიასთან, გაცილებით უფრო ძველია, ვიდრე ნებისმიერი სახელმწიფო. დრო იცვლება, მაგრამ სივრცე (ამ შემთხვევაში ტერიტორია – ავტ.) კვლავ თავის ადგილზეა” (Anderson, 1988:24).

ტერიტორია ხშირად იდეოლოგიის რანგშია აყვანილი. ამ მხრივ, თვალსაჩინოა ებრაულ-არაბული დაპირისპირება. პალესტინელებისა და ებრაელების მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა ტერიტორიისთვის მნიშვნელოვანია არა მარტო მეტი მიწის ფლობის და მასზე კონტროლის განხორციელების თვალსაზრისით, არამედ უფრო მეტად ამ ერების სულიერი და კულტურული არსებობისთვის. შესაბამისად, ებრაელებსა და პალესტინელებს შორის მიმდინარე ამ ტერიტორულ კონფლიქტს მნიშვნელოვანი კულტურულ-იდეოლოგიური დატვირთვაც აქვს.

ტერიტორიული ერთობა პირველი ნაბიჯია ერის შემდგომი კულტურული, სოციალური და პოლიტიკური გაერთიანობისაკენ. ნაციონალიზმის, როგორც იდეოლოგიის ზოგადსახელმწიფოებრივი ხასიათის მიუხედავად, გეოგრაფები დიდ უურადღებას უთმობენ მის ლოკალურ დონეზე გამოვლინებების შესწავლას. ბევრი მეცნიერის, განსაკუთრებით ჰუმანისტ-გეოგრაფების მტკიცებით ნაციონალიზმი ადგილობრივ დონეზე იღებს სათავეს და მხოლოდ ამის შემდეგ აღწევს სახელმწიფო მასშტაბს. ადამიანის სიყვარული, ლოიალობა საკუთარი სამშობლოს, ერის მიმართ დაკავშირებულია კონკრეტულ ადგილთან (ადგილებთან). ეს, ადგილები მეტწილად ერის დიდების და მდიდარი კულტურული წარსულის მონუმენტებია (როგორც საერთო, ასევე რელიგიური). გარდა ამისა, ნაციონალური გრძნობები, კერძოდ სამშობლოს სიყვარული

ადამიანს უვითარდება იმ ადგილებთან მიმართებაში, სადაც ის დაიბადა, გაიზარდა, სწავლობდა, მუშაობდა, ქმნიდა ოჯახს.

ნებისმიერი ერი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ისტორიული ძეგლების შენარჩუნებას და მომრავლებას. ამასთან, კულტურულ-პოლიტიკური ცვლილებები დაუყოვნებლივ აიგო მაცხოვრის საკათედრო ტაძარი, რომელიც ამ ქვეყნის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური იყო. თავდაპირველად მისი პირველადი დანიშნულება 1812 წელს ნაპოლეონის საფრანგეთზე რუსეთის გამარჯვების უკვდავოფა იყო. თანდათანობით ამ ძეგლის პოპულარობა და მნიშვნელობა იმდენად გაიზარდა, რომ ის იქცა სამშობლოსა და რწმენის უდიდეს სიმბოლოდ. რუსეთში სოციალისტური რევოლუციისა და საბჭოური წელის დამყარების შემდეგ ბოლშევიკურმა მმართველობამ, რომელიც თავის არსით ათეისტური და ანტიმონარქისტული იყო, 1931 წელს ეს ძეგლი დაანგრია და გადაწყვიტა მის ადგილზე საბჭოების სასახლის აშენება. ეს იყო მცდელობა ერის მეხსიერებიდან ამოეშალათ ცარისტული რუსეთის სამხედრო წარმატებები, ხოლო საბჭოების სასახლის სახით დაენერგათ ახალი კულტურულ-პოლიტიკური ფასეულობები. გარდა ამისა, დგთის სახლის დანგრევით მნიშვნელოვანი იყო იმის ხაზგასმა, რომ კომუნისტურ მმართველობა არაფრად აგდებდა რელიგიურ სიმბოლოებს. 1980-იანი წლების შუაში საბჭოთა კავშირში დაიყო “პერესტროიკა”. მისი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო მთელი მსოფლიოსთვის და საკუთარი მოსახლეობისთვის დაემტკიცებინა, რომ ახალ გარდაქმნებს “ადამიანური სახე” ქონდათ. მიხეილ გორბაჩოვის რეფორმისტულმა მთავრობამ კვლავ წინ წამოწია ისტორიისა და რელიგიის მნიშვნელობა ერის ცხოვრებში. შედეგად, გადაწყდა ქრისტეს საკათედრო ტაძრის მშენებლობა იმავე ადგილზე, სადაც ის ადრე იდგა. ეს დონისძიება საყოველობრივ სახალხო მასშტაბის გახდა. ტაძრის მშენებლობისთვის შესაწირი გაიდეს რუსეთის, ყოველ შემთხვევაში მისი ქრისტიანული ნაწილის, ყველა სოციალური ფენის და რეგიონის წარმომადგენლებმა. თუმცა, მოგვიანებით გაირკვა, რომ 70 წლიანმა საბჭოურმა მმართველობას უკვალოდ არ ჩაუვლია. რუსეთის მოსახლეობის, განსაკუთრებით მისი ასაკოვანი ნაწილისთვის კომუნისტური პერიოდის სიმბოლოები უაღრესად დირებული აღმოჩნდა. რუსეთის ყველა ქალაქში შენარჩუნებულია ლენინის ძეგლები, ხოლო სტალინის პიროვნება, კვლავ დიდი პოპულარობით სარგებლობს. კოლიზია კომუნისტურ და ლიბერალურ ლირებულებებს შორის იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ეს 1990-იან წლების შუაში რუსეთში მძლავრი სოციალურ-პოლიტიკური დაპირისპირების წყაროდ იქცა. აღნიშნული, ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ძალზე რთულია, თუ არა უნაყოფო, ისტორიული სიმბოლოების, შესაბამისად ეროვნული მეხსიერების წინააღმდეგ ბრძოლა.

### ეროვნული იდენტობა

ეროვნული იდენტობა ეროვნული ფენომენის მესამე, ალაბთ მისი უმნიშვნელოვანები კომპონენტია. ეს შედარებით ახალი ტერმინია, რომელმაც ჩაანაცვლა მანმადე ფართოდ გამოყენებადი “ეროვნული ხასიათი” და “ეროვნული შეგნება”. XXI საუკუნისთვის დამახასიათებელია იდენტობების დიდი მრავალფეროვნება: გენდერული, ტერიტორიული, ასაკობრივი, პროფესიული, კონფესიური, კორპორატიული, პარტიულიც კი. როდესაც, კონკრეტული ინდივიდი იცვლის პროფესიას ან სამუშაოს ამასთან ერთად ქრება შესაბამისი პროფესიული თუ სოციალური იდენტობა. საპირისპირო, კულტურული ერთობები დიდი მდგრადობით გამოირჩევიან, რადგან ისინი აღჭურვილი არიან ისეთი საბაზო კულტურული ელემენტებით, როგორებიცაა ისტორიული მეხსიერება, ფასეულობები, სიმბოლოები, მითები და ტრადიციები.

გავრცელებულია აზრი, რომ კულტურული ელემენტები და შესაბამისად ეროვნული იდენტობაც სტატიკურია, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. ეროვნული იდენტობა დინამიური მოვლენაა, თუმცა, ეს პროცესი გარკვეულ დროს მოითხოვს. ზოგადად, ეროვნულ მენტალიტეტში მნიშვნელოვანი ცვლილება ხდება ერთი ან ორი თაობის ფარგლებში. ამ დროის განმავლობაში ერთს ცხოვრებაში შეიძლება მოხდეს განსაკუთრებული ხასიათის მოვლენები, მაგალითად ომი. შესაბამისად, ეროვნულ მითოლოგიაში ჩნდებიან ახალი გმირები და საგმირო საქმეები. მეორე მხრივ, ყოველი თაობა წინა თაობებისგან განსხვავებულ ახალ ღირებულებებს აღიარებს. ამ შემთხვევაში ეროვნული ფასეულობათა სისტემაში ადგილი აქვს პრიორიტეტების ცვლილებას.

ხშირად ერთმანეთში ურევენ ეროვნულ და ეთნიკურ იდენტობებს. მათ შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც სახელდობრ ერსა და ეთნოსს შორის. იდენტობას განსაკუთრებული ადგილი უკავია ერების (ისევე როგორც ეთნოსების) ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. გარკვეული პერიოდი გეოგრაფიები, ისევე, როგორც ანთროპოლოგები ან სოციოლოგები მნიშვნელოვან კურადღებას ჯგუფური იდენტობის ბიოლოგიური და კულტურული ასპექტების შესწავლას უთმობდნენ. ამჟამად, მეცნიერებს აინტერესებთ: ეროვნული (ეთნიკური) ჯგუფის წევრებს შორის არის თუ არა განსხვავებები იდენტობის აღქმასთან მიმართებით? რა ფაქტორებზე არის დამოკიდებული საერთო იდენტობის ფორმირება? რამდენად მნიშვნელოვანია გეოგრაფიული გარემოს როლი ეროვნულ (ეთნიკურ) იდენტობაში? ეს იმდენად მნიშვნელოვანი საკითხებია, რომ მიზანშეწონილია მათი განხილვას შესაბამისი ადგილი დავუთმოთ.

ყველა სახის იდენტობა ინდივიდუალურიც და ჯგუფურიც სოციალურ ურთიერთობათა სისტემაში ყალიბდება. იტალიელი მეცნიერი ანტონიო მელუჩი იდენტობას სპექტაკლს ამსგავსებს, სადაც მისი თითოეული გმირი ცდილობს გამოკვეთოს საკუთარი “მე”, რითაც წარმოაჩენს მის განსხვავებას დანარჩენებისგან (Gibernau, 2007: 10).

ცნობილი კატალონიელი მეცნიერის, ქალბატონ მონსერატ გიბერნოს აზრით ეროვნული იდენტობის ორი ფუნდამენტური მახასიათებელია **დროში უწყვეტობა** (ისტორიულ მემკვიდრეობითობაზე დაფუძნებული განახლებადობა) და **განსხვავებულობა** (სხვებისგან განსხვავება). ეროვნული იდენტობის განახლებადობა მიანიშნებს, რომ ერთ მოდის წარსულიდან, გააცნია აწმყო და იყურება მომავლისკენ. განსხვავებულობა ერთში წარმოშობს “უცხოელების”, “სხვების”, ხშირად კი “მტრების” განცდას (იქვე).

“ეროვნული იდენტობა კოლექტიური გრძნობაა, რომელიც გამყარებულია ჯგუფში გაერთიანებული ადამიანების რწმენით, რომ ისინი ერთის წევრები არიან და მათ გააჩნიათ ის საერთო ატრიბუტები, რომელიც მათ ერს სხვა ერებისგან განასხვავებს” (იქვე: 11).

ეროვნული იდენტობის ცალკეული კომპონენტების ფორმირება ხდება კონკრეტული გეოგრაფიული, ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური, რელიგიური ფაქტორების ზეგავლენით. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ხალხის ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების ისტორია მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკით გამოირჩევა.

ორი იდენტობა ერთ მიწაზე: “ნარინჯისფერის” და “მწვანის”  
დაპირისპირება

თითქმის ორსაუკუნე ნახევარია, რაც ჩრდილოეთ ირლანდია მწვავე პოლიტიკური და ეთნო-რელიგიური დაპირისპირების არენას წარმოადგენს. ფართოდ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად კონფლიქტი მიმდინარეობს კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის. რელიგიური ფაქტორი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ დაპირისპირებაში, მაგრამ ის არ არის გადამწყვეტი.

ირლანდია მაღალი კულტურისა და ქრისტიანობის ერთ-ერთი უძველესი კერაა დასავლეთ ევროპაში. კულტური ქრისტიანობამდელი პოეზია დღემდე უდიდეს აღფრთოვანებას იწვევს. კულტური სახელმწიფო მაღალი ორგანიზაციით და განვითარების დონით გამოირჩეოდა. კულტების დასაპყრობად რომის იმპერიას ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდა. ირლანდიელთა გაქრისიტანება V ს.-ში მოხდა, რაც წმინდა პატრიკის სახელს უკავშირდება. ნებისმიერი ხალხის ახალ ჯურზე მოქცევა არასდროს ყოფილა ადვილი საქმე, მითუმეტეს, თუ საქმე ეხებოდა მდიდარი კულტურისა და ისტორიის მქონე ხალხს. წმინდა პატრიკმა მისი მიზნის მისაღწევად რამდენიმე ხრისტი მიმართა. უპირველეს ყოვლისა, მან ჯვარი მრგვალ სფეროზე გამოსახა. ეს უკანასკნელი მზეს განასახიერებდა, რაც კულტების წარმართული რელიგიის მნიშვნელოვან სიმბოლოს წარმოადგენდა. მეორე მნიშვნელოვანი სიმბოლო იყო მწვანე ფერის ტანსაცმელი. ის გაზაფხულის ბუნიობის დღესასწაულის სარიტუალო სამოსს წარმოადგენდა და ყოველდღიურობაშიც ხშირად გამოიყენებოდა. ქრისტიანმა მისიონერმა ეს ტრადიციაც დააკანონა. მწვანე დღესაც ირლანდიელთა ეროვნული ფერია.

ირლანდიის სამეფო XVII ს.-ის ბოლომდე იარსება. 1689 წ. ინგლისისა და შოტლანდიის მეფე გახდა მანამადე ნიდერლანდების მმართველი ვილჰელმ ორანელი (ვილჰელმ III ორნელი). 1690 წ. მისმა მხედრობამ მდ. ბოინის ბრძოლაში ირლანდიელთა არმია დაამარცხა. ამით, ბრიტანეთში, მათ შორის ირლანდიაში დასრულდა კათოლიკეთა მეფობა. შემდეგომ პერიოდში ირლანდიაში ეტაპობრივად მიმდინარეობდა ძირითადად შოტლანდიელ და, ასევე ინგლისელ პროტესტანტთა ჩასახლება. პროტესტანტულმა მმართველობამ შემოიღო კანონები, რომელმაც დისკრიმინაციული სიტუაციაში ჩააყენა ადგილობრივი მოსახლეობა ე.ი. კათოლიკე ირლანდიელები. ირლანდილებს პრაქტიკულად აეკრძალათ საკუთარ ენაზე განათლების მიღება, ხოლო ნაყოფიერი მიწები და კერძო საკუთრება თანდათანობით ჩამოსახლებული პროტესტანტების ხელში გადავიდა. კონფლიქტმა რელიგიურთან ერთად ეთნიკური ხასიათი შეიძინა.

აღნიშნული პროცესი განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ოლსტერში.<sup>28</sup> საბოლოო ჯამში, ირლანდიის ამ პროვინციაში ადგილობრივი ირლანდიელი მოსახლეობა აშკარა უმცირესობაში აღმოჩნდა, რასაც ხელი შეუწყო XIX ს.-ის შეუწყობში “დიდმა შიმშილმა” (“ირლანდიის კარტოფილის შიმშილმა”), რის შედეგადაც ირლანდიელთა დიდი ნაწილი ამერიკაში გადასახლდა. ირლანდიელების მშობლიური ენა – გელური, მხოლოდ ქვეყნის დასავლეთ ნაწილში შემორჩა.

ირლანდიელთა ბრძოლას დამოუკიდებლობისთვის 1920-იან წლებში მოყვა ქვეყნისგან ძირითადად პროტესტანტებით დასახლებული ჩრდილოეთ ირლანდიის გამოყოფა, რომელიც ამჟამად გაერთიანებული სამეფოს ნაწილია.

პროტესტანტმა მოსახლეობამ ირლანდიაში თავის ტრადიციები შექმნა. ჯერ კიდევ XVII ს.-ის ბოლოდან პროტესტანტმა მმართველებმა იმ მიზნით, რომ ადგილიად, რომ განესხვავებინათ ირლანდიელები შოტლანდიელებისგან, ამ უკანასკნელებს ურჩიეს მასობრივი თავშეყრის ადგილებში ნარშავი – ნარინჯისფერი ყვავილი ეტრებინათ. ნარინჯისფერის შერჩევა შემთხვევით არ

<sup>28</sup> ჩრდილოეთ ირლანდიის დასახლება გელურ ენაზე. ოლსტერი 9 საგრაფოსგან შედეგა, რომელთა შორის 6 ჩრდილოეთ ირლანდიის შემადგენლობაში შედის.

მომხდარა. ორანჟელთა სამეფო დინასტია სათავეს სამხრეთ ორანჟიდან (საფრანგეთი) იღებდა და მათი საგვარეულო ფერი ნარინჯისფერი იყო. ეს ფერი ირლანდიაში მცხოვრები შოტლანდიელების და ინგლისელების ეროვნული ფერი გახდა (იმავე მიზეზით, ის არის პოლანდიელთა ეროვნული ფერიც). 1796 წ. ირლანდიაში დაფუძნდა “ორანჟისტების ორდენი” (“Orange Order”), რომელიც ჩრდილოეთ ირლანდიაში ყოველთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა პროტესტანტების დომინანტი როლის შენარჩუნებაში.

ყოველწლიურად ჩრდილოეთ ირლანდიის ქალაქებში ორანჟისტები მასობრივ მსვლელობებს აწყობენ. რიგ შემთხვევებში ეს მსვლელობები იმ ქუჩებზე გადის, სადაც ირლანდიელები ცხოვრობენ. ამის გამო, ხშირად ადგილი ქნია ირლანდილების და პროტესტანტების დაპირისპირებას, რასაც ადამიანთა მსხვერპლიც მოყოლია.

თავის მხრივ, ყოველი წლის 17 მარტს ირლანდიელები აღნიშნავენ წმინდა პატრიკის დღეს. ადსანიშნავია, რომ ეს თარიღი აღინიშნება არა მარტო ირლანდიის რესპუბლიკაში და ჩრდილოეთ ირლანდიაში, არამედ მთელ მსოფლიოში, სადაც ირლანდიელები ცხოვრობენ. აშშ-ში 3-4-ჯერ მეტი ირლანდიელი ცხოვრობს, ვიდრე თვით ირლანდიაში. წმინდა პატრიკის დღეს მაგ., ნიუ-იორკისა და ბოსტონის ქუჩები ივნება მწვანე ტანსაცმელში გამოწყობილი ირლანდიული წარმოშობის ადამიანებით. მათ დიდ უმრავლესობას ახალგაზრდები შეადგენენ. ისინი არ საუბრობენ გელურად, კარგად არ იცნობენ ირლანდიის ისტორიას და ლიტერატურას, მათი დიდი ნაწილი ირლანდიაშიც კი არ არის ნამყოფი. სამაგიეროდ, მათ კარგად იციან, რომ წმინდა პატრიკის დღე და მწვანე ტანსაცმელი ირლანდიური სიმბოლოებია. მათ ესმით, რომ ეს ის ატრიბუტებია, რაც მათ განასხვავებს, როგორც “ორანჟისტებისგან”, ასევე სხვებისგან.

### წეროება:

*Green, Orange, or None of Above.* <http://www.sodahead.com/living/green-orange-or-none-of-the-above/question-1592597>.

*Culture of Northern Ireland - history, people, women, beliefs, food, customs, family, social, marriage.* <http://www.everyculture.com/No-Sa/Northern-Ireland.html#ixzz1pUdK5jp3>.

*Northern Ireland.* [http://en.wikipedia.org/wiki/Northern\\_Ireland](http://en.wikipedia.org/wiki/Northern_Ireland).

*Orange Order.* [http://en.wikipedia.org/wiki/Orange\\_Order](http://en.wikipedia.org/wiki/Orange_Order).

გიბერნოს მტკიცებით ეროვნული იდენტობა თანამედროვე ფეხომენია, რომელიც დამახასიათებელია სახელმწიფოს მოქალაქეებისთვის. თუმცა, ესპანელი მეცნიერი იქვე აზუსტებს, რომ იგივე რამ შეიძლება გავრცელდეს მაგ., კატალონიელებზე, შოტლანდიელებზე, კავებეკალებზე, ანუ იმ ერებზე, რომლებსაც არ გააჩნიათ დამოუკიდებლობა (Gibernau, 2007: 11). ამასთან დაკავშირებით, ჩნდება კითხვა, რადგან ბუნდოვანია არის თუ არა სახელმწიფოებრიობა (იგულისხმება თანამედროვე სახელმწიფო) აუცილებელი პირობა ეროვნული იდენტობის ფორმირებისთვის. თუ, არ არის, მაშინ არც ეროვნული იდენტობა ყოფილა თანამედროვე ფენომენი. ეს ის საკითხია, რომლის გარშემოც არ ცხრება მეცნიერული დებატები.

ეროვნულ იდენტობას რამდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებლები აქვს. შევცდებით დეტალურად განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ფსიქოლოგიური მახასიათებელი დაკავშირებულია ხოლიდარობის განცდასთან, რომელიც გადამწყვეტია ადამიანთა გაერთიანებასა და დაახლოებაში იმ იდეის გარშემო, რომ ისინი ერთი ერის წარმომადგენლები არიან. ეროვნული სოლიდარობის გრძნობა დიდი ხნის განმავლობაში შეიძლება

ლატენტურ მდგომარეობაში იმყოფებოდეს, მაგრამ ერისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვან სიტუაციაში ის მოქმედებაში მოდის და ეროვნული მობილიზაციის წარმართველი ძალის სახით გვევლინება.

მეცნიერთა ნაწილის აზრით, ეროვნული იდენტობის განზომილებები უპირველეს ყოვლისა კი ფსიქოლოგიური განზომილება სუბიექტურია, ხოლო სოლიდარობის განცდა ირაციონალური. შესაძლოა ეს ასეც იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ ეროვნული იდენტობების ფსიქოლოგიური კომპონენტები, მათ შორის სოლიდარობის გრძნობა იმდენად ძლიერია, რომ საუკუნეების განმავლობაში მსოფლიოს ყველა კუთხეში ადამიანები თავს წირავდნენ თავისი ერისთვის, სწორედ იმის გამო, რომ მათში ამის აუცილებლობის განცდა რეალურად არსებობდა. მთავარი ის კი არ არის ამ ფენომენს ვუწოდოთ რაციონალური ან ირაციონალური, არამედ პასუხი მოვქებნოთ იმ მთავარ შეკითხვაზე, თუ რა აიძულებს ადამიანებს ერის გამო სიცოცხლეს შეელიონ.

კულტურული მახასიათებელი მოიცავს არამატერიალურ ფასეულობებს, კერძოდ ენას, რწმენას, ტრადიციებს, ადათ-წესებს და ეს ყველაფერი თაობიდან თაობას გადაეცემა. კულტურული ელემენტები, ერთი მხრივ, განაპირობებენ ერის შიგნით სოლიდარობის განცდის გაძლირებას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს უწყობენ, ჯგუფის თითოეული წევრის მიერ საკუთარი თავის ასოცირებას ეროვნულ კულტურულ სიმბოლიკასთან. სხვა სიტყვებით, ერის კულტურის ელემენტები იდივიდის ორგანული ნაწილი ხდება. მეცნიერთა ნაწილი კულტურას ერის ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებლად აღიარებს. მაგ., კარლ დოიჩი მიიჩნევს, რომ ერი ადამიანთა კულტურული ერთობაა, რაშიც გადამწყვეტი ადგილი სოციალურ კომუნიკაციას უკავია (Deutsch, 1966: 97). სრულიად ლოგიკურია, რომ სოციალური კომუნიკაციის საუკეთესო საშუალებად აღიარებულია ენა. თუცა, საგულისხმოა, რომ ეროვნულ იდენტობაში ერის მშობლიური ენა გადამწყვეტი როლს არ თამაშობს. ეროვნული იდენტობა უაღრესად ძლიერია მაგ., ებრაელებში, შოტლანდიელებში, ირლანდიელებში თუმცა მათი უმრავლესობა თავის ენაზე არ საუბრობს.

მსოფლიოს ერების კულტურა ბუნებრივია სხვადასხვაგვარ ისტორიულ-პოლიტიკურ გარემოებებში შეიქმნა. შემდგომი განსხილვის თვალსაზრისით მიზანშეწონილია სამი კითხვის წინ წამოწევა. ეს კითხვებია: რამდენად ძველია მოცემული ერის კულტურა? არის თუ არა ის ერის შემოქმედების შედეგი თუ ადგილი ქონდა მის იმპორტს? რა ტიპის ფენომენია ფენომენია ერის კულტურა: ელიტარული თუ მასობრივი?

ბევრი ერის თუ ეთნოსის კულტურის სიძეველე ეჭვს არ უნდა იწვევდეს, მაგრამ “მოდერნისტები” ასე სულაც არ ფიქრობენ. მათი აზრით, ეროვნული კულტურა, ბეჭვდითი სიტყვის და ეროვნული ან სახელმწიფო ენების განვითარების პარალელურად, კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში აღმოცენდა. მეცნიერთა ის ჯგუფი, რომელიც ერებს ძველ ფენომენად მიიჩნევს, პირიქით მიუთითებს, რომ მსოფლიოში რამდენიმე ათეული ერია, რომელთა კულტურა უსსოვარი დროიდან მოდის. სპეციალისტთა მესამე ჯგუფი იზიარებს კულტურის სიძველის იდეას, ამასთან, მიიჩნევს, რომ ეროვნული კულტურა არა ბუნებრივი ფენომენია, არამედ ადამიანის სოციალური მოღვაწეობის პროცესია. ეროვნული ელიტებისთვის კულტურის “ანტიკურობა” მძლავრი იდეოლოგიური იარაღია. მითი კულტურის სიძველის შესახებ პირდაპირ აისახება ინდივიდების რწმენაზე, რომ მათი ერი (ეთნოსი) სხვებისგან ნამდვილად განსხვავდება და თანაც განსაკუთრებულია.

## ელიტა, ხალხი და ერო

ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო საკითხი, რომელიც ნაციონალიზმის ფენომენის განხილვისას ჩნდება არის კულტურის სოციალური, უფრო კონკრეტულად კი მისი “კლასობრივი” კუთვნილების დადგენა. ვინ არის ერის კულტურის ჭეშმარიტი შემოქმედი: ელიტა? ხალხი? თუ, ორივე ერთად?

ბევრი ერის კულტურა ისეთ ისტორიულ ეპოქაში იქმნებოდა, როდესაც ელიტა ჯერ კიდევ არ არსებობდა. მაგრამ, ასეთი მიდგომა მართებულია მხოლოდ ჯგუფური და ტომობრივი საზოგადოებებთან მიმართებაში. პრაქტიკულად გამორიცხულია, რომ რომელიმე თანამედროვე ერს (ეთნოსს) მცირედი დოზით მაინც ქონდეს შემონახული აღნიშნულ პერიოდში შექმნილი კულტურა. პაცობირიობის განვითარების დანარჩენ სტადიებზე ელიტა ყოველთვის იყო საზოგადოების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი. ელიტამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ადამიანთა ერთობის (ერის, ეთნოსის) მასობრივი კულტურის ფორმირებაში.

ხალხი ყოველთვის იყო კულტურის შემოქმედი, მაგრამ ადრეულ ისტორიულ ეპოქებში კულტურული მიღწევების გავრცელება უაღრესად ნელი ტემპით მიმდინარეობდა და ისიც მხოლოდ გარკვეულ ტერიტორიებზე. მასობრივი კულტურის ჩამოყალიბებისთვის საჭიროა მასობრივი კომუნიკაციების ქსელი. ასეთი რამ მხოლოდ ინდუსტრიულ ეპოქაშია შესაძლებელი. შესაბამისად, მასობრივი კულტურა ვერ იქნებოდა დამახასიათებელი კაპიტალიზმამდელი საზოგადოებისათვის. ის თანამედროვე ფენომენია.

დასავლურ საზოგადოებებში მასობრივი კულტურის ჩამოყალიბება უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოში. მიუხედავად ამისა, ეს პროცესი იქაც საქმაოდ მდორედ მიედინებოდა. იუჯინ ვებერი (*Eugene Weber, 1979*) თავის ნაშრომში “გლეხობიდან ფრანგობამდე” აღნიშნავს, რომ საფრანგეთის ბურჟუაზიაული რევოლუციამდე სოფლებში და პატარა ქალაქებში მცხოვრები ადამიანების დიდმა უმრავლესობამ არც კი იცოდა, რომ ფრანგი იყო. ამგვარი მდგომარეობა პირველ მსოფლიო ომამდე გრძელდებოდა.

XIX ს.-ის მეორე ნახევრიდან ევროპასა და აშშ-ში აშკარად გამოიკვეთა ელიტების როლი საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში, განსაკუთრებით კი კულტურულ მშენებლობაში. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა სახელმწიფოსადმი საზოგადოების ლოიალობის უზრუნველყოფა. ამ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელი იყო მხოლოდ საზოგადოების ერთიანობის, კერძოდ კი საერთო ეროვნული იდენტობის ფორმირების პირობებში. ევროპულმა სახელმწიფოებმა დაიწყეს ლინგვისტური, სალიტერატურო და საგანმანათლებლო რეფორმა.

ამასთან დაკავშირებით ერნსტ გელნერი აღნიშნავდა, რომ სახელმწიფომ თავის თავზე აიღო მასობრივი საზოგადოებრივი კულტურის და საყოველთაო განათლების მადალი სტანდარტების უზრუნველყოფის ვალდებულება (Gellner, 1983: 38). ეს როლიად გადასაწყვეტი ამოცანა იყო. იმდროინდელი ეგრძა, მითუმეტეს დანარჩენი მსოფლიო, პოლიტიკურად და კულტურულად ჯერ კიდევ დაქსაქსული იყო. გარდა ამისა, ისტორიულად ელიტის და უბრალო ხალხის კულტურული ფასეულობები, კერძოდ სიმღერები, ლექსები, ტრადიციები, ჩეკეულებები, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. გარდა ამისა, ცალკეული კუთხეების მოსახლეობას მისთვის დამახასიათებელი კულტურა ქონდა. რაიმე ახლით, ერთი მხრივ, დაბალი სოციალური ფენების, ხოლო, მეორე მხრივ, “ადგილობრივი კულტურების” ჩანაცვლება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ამდენად, აქტუალურ ამოცანად იქცა ახალი საერთო-ეროვნული კულტურის გარკვეული ელემენტების დანერგვა.

თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ფილოსოფოსი და სოციოლოგი გერმანელი მეცნიერი იურგენ ჰაბერმასი აღნიშნავს, რომ თანამედროვე სახელმწიფოს ჩამოყალიბება განაპირობა ახალი ტიპის ეფექტურმა მმართველობამ, რომელიც თავის მხრივ ეფუძნებოდა დემოკრატიზაციასა და სოციალურ ინტეგრაციას.. თანამედროვე სახელმწიფოს მმართველობა ახალი შინაარსით შეივსო. ის გახდა იდეოლოგიზმის და პოლიტიზმის მართველი. ქვეყნის მმართველობა მხოლოდ პოლიტიკოსებითა და სამხედროებით არ შემოიფარგლებოდა. მასში განსაკუთრებული როლს თამაშობდნენ ინტელექტუალები – ინტელექტუალური ელიტა. იმ დროს ელიტის ეროვნული ერთობის სტრატეგია რამდენიმე მიმართულებას მოიცავდა, თუმცა, მას აქტუალობა არც დღეს დაუკარგავს:

- ეროვნული ისტორიის შექმნა;
- პოლტიკის შემუშავება უმცირესობებთან მიმართებაში, სადაც განსაკუთრებული უურადღება ეთმობა სახელმწიფოს დამოკიდებულებას მათი ენისა და კულტურისადმი;
- სკოლებში თეოლოგიური სწავლების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება და ასეთის არსებობის შემთხვევაში უნდა განისაზღვროს რომელი რელიგიური მოძღვრებების სწავლებაა მიზანშეწონილი;
- სხვა ქვეყნების, ხალხების და კულტურების მიმართ პოლიტიკის შემუშავება და წარმოჩენა, ანუ მტრისა და მოყვრის ხატების შექმნა (Guibernau, 2007: 31).

ელიტა გარკვეულ დათმობებზე უნდა წასულიყო და ხალხური კულტურა ეროვნულ კულტურად ედიარებინა. ყველაზე ეფექტური ამ მიმართულებით ზოგადად განათლების, ხოლო კონკრეტულად წიგნიერების გავრცელება აღმოჩნდა. კულტურული და ლინგვისტური პომოგენიზაცია დასავლეთ ევროპაში მძიმედ და ნელა მიმდინარეობდა და ის დაახლოებით მე-19 საუკუნის მეორე ნახევრში დასრულდა (Giberaus, 2007: 19). ევროპის ქვეყნებში საერთო ეროვნული კულტურის ჩამოყალიბების პროცესის პარალელურად ადგილი ქონდა რეგიონული კულტურების გაძლიერებასაც. შესაბამისად, მრავალ კულტურულ საზოგადოებებში ხდებოდა, როგორც ამ საზოგადოების ეროვნული უმრავლესობის, ასევე ეთნიკური უმცირესობების კულტურული იდენტობის ამაღლება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უკროპასა და ამერიკაში ამ პროცესმა მოიცვა არა მარტო მკვიდრი ეროვნული უმცირესობები (ბასკები, კატალანიელები, შოტლანდიელები, კორსიკელები, ამერიკელი ინდიელები და ა.შ.), არამედ ეთნიკური დიასპორებიც, რომლებიც ახალი ტალღის იმიგრანტებმა შედგინეს. ებრაული, სომხური, ჩინური, ინდური, მექსიკური და ა.შ. უმცირესობებმა მასპინძელი ქვეყნების მთავრობებისგან მოითხოვეს მათი კულტურის შენარჩუნების სამართლებრივი და მატერიალური უზრუნველყოფა.

ისტორიული მახასიათებელი. რა დროიდან იდებს სათავეს ერი? ეს ნაციონალიზმის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია. ებრაელების, ინდიელების, ჩინელების, არაბების, ქართველების ეროვნული ისტორია რამდენიმე ათეულ საუკუნეს ითვლის. ფრანგების და ინგლისელების, როგორც ერების წელთაღრიცხვა შუა საუკუნეებიდან იწყება, ხოლო აშშ-ის, კანადის და ავსტრალიის ისტორია 2-3 საუკუნით შემოიფარგლება.

რამდენად არის მნიშვნელოვანი ისტორიული ასაკი თანამედროვე ერების ცხოვრებაში? ბუნებრივია ნებისმიერი ერი ამაყობს ხანდაზმული ისტორიით. ეს ხაზს უსვამს მექვიდრეობითობას, შესაბამისად მის სტაბილურობას, სიძლიერეს და უპირატესობასაც კი. ბერძნები ამაყობენ მათი ანტიკური ლიტერატურით და

ფილოსოფიით, ოლიმპიური თამაშების დაფუძნებით; იტალიელები – რომის იმპერის პერიოდით, არაბები – მათი წვლილით მათემატიკის, ასტრონომიის, გაჭრობის განვითარებაში, ქართველები – ძველი დამწერლობით, დამოუკიდებელი ანბანით, ადრეული ქრისტიანობის ძეგლებით, “ვეფხისტებისით” და ა.შ.

გარდა დიდების მომენტებისა ერები არ მათი ისტორიის ტრაგიკულ ეპიზოდებსაც. მაგ., კატალონიაში ყოველწლიურად აღინიშნება ბარსელონის ოკუპაცია (1939 წ. 26 იანვარი) გაერთიანებული ფრანკო-ესპანური ძალების მიერ, რასაც მოყვა კატალონიის ავტონომიურობის გაუქმება და კატალონიური ენის აკრძალვა. ებრაელებმა მიაღწიეს პოლოკოსტის საერთაშორისო აღიარებას. ევროპის ქვეყნებში ყოფილი ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკები დღეს მუზეუმის სტატუსით ფუნქციონირებენ, ხოლო ებრაელთა გენოციდი აღწერილია განვითარებული სამყაროს ისტორიის სახელმძღვანელოებში (Gibernau, 2007: 20).

ერის საერთო ისტორიული მეხსიერების ჩამოყალიბება სწორედ ისტორიული დიდებისა და მწუხარების თარიღების ინსტიტუციონალიზაციის გზით მიიღწევა. ამ პროცესში ერის მამები (როგორც პოლიტიკოსები, ასევე ინტელექტუალები) ცდილობენ წინ წამოსწორ ერის ისტორიის ის ეპიზოდები, რომლებიც “მეტყველებენ” მის განსაკუთრებულობასა და სიდიადეზე.

იმავდროულად, ხდება იმ ისტორიების მიჩქმალვა, რომელიც ერის უარყოფით მხარეებსაც წარმოაჩენს. როგორც ამბობენ, ხებისმიერი ერის ისტორია დიდწილად ფალხიფიკაციაა.

#### ჩანართი №

გამოგონილი ტრადიციები: შოტლანდიური კილტის ისტორია

შოტლანდია მთელ მსოფლიოში ცნობილია მისი ჭრელი კილტებით. პირველი ასოციაცია, რომელიც ადამიანებს შოტლანდიულებთან დაკავშირებით უწნედება სწორედ ეს ეგზოტიკური ფასონის სამოსია. ბევრისთვის ისიც არის ცნობილი, რომ შოტლანდიურ კლანებს განსხვავებული კილტები ქონდათ. გამაოგნებელი იქნება იმის აღმოჩენა, რომ არც კილტი და არც ჭრელი მასალა, რომლისგანაც ის არის შეკერილი არ არის შოტლანდიური. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია არის ის ფაქტი, რომ შოტლანდიის ტერიტორიაზე ჭრელი კილტები პირველად 1844 წელს გამოჩნდა. ჭრელი მასალა ანუ ტარტანი ჰოლანდიური წარმოშობისაა, ხოლო კილტი ინგლისური ტანსაცმელია. ჭრელი კილტი მანმადე არ ყოფილა შოტლანდიური ტრადიციის ნაწილი. ისტორია ჭრელი კილტების შოტლანდიური წარმოშობის შესახებ შოტლანდიული ნაციონალისტების მიერ შეთხხული მითია.

XIX ს.-ის შუაში შოტლანდიური ელიტამ გადაწყვიტა თავი დაეღწია ირლანდიის კულტურული დომინაციისაგან. ამისთვის, უპირველეს ყოვლისა აუცილებელი იყო საკუთარი ისტორიის შექმნა. ეს პროცესი პირობითად სამ ეტაპად შეიძლება გაიყოს. პირველ ეტაპზე, XVIII ს.-ში შეიქმნა ეპიკური პოემა “ოსლანი”, სადაც აღწერილია შოტლანდიულთა დიდი დამსახურებები კელტური კულტურის ჩამოყალიბებაში. ამ საქმეში ირლანდიულთა როლი ფაქტიურად უგულვებელყოფილი იყო.

მეორე ეტაპზე მოხდა მთიელ კელტთა, ე.ი. შოტლანდიულთა ტრადიციების შექმნა. ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში ჭრელი მატერია შოტლანდიასა და ინგლისში ჰოლანდიიდან შემოქონდათ. 1727 წელს ლანკაშირელმა მქსოველმა გამოიგონა ახალი ტიპის ტანსაცმელი, რომელიც წააგავდა ძველ საქსონურ სამოსს. მე-18 საუკუნის შუაში, ინგლისში იაკობინური გამოსვლების პერიოდში, კილტმა საკმაო გავრცელება მიიღო ინგლისელ მუშებს შორის. აჯანყების ჩახშობის შემდეგ ინგლისის არმიის შევსება შოტლანდიული მთიელების ხარჯზე მიმდინარეობდა. შოტლანდიური პოლკი, აღვილად, რომ გამოერჩიათ სხვებისგან

მისი ჯარისკაცები ჭრელი კილტებით შემოსეს. შემდგომში ის არა მარტო მდაბიო ფენების, არამედ წარჩინებულ შოტლანდიელთა ტანსაცმლიც გახდა. 1778 წელს ლონდონში დაფუძნდა მთიელთა (ე.ი. შოტლანდიელთა) საზოგადოება, ხოლო 1820 წელს ედინბურგში შეიქმნა კელტური საზოგადოება. ამ დროისთვის შოტლანდიაში ტარტანისგან დამზადებული ტანსაცმელი იმდენად გავრცელებული იყო, რომ 1819 წელს წიგნიც კი გამოიცა, სადაც გადმოცემული იყო ტარტანისგან დამზადებული სხვა ტანსაცმლის დახასიათება. 1822 წელს ედინბურგში ბრიტანეთის მეფის ჯორჯ IV საპატივსაცემოდ გაიმართა სადღესასწაულო აღლუმი, რომელიც პირველი ოფიციალური ღონისძიება იყო, სადაც ყველა შოტლანდიელი წარჩინებული და სამხედრო პირი კილტებში იყო გამოწყობილი.

მესამე ეტაპზე მოხდა მთიელთა ტრადიციების დანერგვა ბარის შოტლანდიებს შორის. ეს უკანასკნელები შოტლანდიის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ. ამის მიღწევა შესაძლებელი გახდა დოკუმენტის გაყალბების მეშვეობით. ორმა ძმამ, რომლებიც პრეტენზიას აცხადებდა სტიუარტების სამეფო წარმომავლობაზე, შექმნა დოკუმენტი “Vestiarum Scotium”, სადაც აღნიშნული იყო, რომ შუა საუკუნეებში ყველა შოტლანდიურ კლასს თავისი ფერის კილტი გააჩნდა. ეს დოკუმენტი 1842 წ. გამოქვეყნდა, როგორც ისტორიული წყარო. ორი წლის შემდეგ ძმებმა გამოსცეს წიგნი “კლანების ტრადიციები”, რომელიც უმნიშვნელო დამატებებს თუ არ გავითვალისწინებთ, იმეორებდა იმას, რაც აღწერილი იყო 1819 წლის ზემოთ აღნიშნულ ნაშრომში. ამით, ყველა შოტლანდიელს მიეცა საშუალება მისი კლანისთვის ტრადიციულად დამახასიათებელი ტრატანის კილტი ეტარებინა. დროთა განმავლობაში ჭრელი კილტები დაბლობის შოტლანდიელების ტრადიციული სამოსი გახდა. ამჟამად, ყველა შოტლანდიელი ამაყობს იმით, რომ კილტი არის შოტლანდიის ტრადიციების, კულტურისა და ისტორიის უმნიშვნელოვანების სიმბოლო.

**წყარო:** Taylor, Peter & Colin Flint (2007). *Political Geography: World-economy, Nation-State and Locality (4<sup>th</sup> edition)*. Pearson Education: Edinburg Gate, UK. გვ. 165.

ისტორია გვახლოვებს წინაპრებთან, შესაბამისად გვიძლიერებს სუბიექტურ რწმენას, რომ ვართ ერთი დიდი ოჯახის წევრები და გვავალდებულებს ვიყოთ მისი ერთგული წევრები. ნებისმიერი ჩვენთაგანი აღფრთვანებას ვერ მაღავს, როდესაც კითხულობს წიგნებს ან უყურებს კონფილმებს, რომლებშიც ასახულია ჩვენი ისტორიის ოქროს ხანა და დიდების მომენტები. თუმცა, იგივე ისტორიები ჩვენში ნერგავს ზიზდს ისტორიული მტრების მიმართ. სიყვარული და ზიზდი ეროვნული (ეთნიკური) იდენტობის შემადგენელი ნაწილებია.

პოლიტიკური ძახასიათებელი. სპეციალისტთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ ეროვნული იდენტობისთვის დამახასიათებელია საერთო პოლიტიკური ფასეულობების არსებობა. ქვეყნის მოქალაქეებისთვის ეს ფასეულობები მეტნაკლებად საერთოა. მაგრამ, რამდენად მართვებულია ეს თეზისი იმ ერების მიმართ, რომლებსაც სახელმწიფოებრიობა არ გააჩნიათ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით მიმოვინილოთ, თუ როგორ მიმდინარეობდა ერი-სახელმწიფოს ფორმირება დასავლეთ ევროპაში. ხალხის სუვერენულობის და დემოკრატიის იდეები პირველად ამერიკის (1776 წ.) და საფრანგეთის (1789 წ.) რევოლუციების დროს გაუღერდდა. თავისი ბუნებით ეს ანტი-მონარქისტული იდეები მიმართული იყო საზოგადოებაში პოლიტიკური ძალაუფლების გადანაწილებისკენ. ამერიკული და ფრანგული რესპუბლიკანიზმის მთავარი სტრატეგია იმაში

მდგომარეობდა, რომ ამიერიდან საზოგადოების (ქვეყნის) მართვას განახორციელებდნენ თვით საზოგადოების წევრები. ამ იდეის ხორშესხმა XVIII ს.-ის ბოლოს დაიწყო და ეტაპობრივად მიმდინარეობდა. ამ პროცესმა მოიცვა დასავლეთ-ევროპული და ჩრდილო-ამერიკული ქვეყნების მოსახლეობის ჯერ განათლებული ნაწილი, ხოლო საბოლოოდ მთელი საზოგადოება.

საერთო განათლებამ და კულტურამ, როგორც ადრე აღინიშნა, განაპირობა საერთო ეროვნული/სახელმწიფო განცდის შექმნა საზოგადოების წევრებს შორის. პატრიოტიზმი ყოველთვის დამახასიათებელი იყო ხალხისთვის, მაგრამ თუ ადრე ეს გრძნობა “მშობლიური მიწის” გარდა ასოცირებული იყო “მეფესთან” ან “ერისთავთან”, შემდგომში ეს უკანასკნელები ჩაანაცვლა ცნებამ “ერი”. ევროპული საზოგადოებების ფასეულობათა სისტემაში პრიორიტეტების ცვლილება საკმაოდ ბუნებრივად და უმტკივნეულოდ წარიმართა, რადგან აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის “ერი” უფრო დიდი ქარიზმაა ვიდრე “მონარქი”. უფრო მეტიც, ბენეფიციელი ანდერსონის აზრით “ნაციონალიზმი” ახალი რელიგიაა. თანდათანობით დაფუძნდა მოქალაქეობის ინსტიტუტი და საერთო ეროვნული დღესასწაულები. ამან საზოგადოებაში გააძლიერა, ერთი მხრივ, სახელმწიფოს მართვაში რეალური მონაწილეობის, ხოლო, მეორე მხრივ, კულტურულ-პოლიტიკური სოლიდარობის განცდა. ფრანგულმა “ბურჟუაზიულმა” რევოლუციამ დასაბამი ჩაუყარა კულტურული სიმბოლოების პოლიტიზირებას. XX საუკუნის პირველი ოცნებულისთვის დასრულდა დასავლეთ-ევროპული კულტურული ერების რეფორმირება და ამ დროისთვის ისინი სოციალურ (პოლიტიკურ) ერებად ჩამოყალიბდნენ.

ერ-სახელმწიფოებში პოლიტიკური აქცენტი კეთდება სოციალურად შეკრული საზოგადოების ფორმირებაზე, რომლის წევრებს საერთო უფლება-მოვალეობები აკავშირებთ. ეროვნული განათლების სისტემა და მასმედია მოწოდებული არიან უზრუნველყონ კულტურული და ლინგვისტური თვალსაზრისით პომოგენური საზოგადოების ჩამოყალიბება. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა ქვეყანაში არსებობენ კულტურული უმცირესობები (რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური). ზოგიერთ მათგანს (ყველას თუ არა) საკმაოდ ძლიერი კულტურული იდენტობა აქვს. მთელ რიგ ქვეყნებში უმცირესობები ამ ქვეყნების ძირძველ მოსახლეობას წარმოადგნენ (მაგ., ბასკები, კორსიკელები, შოტლანდიელები, მაორები, კვებეკელები და ა.შ.). ისინი მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგებიან ამ ქვეყნების კულტურულ პომოგენურობას, სადაც ეროვნული იდენტობა იქმნება უმრავლესობის ენისა და სხვა კულტურული ელემენტების საფუძველზე. აქედან გამოდინარე, ეროვნული იდენტობის პოლიტიკური შემადგენლის სიმყარე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული არა მარტო სახელმწიფოს შესაბამის პოლიტიკაზე, არამედ მასში მცხოვრები უმცირესობების კულტურულ-პოლიტიკური ინტეგრაციის სარისხზე.

ეკონომიკური მახასიათებელი. რამდენად ძლიერია ეკონომიკის როლი ეროვნული იდენტობის ფორმირების ან ეროვნული კონსოლიდაციის პროცესში? პასუხი ცალსახა იქნება – ძალზე მნიშვნელოვანი. ეკონომიკური დეტერმინისტები (მარქსისტები) მას პირველ ადგილსაც კი ანიჭებენ.

ეროვნული ან სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესში ეკონომიკურმა ფაქტორმა შეიძლება ითამაშოს, როგორც გამაერთიანებელი, ასევე დესტრუქციული როლიც. ასეთი სიტუაცია შესაძლოა დამახასიათებელი იყოს იმ ქვეყნებისთვის, სადაც იქმნება რეგიონული დისბალანსი სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. ეს გარემოება იწვევს შედარებით ჩამორჩენილი რეგიონების მოსახლეობის უკმაყოფილებას, უფრო მეტიც მის გაუცხოებას მატერიალურად უზრუნველყოფილი რეგიონების მოსახლეობის მიმართ. “გაუცხოება” ეროვნული

იდენტობისთვის ყველაზე დიდი საფრთხეს წარმოადგენს. ასეთ სიტუაციაში ხელისუფლება ვალდებულია გაატაროს ღონისძიებები, რის შედეგადაც შემცირდება სხვაობა „მდიდარი“ და „დარიბი“ რეგიონების მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის მაჩვენებლებს შორის. როგორც წესი, მთავრობა ატარებს ისეთ პოლიტიკას, როგესაც ჩამორჩენილი რეგიონების მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება განვითარებული რეგიონების ხარჯზე ხდება. ეს კი, თავის მხრივ იწვევს „მდიდარი რეგიონების“ მოსახლეობის პროგესტს.

1991 წელს დღის წესრიგში დადგა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაერთიანების საკითხი. ამასთან დაკავშირებით, დასავლეთ გერმანიაში ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა. ბევრისთვის მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ ფედერაციული გერმანიის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ამის წინააღმდეგი იყო. გაერთიანების მოწინააღმდეგების უმნიშვნელოვანები მოტივი ეკონომიკური და მატერიალური ხასიათის იყო. საქმე იმაშია, რომ ორი გერმანიის შეერთება მოითხოვდა ფედერაციული გერმანიის ბიუჯეტიდან უზარმაზარი თანხების გამოყოფას აღმოსავლეთ გერმანიის განვითარებისთვის. ცხადია, ეს უარყოფითად აისახებოდა, როგორც დასავლეთ გერმანიის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, ასევე მისი მოსახლეობის მატერიალურ კეთილდღეობაზე. გერმანელთათვის საბედნიეროდ მოსახლეობის უმრავლესობის ნებით ეს გაერთიანება შედგა.

იტალიაში, ევროპის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ქვეყანაში რეგიონებს შორის დაძაბულობა დამის იყო ქვეყნის გაყოფით დასრულდა (იხ. ჩანართი №).

#### ჩანართი №

##### სეპარატიზმი იტალიურად: “ჩრდილოეთის ლიგა”

1980 წ. იტალიაში დაფუძნდა პოლიტიკური ორგანიზაცია „პადანიის<sup>29</sup> დამოუკიდებლობის ჩრდილოეთ ლიგა“ (“Lega Nord per l'Indipendenza della Padania”). „ჩრდილოეთის ლიგა“, ასე უწოდებენ მას შემოკლებით, მიზნად ისახავდა იტალიაში ფედერაციული მმართველობის შემოდებას, რომლის პირობებშიც ჩრდილოთ იტალია განსაკუთრებული პრივილეგიებით ისარგებლებდა. 1990-იან წლებში ამ ორგანიზაციის ყველაზე რაღიკალურმა ფრთამ მოითხოვა პადანიის დამოუკიდებლობა. ჩრდილოეთ ლიგამ 2000 წლის არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების 10% მიიღო, ხოლო ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწულში ელექტორატის მხარდაჭერამ 30% შეადგინა. სეპარატიზმი არ შედგა, მაგრამ თავისთავად ეს ფაქტი იტალიელთათვის ძალზე შემაშფოთებელი აღმოჩნდა. რატომ ქონდა ადგილი ასეთ განხეთქილებას იტალიელებში? ამ შეკითხვაზე პასუხი ძირითადად ორ გარემოაბით უნდა აიხსნას.

იტალიის ისტორიისთვის დამახასიათებელი იყო ტერიტორიული დაქსაქსულობა და პრაქტიკულად არაცენტრალიზებული მმართველობა. იტალია ტრადიციულად დაყოფილი იყო მხარეებად, რომლებიც ხშირ შემთხვევაში სხვა ქვეყნების ბაზონობის ან გავლენის ქვეშ იყვნენ. ასე გრძელდებოდა იტალიის გაერთიანებამდე, რომელიც XIX ს.-ში შედგა. საერთო ისტორიის არქონამ უარყოფითი გავლენა იქონია იტალიელების იდენტობაზე. ჩრდილოეთ იტალიელების იდენტობა განსხვავდება სამხრეთელებისგან. ეს უკანასკნელები ლომბარდიელებს კელტების და გერმანელების ბუშებს უწოდებენ, თავის მხრივ ჩრდილოეთელები სამხრეთ იტალიას მოიხსენიებენ, როგორც კორუფციის, მაფიის და უსაქმურების მხარეს. „ჩრდილოეთის ლიგის“ წარმომადგენლები

<sup>29</sup> პადანია არის გეოგრაფიული ოლქი, რომელიც მოიცავს მდინარე პოს დაბლობს ანუ იტალიის ჩრდილოეთ და შუა ნაწილებს ლომბარდიიდან ტიხანამდე და უმბრიამდე.

კიდევ უფრო შორს წავიდნენ, როდესაც განაცხადეს, რომ პადანიელები კალტების შთამომავლები არიან, შესაბამისად მათ არანაირი ნათესაობა არ აკავშირებო სამხრეთ იტალიელებთან.

მეორე მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ იტალიის მთავრობამ ვერ გამოიჩინა შესაბამისი კომპეტენტურობა და დროულად ვერ აღმოფხვრა დისბალანსი სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. იტალიის მთავრობა, დასავლეთ ევროპის დიდი ქვეყნების მთავრობებისგან ყოველთვის გამოირჩეოდა არასტაბილურობით და კორუმპირებულობით. “ჩრდილოეთის ლიგა” მაშინ აღწევდა შესამჩნევ წარმატებებს საპარლამენტო ან ადგილობრივ არჩევნებზე, როდესაც ქვეყანაში ადგილი ქონდა სამთავრობო კრიზისს ან გახმაურებულ კორუფციულ სკანდალებს.

იტალიელთა დეზინტეგრაციის ძირითადი მიზეზი სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის იყო. იტალიის ორივე მხარის მოსახლეობის მატერიალურ კეთილდღეობაში სახეზე იყო უდიდესი განსხვავება. შესაბამისად, ეკონომიკურად განვითარებულ და მატერიალურად უზრუნველყოფილ ჩრდილოეთელებს არ სურდათ მათ მიერ შექმნილი დოკლათი სამხრეთელებისთვის გაენაწილებინათ.

პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო გზა სწორედ სამხრეთის ეკონომიკურ განვითარებაზე გადის. მიმდინარე საუკუნეში სამხრეთ იტალიაში მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პროექტების განხორციელების და ორგანიზებულ დანაშაულებრივ სინდიკატებთან წარმატებული ბრძოლის შედეგად ქვეყნის სამხრეთში სიტუაცია შესამჩნევად გამოსწორდა. შედეგად, “ჩრდილოეთის ლიგასაც” ხელი მოეცარა. ის შეუერთდა პოლიტიკურ ალიანსს “წინ იტალია” (მას დიდი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა სილვიო ბერლუსკონი) და აღარ ითხოვს პადანის იტალიისგან გამოყოფას. ის კვლავ იტალიის ფედერალური მოწყობისთვის იბრძვის.

### წყაროება:

Jones, Martin, Rhys Jones & Michael Woods (2004). *Introduction to Political Geography: Space, Place and Politics*. Routledge: New York, p. 96.

Терещенко, Алексей (2008). *Региональные и сепаратистские движения в странах Южной Европы*. <http://www.apn.ru/publications/article19822.htm>

### ტერიტორიული მახასიათებელი.

ნაციონალიზმის სივრცითი ასპექტების შესწავლა გეოგრაფებმა არც თუ ისე დიდი ხნის დაიწყეს. ამ კვლევის დაწყებას იმპულსი მისცა კოლინ უილიამსის (Colin Williams) და ენტონი დ. სმიტის 1983 წელს გამოქვეყნებულმა ნაშრომმა “სოციალური სივრცის ეროვნული კონსტუქცია”. მისმა ავტორებმა შემოგვთავაზეს რვა მახასიათებელი, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ნაციონალიზმისა და გეოგრაფიული გარემოს კონტექსტის ჩამოყალიბებზე (იხილეთ **ცხრილი №**).

**ცხრილი №**

### სივრცე, ტერიტორია და ერი: რვა მახასიათებელი

მახასიათებლები	მაგალითები
<b>ჰაბიტატი (საცხოვრისი):</b> ბუნებრივი გარემო და მიწა-წყალი გვეხმარება ადამიანთა კომაპტენტური განსახლების სისტემის და ამ სისტემის ხასიათის ახსნაში. ეროვნული იდეალები უფრო განვითარებულია სასოფლო, ვიდრე საქალაქო მოსახლეობაში.	ებრაელი ფუნდამენტალისტები ისრაელში, კონფლიქტის ზონებში, ე.ი. იმ ტერიტორიებზე, რომლებიც პალესტინის ავტონომიას ეპუთვნის ცდილობები შექმნან ებრაული სასოფლო (და არა საქალაქო) დასახლებები.
<b>სახალხო კულტურა:</b> სასოფლო არეალებში ბუნებრივი ჰაბიტატი განაპირობებს	ნაციზმის და სხვა ექსტრემისტულ ნაციონალისტურ იდეოლოგიებში დიდი

<p>განსაკუთრებული ტრადიციებისა და სოციალური ნორმების ჩამოყალიბებას, ე.ი. განსაზღვრავს ცხოვრების კალენდარულ რიტმს. ეს აისახება სასოფლო მოსახლეობის რიტუალებზე და კულტურაზე. ამ არეალების მოსახლეობა ცდილობს თავიდან აიცილოს ქალაქური კოსმოპოლიტიზმი და ხაზი გაუსვას, რომ ერთს საწყისს სოფელი წარმოადგენს. .</p>	<p>მნიშვნელობა ენიჭებოდა სახალხო კულტურას, რომელიც სათავეს სოფლიდან იღებს.</p>
<p><b>მასშტაბი:</b> ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვება და სიძლიერე საშუალებას აძლევს ერს წარმატებას მიაღწიოს საერთაშორისო ასპარეზზე. ამით შეიძლება აიხსნას ზოგიერთი ერის მდგრეობა გააფართოვოს მისი ტერიტორიული ზეგავლენა, შესაბამისად აიმაღლოს საერთაშორისო პრესტიჟი.</p>	<p>ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო XX საუკუნის I ნახევარის გუოპოლიტიკაში, ევროპული სახელმწიფოების მიერ აფრიკის კოლონიზაციის პროცესში.</p>
<p><b>მდგრადება:</b> ამ შემთხვევაში შეგვიძლია განვიხილოთ წებისმიერი ერის როგორი ურთიერთობები მეზობელ ერებთან. ხშირად მათ შორის საქმე ომამდე მიღის, რაც შემდგომში აისახება ერის მდგრადებაზე გარდა ამისა, დაბატული ურთიერთობები წარმოშვება ქვეყნის შიგნით ცენტრსა და პერიფერიას შორის.</p>	<p>ინდოეთსა და პაკისტანს შორის ურთიერთობების დაძაბვას, ამ ქვეყნებში რადიკალური ნაციონალიზმის აღზევება მოყვა. ასევე, მხედველობაშია მისაღები სასაზღვრო რეგიონის კაშმირის საკითხი, რომელის გამოც ამ ქვეყნების შორის ურთიერთობები კიდევ უფრო გართულდა.</p>
<p><b>საზღვარი:</b> ერთ ცდილობს დაიკავოს ტერიტორია ბუნებრივ საზღვრებს შორის და თავიდან აიცილოს გარედან თავს მოხვეული ხელოვნური საზღვრები.</p>	<p>ამის ერთ-ერთი მაგალითია საფრანგეთი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იბრძოდა მისი ბუნებრივი საზღვრების დასაცავად.</p>
<p><b>აგტარქია:</b> ქვეყნის ტერიტორია განიხილება ერის კეთილდღეობის წაროდ. ერის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის დაკავშირებულია ეროვნული რესურსების, უკირატესად სასოფლო-სამეურნეო, აგრეთვე მინერალური რესურსების გამოყენებაზე სრული კონტროლის დაწესებასთან.</p>	<p>ამის საილუსტრაციოდ შეიძლება გავიხსენოთ, არაბული ქვეყნების ბრძოლა საკუთარი ნავთობის და ბუნებრივი გაზის საბადოების ნაციონალიზაციისთვის, რომლების დიდი ხნის განმავლობაში ევროპული და ამერიკული ნავთობების კონტროლის ქვეშ იყო.</p>
<p><b>სამშობლო:</b> ტერიტორია არ არის ნეიტრალური ცნება. ის არის ერის სამშობლო ანუ ის ადგილია, საიდანაც სათავეს იღებს ერის ისტორია.</p>	<p>ებრაელებისთვის სამშობლოს ცნება იმდენად დიდ ფასეულობას წარმოადგენდა, რომ ის მათ საუკუნეების განმავლობაში შემოინახეს.</p>
<p><b>ერის შენებლობა:</b> ერის ფორმირებისა და განვითარების პროცესი გარკვეულ გეოგრაფიულ ადგილზე მიმდინარეობს. ეს ადგილი კი წარმოადგენს იმ ფუნდამენტს, რომელიც დროთა განმავლობაში ეროვნულ (სახელმწიფო) ტერიტორიად ყალიბდება. წყარო:</p>	<p>ქალაქები, საკომუნიკაციო ქსელი, ელექტროსადგურები, სამართლებრივი და საგანმანათლებლო სისტემები გადამზევებ როლს თამაშობს ეროვნული ტერიტორიის კონსტრუქტორებაში.</p>

წყარო: Williams & Smith, 1983: 504-510

### ეროვნული ლანდშაფტი

ზემოთ მოცემულ ცხრილში, პაბიტატი და სახალხო კულტურა ერთიანობაში ქმნის ეროვნულ ლანდშაფტს. ლანდშაფტი ამ შემთხვევაში არ მოიცავს მხოლოდ ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოს. მასში, ასევე შედის ეროვნული ფასეულობები. ადამიანები ეროვნულ ლანდშაფტს განიხილავენ, როგორც ერისა და სამშობლოს უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს. საგულისხმოა, რომ ეროვნული ლანდშაფტის პირველი განსახიერებას სასოფლო ლანდშაფტი წარმოადგენს. მსოფლიოს ისტორიაში მრავლად არის მაგალითები, რომლებიც ადასტურებს თუ რაოდენ დიდი ფურადდება ექცევდა სასოფლო ლანდშაფტის ადგილს ეროვნულ პოლიტიკაში.

წინა საუკუნეში მსოფლიო ომებს შორის უელსში შეიქმნა “უელსის პარტია” – “პლაი კუმრი” (“Plaid Cymru”). ეს პარტია უელსელებს მოუწოდებდა

დაბრუნებოდნენ მიწას, რადგან, მისი აზრით, სწორედ სოფლად მცხოვრები უელსელები წარმოადგენდნენ ერის ჭეშმარიტ ნაწილს. უფრო მეტიც, პარტიას მიაჩნდა, რომ ინგლისმა მათ თავს მოახვია საქალაქო ცხოვრების წესი იმ მიზნით, რომ მოეხდინა უელსელების გადაგვარება და ასიმილაცია (Jones et al., 2004: 92).

XX საუკუნის დასაწისში, როდესაც ირლანდია ჯერ კიდევ არ იყო დამოუკიდებელი, ლინგვისტური თვალსაზრისით ქვეყნის დასავლეთი იმით გამოირჩეოდა მისი სხვა რეგიონებისგან, რომ იქ მოსახლეობის მშობლიურ ენას კელტური ლინგვისტური ოჯახის გელური ენა წარმოადგენდა. ინგლისელმა კოლონიზატორებმა მოახერხეს, რომ ირლანდიის დიდ ქალაქებში და ჩრდილოეთ ირლანდიაში გელური ენა ინგლისურით ჩაენაცვლებინათ. ირლანდიის ეროვნულებანმანთავისუფლებელმა მოძრაობამ სწორედ დასავლეთ ირლანდია აღიარა ეროვნული სიწმინდის ბასტიონად და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სიმბოლოდ (იქვე: 92-93).

ეროვნული ლანდშაფტი ერთაშორისი კულტურული განსხვავების განსაზღვრისთვისაც გამოიყენება. ჯერ კიდევ XIX ს.-ში, ანგლოკანადური ნაციონალიზმის მაქებმა, მძლავრი პროპაგანდისტური კამპანია წარმართეს კანადური იდენტობის შენარჩუნებისთვის, რადგან ადვილი შესაძლებელი იყო, რომ ადგილი ქონდა კანადელების ასიმილაციას უფრო მდიდარი და ძლიერი აშშ-ის მიერ. ამ მიზნით, მათ წინ წამოწიეს ჩრდილოეთ კანადის მაგალითი. ქვეყნის ამ რეგიონის მოსახლეობა, ძირითადად ანგლოკანადელები, დღიდან ევროპიდან კანადაში გადმოსახლებისა პატარა სოფლებში იყვნენ კონცენტრირებული და პრაქტიკულად კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდნენ. ევროპული წარმოშობის ჩრდილოეთ კანადელებმა ათწლეულების განმავლობაში შეინარჩუნეს მათმა წინაპრების მიერ შექმნილი ტრადიციები. კანადელი ნაციონალისტები განსაკუთრებულ აქცენტს იმ ფაქტზე აკეთებდნენ, რომ ჭეშმარიტი კანადა სწორედ სასოფლო კანადა იყო, რაც ის რადიკალურად განასხვავებდა ამერიკისგან (ეს უკანასკნელი საქალაქო ცხოვრების წეს მისდევდა) (იქვე: 93).

### ეროვნული იდენტობა და სახელმწიფო პოლიტიკა

ზოგადად, ერთიანი ეროვნული იდენტობის ფორმირების სახელმწიფო პოლიტიკა საცმაოდ მრავალფეროვანია. მონსერატ გიბერნო (Gibernau, 2007: 25) გამოყოფს სახელმწიფოს შემდეგ ხუთ ძირითად სტრატეგიას:

1. ერის იძიჯის შექმნა, რომელშიც, როგორც წესი ეფუძნება დომინანტი ერის და ქვეყანაში მცხოვრები სხვა ძირძველი ეთნოსის (ეთნოსების) საერთო ისტორიასა და კულტურას და ტერიტორიულ ერთიანობას;
2. ეროვნული (სახელმწიფო) სიმბოლოების და რიტუალების დაარსება და მათთვის სახელმწიფო ან ადგილობრივი დონის დონისძიებების სტატუსის მინიჭება, რაც ხელს უწყობს ერის წევრებს შორის ერთიანობის გრძნობის გაძლიერებას. ეროვნული სიმბოლიკა არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ უმრავლესობის შესაბამის ფასეულობებს. სასურველია, რომ ხელისუფლება ზრუნავდეს უმცირესობების მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების სხვადასხვა ფორმით აღნიშვნაზე.
3. მოქალაქეობის ინსტიტუციონალიზაცია, რაც ითვალისწინებს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სამოქალაქო უფლებების და თავისუფლებების დაცვას;

უზრუნველყოფს ქვეყნის ყველა მოქალაქის თანასწორობას განურჩევლად მათი რელიგიური, ეთნიკური, რასობრივი თუ სხვა სახის კულტურული მიმართებისა.

4. საერთო მტრის ხატის შექმნა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ეროვნულ კონსოლიდაციას, განურჩევლად იმისა მტერი რეალურია, პოტენციური თუ გამოგონილი.
5. ეროვნული განათლებისა და მასმედიის სისტემები გადამწყვეტ როლს ასრულებს ერის იმიჯის შექმნასა და დამკვიდრებაში.

როგორც, ზემოთ მოცემული კლასიფიკაციიდან ჩანს ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესში განსაკუთრებული ადგილია ერის კულტურის და სიმბოლოების მაღალ დონეზე წარმოჩენას. ამის მიღწევის საუკეთესოო გზაა ერის (ეთნოსის) ისტორიის მითოლოგიზმი.

ეროვნული მშენებლობის სახელმწიფო პოლიტიკაში წარსულის მითოლოგიზმიას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. ამ ფენომენს დიდი ხნის ისტორია აქვს. უძველესი დროიდან ყველა ეთნოსი (ხალხი) თაობიდან თაობას გადასცემდა საკუთარ ისტორიას. დროთა განმავლობაში ეს ისტორია იცვლებოდა, უფრო სწორედ “მდიდრდებოდა” შეთხზული ამბებით. ნებისმიერი ხალხის ისტორია ზღაპარს გავს – ის საგვარე დრამატიზმით და საგმირო საქმეებით. თანამედროვე სახელმწიფოების ეროვნული პოლიტიკა მისი სატიტულო მოსახლეობის ეთნიკური პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენს. ისტორიის მითოლოგიზმია სახელმწიფოსთვის ინსტრუმენტია, რომლის მეშვეობით ის ცდილობს ხელი შეუწყოს მოსახლეობის (ყოველ შემთხვევაში ეთნიკური უმრავლესობის) კონსოლიდაციას და პატრიოტიზმის ამაღლებას.

რუსმა მეცნიერმა ვიქტორ შნირელმანმა გამოყო ერის (ეთნოსის) ისტორიის მითოლოგიზმიას შემდეგი უნივერსალური ნიშნები:

- მითი ავტოქტონურობის შესახებ – იმის მტკიცება, რომ მოცემული ხალხი (მისი ენა და კულტურა) მირდველია იმ ტერიტორიაზე, სადაც ამჟამად ცხოვრობს.
- მითი სამშობლოს შესახებ – იმის დასაბუთების მცდელობა, რომ მოცემული ხალხის ეთნოპოლიტიკური საზღვრები ისტორიულ წარსულში გაცილებით უფრო დიდი იყო.
- მითი ლინგვისტური მემკვიდრეობითობის შესახებ – ეთნოსის იდენტიფიცირება გარკვეულ ენასთან. იმის მტკიცება, რომ ეს ენა მისთვის ყოველთვის მშობლიური იყო.
- მითი “ეთნიკური ოჯახის” შესახებ – იმის მტკიცება, რომ მოცემული ხალხის წიაღიდან გამოვიდნენ სხვა ხალხები, რომლებიც შემდგომ სხვა ტერიტორიებზე (ძირითადად მის სამეზობლოში) განსახლდნენ.
- მითი დიდებული წინაპრების შესახებ – იმის მცდელობა, რომ მოხდეს მოცემული ხალხის იდენტიფიცირება იმ ხალხთან, რომლის მდიდარი კულტურის შესახებაც უტყუარი ისტორული ინფორმაცია არსებობს.
- მითი კულტურტრეგერობის შესახებ – პრეტენზის გაცხადება იმის თაობაზე, რომ მოცემული ხალხის წინაპრებს გაცილებით მეტი კულტურული ან პოლიტიკური მიღწევები ქონდათ, ვიდრე მეზობელი ხალხების წინაპრებს, შესაბამისად ადგილი ქონდა ამ ხალხის მიერ სხვა ხალხებში კულტურის გავრცელებას.

- მითი ეთნიკური ერთგვარობის შესახებ – იმის უარყოფა, რომ ისტორიულად ადგილი ქონდა მოცემული ხალხის სხვა ხალხებთან აღრევას, შესაბამისად იმის ხაზგასმა, რომ ემ ხალხში მაღალი იყო ეთნიკური კონსოლიდაციის ხარისხი.
- მითი მტრის (მტრების) შესახებ – იმის კონსტატაცია, რომ მოცემული ხალხი ხშირად განიცდიდა მტრების შემთხვევებს, თუმცა მან დირსეულად გაუძლო ისტორიის ყველა ქარტებილს (Шнирельман, 2000: 22-23).

მიუხედავად ზემოთ მოცემული და სხვა მცდელობებისა ერისახელმწიფოები თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო და უფრო მძაფრი გამოწვევების წინაშე დგანან. უპირველეს ყოვლისა, ფართოვდება მოძრაობა დამოუკიდებლობის ან პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნით. ამ მოთხოვნებს საფუძვლად უდევს “ხალხთა თვითგამორკვევის” უფლება,<sup>30</sup> რომელსაც ყველა მხარე მისთვის სასურველ ინტერპრეტაციას აძლევს.

გლობალიზაციის პროცესმა რადიკალურად შეცვალა ერისახელმწიფოების მდგომარეობა. გლობალიზაცია თავისი არსით სახელმწიფოების არსებობის წინააღმდეგია. მსოფლიოში ერთიანი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებას ხელს უშლის სუვერენული ქვეყნების არსებობა. ნაციონალური მთავრობებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების ინტერესები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულია. პირველი ხელმძღვანელობს ეროვნული ინტერესებით, რომელშიც ფარულად თუ აშკარად პრევალირებს ეროვნული ინტერესები, ხოლო სუპრანაციონალური ეკონომიკური სტრუქტურები მოგებაზე არიან ორიენტირებულები. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ადამიანის უფლებების დაცვას. ამ უფლებების განუყოფილი ნაწილია უმცირესობების დაცვა. ადრე ადინიშნა, რომ უმცირესობების პოლიტიკური და კულტურული მოძრაობები ძალიან დიდ პრობლემებს უქმნიან ტრადიციული ტიპის სახელმწიფოს, უფრო მეტიც ისინი მას ასუსტებენ. ცნობილი თეზისი ხალხთა თვითგამორკვევის უფლება სახელმწიფოების ტერიტორიული ერთიანობის წინააღმდეგ, სხვაგვარად შეიძლება მოინათლოს, როგორც ტრანსნაციონალური კორპორაციები ერისახელმწიფოების წინააღმდეგ.

მეორე მხრივ, გლობალიზაციის პროცესმა გააძლიერა ცალკეული სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ჯგუფების როლი საზოგადოების ცხოვრებაში. ეს ჯგუფები ცდილობენ რა იყვნენ შესამჩნევი სოციალური აქტორები გამოდიან კულტურული თანასწორობის, უმცირესობათა უფლებების დაცვის და სხვა იდეებით. მათი მეცადინეობა თითქოს უნდა ასუსტებდეს ეროვნულ სახელმწიფოს, მაგრამ მსოფლიოს დიდ ნაწილში საპირისპირო რამ შეინიშნება. გლობალიზაციამ გააძლიერა უმცირესობათა იდენტობა და სურველი იბრძოლონ საკუთარი უფლებებისთვის, რაც ხშირად სეპარატიზმადეც მიდის; იმავდროულად, განსაკუთრებით განვითარებად და პატარა ქვეყნებში იზრდება ეროვნული უმრავლესობების თვითშეგნება იმისა, რომ მათ შეიძლება დაკარგონ ეროვნული სახელმწიფო, ანუ ის რის მშენებლობასაც მათ და მათმა წინაპრებმა საუკუნეები მოანდომეს. ამასთან დაკავშირებით, სპეციალისტები სულ უფრო ხშირად სვამენ შეკითხვას: რას

<sup>30</sup> გაეროს 1966 წლის პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის I მუხლში მოცემული “ხალხთა თვითგამორკვევის უფლება” სინამდვილეში პრინციპია და არა, საერთაშორისო სამართალის ნორმა. შესაბამისად მისი შესრულება-არშესრულება გაეროს წევრი-სახელმწიფოების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

უფრო უწყობს ხელს გლობალიზაციის პროცესი: მსოფლიოს კულტურულ პომოვნიზაციას თუ მრავალკულტურალიზმს?

დასავლეთ ევროპა თავისებურად ცდილობს მოაგვაროს აღნიშნული გამოწვევები. ევროკავშირი უნიკალური კულტურულ-ტერიტორიული ალიანსია. სიტყვა ალიანსის ხაზგასმა შემთხვევითი არ არის. ევროპა, თითქოს მიდის ერთიან სახელმწოფოდ ჩამოყალიბებისაკენ, მაგრამ ჯერ გაურკვეველია, რომელი ძალები გაიმარჯვებენ: ცენტრისკენული თუ ცენტრიდანული. შეიქმნება თუ არა საერთოეუროპული სოციალურ-კულტურული იდენტობა? იქნება თუ არა ეს იდენტობა უფრო ძლიერი, ვიდრე ცალკე აღებული თითოეული ევროპული ერის იდენტობა? ჩემი აზრით იდენტობის საკითხი გადამწყვეტია ევროკავშირის პოლიტიკური გაერთიანების გზაზე.

**ჩანართი №X** აღწერილია უნგრეთის სამეზობლოში გაფანტული უნგრული უმცირესობების ცხოვრების მნიშვნელოვანი სოციალურ-კულტურული ასპექტები. უნგრულ უმცირესობებზე ყურადღების შეჩერება შემთხვევით არ მომხდარა. ერთი მხრივ, ეს მაგალითი ტიპიურია ბევრი ევროპული უმცირესობისათვის და ნათლად ასახავს ერთაშორისი ურთიერთობებისა და კულტურული იდენტობის სპეციფიურ ნიშნებს, რომელიც დამახასიათებელი იყო ყოფილი სოციალისტური ბლოკის ქვეყნებისთვის. მეორე, მხრივ, ყურადსაღებია ევროკავშირის გამოცდილება ეთნიკური ურთიერთობების დაძაბულობის შემცირებაში.

**ჩანართი №**

### უნგრული უმცირესობა სლოვაკეთში

ევროინტეგრაციამ შეარყია მანმადე არსებული ურთიერთობები სახელმწიფოს, ერს, სუვერენიტეტსა და დემოკრატიას შორის. ყალიბდება მრავალწახნაგოვანი პოლიტიკური გაერთიანება გაბნეული სუვერენიტეტით. ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციები გადანაწილებულია მმართველობის სხვადასხვა დონეებზე. ადამიანის უფლებათა დაცვა დიდი ხანია აღარ არის მხოლოდ სახელმწიფოს პრეროგატივა. ამ სფეროში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო თანამეგობრობა. სხვა სიტყვებით, ადამიანის უფლებათა დაცვამ შეზღუდა სახელმწიფო სუვერენიტეტი და დაარღვია ქვეყნის საზღვრები და ეს ყველაზე თვალისაჩინოა ევროკავშირში.

ევროკავშირში შემცირდა დომინანტი ერის, როგორც სახელმწიფოს ერთადერთი “მფლობელის” როლი, შესაბამისად მისი სუვერენიტეტი ნაკლებად ვრცელდება უმცირესობების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე.

უმცირესობებთან მიმართებაში ცენტრალური ევროპის კონტექსტი მნიშვნელოვანად განსხვავდება დასაველეთ ევროპის ანლოგისაგან. ამ უკანასკნელში უმცირესობის ძირითად მასას II მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოსული იმიგრანტები შეადგენენ, რომელთა დღის წესრიგში არ დგას ეთნო-ტერიტორიული პრობლემატიკა. ევროპის ცენტრალ ნაწილში კი კომპაქტურად დასახლებული უმცირესობები თავს მკვიდრ (ავტოქტონურ) ერებად თვლიან, შესაბამისად მათ შორის ადგილი აქვს ირედენტისტულ მოძრაობას.

ამ მხრივ, ინტერესმოქლებული არ იქნება ცენტრალურ ევროპაში განსახლებული უნგრული უმცირესობების შემთხვევის განხილვა შემდეგი მიზეზების გამო: უნგრული უმცირესობები კომპაქტურად არიან დასახლებული რუმინეთში, სლოვაკეთში, სერბეთში, უკრაინაში, ავსტრიაში, ხორვატიასა და სლოვენიაში; უნგრელებს მიაჩინათ, რომ ამ ქვეყნებში ისინი მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენენ, რასაც ბოლომდე არ იზიარებს ყველა მეზობელი სახელმწიფო. ეთნიკური უნგრელების დისპერსიული განაწილება ევროპის ქვეყნების ტერიტორიაზე განპირობებული იყო რთული პოლიტიკური

პროცესებით, რომელთაც ადგილი ქონდათ ავსტრო-უნგრეთის დაშლის და ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდებში; უნგრეთის სახელმწიფოსა და მის სამეზობლოში მყოფ უნგრულ უმცირესობებს შორის ყოველთვის მჭიდრო კავშირი არსებობდა; უნგრულ უმცირესობას დაძაბული ურთიერთობა ქონდა ზოგიერთი ქვეყნის სატიტულო მოსახლეობასთან, რაც უარყოფითად აისახებოდა უნგრეთის და ამ ქვეყნების ურთიერთობებზეც.

ამჟამად, ზემოთ დასახელებული ქვეყნები, უკრაინის გარდა, ევროკავშირის წევრები არიან. აქედან გამომდინარე, საინტერესოა, როგორ ზეგავლენას ახდენს ევროპული რეგიონალიზმის და ტრანსნაციონალიზმის პოლიტიკა უნგრული უმცირესობების იდენტობაზე? რამდენად უწყობს ხელს საზღვრების გამჭვირვალობა და ეკონომიკური თანამშრომლობა ერთაშორისი დაძაბულობის შემცირებას, შესაბამისად პოლიტიკური სტაბილურობის ზრდას ევროკავშირის ტერიტორიაზე?

2005 წელს სლოვაკეთში ჩატარდა სოციოლოგიური გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო დაედგინა, როგორი ზეგავლენა იქნია ევროკავშირში გაწევრიანებამ ამ ქვეყანაში მოსახლე უნგრულ უმცირესობაზე. აღმოჩნდა, რომ ევროპულ ალიანსში გაწევრიანებიდან 1 წლის შემდეგ უნგრული უმცირესობის იდენტობა კვლავ გადაჭარბებულად ეთნიკური იყო: გამოკითხულთა 84% თავის თავს “სლოვაკეთში მცხოვრებ უნგრელებად” მიიჩნევდა, ხოლო სლოვაკეთს კი ადგილად, სადაც ისინი სახლობენ. პოლიტიკური თვალსაზრისით უნგრელების დიდი უმრავლესობა თავს ევროპელად აღიარებს და სჯერა, რომ სლოვაკეთსა და უნგრეთსა შორის დადებითი ურთიერთობები იქნება. სლოვაკეთის უნგრელებმა უადრესად დადებითად შეაფასეს ევროკავშირის ქვეყნებს შორის საზღვრების გაუქმება და დაადასტურეს, რომ მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რეგიონის სტაბილურობას. უნგრული უმცირესობა თავს აღარ გრძნობს სამშობლოსგან მოწყვეტილად, უფრო მეტიც მათ მიაჩნიათ, რომ ამჟამად ისინი უნგრული ერის ისეთივე განუყოფილ ნაწილს შეადგენენ, როგორც ეს ისტორიულ წარსულში იყო. მეორე მხრივ, სლოვაკეთის საზოგადოება, აღარ არის შეშფოთებული უნგრული ირედენტიზმის შესაძლო გამოვლინებით. მიუხედავად ამისა, დღის წესრიგში კვლავ არის გადაუჭრელი საკითხები. კონკრეტულად, ადამიანის უფლებადამცეველები აკრიტიკებენ სლოვაკეთის ხელისუფლებას იმის გამო, რომ ქვეყნის კონსტიტუციაში აღნიშნულია “სლოვაკი ერი”, მაგრამ არაფერია ნათქვამი უმცირესობებზე. ეს ლოდიკურად გამორიცხავს უმცირესობების უფლებას იყვნენ სლოვაკეთის სახელმწიფოს “თანამფლობელები”. გარდა ამისა, უნგრული უმცირესობა კრიტიკას არ იშურებს უნგრული წარმოშობის პოლიტიკოსების მიმართ, რომლებიც კონცენტრირებული არიან ეთნო-პოლიტიკურ პრობლემატიკაზე და ნაკლებ ყურადღებას უთმობენ უნგრელებით დასახლებული და ეკონომიკურად ჩამორჩენილი სამხრეთ სლოვაკეთის განვითარებას (Harris, 2009: 156).

მთლიანობაში, გამოკლევის შედეგებმა ცხადჰყო, რომ ერთი მხრივ, ევროპულ რეგიონალიზაციას ჯერ არ მოუტანია სასურველი შედეგები, მაგრამ, მეორე მხრივ დადასტურდა, რომ ევროპის მრავალკულტურულ რეგიონებში ტრანსნაციონალიზმი (ამ შემთხვევაში საზღვრების გახსნა) საკმაოდ ეფექტური საშუალებაა ეთნიკური დაძაბულობის განმუხტვის მხრივ (იქვე: 157).

### ნაციონალიზმი, როგორც დოქტრინა

ნაციონალიზმი, მისი კრიტიკოსების აზრით, არ არის სრულფასოვანი იდეოლოგია და უკეთესს შემთხვევაში ის დოქტრინას წარმოადგენს. ნაციონალიზმი ნამდვილად გამოირჩევა “ფილოსოფიური სიღარიბით”, თუ შევადარებოთ ისეთ ფუნდამენტურ თეორიულ იდეოლოგიებს, როგორებიცაა

ლიბერალიზმი, სოციალიზმი, კონსერვატიზმი. გარდა ამისა, კლასიკური “ფილოსოფიები” უნივერსალური ხასიათის მოძღვრებებია, ხოლო ნაციონალიზმი ეროვნული მასშტაბით შემოიფარგლება. “ნაციონალიზმი, როგორც ასეთი პრევალირებს, მაგრამ არა რომელიმე სახის ნაციონალიზმი” (Gellner, 1983: 42-48). ირლანდიურ, რუსულ, ფრანგულ, ქართულ, სომხურ ნაციონალიზმებს შორის ბევრი საერთო ნიშნები აქვთ, მაგრამ მათ შორის უამრავი განსხვავებაცაა.

მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალიზმი არ წარმოადგენს მწყობრ ერთიან თეორიას მაიც შესაძლებელია მისი ფუნდამენტური (საბაზო) დებულებების შემდეგი სახით ჩამოყალიბება:

1. მსოფლიო შედგება ერებისაგან, რომელთაგანაც თითოეული გამოირჩევა უნიკალური ხასიათით, ისტორიითა და რწმენით.
2. ერი პოლიტიკური ძალაუფლების ერთადერთი წყაროა.
3. ერისადმი ლოიალობა ყველა სხვა სახის ლოიალობაზე მაღლა დგას.
4. ინდივიდი, მხოლოდ მაშინ არის თავისუფალი, როდესაც ის რომელიმე ერს წარმოადგენს.
5. ყოველი ერი იღწვის თვითგამოხატვისა და თვითმმართველობისაკენ (ავტონომიურობისაკენ).
6. მსოფლიოში მშვიდობა და თანასწორობა მიღწვევადია აგტონომიურ ერთა არსებობის შემთხვევაში (Smith, 2001: 22).

მთლიანობაში, ეს ჩამონათვალი წარმოადგენს ნაციონალიზმის დოქტრინას, რომელიც უკანასკნელი დებულების გამოკლებით, ასახავს ამ დარგის თვალსაჩინო თეორეტიკოსების ჰერდერის, რუსოს, ციმერმანის, ჯეფერსონის, მაძინის და მათი თანამედროვე მიმდევრების ნააზრევს. დოქტრინაში მოცემული პირველი ხუთი დებულება საერთოა ნებისმიერი სახის ნაციონალიზმისათვის, თუმცა ყველა ხალხის ნაციონალიზმს მისთვის დამახასიათებელი ნიშნებიც გააჩნია. ნაციონალიზმის შოტლანდიული მკვლევარი ტომ ნაირნი აღნიშნავს, რომ არსებობს ნაციონალ-იზმი, ე.ი. იდეოლოგია და ნაციონალ-იზმი, როგორც უნიკალური მოვლენა (Nairn, 1977). ნაირნის მიხედვით გამოდის, რომ ყველა ერის ნაციონალიზმისთვის ერთნაირი იდეოლოგია არის დამახასიათებელი, ხოლო ერის მშენებლობის (ჩამოყალიბების) პროცესი სხვადასხვა ერებში განსხვავებულად მიმდინარეობს.

ცნობილმა გეოგრაფიებმა ბრიტანელმა პიტერ ტეილორმა და ამერიკელმა კოლინ ფლინტმა გააქტიურიანეს ლეონარდ ტივის (იხ. Tivey, 1981: 5-6) და ენტონის სმიტის (იხ. Smith, 2001: 22) ნაშრომებში მოცემული ნაციონალიზმის დოქტრინის ძირითადი დებულებები და შემოგვთავაზებს მათი კლასიფიკაცია გეოგრაფიული მასშტაბების და დონეების მიხედვით (იხ. ცხრილი №).

ცხრილი №

ნაციონალიზმის ძირითადი დებულებები მასშტაბებისა და დონეების მიხედვით

№	მასშტაბი / დონე	ნაციონალიზმის დებულებები
ა1	მაკრო /	მსოფლიო წარმოადგენს ერების მოზაიკას
ა2	გლობალური	ერ-სახელმწიფოთა სისტემაში ამ მოზაიკის არსებობა განაპირობებს მსოფლიო წესრიგს და ჰარმონიას
ბ1		ერები საზოგადოების ბუნებრივი ერთობებია (გაერთიანებებია)
ბ2		ერებისთვის დამახასიათებელია კულტურული

	მეზო / სახელმწიფო	პომოგენურობა, რაც განპირობებულია საერთო წარმომავლობით და/ან ისტორიით
ბ3		ყოველ ერს ესაჭიროება საკუთარი სუვერენული სახელმწიფო, რომელიც მისი კულტურის ნამდვილი კერა იქნება
ბ4		ყველა ერის კანონიერი უფლებაა ქონდეს საკუთარი ტერიტორია.
გ1		ნებისმიერი ინდივიდი ერის წევრი უნდა იყოს
გ2	პიროვნელი	პიროვნება უპირველეს ყოვლისა ერის ერთგული უნდა იყოს
გ3		მხოლოდ ერის წევრობა აძლევს პიროვნებას საშუალებას მიაღწიოს ჭეშმარიტ თავისუფლებას

წყარო: (Taylor & Flint, 2007: 163).

გეოგრაფიულმა მიღვომამ საშუალება მისცა ტეილორსა და ფლინტს ნაციონალიზმის დოქტრინის შესახებ შემდეგი დასკვნები გამოეტანათ:

- მსოფლიო დაყოფილია ერ-სახელმწიფოებად, შესაბამისად ის პოლიტიკურად ერთიანი არ არის. ეს არის ნაციონალიზმის მახასიათებელი გლობალურ დონეზე;
- ნაციონალიზმის სამოქმედო არენას ერი-სახელმწიფო წარმოადგენს. ეს ნაციონალიზმის მახასიათებელია მეზო მასშტაბით ე.ი. სახელმწიფო დონეზე.
- ნაციონალიზმის დოქტრინა გვერდს უვლის ლოკალურ დონეს.

ნაციონალიზმის დოქტრინაში უგულვებელყოფილია მიკრო დონეზე არსებული პროცესები, არადა ნაციონალიზმის, როგორც პროცესის გამოვლინებები ლოკალურ დონეზე ინტენსურიად მიმდინარეობს. შესაბამისად, ეს განსახილველი დოქტრინის მნიშვნელოვანი ნაკლია. მეორე მხრივ, ნაციონალიზმის დოქტრინაში ფიგურირებს ინდივიდი, ე.ი. პერსონალური დონე, რაც საერთოდ არ გხევდება გეოგრაფიულ დონეთა სკალაზე. სხვა სიტყვებით, ასეთი სახის მასშტაბს გეოგრაფია არ ცნობს. აქედან გამომდინარე, შეიძლება იმის კონსტატაციაც, რომ არც გეოგრაფიული მასშტაბების კლასიფიკაცია არის სრულყოფილი.

ნაციონალიზმის დოქტრინის კრიტიკოსები განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ “ერთა მსოფლიო” არ და ვერ შედგა. სახელმწიფოები, ძირითადად კი ძლიერი მათგანები, ჯერ ერთი ეწინააღმდეგებიან დამოუკიდებლობის არმქონე ერების ავტონომიურობას და, გარდა ამისა ცდილობენ მსოფლიო წესრიგი საკუთარ ინტერესებს შეუსაბამონ. შედეგად, ოპონენტთა აზრით, “ერთა მსოფლიო” სხვა არაფერი, თუ არა თეორიული კონცეფტი.

მთლიანობაში, ნაციონალიზმის ყველაზე მძაფრ კრიტიკას სწორედ მისი თეორიული ხასიათი იმსახურებს. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ნაციონალიზმის დოქტრინა სავსეა განუხორციელებელი ამოცანებით. თუმცა, ამ კრიტიკის ავტორებს მხედველობიდან გამორჩათ, რომ მარქსიზმიც სავსეა უტოპიური იდეებით, თუმცა ის მაინც ფუნდამენტური მოძღვრების მანტიით არის შემოსილი.

### ეთნიკური და ხოციალური ნაციონალიზმი

ნაციონალიზმის განვითრება ხდებოდა და ხდება ორი ფუნდამენტური განსხვავებული პრინციპის: ტრადიციონალიზმისა და რაციონალურობის

ჭიდილის პირობებში (Barnard, 1983: 252). ამ პრინციპების ურთიერთდამოკიდებულება სხვაგვარად შეიძლება აღიწეროს, როგორც ისტორიული პაქტობა ინდივიდსა და ადამიანთა ერთობას ან თვითგანსახიერებასა და თვით-შეგნებას ან სამოქალაქოსა და ეთნო-კულტურულს შორის (Harris, 2009: 29). ამ თვალსაზრისით განასხვავებენ სამოქალაქო და ეთნიკურ ნაციონალიზმებს. ისრაელელი მეცნიერი, ამჟამად ბოსტონის უნივერსიტეტის პროფესორი, ქნი ლია გრინფელდი მიიჩნევს, რომ პირველი ასოცირებულია მოქალაქეობასთან, ხოლო მეორე პარტიკულარიზმთან და კოლექტიურობასთან. ზოგადად, ასეთი მიდგომა შეიძლება არასწორიც იყოს, რადგან არ არის დასაბუთებული, თუ რატომ არის წარმოდგენილი ტერმინები ეთნიკური და სამოქალაქო დისოციალის<sup>31</sup> სახით.

სამაგიეროდ, გაცილიებით ლოგიკურად გამოიყურება გერმანელი მეცნიერის ჰანს კონის მიერ ჯერ კიდევ 1944 წ. დისოციალის სახით წარმოდგენილი ტერმინები – “დასავლური და აღმოსავლური ნაციონალიზმები” (იგულისხმება დასავლეთ ევროპა და აღმოსავლეთ ევროპა). კონი მიუთითებს, რომ დასავლეთ ევროპაში ბურჟუაზიამ შესძლო მოქალაქეობის ინსტიტუტზე დაფუძნებული სამოქალაქო ხასიათის საზოგადოების ჩამოყალიბება. ერისახელმწიფოს ფორმირება, კაპიტალიზმის განვითარების ერთ-ერთი ბუნებრივი შედეგი იყო. კაპიტალიზმის წიაღიდან შობილ საზოგადოებას, უპირველეს ყოვლისა აერთიანებდა საერთო ტერიტორია და უფლება-მოვალეობები (კანონმდებლობის ჩათვლით). აღმოსავლეთ ევროპისა და მსოფლიოს სხვა რეგიონებში ერთ განიხილებოდა, როგორც საერთო კულტურისა და წარმომავლობის მქონე ადამიანთა ერთობა. თუმცა კონის მიერ შემოთავაზებულ დაყოფაში გვხვდება გამონაკლისები. მაგ., ჩეხური ნაციონალიზმი, რომელიც მოცემული კლასიფიკაციით აღმოსავლურ ნაციონალიზმში შედის, თავის ბუნებით დასავლურია და, პირიქით ირლანდიური ნაციონალიზმი აღმოსავლეთ-ევროპული ნაციონალიზმის ნიშნების მატარებელია (Smith, 2001: 40). ამ უზუსტობების მიუხედავად, კონის კლასიფიკაცია საკმაოდ მაღალ მეცნიერულ დონეზე არის შესრულებული.

#### ცხრილი №

**დასავლური და აღმოსავლური საზოგადოებების მახასიათებლები  
(ჰანს კონის მიხედვით)**

<b>დასავლური საზოგადოების ნიშნები</b>	<b>აღმოსავლური საზოგადოების ნიშნები</b>
ლია საზოგადოება	ჩაკეტილი საზოგადოება
რეალიზმი	იდეალიზმი
მოქალაქეთა კავშირი	ხალხის საზოგადოება
ინდივიდუალიზმი	კოლექტივიზმი
თვითორწმენა	ქვემდგომობის, არასრულფასოვნების კომპლექსი
ბურჟუაზიის მსარდაჭერა	არისტოკრატიული წამოშობა

წყარო: Kohn, Hans (1944). *The Idea of Nationalism*. Collier Books: New York.

ნაციონალიზმის ტერიტორიული კლასიფიკაცია სხვა მეცნიერებმაც შემოგვთავაზეს. მაგ., ჰიუ სეტონ-უოტსონი დასავლურ ევროპულ ნაციონალიზმს “დველ ანუ უწყვეტ ნაციონალიზმს”, ხოლო აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის ნაციონალიზმს “ახალ ნაციონალიზმს” უწოდებს. აღნიშნული რეგიონების

<sup>31</sup> დისოციალია – მთელი, რომელიც ორ ურთიერთგამომრიცხავ ნაწილადაა დაყოფილი.

ნაციონალიზმების დახასიათებისას ენტონი დ. სმიტი ხმარობს ტერმინებს, შესაბამისად “ტერიტორული” და “ეთნიკური” (ibid).

ნაციონალიზმისადმი აღმოსავლეთ-ევროპული მიდგომის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს XX ს.-ის პირველ ნახევარში მოღვაწე ცნობილი ქართველი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის მიხაკო წერეთლის განმარტებები ხალხის, საზოგადოებისა და ერის შესახებ. წერეთლის აზრით ხალხი ინდივიდების უბრალო გაერთიანებაა ანუ ის წარმოადგენს მასალას ერის ფორმირებისთვის. მაგ., საქართველოს ისტორიის იმ პერიოდებს, როდესაც ქვეყანა დაქუცმაცებული იყო სამთავროებად ან სამეფოებად არ შეიძლება ეწოდოს ქართველი ერის ისტორია. ქართველი მეცნიერის მტკიცებით, ამ პერიოდებში საქმე გვაქვს ქართველი ხალხის და არა ქართველი ერის ისტორიასთან. ერის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია ერთიანი სივრცის შექმნა, სადაც სახეზეა კარგად ორგანიზებული სოციალური ურთიერთობები, რომელიც მხოლოდ სახელმწიფოს არსებობის პირობებშია შესაძლებელი. ამასთან, წერეთლი ხაზს უსვამდა იმას, რომ სახელმწიფოს შექმნა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ერად ჩამოყალიბებას, თუნდაც მის მოსახლეობას გააჩნდეს ერთიანი სოციალური და პოლიტიკური დირექტულებები. მისი აზრით, ერი არის მხოლოდ ის სოციალური პიპერ-ორგანიზმი, რომლის წევრებს გააჩნიათ საერთო კულტურული დირექტულებები. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო დასახლებულია სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფებით, მაშინ საქმე გვაქვს საზოგადოებასთან. (მიხაკო წერეთელი (19). ერი და კაცობრიობა. თბილისი).

ამასთან, მსოფლიოს დასავლეურ და აღმოსავლეურ ნაციონალიზმებად დაყოფა სულაც არ ნიშნავს, რომ პირველი სრულად უზრუნველყოფს ადამიანის, მათ შორის უმცირესობათა უფლებებს, ხოლო მეორე პირიქით. მაგ., საფრანგეთის ასამბლეის ერთ-ერთმა წევრმა თავის დროზე განაცხადა: “ებრაელი, როგორც პიროვნება უზრუნველყოფილი იქნება ყველაფრით, მაგრამ, როგორც ეთნიკური ებრაელი – არაფრით” (იქვე). აღსანიშნავია, რომ 200 წელზე მეტი წელის წინ წარმოთქმული ეს ფრაზა წითელ ხაზად გასდევს ყველა ერის ნაციონალიზმს. ისტორიულად ნებისმიერი საზოგადოება, მათ შორის დასავლეურიც კონკრეტული ეთნოსის გარშემო “იკრიბებოდა”. “სამოქალაქო ნაციონალიზმის” ქვეყნებშიც კი სახელმწიფო ეთნიკური პოლიტიკა, როგორც წესი მორგებულია უმრავლესობაზე. აშშ იმიგრანტების მიერ შექმნილი ქვეყანაა და ის თითქოს ტოლერანტული უნდა ყოფილიყო უმცირესობების მიმართ, მაგრამ დიდი წელის განმავლობაში ამერიკული პოლიტიკა მნიშვნელოვანწილად “ანგლო-საქსური ბირთვის” სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ინტერესებს ასახავდა. იგივე შეიძლება ითქვას ავსტრალიაზეც.

ენტონი სმიტი აღნიშნავს, რომ ეთნიკური ნაციონალიზმის დაპირისპირება სამოქალაქო ნაციონალიზმთან ისტორიზმის კუთხით არაკორექტულია, ხოლო სოციოლოგიური თვალსაზრისით კი შეცდომაში შემყვანი. ეთნონაციები ეტაპობრივად გარდაიქმნენ მრავალკულტურულ ტერიტორიულ-პოლიტიკურ ერთობებად (Smith, 2010: 109-110). ტომ ნაირნის განმარტებით თანამედროვე ერი-სახელმწიფოები “იანუს”<sup>32</sup> მოგვაგონებენ (Nairn, 1997: 71), რომელებიც, ერთი მხრივ, განსაზღვრავენ შიდა-ეროვნულ პოლიტიკას, ხოლო, მეორე მხრივ ჩართული არიან საერთაშორისო პოლიტიკაში. სხვა სიტყვებით, ერი-სახელმწიფოები განსაზღვრავენ “წარმოსახვითი საზოგადოებების” დრო-

<sup>32</sup> იანუსი (ლათ. *Ianus*) – ორსახოვანი დვოაება. რომაული მითოლოგიის მიხედვით ის მფარველობდა ქალაქების კარიბჭეებს, ტაძრების შესასვლელებსა და გასასვლელებს. ლიტერატურასა და მეცნიერებაში იანუსის სახე გამოიყენება პიროვნების ან მოვლენის დუალისტური (გაორებული) ბუნების აღსანიშნავად. (გაორებული) ბუნების აღსანიშნავად.

სივრცით იდენტობებს და ამით ქმნიან დერძს, რომლის გარშემოც “ბრუნავს” თანამედროვე მსოფლიო-სისტემა (Taylor & Flint, 2007: 191).

### ნაციონალიზმის ხახვები<sup>33</sup>

ნაციონალიზმი, როგორც, იდეოლოგია ან მრავალწახნაგოვანი მოვლენა განსხვავებულად ვლინდებოდა სხვადასხვა ისტორიული პერიოდებსა და ხალხებში. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ნაციონლიზმის ყველაზე გავრცელებული ტიპების გამოყოფა.

ნაციონალიზმის ყველაზე გავრცელებული სახეა განმანთავისუფლებელი ნაციონალიზმი (*Liberation Nationalism*). XVIII ს.-დან მოყოლებული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის შედეგად დამოუკიდებლობა მოიპოვა ლათინური ამერიკის, ხოლო უბავე XX ს.-ში აღმოსავლეთ ევროპის, აზიანა და აფრიკის 100-ზე მეტმა ქვეყანამ.

გამაერთიანებელი ნაციონალიზმი (*Unification Nationalism*) დამახასიათებელი იყო იმ ევროპელი ერებისთვის, რომლებიც შეა საუკუნეებში გაფანტული იყო მრავალ ქალაქ-სახელმწიფოსა და სამთავროებში. XIX ს.-ში “ნაპოლეონის ომების” შემდეგ ევროპაში ნაციონალიზმის განვითარებასთან ერთად დაიწყო ერი-სახელმწიფოების ეტაპობრივი ჩამოყალიბება. ამ პროცესს იმპულსი მისცა გერმანული მიწების გაერთიანებამ ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში. ზოგიერთი სპეციალისტი გამაერთიანებელ ნაციონალიზმში გამოყოფს ორ ქვეტის: რიზორჯიმებრო ნაციონალიზმს (*Risorgimento Nationalism*) და ინტეგრალურ ნაციონალიზმს (*Integral Nationalism*). პირველი აქტუალური იყო იმ ევროპელი ხალხებისთვის (მაგ., იტალიელები, ბერძნები, სერბები) რომლებიც XVII ს.-დან მოყოლებული რამდენიმე საუკუნის განმავლობაში დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისთვის იძრძოდნენ. ინტეგრალური ნაციონალიზმის შემთხვევაში საქმე გვაქს დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან, სადაც ხელისუფლება (ელიტა) ცდილობს ერი გააერთიანოს საერთო პოლიტიკური მიზნების გარშემო. გარკვეულ შემთხვევებში ინტეგრალური ნაციონალიზმა შეიძლება რადიკალური ხასიათი მიიღოს. ასე მოხდა, მაგ. 1920-30-იანი წლების გერმანიაში, როდესაც ნაციონალურ-სოციალისტურმა პარტიამ გერმანელები ნაცისტური იდეების გარშემო გააერთიანა.

ჩანართი №

### ნაციონალ-სოციალიზმი (ნაციზმი)

ნაციონალ-სოციალიზმი ანუ ნაციზმი 1933-45 წლებში წარმოადგენდა ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის მუშათა პარტიის (*Nationalsozialistische Deutsche Arbeiterpartei*, აბრევიატურა NSDAP) იდეოლოგიურ დოქტრინას. ნაციზმის იდეოლოგიის წანამდლობრებად მიიჩნევა გობინოს<sup>34</sup>, ჩემბერლენის<sup>35</sup> და ტრეიჩკეს<sup>36</sup>

<sup>33</sup> ნაციონალიზმის ტიპები (სახეები) ზედმიწევნით დეტალურად არის აღწერილი ქართველი მეცნიერის ზურაბ დავითაშვილის მონოგრაფიაში “ნაციონალიზმი და გლობალიზაცია”. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად არ მიმართია მოცემულ სახელმძღვანელოში ამ საკითხის ფართო განხილვა.

<sup>34</sup> უოზევ არტურ კონტ და გობინო (*Joseph Arthur comte de Gobineau*) მე-18 საუკუნის ფრანგი დიპლომატი და მოაზროვნე, რომელმაც ჩამოაყალიბა იდეები ჩრდილოური რასის უზენაესობის შესახებ.

<sup>35</sup> ჰუსტონ სტიუარტ ჩემბერლენი (*Houston Stewart Chamberlain*) მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის დასაწყისის ანგლო-გერმანელი მწერალი, ფილოსოფი, სოციოლოგი. მას სკანდალური პოპულარობა მოუტანა 1899 წელს გამოქვეყნებულმა ნაშრომმა “XIX საუკუნის საფუძვლები”. ამ ნაშრომში ჩემბერლენი ამტკიცებდა, რომ ევროპული კულტურა არის ბერძნული

ნაზრევი. ამ მეცნიერების გარკვეულ იდეებს ნაცისტებმა საკუთარი ინტერპრეტაცია გაუკეთეს. ნაციონალ-სოციალიზმის დოგმატები შეიმუშავა ფანატიკოსმა ნაცისტმა ალფრედ როზენბერგმა, რომელიც მოგვიანებით გამოიყენა ნაცისტების ლიდერმა ადოლფ ჰიტლერმა თავის ნაშრომში “ჩემი ბრძოლა” (*Main Kampf*).

გერმანელები თავს დამცირებულად გრძნობდნენ პირველი მსოფლიო ომის შედეგებით, განსაკუთრებით კი ვერსალის 1919 წლის ხელშეკრულების პირობებით. 1920-იანი წლების დასაწყისში გერმანიაში მრავალი რადიკალური ორგანიზაცია შეიქმნა, რომელიც მიზნად ისახავდა გერმანიის აღორძინებას და ვერსალის “კაბალური” დოკუმენტის ანულირებას. 1920 წელს პოლიტიკურ არენაზე გამოვიდნენ ადოლფ ჰიტლერი და მისი მომხრეები, რომლებმაც ნაცისტური პროგრამის პრეზენტაცია მიუწენის ერთ-ერთ ლუდხანაში მოაწყვეს. 25 თებერვალი შემდგარი ეს პროგრამა პოპულისტური ხასიათის იყო და მიზნად ისახავდა დაბალი და საშუალო კლასის გერმანელების გრძნობებზე თამაშს. ნაციონალ-სოციალისტების გამოსვლებში მიჩქმალული იყო გერმანიის სამხედრო და სოციალურ-ეკონომიკური წარუმატებლობის რეალური მიზეზები და განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა გერმანელთა წინააღმდეგ შეთქმულებაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ კომუნისტები, დემოკრატები და, რაც მთავარია ებრაელები და მათთან დაკავშირებული მასონური ორგანიზაციები.

**ნაცისტური იდეოლოგიის ქვაკუთხედს შემდეგი დებულებები წარმოადგენდა:**

- ჩრდილოური (ნორდიკული) რასის, “არიულობის”, მეცნიერული რასიზმის იდეალიზაცია;
- ანტიკომუნიზმის, ანტისემიტიზმის, ლიბერალური დემოკრატიის, ანტიამერიკანიზმის და ანტიბარქსიზმის ხახლმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანა;
- ადოლფ ჰიტლერის პიროვნების კულტის დამკიდრება;
- გერმანიის ტერიტორიის გაწმენდა უცხო ხეველებისგან, განსაკუთრებით ებრაელებისგან;
- ხალხის განთავისუფლება მსოფლიო ფინანსური კაპიტალისა დიქტატისგან. მცირე მეწარმეების, ხელოსნეების და თავისუფალი პროგენის შემოქმედებითი ადამინების წახალისება;
- შეიარაღებული ძალების (ვერმახტის) აღორძინება. ხავალდებულო სამხედრო ხამსახურის შემოღება. ჯარში კომუნისტური, ბოლშევიკური და პაციფისტური იდეების გავრცელების დაუშვებლობა;
- ახალგაზრდობის სამხედრო სულისკვეთებით აღზრდა. მათი იმაში დარწმუნება, რომ გერმანელების ხსნა მხოლოდ ბრძოლაშია.
- შეურიგებელი დამოკიდებულება იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც არ დაემორჩილებიან დასახული ამოცანების შესრულებას. მათი იძულება ამ ამოცანების განხორცილებაში.

---

ხელოვნების, ლიტერატურის და ფილოსოფიის, რომაული სახელმწიფო მმართველობის ფორმისა და სისტემის და პროტესტანტული მიმართულების ქრისტიანობის სინთეზი. ის გამოდიოდა ზოგადად იუდაიზმის და კონკრეტულად ებრაელობის წინააღმდეგ.

<sup>36</sup> ჰაინრიხ ფონ ტრეიცხე (Heinrich von Treitschke) XIX ს.-ის ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი, რომელიც გამოირჩოდა ანტისემიტური იდეებით.

მთლიანობაში, ნაციზმი ცდილობდა ცხოვრებაში გაეტარებინა პიტლერის ცხობილი ლოზუნგი: “ერთი ხალხი, ერთი ქვეყანა, ერთი ბეჭდადი” (Ein Volk, Ein Reich, Ein Führer). პიტლერის აზრით, ქვეყანაში გამეფებული უმუშევრობის და კონსისტენციის სტაგნაციის დაძლევის გამოსავალი იყო ახალი ტერიტორიების აოვისება, რადგან გერმანიას “სახიცოცხლო სივრცე”<sup>37</sup> არ ყოფნიდა. ნაცისტების ლიდერი აშკარად და დიად მოუწოდებდა ომისკენ. მიუხედავად, უაღრესად რადიკალური და არაპუმანური იდეებისა ნაციონალურ-სოციალისტურმა პარტიამ მოიგო საპარლამენტო არჩევნები, პიტლერი ქვეყნის კანცლერი გახდა, ხოლო ცოტა ხანში ნაცისტებმა ძალაუფლების უზურპაცია მოახდინეს და დაიწყებ საკუთარი იდეების რეალიზაცია.

როგორც აღინიშნა ნაცისტურ იდეოლოგიაში განსაკუთრებული ადგილი ანტისემიტიზმს ეკავა. 1933-45 წლებში ნაციზმის მსხვერპლი 6 მილიონამდე ებრაელი გახდა. საეციალისტთა ნაწილის აზრით, ებრაელთა გენოციდის მიზეზები მარტო ნაციზმის იდეოლოგიაში და პრაქტიკაში არ უნდა ვეძებოთ. ამ ტრაგედიაში, სამწუხაროდ მნიშვნელოვანი როლი უბრალო გერმანელებმაც ითამაშეს (Bauer, 2002: 48). მაგრამ, მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობამ, რბილად, რომ ვთქათ, საკმაოდ ზერებულება დამოკიდებულება გამოავლინა ებრაელთა პრობლემებისადმი. 1938 წელს, როდებაც გერმანიაში უკვე მიმდინარეობდა ებრაელთა დეკნა და დეპორტაცია, აშშ-ის პრეზიდენტ რუზველტის ინიციატივით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომლის მიზანი იყო ებრაელი ლტოლვილების საკითხზე გადაწყვეტილების მიღება. კონფერენცია უშედეგოდ დამთავრდა, რადგან 32 მონაწილე ქვეყნიდან მხოლოდ დომინიკის რესპუბლიკის განაცხადა მზადყოფნა მიეღო ებრაელი დეკნილები. ამგავრი დამოკიდებულების შედეგად ბევრი ებრაელმა ვერ შეხძლო გერმანიის დატოვება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ წასახლელი არსად ქონდა და მოგვიანებით ნაციზმის მსხვერპლი გახდა.

II მსოფლიო ომის დროს ნაცისტებმა უკროპის რამდენიმე ქვეყანაში საკონცენტრაციო ბანაკები შექმნეს, რომელთა ერთ ნაწილში მხოლოდ ებრაელები იყვნენ თავმოყრილნი. რამდენიმე ბანაკის ტერიტორიაზე განთავსებული იყო გაზის კამერები და კრემატორიუმი. მთელი ეპროპიდან ებრაელები ამ ბანაკებში გადმოყავდათ, სადაც ხდებოდა მათზე არაადამიანური ექსაერიმენტების ჩატარება, მათი ექსპლუატაცია, დამცირება და საბოლოო ჯამში მასობრივ განადგურება. პოლოკოსტის<sup>38</sup> შედეგად დაღუპულ ებრაელთა ნახევარი, ე.ო. თითქმის 3 მილიონი, საკონცენტრაციო ბანაკებზე მოდის (Hilberg, 2003). მარტო აუშვიცის ბანაკში 1,4 მილ. ებრაელი დახოცეს. პოლოკოსტის პერიოდში დაღუპულ ებრაელთა მნიშვნელოვანი ნაწილი პოლონეთიდან (3,3 მილ.) და საბჭოთა კავშირშიდან (2,5 მილ.) იყო (Dawidowicz, 1986: 403).

ნაცისტური პოლიტიკა მარტო ებრაელების წინააღმდეგ არ იყო მიმართული. ნაციზმის ანტისემანური პოლიტიკის სამიზნები იყვნენ სლავები, ბოშები (დაიღუპა დაახ. 150-200 ათასი მათგანი), შავკანიანები, სექსუალური

<sup>37</sup> გერმანიის სახიცოცხლო სივრცის (Lebensraum) გაფართოების იდეა ეპუთვნის ცხობილ გერმანელ გეოპოლიტიკოსს კარლ ჰაუსკოფერს.

<sup>38</sup> ამ ტერმინით აღინიშნება ნაცისტების და მათი კოლაბორაციონისტების მიერ 1933-45 წლებში ეპროპაში ებრაელთა შევიწროება, დეკნა და მასობრივი განადგურება.

უმცირესობები, ფხიქიკურად დაავადებული ადამიანები, იქლოვას მოწმეები, ვრანჯომასონები და ა.შ.

ნაციზმი დაახლეობით 60 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. II მსოფლიო ომის შემდეგ მოეწყო “ნიურნბერგის პროცესი”, სადაც ნაციზმი და მისი ბელადები გაასამართლეს. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ნაციზმი და ფაშიზმი კანონგარეშედ არის გამოცხადებული.

გარდა მითითებულისა, ინფორმაცია აღებულია შემდეგი წყაროებდან:

[http://en.wikipedia.org/wiki/The\\_Holocaust#cite\\_note-261](http://en.wikipedia.org/wiki/The_Holocaust#cite_note-261) და

<http://www.factmonster.com/ce6/history/A0859882.html>

ნაციზმი ნაციონალიზმის ერთადერთი მახინჯი ფორმა არ ყოფილა. ჯერ კიდევ წინა საუკუნის 80-90-იან წლებამდე სამხრეთ აფრიკის ორ სახელმწიფოში, კერძოდ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და სამხრეთ როდეზიაში (ამჟამად ზიმბაბვე) ოფიციალურ სახელმწიფო პოლიტიკას აპარტეიდი წარმოადგენდა. მმართველობის ეს ფორმა სახელმწიფო პოლიტიკის ქვაკუთხედად მიიჩნევდა თეთრი რასის უპირატესობას, რის შედეგადაც ადგილი ქონდა სხვა რასების წარმომადგენელთა დისკრიმინაციას.

ჩანართი №

#### აპარტეიდი

აპარტეიდის ისტორია ოფიციალურად 1948 წლიდან იწყება, როდესაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის (მაშინ მას სამხრეთ აფრიკის კავშირი ერქვა) მთავრობის უმრავლესობაში აფრიკანერები<sup>39</sup> აღმოჩნდნენ, რომლებმაც რადიკალური რასობრივი სეგრეგაციის პოლიტიკა განახორციელეს.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ისტორია უკანასკნელი 4 საუკუნის განმავლობაში სავსე იყო დრამატიზიმით. სამხრეთ აფრიკა სამხრეთ ნახევარსფეროში გამოირჩევა თავის სტრატეგიული მდებარეობით, რომელიც მდებარეობს აფრიკის, სამხრეთ ამერიკის და აზია-ოკენეთის გაზჯვარედინზე-სუეცის არხის ამოქმედებამდე ამერიკებიდან და ევროპიდან აზიასა და ოკეანეთში მიმავალი ხომალდებისთვის ის უმნიშვნელოვანესს სატრანზიტო პუნქტს წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, სამხრეთ აფრიკა ჯერ კიდევ XVII ს.-ის შუა პერიოდში გახდა ევროპული, კერძოდ პოლანდიური კოლონიზაციის ობიექტი.

XVIII ს.-ის ბოლოს – XIX ს.-ის დასაწყისში სამხრეთ აფრიკის სამხრეთ სანაპირო ბრიტანეთის მფლობელობაში გადავიდა, სადაც კაპის კოლონია შეიქმნა. პოლანდიელები, რომლებიც თავის თავს ბურებს<sup>40</sup> უწოდებდნენ იძულებული იყვნენ ქვეყნის სიდრმეში გადასახლებულიყვნენ, სადაც დაარსეს ორი სახელმწიფო: ორანჟის რესპუბლიკა და რესპუბლიკა ტრანსვაალი. ოქროს და ალმასების საბადოების აღმოჩნასთან ერთად სამხრეთ აფრიკაში დაიწყო ევროპელთა მასობრივი გადასახლება. ანგლო-ბურთა ომების შედეგად 1910 წელს შეიქმნა სამხრეთ აფრიკის კავშირი (საკ), რომელშიც ზემოთ დასახლებული ტერიტორიების გარდა შევიდა ნატალი. ეს კავშირი ბრიტანეთის დომინონს

<sup>39</sup> აფრიკანერები – სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფი, რომელიც ჩამოყალიბდა ძირითადად პოლანდიელების, ასევე ფლამანდილების, ფრიზების, გერმანელების, ფრანგების და სხვა ევროპელების შერევის შედეგად. ისიბი საუბრობენ აფრიკანსზე, რომელიც შეიქმნა XVII ს.-ის პოლანდიურ ენის საფუძველზე.

<sup>40</sup> ბური პოლანდიური სიტყვაა და ნიშნავს გლეხს, ფერმერს.

წარმოადგენდა. 1931 წელს საკ-მა ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობა მიიღო. ამ კავშირს II მსოფლიო ომში მონაწილეობა არ მიუღია, რადგან, ერთი მხრივ, არ სურდა ბრიტანეთს დაპირისპირებოდა, ხოლო, მეორე მხრივ ის გერმანელ ნაცისტებს თანაუგრძნობდა. 1961 წელს საკ-ს სახელი გადაერქვა და ის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკად (სარ) გამოცხადდა.

ევროპელი კოლონიზატორების დაპირისპირების ფონზე უარესდებოდა სამხრეთ აფრიკელი მკვიდი მოსახლეობის არსებობის პირობები. ჯერ კიდევ XIX ს.-ში ბრიტანულმა მმართველობამ კაპის კოლონიაში და ნატალში დასახლება აუკრძალა სხვა რეგიონების შავკანიან მოსახლეობას. გარდა ამისა, კეიპტაუნში და ნატალის ქალაქებში იკრძალებოდა მზის ჩასვლის შემდეგ აფრიკული მოსახლეობას ქუჩაში ყოფნა. რეალურად, აპარტეიდის<sup>41</sup> პოლიტიკა ბრიტანეთის კოლონიური პოლიტიკის გაგრძელება იყო.

1948 წლიდან საკი-ის ხელისუფლებამ შემოიღო და განახორციელა მთელი რიგი კანონები, რომელთა მიზანი იყო რასობრივი სეგრეგაციის დანერგვა, სადაც ცხოვრების ყველა სფეროში აშკარა პრიორიტეტი ევროპული წარმოშობის ადამიანებს, ე.წ. თეთრკანიანებს გააჩნდათ.

ეთნო-რასობრივი თვალსაზრისით სარ-ის მოსახლეობა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო და დღესაც ასეთად რჩება. მოსახლეობის უმრავლესობას აფრიკელები შეადგენდნენ. მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო ზულუ, ქსოსასი და სოტო.

თეთრკანიანების უმრავლესობა წარმოდგენილი იყო პოლანდიელთა შთამომავლებით, რომლებიც საუბრობენ პოლანდიური ენის დიალექტზე, რომელსაც აფრიკანსი ეწოდება. საკ-ში ორი სახელმწიფო ენა იყო: აფრიკანსი და ინგლისური<sup>42</sup>.

“ფერადკანიანებში” გაერთიანებული იყვნენ აფრიკელების და ევროპელების შთამომავლები და აზიელები. ამ უკანასკნელების დიდ ნაწილს ინდოელები შეადგენდნენ. “ფერადკანიანების” კატეგორია, ასევე მოიცავდა კოისანური წარმოშობის აფრიკული ტომების წარმომადგენლებსაც. კოისანელები განსახლებული იყვნენ კონტინენტის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში დღევანდელი სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკისა და ნამიბიის ტერიტორიაზე. ისინი რეგიონში მცხოვრები სხვა შავკანიანი აფრიკელებისგან გამოირჩევიან ლინგვისტური და მორფოლოგიური ნიშნებით. საგულისხმოა, რომ საკ-ის მმართველებს ჯერ კიდევ XIX ს.-ში “ფერადებში” შევავდათ გადმოსახლებული ჩინელების შთამომავლები, ხოლო ტაივანელი ჩინელები, იაპონელები და სამხრეთ კორეელები, რომელთა მთავრობებთან აპარტეიდს მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა ქონდა, “საპატიო თეთრკანიანების” კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ.

1948 წ. არჩევნებში სამხრეთ აფრიკის ეროვნული პარტიის გამარჯვების შემდეგ რასობრივი სიტუაცია უკიდურესად გამწვავდა. ახლადარჩეულმა მთავრობამ რამდენიმე წლის განმავლობაში მიიღო კანონები, რომლებმაც გააღრმავეს რასობრივი სეგრეგაცია. ახალი კანონების თანახმად:

<sup>41</sup> აპარტეიდი აფრიკანსის ენაზე განცალკევებას ნიშნავს. პირველად ეს ტერმინი 1917 წელს გამოიყენა იან სმეტსმა, რომელიც შემდგომ საკ-ის პრემიერ-მინისტრი გახდა.

<sup>42</sup> ამჟამად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში 11 სახელმწიფო ენაა, მათ შორის ინგლისური, აფრიკანსი და 9 ბანტუს ენა.

- გამოიყო მოსახლეობის სამ კატეგორია: თეთრები, აფრიკელები და “ფერადებინიანები”. თითოეულ კატეგორიას თავისი სამართლებრივი სტატუსი ქონდა;
- “რასობრივი სიწმინდის” შენარჩუნების მიზნით აიკრძალა რასათაშორისი ქორწინებები;
- ადგილი ქონდა ტერიტორიების გადანაწილებას თეთრებსა და დანარჩენებს შორის. აფრიკელებს, რომლებიც მთელი მოსახლეობის 80%-ს შედგენდნენ ქვეყნის ტერიტორიის მხოლოდ 12% ერგოთ;
- აფრიკელებს და “ფერადებს” ეკრძალებოდათ “თეთრ” ზონებში ცხოვრება და სპეციალური საშვების გარეშე ერთი ტერიტორიიდან მეორეზე გადაადგილება;
- ფერადკანიანებმა “დაკარგეს” პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ანალოგიური უფლება აფრიკელებს ჯერ კიდევ 1939 წელს ჩამოართვეს.
- სარ-ის პარლამენტი შედიოდნენ ის აფრიკელები, რომლებსაც ბანტუსტანების ტერიტორიაზე ირჩევდნენ. 1960 წლის კანონით გაუქმდა სარ-ის პარლამენტი ში შავგანიანთა წარმომადგენლობა;
- თეთრების ანაზღაურება აფრიკელისაზე რამდენჯერმე მეტი იყო. მაგ., შავგანიანი მაღაროელი 12-ჯერ ნაკლებ გასამრჯელოს იღებდა, ვიდრე მისი თეთრკანიანი კოლეგა ანალოგიურ სამუშაოში.
- შავგანიან მეწარმეს უფლება არ ქონდა დაეჭირავებინა თეთრკანიანი ადამიანი;
- არათეთრებისთვის შეზღუდული იყო სიტყვის თავისუფლება, გაფიცვებისა და მიტინგების მოწყობა, ადამიანის სხვა უფლებები და თავისუფლებები;
- შავგანიან პოლიციელებს ეკრძალებოდათ თეთრკანიანის დაკავება და ა.შ.

აპარტეიდის მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის სფეროში ყველაზე დიდი საერთაშორისო აუთოტაჟი ბანტუსტანების შექმნამ გამოიწვია. სარ-ის ხელისუფლებამ დაიწყო სპეციალური ტერიტორიების, ბანტუსტანების დაარსება, სადაც ხდებოდა აფრიკელების კონცენტრაცია, მათ შორის ძალადობრივი გადასახლებაც. სულ შეიქმნა 10 ბანტუსტანი, რომლებიც სარ-ის მთავრობამ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოაცხადა. მნიშვნელოვანი ის არის, რომ “დამოუკიდებელ ბანტუსტანში” მცხოვრები ადამიანი ავტომატურად კარგავდა სარ-ის მოქალაქეობას. შესაბამისად, მას უფლება ერთმეოდა თავისუფლად გადაადგილებულიყო ქვეყნის ტერიტორიაზე. ბანტუსტანების დამოუკიდებლობის აღიარებით სარ-ის ხელისუფლება ცდილობდა ხელოვნურად შეემცირებინა ქვეყნის მოსახლეობაში აფრიკელების ხვედრითი წილი. მსოფლიო თანამეგობრობამ მხარი არ დაუჭირა აპარტეიდის ამ ხრიკს. ბანტუსტანების დამოუკიდებლობა არცერთმა ქვეყნამ არ აღიარა.

1990-იან წლების დასაწყისში შიდა და საგარეო დაწოლის შედეგად სარის მმართველობამ მიიღო გადაწყვეტილება აპარტეიდის გაუქმების შესახებ. სარში 1994 წლის საყოველთაო არჩევნების შედეგად გაიმარჯვა “აფრიკულმა ეროვნულმა კონგრესმა”, ხოლო მისი ლიდერი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ნელსონ მანდელა სარის ისტორიაში პირველი შავკანიანი პრეზიდენტი გახდა.

წყაროები:

[http://en.wikipedia.org/wiki/South\\_Africa\\_under\\_apartheid](http://en.wikipedia.org/wiki/South_Africa_under_apartheid);

[http://www.associatedcontent.com/article/2446964/the\\_population\\_registration\\_act\\_of.html](http://www.associatedcontent.com/article/2446964/the_population_registration_act_of.html)

<http://home.intekom.com/southafricanhistoryonline/pages/classroom/pages/projects/grade9/lesson6/03-effects-apartheid.htm>

სეპარატისტული ნაციონალიზმი (*Separatist Nationalism*), როგორც მისი სახელმწოდება გვიჩვენებს დაკავშირებულია მოძრაობასთან, რომელიც მიზნად ისახავს უმცირესობის (უმცირესობების) მიერ სახელმწიფოდან გარკვეული ტერიტორიის გამოყოფას დამოუკიდებლობის მოთხოვნით. იმ შემთხვევაში, თუ სეპარატისტების მხრიდან ადგილი აქვს არა დამოუკიდებლობის, არამედ სხვა სახელმწიფოსთან შეერთების მოთხოვნას, მაშინ საჭმე გვაქვს ირედენტისტულ ნაციონალიზმას (*Iredentist Nationalism*). ირედენტიზმის მაგალითებია., მაგ. ჩრდილოეთ ტრანსილვანია რუმინეთში, სამხრეთ ტიროლი იტალიაში, “სახრეთ ოსეთი” საქართველოში.

განახლებული ნაციონალიზმი. (*Renewed Nationalism*) ყოფილი იმპერიები ან ძლიერმა ქვეყნები მნიშვნელოვანი ისტორიული ცვლილებების შედეგად იძულებეული იყვნენ გადაესხინჯათ მათი ეროვნული იდეოლოგია და მასში გარკვეული კორექტივები შეეტანათ. XX საუკუნის დასაწყისში ამ პროცესს ადგილი ქონდა მაგ., თურქეთში და ავსტრიაში, შესაბამისად ოსმალეთის და ავსტრო-უნგრეთის იმპერიების დაშლის შემდეგ. რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ მნიშვნელოვნად შენიდა მისი “ეროვნული პოლიტიკა” და ახლადშექმნილი საბჭოთა კავშირი ერთა ნებაყოფლობით გაერთიანებად მონათლა. 1978 წლის რევოლუციის შემდეგ ირანის სასულიერო ლიდერებმა და ახალმა მთავრობამ უარი თქვეს ბევრ პროგრესულ რეფორმაზე და ისლამური სახელმწიფოს აღორძინება დაიწყეს (Taylor & Flint, 2007: 167-168).

ნაციონალიზმის ზემოთ განხილულ ყველა სახე, შეიძლება ერთ ტიპში გავაერთიანოთ და მას ტრადიციული ნაციონალიზმი ვუწოდოთ. შესაბამისად, არსებობს ნაციონალიზმის ახალი ტიპები (სახეები). მათი ადმოცენება დაკავშირებულია გლობალიზაციის, კერძოდ კი ევროპის გაერთიანების პროცესთან.

### ნაციონალიზმი ეთნიკურობის გარეშე?

სპეციალისტთა ნაწილს მიაჩნია, რომ არსებობს ნაციონალიზმი ეთნიკურობის გარეშე. ამის მაგალითებია მრავალგულტურული (მაგ., აშშ, ავსტრალია) და პლურალისტული საზოგადოებები<sup>43</sup>. ეს უკანასკნელები

<sup>43</sup> ცენტრალურ ამერიკაში (რიგ შემთხვევებში აფრიკაში) ევროპელთა კოლონიზაციის პროცესში სხვადასხვა რასობრივი და ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს ერთმანეთის გვერდით ასახლებდნენ. სე ხელოვნურად შექმნილ საზოგადოებებს პლურალისტულ საზოგადოებებს უწოდებენ.

მართლაც ეთნო-რელიგიურ-კულტურული ურთიერთობების უნიკალურ მოდელს წარმოადგენენ.

ჩანართი №

## მავრიკია: ნაციონალიზმი ეთნიკურობის გარეშე?

ინდოეთის ოკენეში აფრიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროდან დაახლეობით 1000 კმ მოშორებით მდებარეობს კუნძული მავრიკია. პორტუგალიელების მიერ დანარჩენი სამყაროსთვის აღმოჩენილი ეს პატარა კუნძული (2 ათ. კვ. კმ.), სხვადასხვა დროს იყო პოლანდიის, საფრანგეთის და ბრიტანეთის კოლონია. ევროპელთა კოლონიზაციამდე კუნძულზე დაახლოებით 300 ადამიანი ცხოვრობდა. მასობრივი მიგრაციების, მათ შორის აფრიკიდან მონების გადასახლების შედეგად მოსახლეობა სწრაფად გაიზარდა. ამჟამად, მავრიკიის რესპუბლიკა, რომელშიც მოიცავს 2 კუნძულს: მავრიკია და როდრიგესი, 1,3 მლნ ადამიანს ითვლის. მავრიკია სოციალური (წიგნიერება - დაახლოებით 85%) და ეკონომიკური მაჩვენებლებით (მშპ ერთ სულ მოსახლეზე - 12,4 ათასი აშშ დოლარი) აფრიკის ერთ-ერთი მოწინავეა სახელმწიფოა (<http://www.state.gov/r/pa/ei/bgn/2833.htm>).

კოლონიურმა წარსულმა თავისი დაღი დაასვა მავრიკიის მოსახლეობას ეთნო-რასობრივ და რელიგიურ შემადგენლობას. მოსახლეობის უმრავლესობას ინდოელები წარმოადგენენ (68%). შემდეგ მოდიან კრეოლები (ფრანკო-აფრიკულ-მალაგასიური წარმომავლობის ხალხი) – 27%, ჩინელები – 3% და ფრანგები – 2%. ქვეყნის რელიგიური სტრუქტურა კიდევ უფრო ჭრელია: ინდუისტები – 48%, კათოლიკები – 23,6%, მუსლიმები – 16,6%, პროტესტანტები – 8,6%, სხვა კანფესიები – 2,5%. მოსახლეობის 80%-ზე მეტი კრეოლურ ენაზე საუბრობს, რომლის ძირსაც ფრანგული წარმოადგენს.

სინამდვილეში მავრიკიის ეთნო-რასობრივი და კონფესიური სიტუაცია კიდევ უფრო რთულია, ვიდრე ეს სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს. მაგ. კრეოლები თავის მხრივ იყოფა ორ სუბ-ჯგუფად: ფრანკო-მავრიკიელებად და “ფერადებად”. მიუხედავად იმისა, რომ ისინი კათოლიკები არიან, ერთმანეთს ერთ ეთნიკურ ჯგუფად არ მოიაზრებენ. გარდა ამისა, განსხვავებულად განიხილავენ ერთმანეთს კუნძულების მავრიკიის და როდრიგესის კრეოლები. ინდოელები იყოფა, ერთი მხრივ, რელიგიური კუთვნილების მიხედვით ინდუისტ და მუსლიმ ინდოელებად, ხოლო, მეორე მხრივ, ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით – **ბიპარიუსიდ** (ჩრდილოეთ ინდოეთი) და შრი-ლანკელი ტამილებად და ტელუგუელებად (Eriksen, 2010: 101-102). გასაკვირი არ არის, რომ ინდოელები და შრი-ლანკელები თავს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წევრებად მიიჩნევენ.

მავრიკიის, ისევე, როგორც სხვა პლურალისტული საზოგადოებების, ერთაშორისი ურთიერთობები განსაკუთრებული სპეციფიკით გამოირჩევა. უპირველესი, რასაც მავრიკიელები ერთმანეთთან შეხვედრისას არ კვევენ ეს მათი ეთნო-რასობრივი კუთვნილებაა.

სტერეოტიპები არა ასახავენ რეალობას და არ ქმიან ადამიანთა ჯგუფების ობიექტურ სურათს. სტერეოტიპების დახმარებით პიროვნება ცდილობს გაიმარტივოს სოციალური სამყაროს აღქმა ადამიანთა გარკვეული ნიშნით გენერალიზაციის მეშვეობით, ანუ დაყოს ეს სამყარო ცალკეულ კატეგორიებად. ერთაშორის ურთიერთობებში სწორედ სტერეოტიპების საშუალებით ხდება ცალკეულ ჯგუფებს შორის კულტურული განსხვავებების დაფიქსირება.

მოცემულ ჯგუფს, როგორც წესი სტერეოტიპების საფუძველზე უყალიბდება უპირატესობის განცდა სხვა ჯგუფებთან მიმართებაში. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ განვიხილავთ, როგორ ახასიათებენ მავრიკიის

ეთნო-რასობრივი ჯგუფები	სხვების მიერ შექმნილი სტეროტიპები	აგტოსტერეოტიპები
არეოლები	ზარმაცი, მხიარული, დაუდევარი	დროსტარების მოყვარული, თანამგრძნობი, მეგობრული
ინდოელები stingy	სკარედნიაქ, უპატიოსნო, შრომისმოყვარე	ყურადღებიანი, მეოჯახე
მუსლიმები	რელიგიური ფანატიკოსები, non-minglers	ღირსების და კულტურის მატარებელი
სინო-მავრიკიულები	ძუნწი, შრომისმოყვარე	ჭკვიანი, შრომისმოყვარე
ფრანკო-მავრიკიულები	სნობი, დეკადენტური, არადემოკრატული	ღირსეული, ჭეშმარიტი მავრიკიული
“ფერადგანიანები”	ჭკვიანი, ქედმაღალი, ზედმეტად ამბიციური	ინტელიგენტი, ჭეშმარიტი მავრიკიული

წერო: Eriksen, 2010: 30

ამ მონაცემებიდან ირკვევა, რომ კრეოლებს (ფრანკო-მავრიკიულებს და “ფერადგანიანებს”) პრეტენზია აქვთ “ჭეშმარიტ ანუ მკვიდრ მავრიკიულობაზე”. ეს ბუნებრივიცაა, თუ მხედველობაში მივიღებო მავრიკიის ხელისუფლების ეთნიკურ პოლიტიკას. ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით ოფიციალური სტატუსი გააჩნია მოსახლეობის ოთხ ჯგუფს: ინდურს, მუსლიმურს, ჩინურს (სინო-მავრიკიულს) და “მთავარს”. ამ უკანასკნელში იგულისხმებიან კრეოლები. ქვეყნის პრეზიდენტი კრეოლებიდან აირჩევა. ამგვარი ხისტი ეთნიკური პოლიტიკის ფონზე ძალზე რთულია ერი-სახელმწიფოს მშენებლობა. 1968 წელს ეთნო-რასობრივ ერთმანეთს ინდოელები და კრეოლები დაუპირისპირდნენ. მოსახლეობის მრავალულტურული ხასიათი მავრიკიულებს კი არ აერთიანებთ, არამედ პირიქით ყოფს. სამაგიეროდ, ქვეყნის მოსახლეობა გაცილებით უფრო ტოლერანტულია კოლონიური სიმბოლოებისადმი. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური მშობლიურია მოსახლეობის მხოლოდ 1%-სთვის ის ქვეყნის პარლამენტის ოფიციალური ენა გახდა საერთო კონსენსუსის საფუძველზე (იქვე: 31). ლოდიკური იქნებოდა ეს სტატუსი კრეოლურს ქონდა, მაგრამ არაკრეოლი მოსახლეობა ამის წინააღმდეგი იყო.

ნაციონალიზმის კუთხით მავრიკია შეიძლება განვიხილოთ, როგორც ქვეყანა, სადაც ფორმალურად წარმოდგენილია ერთი ეთნიკური ჯგუფი (მას სხვა სამშობლო არ გააჩნია) და რამდენიმე დიასპორა. ამასთან, მავრიკიისთვის ერთდოულად დამახასიათებელია, ერთი მხრივ, “კულტურათა მოზაიკა”, ხოლო, მეორე მხრივ, სუპრა-ეთნიკური ანუ არაეთნიკური ერთობა. უკანასკნელი განპირობებულია იმით, რომ პოლიტიკურად დომინანტური ჯგუფი – კრეოლები არ წარმოადგენენ ეთნოსს, ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით, რადგან არ გააჩნიათ მითები საერთო წარმომავლობის შესახებ, საერთო კულტურული ელემენტები (აქ უნდა გავიხსენოთ ადრე განხილული საკითხი ხელოვნურად შეკორწინებული ან სხვების მიერ შექმნილი კულტურის შესახებ). ქვეყნის დასახელება ეგზონიმია და არა ენდონიმი. მეორე მხრივ, კრეოლებს ჩამოუყალიბდათ ეთნიკური თვითიდენტიფიკაცია (ისინი თავს თვლიან “ჭეშმარიტ” მავრიკიულებად), რაც იმას ნიშნავს, რომ მათ უკვე გააჩნიათ ეთნონიმი, ხოლო მავრიკიის ტერიტორიას ისინი განიხილავენ, როგორც მათ (და მხოლოდ მათ) ისტორიულ მიწად, ე.ი. სამშობლოდ.

## ნაციონალიზმი და გენდერი

ერის ფემინისტური ხედვა, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს არადასვლური ფენომენია. ამ საკითხის წინ წამოწევას ხელი შეუწყო აზიელი და აფრიკელი ქალების აქტიურმა მონაწილეობამ ანტიკოლონიურ მოძრაობაში. შემდგომ, მნიშვნელოვანი უურადღება დაეთმა ძალაუფლების საკითხის გენდერულ შეფასებას. თავდაპირველად, ქალები ადშფოთებას ქვეყნის მართვაში მათი უმნიშვნელო მონაწილეობის გამო გამოთქვამდნენ. მამაკაცების მიერ დამკიდრებული სტეროტიპი, რომ პოლიტიკა ქალის საქმე არ არის, ხელს უშლიდა ქალების ჩართვას პოლიტიკურ პროცესში, შესაბამისად ისინი ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილი სხვადასხვა დონის მმართველობის თუ თვითმმართველობის ორგანოებში (იხ. ცხრილი №).

უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მსოფლიოს ფემინისტურმა მოძრაობამ საკმაოდ დიდ წარმატებებს მიაღწია და ის ბევრ ქვეყანაში ანგარიშგასაწევი ძალა გახდა. ამას თრმა გარემოებამ შეუწყო ხელი. ჯერ ერთი, თვით “სუსტი სქესის” წარმომადგენელთა სოციალურ-პოლიტიკური აქტივობის ზრდამ, განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში. შეიქმნა უამრავი ფემინისტური არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლებიც იცავენ ქალთა უფლებებს მთელ მსოფლიოში. სახეზეა ქალთა შორის სოლიდარობის ზრდას. საარჩევნო პროცესში ქალები უფრო მობილიზებული და ორგანიზებული არიან, ვიდრე მამაკაცები. განვითარებული სამყაროში, თუ რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციას საარჩევნო სიაში შესაბამისად არ არის წარმოდგენილი ქალთა წარმომადგენლობა, ამ შემთხვევაში არჩევნებზე მას წარმატების თითქმის არანაირი შანსი არა აქვს. საზოგადოებაში ქალის სტატუსის ამაღლებამ განაპირობა ბევრი ანტი-ფემინისტური დებულების გადახედვა და ახლებურად გააზრება. გამონაკლისს, ამ მხრივ არც ნაციონალიზმი და ეროვნული საკითხი წარმოადგენს.

ცხრილი №

ქალთა წარმომადგენლობა ქვეყნების უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებში  
მსოფლიოს რეგიონების მიხედვით (2006 წ.).

რეგიონი	ქალთა წილი პარლამენტში
ჩრდილოეთ ევროპა	40%
დანარჩენი ევროპა	18%
ორიგე ამერიკა	21%
აფრიკა საკარის სამხრეთით	17%
აზია	16%
ოკეანეთი	14%
არაბული ქვეყნები	8%

წყარო: (Taylor and Flint, 2007: 188).

ნაციონალისტების გარკვეული ნაწილი ქალს ერის მშენებლობაში მხოლოდ ორ ფუნქციას ანიჭებს. პირველი, რათქმაუნდა ბიოლოგიური ანუ ერის რეპროდუქციის ფუნქციაა. ასეთი განცხადებები არცთუ იშვიათი იყო ნაციონისტური გერმანიის, ირლანდიის რესპუბლიკური არმიის და პალესტინელების მოღვაწეობაში. რადიკალი ნაციონალისტები ქალს დიასახლისად მოიაზრებდნენ, ხოლო მამაკაცს – სამშობლოს დამცველად. ამასთან დაკავშირებით იქმნებოდა შესაფერისი სოციალურ-კულტურული დისკურსები. ომის შესახებ თითქმის ყველა ფილმში არის სცენა, სადაც მამაკაცი ჯარში მიდის, ხოლო მას

ცრემლიანი ცოლი ან დედა აცილებს. რადიკალების აზრით, ქალის ბიოლოგიური ფუნქცია ამით არ შემოფარგლება. ქალმა, ასევე უნდა იზრუნოს ნაციის სიწმინდეზე, შესაბამისად არ უნდა დაქორწინდეს სხვა ერის წარმომადგენელზე. ეს მიდგომა ძირითადად დომინანტი ეთნოსის წარმომადგენლებისთვისაა დამახასიათებელი. ცნობილმა სოციოლოგებმა ფლოიდ ანთიასმა და ნირა იუვალ-დავისმა გენდერისა და ნაციონალიზმის საკითხების ანალიზის შედეგად დადგინეს, რომ გარდა ზემოთ აღნიშნულისა ქალებს ნაციონალიზმის პროცესში კიდევ სამ მნიშვნელოვანი ფუნქციას ასრულებენ.

ქალი კულტურის მნიშვნელოვანი მატარებელია. ეს, უპირველესად გამოიხატება ახალი თაობის (არა მარტო შვილების) აღზრდაში. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში საშუალო სკოლის მასწავლებლების დიდ უმრავლესობას ქალები შეადგენენ. მათი როლი ახალგაზრდებისთვის ეროვნული ისტორიისა და ლიტერატურის სწავლებაში ძალიან დიდია. ეროვნული სტერეოტიპების ჩამოყალიბება ბავშვობიდან იწყება. ამასთან, ქალი არის არამარტო კულტურის მატარებელი, არამედ მისი სიმბოლოც (მაგ., ქართლის დედა, თავისუფლების ქანდაკება ნიუ-იორკში). ყველა კულტურა ცდილობს შექმნას ქალის “ხელშეუხებლობის” დისკურსი. ნებისმიერ ადამიანში განსაკუთრებულ სენტიმენტებს, აღშფოთებასაც კი იწვევს იმ ფაქტის გაგება, რომ ამა თუ იმ კონფლიტის დროს დაიღუპებ ქალები. შესაბამისად, ნაციონალიზმის იდეოლოგია ცდილობს ერთმანეთისგან განასხვავოს ქალისა და მამაკაცის ფუნქციები ეროვნული მშენებლობის პროცესში. მაგ., ნაციონალური გერმანიის ახალგაზრდულ პიტლერულ მოძრაობაში გოგნებისთვის და ბიჭებისთვის განსხვავებული ლოზუნგები შეიქმნა. გოგების ლოზუნგი იყო: “იყავი ლირსეული, იყავი წმინდა (იგულისხმება ეროვნული სიწმინდე – ავტ.) და იყავი გერმანელი”. ანალოგიური ლოზუნგი ბიჭებს მოუწოდებდა: “იცხოვრე ლირსეულად, იბრძოლე მამაკურად, დიმილით შეხვდი სიკვდილს”. ნაციონალური იდეოლოგიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა გამოკვეთოს ეროვნული (ეთნიკური) განსხვავებები, უპირველეს ყოვლისა ქალის დადებითი იმიჯის წარმოქმნის საფუძველზე (Anthias & Yuval-Davis, 1989: 7).

ანთიასი და იუვალ-დავისი ამტკიცებენ, რომ თუმცა ქალები ძალიან იშვიათად მონაწილეობდნენ ბრძოლებში, მათი არაპირდაპირი მონაწილეობა ყოველთვის თვალსაჩინო იყო. უფრო მეტიც, ისინი არცოუ იშვიათად ეროვნული დაპირისპირების პროვოცირებასაც კი ახდენდენ (იქვე). ამჟამად, ქალის როლი სახელმწიფო და ეროვნულ პროცესებში კიდევ უფრო ამაღლდა. ფემინისტები თვლიან, რომ ქალებს ხელეწიფებათ უფრო მშვიდობიანი მსოფლიოს შექმნა, რადგან მამაკაცებთან შედარებით ისინი გაცილებით უფრო პროგრესულები და და სოციალურად კომუნიკაბელურები არიან.

### ნაციონალიზმის პარადიგმები

ნაციონალიზმის დებატებში დღემდე ცენტრალური ადგილი უკავია ერის და ნაციონალიზმის აღმოცენების პერიოდიზაციას. ზოგადად, ამ საკითხთან დაკავშირებით გამოყოფენ სამ ძირითად პარადიგმას, კერძოდ:

- ერები და ნაციონალიზმი პრიმორდიალური (უძველესი) ფენომენებია;
- ერები პრიმორდიალური წარმოშობისაა, ხოლო ნაციონალიზმი თანამედროვე მოვლენაა;
- ერები და ნაციონალიზმი თანამედროვე მოვლენებია.

შესაბამისად, არსებობს ნაციონალიზმის სამი ძირითადი (პრიმორდიალიზმი, პერნიალიზმი და მოდერნიზმი) სამეცნიერო მიმართულება. ამასთან, ნაციონალიზმის კვლევებისთვის (ისევე, როგორც სხვა სოციალური მეცნიერებებისათვის) დამახასიათებელია, ერთი მხრივ, ეროვნული სკოლების არსებობა, მაგ., ანგლო-ამერიკული, რუსული, გერმანული. თითოეულმა მათგანი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნაციონალიზმის კვლევების, როგორც მეცნიერების დარგის განვითარებაში, რადგან გვთავაზობენ აღნიშნული და სხვა საკითხების მათგის დამახასიათებელ, სპეციფიურ ხედვას. მეორე მხრივ, ზემოთ დასახელებული თითოეული მიმართულება, რიგ შემთხვევებაში წარმოდგენილია ორი ან მეტი ქვემიმართულებით. მათ შორის განსაკუთრებული აღიარებით და პოპულარობით სარგებლეობს ეთნოსიმბოლოზმი, რომელიც თავის დროზე პერნიალიზმს გამოეყო. ქვემოთ გთავაზობთ ნაციონალიზმის პარადიგმების და შესაბამისი სამეცნიერო მიმართულებების მოკლე დახასაითებას.

### ტიონისის “გემაინშაფტი” და “გეზელშაფტი”.

გერმანელმა სოციოლოგმა ფერდინანდ ტიონისმა (*Ferdinand Tönnies*) მეცნიერებაში შემოიტანა თემის (გერმ. *Gemeinschaft*) და საზოგადოების (გერმ. *Gesellschaft*) ცნებების განახლებული განმარტება. მისი აზრით თემი ტრადიციული საზოგადოება, ხოლო საზოგადოება ინდუსტრიული (კაპიტალისტური) ეპოქის პირშორა. ტიონისისული გეზელშაფტი დღევანდელი სამოქალაქო (პოლიტიკური) ერია (Tönnies, 2001: 24). მეორე გერმანელმა სოციოლოგმა მაქს ვებერმა (Max Weber) განავრცო ეთნოსისა და საზოგადოების (სამოქალაქო ერის) იდეები. მისი აზრით, ეთნოსი წარმოადგენს ხელოვნურ კონსტრუქციას, რადგან მისი წევრების ოწმენა ადამიანთა ერთობის, ე.ი. თემის შესახებ სუბიექტურია. ოწმენა კი არ აყალიბებს თემს, არამედ, პირიქით თემი ქმნის ოწმენას. თემი ოწმენას იყენებს ბალაზოლებისა და სტატუსის მოპოვების მიზნით. საზოგადოების შემნის საფუძვლად, ვებერი მიიჩნევს ადამიანთა თავისუფალ ნებას, რომელის საფუძველზეც ისინი კონკრეტული ინტერესების გარშემო ერთიანდებიან (Banton, 2007).

### პრიმორდიალიზმი.

ნაციონალიზმის პარადიგმებს შორის პრიმორდიალიზმი უძველესია. პრიმორდიალური მიდგომის მიხედვით ერიც და ნაციონალიზმიც ძველი მოვლენებია. პრიმორდიალიზმი მთელი სისრულით ასახავს ნაციონალისტური ორგანიციზმისა და რომანტიზმის იდეებს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან პრიმორდიალისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება და განვითარება უკავშირდება ცნობილი ფრანგი მოაზროვნების და საზოგადო მოღვაწეების უანუაკ რუსოს და მანუელ-ჟოზევ სიიესის სახელებს. სიიესი, ერთ-ერთი პირველი იყო ვინც ჯერ კიდევ 1789 წელს დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ სუვერენიტეტი არა სამღვდელოებას და არსიტოკრატიას, არამედ ერს (ხალხს) უნდა ეკუთვნოდეს. საფრანგეთში და შემდგომ დასავლეთ ევროპაში მოქალაქეობის ინსტიტუტის დამკვიდრებამ გააძლიერა ოწმენა ერის სიდიადეში. ახლაგაზრდა ფრანგული რესპუბლიკის მოღვაწეებმა აიტაცეს რუსოს და სიიესის ნაზრევი და ის რამდენიმე მიმართულებით განავრცეს. გამოიკვეთა ორი მნიშვნელოვანი დებულება: 1) ერი სათავეს იდებს უსსოვარი დროიდან; და 2) ეთნიკური კუთვნილება ადამიანის ბუნებრივი მოცემულობაა. მოდერნისტებისგან განსხვავებით პრიმორდიალისტებს მიაჩნიათ, რომ შეუძლებელია ეთნიკურობის ხელოვნურად შექმნა ან მისი თავს მოხვევა. ამაში მდგომარებეს ნაციონალისტური ორგანიციზმის მთავარი იდეა, რომელიც იზიარებს ერის წარმოშობისა და განვითარების სოციო-ბიოლოგიურ მიდგომას (იხ. გვ.).

განსაკუთრებული აქცენტი კეთდება იმაზე, რომ ეროვნული კულტურა და ტრადიციები მემკვიდრეობით ხასიათს ატარებს, რადგან ყოველ შემდგომ თაობას გადაეცემა. პრიმორდიალიზმის დებულებები გულუბრყვილოდ გამოიყერება, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მან საფუძველი ჩაუყარა ნაციონალიზმის სხვა პარადიგმების აღმოცენებას.

### ინსტრუმენტალიზმი

ეთნოსებისა და ეთნიკურობის კვლევაში ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეთნოლოგიური და სოციოლოგიური მიმართულებაა. მისი ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ელიტა ეთნიკურობას იყენებს, როგორც ძალაუფლების მოპოვებისა ან საკუთარი ეკონომიკური სარგებლის თუ მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების ინსტრუმენტს. დასავლეთში ასეთი მიდგომა ცნობილია სიტუაციური კერძენების სახელწოდებით. ყოველდღიურობაში ეთნიკურობა ლატენტურ (ფარულ) მდგომარეობაში იმყოფება, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ხდება მისი მობილიზაცია. ელიტა ცდილობს გააღვიძოს ეთნოსის ეროვნული გრძნობები და ერის ენერგია მიმართოს სხვა ეთნოსებზე უპირატესობის მოპოვების ან მათზე კონტროლის დაწესების მიზნით. ამ შემთხვევაში ეთნოსი გამოიყენება, როგორც მძლავრი იარაღი (საშუალება), რომლიც მეშვეობით ხდება გარკვეული ტერიტორიის (ქვეყნის ჩათვლით) საზოგადოების სოციალური სტრატიგიკაცია, ოდონდ არა წმინდა სოციალური, არამედ ეთნიკური ნიშნით (Noel, 1968).

### ეთნოგენეზისი

ეს კონცეფცია, თავდაპირველად ავტოქტონური ხალხების და მოსული მიგრანტების შერწყმის შედეგად ახალი ეთნოსის ფორმირების შემთხვევების შესასწავლად გამოიყენებოდა. მოგვიანებით შეიცვალა კონცეფტუალური მიდგომები, რის შედეგადაც ეთნოსის წარმოშობის უმნიშვნელოვანების პირობებად აღიარებული იყო საერთო ტერიტორია და ენა. “ეთნო-გენეტიკოსების” შეხედულებით პირველი მნიშვნელოვანია ეთნოსის ფორმირებისა და განვითარების საწყისს ეტაზზე. შემდგომ, ეთნოსი ფუნქციონირებას უკვე, როგორც დამოუკიდებელი სოციალური ორგანიზმი, რომელსაც ხელეწიფება რეპროდუქცია, მის არსენალში არსებული კულტურული და ფსიქოლოგიური ელემენტების მეშვეობით. ამ თვისებების მატარებელი ეთნოსი არსებობას არ წყვეტს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მობილობის (მაგ., ბოშები) ან გარკვეული პოლიტიკური გარემოებების გამო (მაგ., ებრაელები) ის კარგავს კავშირს ისტორიულ სამშობლოსთან. ენა განსაკუთრებულ როლს თამაშობს, რადგან მისი მეშვეობით იქმნება ლიტერატურა, სიმღერები, ისტორიული მითები. აღნიშნული კონცეფცია ითვალისწინებს ეთნოსების არსებობის დამატებით პირობებსაც, როგორებიცაა რელიგია, ეთნონიმი<sup>44</sup>, თვითშეგნება. ეთნოგენეზისის პროცესში ყალიბდება მოცემული ეთნისისთვის დამახასიათებელი სულიერი და მატერიალური კულტურის ნიშნები და ფსიქოლოგიური მახასიათებლები. ეთნოსის წევრებს უყალიბდებათ საერთო ეთნოფსიქია და საერთო ეთნონიმი. მნიშვნელოვანია, რომ ეთნონიმი არ უნდა იყოს “ეგზონიმი” ანუ სხვა ხალხების მიერ დარქმეული ან ხელოვნურად შეკოწიწებული. ის ეთნოსის წიაღიდან უნდა მოდიოდეს, შესაბამისად უნდა წარმოადგენდეს ენდონიმს (ავტონიმს). ეთნოგენეზისის კონცეფციის მიხედვით გამოდის, რომ სახელწოდებები “სამხრეთ აფრიკელი”, “ამერიკელი”, “ახალ

<sup>44</sup> ეთნონიმი ბერძნული სიტყვაა და ითარგმნება, როგორც “ეთნოსის საკუთარი სახელი”.

ზელანდიელი” დიდ ემოციებს არ უნდა იწვევდეს მათ წევრებს შორის, რადგან ეს ხელოვნურად შექმნილი ეთნონიმებია.

### პერენიალიზმი.

პერენიალიზმი, როგორც სამეცნიერო მიმართულება წინა საუკუნის პირველ ნახევარში ჩამოყალიბდა. პერენიალისტები თვლიან, რომ ნაციონალიზმი, როგორც იდეოლოგია თანამედროვე მოვლენაა, მაგრამ ერები ძველი ფენომენია. ამგვარ დასკვნის საფუძველს წარმოადგენს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ერები ადამიანთა “ბუნებრივ” ერთობებს წარმოადგენენ. ეს საკითხი ნაციონალიზმის კვლევებში ერთ-ერთი ცენტრალურია, რადგან, როგორც ამ იდეის მხარდამჭერებს, ასევე მის ოპონენტებს გააჩნიათ ძლიერი არგუმენტები. ერთი მხრივ, როგორიც იმის დაბეჯითებით მტკიცება, რომ ერები ადრეულ ეპოქებში ჩამოყალიბდნენ, თუ მხედველობაში მივიღებთ ერის თანამედროვე მახასიათებლებს. ამასთან, იმის უარყოფაც თითქმის არავის შეუძლია, რომ მაგ.. ებრაელები და სომხები ყველა კრიტერიუმით ძალიან ძველი ერები არიან. პერენიალისტები იმასაც ამტკიცებენ, რომ ერი განახლებადი მოვლენაა, რაც იმას ნიშნავს, რომ დროთა განმავლობაში ის იცვლება, გარდაიქმნება და ახალი ნიშან-თვისებებით გვევლინება.

პერენიალიზმს ბევრი საერთო აქვს ეთნოსიმბოლიზმთან. ამ უკანასკნელის დახასიათება მოცემულია ამავე თავში.

### მოდერნიზმი.

მოდერნისტების ძირითადი შეხედულების მიხედვით ნაციონალიზმი, როგორც იდეოლოგია და განსაკუთრებით, როგორც პროცესი, შესაბამისად ერებიც თანამედროვე მოვლენაა, რომელიც ზოგადად კაპიტალიზმის გავრცელებასთან, კერძოდ კი საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციასთან არის დაკავშირებული.

მოდერნისტების მნიშვნელოვანი ნაწილი ნაციონალიზმის იდეოლოგიის წანამდვრად რაციონალიზმის თეორიას მიიჩნევს. რაციონალიზმი, როგორ მოძღვრება მე-18 საუკუნეში ევროპაში აღმოცენდა და ის მკაცრად აკრიტიკებდა ფეოდალურ წეს-წყობილებას. რაციონალიზმის იდეების ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარებამ. რაციონალიზმის მიხედვით ცოდნა და ჭეშმარიტება დგინდება რაციონალური აზროვნების და არა დვოიური ან ზებუნებრივი ძალების მიერ. შესაბამისად, რაციონალიზმა საგნებისა და მოვლენების ახსნაში წინ წამოწია ადამიანური საწყისი. მთლიანობაში რაციონალისტები მიიჩნევდნენ, რომ ადამიანი თავისი ბუნებით არის კანონმორჩილი, **თვითრეგულირებადი** და კრეატიული. შესაბამისად, ინდივიდს შესწევს იმის უნარი, რომ არ იყოს ბუნებრივი და დვოიური ძალების მორჩილი და თვითონ შექმნას და მართოს სოციალური ინსტიტუტები. ადამიანის ახლებური, ამასთან გადამწყვეტი როლის აღიარება მოითხოვდა სრულიად ახალი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარემოს შექმნას, რადგან ფეოდალიზმის ჩარჩოში ამ ჩანაფიქრის განხორციელება შეუძლებელი იყო. ეტაპობრივად რაციონალიზმი მოძრაობად გარდაიქმნა. ყალიბდებოდა “დველი წესრიგის” ალტერნატიული სტრუქტურები (მაგ., მასონური ორგანიზაციები) და იქმნებოდა ახალი თეორიები და კონცეფციები. ამ პერიოდის უმნიშვნელოვანესი ნაშრომია 1776 წელს გამოქვეყნებული ადამ სმიტის “ერთა კეთილდღეობა” (Ordrige, 1981: 20-26). ამ ნაშრომმა ეკონომიკის კუთხით გაამდიდრა სტიურტ მილის და ჯონ ლოკის ლიბერალიზმის მოძღვრებები. მთლიანობაში, აღნიშნული დროისთვის “ახალი წესრიგის” თეორიული ბაზისი შემუშავებული იყო და ევროპა ემზადებოდა

ნაციონალიზმის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებლი გერმანელი მეცნიერი ჰანს კონი მიიჩნევს, რომ ნაციონალიზმის აღმოცენება, უპირველეს ყოვლისა და კავშირებულია ხალხის სუვერენიტეტთან, ხოლო ამ იდეის რეალიზაცია შესაძლებელი გახდა “მესამე ფენის” (ფრან. *le tiers-état*) მეცადინეობის შედეგად (Kohn, 1945: 3-4).

ჩანართი №

### მესამე ფენა

ქ-18 საუკუნეში საფრანგეთის მოსახლეობა დაყოფილი იყო სამ სოციალურ კლასად, რომელსაც ფენებს უწოდებდნენ. პირველ ორი ფენას წარმოდგენდა სამდვდელოება და არსიტოკრატია. მესამე ფენა, რომელიც მოსახლეობის დახლოებით 98%-ს შეადგენდა პოლიტიკურად პრაქტიკულად უუფლებო იყო. ლუდოვიკო XVI მმართველობის დროს მესამე ფენა, რომლის ბირთვს მუშები და გლეხობა შეადგენდნენ, მნიშვნელოვნად გაძლიერდა მასში მეწარმეების და ვაჭრების ჩართვის ხარჯზე. ისინი წარმოადგენდნენ ახლადშობილ სოციალურ კლასს ბურჟუაზიას. სწორედ ბურჟუაზია გამოდიოდა ყველაზე აქტიურად ქველი რეჟიმის შეცვლის მოთხოვნით.

ლუდოვიკო XIV გარდაცვალების შემდეგ საფრანგეთში მწვავე ფინანსური კრიზისი დაიწყო. ლუდოვიკო XVI შემოიღო ახალი კანონი, რომელიც ითვალსიტინებდა სამდვდელოებისა და არსიტოკრატიის დაბეგვრას. საფრანგეთის ისტორიაში ამ უპრეცედენტო გადაწყვეტილებამ ფრანგი წარჩინებულების საშინელი აღშფოთება გამოიწვია. მათი ინიციატივით 1789 წლის მაისში გაიმართა კრება, რომელშიც სამივე ფენის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ კრების უმრავლესობას მესამე ფენის დელეგატები შეადგენდნენ, მოქმედი წესის მიხედვით წარჩინებულები კრების მთელი ხმების 2/3-ს ეკუთვნოდათ. ცხადი იყო, რომ, დაბალი ფენა ამ შეკრებაზე მისთვის სასურველი გადაწყვეტილებებს მიღებას ვერ მოახერხებდა.

იმავე წლის ივნისში უკვე მესამე ფენის წარმომადგენლებმა მოიწვიეს კრება, რომელსაც ეროვნული ასამბლეა ეწოდა. ამ თავკრილობამ მიიღო დეკლარაცია ადამიანის და მოქალაქის უფლებათა შესახებ, რომელიც აღიარებდა მოქალაქეთა თანასწორობას, რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლებას და სამართლიან სასამართლო განხილვას. ეს დეკლარაცია მრავალათასიანი ტირაჟით დაიბჭდა და მთელ ევროპაში გავრცელდა. ის განასახიარებდა განათლებული ევროპის მისწრაფებას სოციალური და პოლიტიკური ცვლილებებისაკენ. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვებამ დასაბამი დაუდო ამ ცვლილებების ეტაპობრივ განხორციელებას (The Third Estate, 2009).

კონის მიხედვით, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ სამოქალაქო ნაციონალიზმის განვითარება თავდაპირველად იმ ქვეყნებში დაიწყო, სადაც ძლიერი მესამე ფენის არსებობის პირობებში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმები გატარდა, კერძოდ დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და აშშ-ში. ევროპის იმ ნაწილში, სადაც ბურჟუაზია და საშუალო ფენა მოისუსტებდა, მაგ. გერმანიაში, იტალიაში და სლავურ ქვეყნებში ნაციონალიზმის ფუნდამენტად კულტურული ფასეულობები მოგვევლინა.

ადრე აღინიშნა, რომ ნაციონალიზმის ერთიანი იდეოლოგია არ არსებობს. ნაციონალიზმი, როგორც იდეოლოგია იცვლება ქვეყნებისა და ერების მიხედვით. თანამედროვე ნაციონალიზმის იდეები დასავლეთ ევროპაში, კერძოდ

საფრანგეთსა და ინგლისში ჩაისახა და მოგვიანებით სხვა ევროპელი ერების მიერ მოხდა მათი იმპორტი და გარკვეული მოდიფიცირება ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. უკვე XX საუკუნეში ნაციონალიზმის იდეები გავრცელდა აღმოსავლეთ ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში. პრაქტიკულად ყველგან ნაციონალისტურ მოძრაობების საფუძველს საერთო კულტურისა და ისტორიის არსებობა წარმოადგენდა. საინტერესოა, რატომ მიიღო ნაციონალიზმის საბაზისო იდეოლოგიამ საყოველთაო აღიარება? რატომ არ მოხდა მაგ., აზიისა და აფრიკის ქვეყნებში ალტერნატიული იდეოლოგიების მოდელების შემუშავება და დანერგვა? საქმე იმაშია, რომ იმ დროისთვის, როდესაც განვითარებადი სამყაროს ქვეყნებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს, უკვე ფუნქციონირებდა მსოფლიოს ახალი საერთაშორისო სისტემა. მისი ჩარჩო ჯერ კიდევ 1648 წელს ვესტფალიის ხელშეკრულებით განისაზღვრა. შესაბამისად, მოსწონდათ თუ არა, ახლადშექმნილი განვითარებადი ქვეყნები ამ სისტემაში უნდა გაერთიანებულიყვნენ, რადგან სხვა შემთხვევაში იზოლაციაში ყოფნა ემუქრებოდათ.

კაპიტალიზმის პირობებში რა სახის ფუნდამენტიც არ უნდა ქონდეს ნაციონალიზმს, ის მისწრაფვის ერი-სახელმწიფოს მშენებლობისაკენ. თანამდეროვე ნაციონალიზმი არის პროცესი, რომლის საბოლოო მიზანია ქვეყნის მოელი მოსახლეობის ინტეგრირება ერთიან პოლიტიკურ სისტემაში. ამასთან, გავისხენოთ, რომ ცენტრალიზებული მმართველობა დამახასიათებელი იყო მონათმფლობელობის პერიოდის ქალაქ-სახელმწიფოებისთვის, რომ არაფერი ვთქვათ ფეოდალიზმის ეპოქის ქვეყნებზე. ეს, რათქმაუნდა, ასეა, მაგრამ მოდერნისტები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ კაპიტალიზმა ახალი შინაარსით შეავსო სახელმწიფოს ცნება. თანამედროვე სახელმწიფოს “მეპატრონე და მმართველი” მოელი ერია და არა მხოლოდ არისტოკრატული ელიტა, როგორც ეს ადრეულ ისტორიულ ფორმაციებში იყო. ამიტომაც, მოდერნისტები თანამედროვე სახელმწიფოს სხვაგვარად ერ-სახელმწიფოს უწოდებენ.

მთლიანობაში, მოდერნიზმის ხედვა ნაციონალიზმის განვითარებაში რაციონალიზმის, კაპიტალიზმის და სახელმწიფო-ცენტრიზმის როლის შესახებ შემდეგნირიად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

❖ რაციონალიზმა ჩამოყალიბა შემდეგი იდეები:

- მოქალაქეობის შესახებ,
- ერთიანი კანონმდლებლობის შექმნის შესახებ,
- კანონის წინაშე ადამიანების თანასწორობის შესახებ;
- ერის მიმართ მოქალაქის ერთგულების (ლოიალობის) შესახებ; და
- რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს არსებობის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ის უნდა ემსახურებოდეს მის მოქალაქეებს და არა პირიქით.

❖ კაპიტალიზმა განაპირობა:

- ადამიანის მიერ მისი ცოდნის და უნარების ნებაყოფლობით “გაყიდვა ან გაქირავება”;
- მასობრივი კომუნიკაციების საშუალებების შექმნა, რამაც განაპირობა ადამიანების სოციალიზაცია და დაახლოება;

- კლასების წარმოშობა და შრომის დანაწილების პროცესში კლასობრივი ურთიერთობების ჩასახვა;
- შრომის საერთაშორისო დანაწილება.

❖ სახელმწიფო შექმნა:

- საერთო (ხახლმწიფო) ენა და განათლების ერთიანი სისტემა;
- ერთიანი სამართლებრივი სისტემა;
- სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი სისტემა;
- ერთიანი საფინანსო სისტემა და ფინანსური პოლიტიკა;
- ერთიანი სახელმწიფო-საჯარო სამსახური;
- ეროვნული შეიარაღებული ძალები და უსაფრთხოების სისტემა;
- მოახდინა მოსახლეობის ყველა ფენის და ყველა რეგიონის წარმომადგენლების სოციალიზაცია (Ordrige, 1981: 35).

მთლიანობაში, ნაციონალიზმის მოდერნისტული პარადიგმა შემდეგ დებულებებს გვთავაზობს:

- ნაციონალიზმა შექმნა თანამედროვე ერები და სახელმწიფოები;
- ერი, ისევე, როგორც ნაციონალიზმი ახალი ფენომენია. ორივე, უკავთეს შემთხვევაში XIX ს.-ში ჩამოყალიბდა.
- ერები და ნაციონალიზმი ინტელიგენციისა და ბურჟუაზიის არტეფაქტებია<sup>45</sup>.
- ეთნო-ლინგვისტური (ეთნო-ლინგვისტური) ნაციონალიზმი უნდა განვასხვავოთ სამოქალაქო-პოლიტიკური ნაციონალიზმისგან;
- ნაციონალიზმა და ერებმა ამოწურეს თავიანთი ისტორიული მისია და გლობალიზაციის ეპოქაში ისინი უნდა განვიხილოთ, როგორც წარსულის გადმონაშთები (Smith, 2001: 102).

მოდერნიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განხრაა კონსტრუქტივიზმი. კონსტრუქტივისტები, იზიარებენ ერების და ნაციონალიზმის თანამედროვე ხასიათს. ამასთან, დანარჩენი მოდერნისტებისგან განსხვავებით მიიჩნევენ, რომ ერებიც და ნაციონალიზმიც სოციალურ კონსტრუქციას<sup>46</sup> წარმოადგენენ. ისინი ხაზს უსვამენ იმას, რომ ერ-სახელმწიფოს შემთხვევაში საქმე გვაქვს არა მოსახლეობასთან ე.ი. ადამიანების მექანიკურ ჯამთან, არამედ ერთან სოციალურ ორგანიზმთან. ერიკ პობსბაუმი აღნიშნავს, რომ კულტურა და ტრადიციები სოციალური ინჟინერიის პროდუქტებია, რაც ელიტამ მასების მართვის სრულყოფის მიზნით გამოიგონა (Smith, 2008: 48).

ნაციონალიზმის სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებები (ეთნოსიმბოლიზმი, პერენიალიზმი) მიიჩნევენ, რომ ერები კაპიტალიზმადევც არსებობდნენ. ამ მნიშვნელოვანი დებულების გასაბათილებლად მოდერნისტებს, რიგ შემთხვევებში საკმაოდ არადამაჯერებელი არგუმენტები მოყავთ. კერძოდ ეს უკანასკნელები ამტკიცებენ, რომ ანტიკურ და ფეოდალურ ეპოქებში ხალხს არ

<sup>45</sup> არტეფაქტი (ლათ. *Artefactum*) მოცემულ კონტექსტში უნდა გავიგოთ, როგორც ხელოვნურად შექმნილი.

<sup>46</sup> სწორედ აქედან წარმოსდგება ამ მიმართულების დასახელება – კონსტრუქტივიზმი.

გააჩნდა ეროვნული გრძნობა, მათ შორის მისი ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტი, როგორიცაა საერთო სოლიდარობა. კითხვაზე, მაშინ რატომ იბრძოდნენ ხალხები დამპყრობლების წინააღმდეგ? მოდერნისტები პასუხობენ, რომ მათ ან არ სურდათ უცხოელების ბატონობის პირობებში ეცხოვრათ ან მათი ბრძოლა პატრიოტული მოტივებით იყო განაირობებული (Ordrige, 1981: 39-40).

მოდერნისტები ამტკიცებენ, რომ საერთო კულტურა გადამწყვეტი არ იყო არაინდუსტრიული საზოგადოებებისათვის. ამ შემთხვევაში, ჩნდება შემდეგი კითხვები: მაგ., რატომ ავრცელებდნენ რომელები ლათინურ ენას და მათი ცივილიზაციის სხვა ფასეულობებს დაპყრობილ ხალხებში? რატომ გამოიგონეს საკუთარი დამწერლობები ერთმანეთის მეზობლად მცხოვრება ერებმა, მაგ. ქართველებმა და სომხებმა ან ქარაელებმა და არაბებმა? თუ განსახვავებულობას მნიშვნელობა არ ქონდა, მაშინ ერთის შექმნილ ანბანს მეორე გადმოიდებდა და გამოიყენებდა.

### ეთნოსიმბოლიზმი.

ნაციონალიზმის ეთნოსიმბოლისტური მიდგომა პერენიალიზმის საფუძველზე აღმოცენდა. მოდერნიზმისგან განსხვავებით, ეთნოსიმბოლიზმი აქცენტს აკეთებს ეთნოსის მყარ და დროში უწყვეტობის სუბიექტურ თვისებებზე. ეს არ ნიშნავს, რომ ეთნოსიმბოლიზმი უგულვებელყოფს ეთნიკურობის ობიექტურ ელემენტებს, მაგრამ მისი კვლევის ამოსავალი წერტილს წარმოადგენენ მეხსიერების, ფასეულობების, გრძნობების, მითებისა და სიმბოლოების სუბიექტური შემადგენლები.

ნაციონალიზმის ეთნოსიმბოლისტური პარადიგმა გულისხმობს, რომ ერები (ყოველ შემთხვევაში მათი ნაწილი მაინც) ჩამოყალიბდნენ ადრეულ ეპოქებში, ხოლო თვით ნაციონალიზმი თანამედროვე ფენომენია.

ეთნოსიმბოლიზმის მიხედვით თანამედროვე ერებს პრიმორდიალური ფესვები აქვთ, შესაბამისად დროთა განმავლობაში მიმდინარეობდა მათი ეკოლუცია. ერების ჩამოყალიბება დინამიური პროცესია, რომელიც გარკვეულ შემთხვევებში უსხვავარი დროიდან იღებს სათავეს და დღესაც მიმდინარეობდეს. ამასთან, ეთნოსიმბოლისტები მიიჩნევენ, რომ ყველა ერს არ გაუვლია ეკოლუციის ერთნაირი გზა. უფრო მეტიც, თანამედროვე მსოფლიოში არიან ადამიანთა ერთობები, რომლებიც ჯერ ეთნოსებათაც არ ჩამოყალიბებულან. ენტონი სმიტი განასხვავებს “ეთნო-ეროვნული” განვითარების რამდენიმე სტადიას. პირველ ეტაპზე, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში, განსაკუთრებით კი ხლემთაშუაზღვისპირეთში ჩამოყალიბდნენ ეთნიკური კატეგორიები (*Ethnic categories*). მათ გააჩნდათ ეთნონიმი და ერთი ან რამდენიმე საერთო კულტურული ატრიბუტი, როგორც წესი ეს იყო ენა და ტრადიციები, რაც მათ სხვებისგან განასხვავებდა. სიტუაცია შეიცვალა გენერალოგიის აღმოცენებასთან ერთად. ადამიანებმა დაიწყეს მათი წარმომავლობის დაფიქსირება ძირითადად ზეპირი, იშვიათად წერილობითი ფორმით. გენერალოგიას მოყვა წინაპრების შესახებ მითების შექმნა. ადამიანთა გაერთიანებები უფრო დახვეწილ და მრავალფეროვან ხასიათს იღებდა. ეთნიკური კატეგორიები გარდაიქმნენ ეთნიკურ კავშირებად და ეთნიკურ ერთობებად (Smith, 2008: 117).

კაცობრიობის განვითარების იმ ეტაპზე, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ქალაქ-სახელმწიფოების, სამეფოების და იმპერიების შექმნა ადგილი ქონდა ეთნიკური ურთიერთობების სრულყოფას. მთელი რიგი საზოგადოების სოციალურ სტრატიფიკაციის პარალელურად ადგილი ქონდა “ეთნიკური სახელმწიფოების” შექმნას. სმიტის აზრით, ამ ტიპის სახელმწიფოები იყო ჯერ აქამენიდური, ხოლო მოგვიანებით სასანიდური ირანი და ეგვიპტე. მათ

ფუნქციონირებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ელიტა, რომელიც მართავდა კულტურულად პომოგენურ და სოციალურად მყარ საზოგადოებას.

განსაკუთრებულ უურადღებას იძყრობს ებრაელების და სომხების მაგალითები. სმიტი აღნიშნავს, რომ ამ პერიოდში ეს ხალხები ერებად ჩამოყალიბდნენ. ამას ხელი შეუწყო რამდენიმე გარემოებამ, გარდა იმისა, რომ ანტიკურ პერიოდში უკვე არსებობდნენ ებრაული და სომხური “ეთნიკური სახელმწიფოები”. მათთვის დამახასიათებელი იყო დიდი მობილობა, რაც განპირობებული იყო, როგორც ობიექტური (ისინი კარგი ვაჭრები და კომერსანტები იყვნენ), ასევე სუბიექტური (დეპორტაცია და შევიწროება) ფაქტორები. მაგრამ სუბიექტური ფაქტორებიდან გამოსაყოფია რელიგია. იუდაიზმი და “გრიგორიანობა” ეთნიკურ რელიგიებად იქცა, რამაც დიდი როლი ითამაშა ამ ხალხების შედებაში. სადაც არ უნდა მოხვედრილიყვნენ ებრაელები და სომხები, ყველგან ცდილობდნენ მათი საკულტო რელიგიური დაწესებულების დაარსებას. შეა საუკუნეებიდან სომხებისთვის, ასევე დამახასიათებელი იყო, სომხური სკოლების დაარსება. ამ ფაქტორებმა განაპირობა, ერთი მხრივ განსხვავებულობისა, ხოლო მეორე მხრივ, ინტრაეროვნული სოლიდარობის ინსტიტუციონალიზაცია. ეს პროცესი საერთაშორისო მასშტაბით მიმდინარეობდა. სომხური და ებრაული საკომუნიკაციო ქსელები საუკუნეების განმავლობაში ფუნქციონირებდა, რომელთა მართვა ძირითადად ამ ხალხების რელიგიური ცენტრებიდან ხდებოდა (იქვე: 118-119).

შეა საუკუნებში ერების ფორმირებას ძირითადად ევროპაში ქონდა ადგილი. ამ პერიოდის ერებს ადრიან პასტინგსი დინასტიურ და/ან პატრიციულ (არისტოკრატულ) ერებს უწოდებს. ევროპაში ერების მშენებლობის პროცესი განაპირობა ერთი მხრივ, ძლიერი სახელმწიფოების არსებობამ (ინგლისი, საფრანგეთი შოტლანდია, დანია, შვედეთი, ესპანეთი), ხოლო, მეორე მხრივ, არისტოკრატიის და საშუალო კლასის ჩამოყალიბებამ. ევროპის ხალხებისთვის უკვე მაშინ იყო დამახასიათებელი საერთო ენა და კულტურა. მოგვიანებით, პროტესტანტული რელიგიების აღმოცენებამ კიდევ უფრო განამტკიცა ევროპელ ერებს შორის განსხვავებების დაფიქსირება და ამის პარალელურად თითოეულ ერში სოლიდარობის გრძნობის გაძლიერება. პარალელურად ერების ფორმირება მიმდინარეობდა აზიაში, კერძოდ ჩინეთში, იაპონიაში, კორეაში, კამპუჩიაში, ვიეტნამში (იქვე: 119-121).

ადრეულ შეა საუკუნეებში დაიწყო და XII საუკუნისთვის დასრულდა ქართველი ერის ფორმირებაც, რასაც ხელი შეუწყო ერთიანი, ცენტრალიზებული, რეგიონში წამყვან პოზიაზე მყოფი სახელმწიფოს და ძლიერი არსიტოკრატიის არსებობამ, რასაც უნდა დაემატოს დამოუკიდებელი ენა, ანბანი და განვითარებული კულტურა. ქართველი ერი ტიპიური პატრიციული ერი იყო, რომელსაც ფეოდალიზმის ეპოქის ევროპელი ერებისგან საშუალო ფენის არაარსებობა განასხვავებდა.

XVIII საუკუნის საფრანგეთის რევოლუციამ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში საშუალო კლასის კლასის გამოსვლებმა შეარყია ფეოდალური ურთიერთობების საფუძვლები და ბიძგი მისცა კაცობრიობის ისტორიაში სრულიად ახალ ერას. მნიშვნელოვან კონომიკურ და სოციალურ გარდაქმნებთან ერთად ადგილი ქონდა ნაციონალიზმის აღმოცენებას. ენტონი სმიტის აზრით, ნაციონალიზმს იმპულსი საშუალო კლასის სოციალურმა აქტივობამ მისცა. დასავლეთ ევროპელი ხალხები “შზად იყვნენ” ნაციონალიზმის, კერძოდ მოქალაქეობაზე დაფუძნებული სახელმწიფოების შექმნისთვის. ამ რადიკალური ცვლილებებისთვის საფუძველი უკვე არსებობდა. ამ ხალხებისთვის, როგორც ჩამოყალიბებული ეთნოსებისთვის დამახასიათებელი იყო განსხვავებულობის და სოლიდარობის განვითარებული გრძნობები.

ევროპულმა განმანათლებლიბამ და კაპიტალისტური ურთიერთობების ჩასახვამ ხელი შეუწყო ევროპელი ეთნოსების მიერ ეროვნული ავტონომიის, ერთიანობის და იდენტობის იდეების თავმოყრასა ჩამოყალიბებას მწყობრი პოლიტიკური პროგრამის სახით, სხვა სიტყვებით შეიქმნა ნაციონალიზმის იდეოლოგია (იქვე, 122-123).

ბეჭვდური კაპიტალიზმის განვითარებამ უკვე XIX ს.-ში განაპირობა “საშუალო კლასის ნაციონალიზმის” გარდაქმნა “მასობრივ ნაციონალიზმში”. ნაციონალიზმის, ამ შემთხვევაში ეროვნული განვითარების იდეები, უკვე ადგილად ხელმისაწვდომი გახდა უბრალო ადამიანებისთვის. საერთაშორისო კომუნიკაციებისა და მასმედიის განვითარებამ ევროპული ნაციონალიზმის ვირუსი მთელ მსოფლიოში გაავრცელა.

სმიტის აზრით ერის ცხოვრებაში განსაკუთრებულ ადგილი უკავიათ “ინტელექტუალებს” ანუ მათ ვინც ერის სულიერად ასაზრდოებს მუსიკალური თუ ლიტერატურული ნაწარმოებების, ფერწერის ნიმუშებისა თუ ქანდაკებების, არქიტექტურული ძეგლების, ფილმებისა თუ სპექტაკლების შექმნის გზით. ეთნოსი ერის წარსულის განსახიერებაა, ხოლო კულტურული სიმბოლოები ხიდია ერის წარსულსა და აწყოს შორის. გასაკვირი არ არის, რომ სახელწოდება ეთნოსიმბოლიზმი წარმოდგება სიტყვებიდან “ეთნოსი” და “სიმბოლო”. ინტელექტუალებში არ იგულისხმება მხოლოდ შემოქმედებითი ელიტა ანუ ინტელიგენცია. ეთნოსიმბოლიზმი უარყოფს მოდერნისტების მიერ დამკვიდრებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ეთნოსის ან ერის ფორმირების ექსკლუზიური უფლება ელიტას ეკუთვნის. აღნიშნულ პროცესში ხალხისა და ელიტის დამოკიდებულება ორმხრივი მოძრაობის ქუჩას გავს. უბრალო ადამიანები არასდროს ყოფილან საზოგადოების უმოქმედო ნაწილი. სოციალური მობილიზაციის წყალობით ისინი პერიოდულად ზეგავლენას ახდენდნენ ინტელიგენციის, პოლტიკური ლიდერების და ბურჟუაზიის გადაწყვეტილებებზე. მაგ., XIX ს.-ის ბოლოს გლეხობის და დაბალი ფენის ქალაქებითა აქტივობამ ირლანდიაში გამოიწვია ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის აღზევება. საქართველოში 1980-იანი წლების ეროვნული მოძრაობაში თავდაპირველად ჩაებნენ სტუდენტები და თბილისის უბრალო მოქალაქეები. ელიტა ამ მოძრაობას მოგვიანებით შეუერთდა.

ეთნოსიმბოლისტურ კვლევებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გრძელვადიან ანალიზს ანუ ისტორიზმს. ენტონი სმიტის მტკიცებით ისტორიაში ერებისა და ეთნობის ადგილისა და როლის შესახებ, ასევე მათი წარსულის, აწმყოსა და მომავლის შესახებ მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი კვლევის ობიექტის შესწავლა მოიცვას დროის მნიშვნელოვან პერიოდს, რამდენიმე თაობას მაინც. ეს მკვლევარს საშუალებას აძლევს სრულყოფილი წარმოდგენა შეიქმნას ერის ან ეთნოსის კულტურული განვითარების და მის იდენტობებში მომხდარი ცვლილებების შესახებ.

როგორც აღინიშნა, ეთნოსიმბოლიზმი პერენიალიზმის წიაღიდან იშვა. მათი გაყოფა იმ საკითხის ირგვლივ მოხდა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში უპასუხოდ რჩებოდა. ადამიანები რატომ წირავენ თავს ერის გამო ან კლავენ ერის სახელით? ენტონი სმიტის აზრით ეს არის ნაციონალიზმის და ეთნიკურობის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა (Smith, 2008: 58). როგორც პერენიალისტები, ასევე მოდერნისტები თავს არიდებენ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ან შემოიფარგლებიან ზოგადი ფრაზებით. ეთნოსიმბოლისტები ცდილობენ პასუხი ისტორიულ და სოციოლოგიურ კონტექსტში განიხილონ, რადგან სწორედ ამგვარი მიდგომის პირობებში შეიძლება აიხსნას, თუ რატომ არის დამახასიათებელი ადამიანებისთვის ერის ან ეთნოსისადმი კოლექტიური ჟინი და კუთვნილება.

რთულია არ დაეთანხმო სმიტის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ნაციონალიზმის შიდა სამყაროს გამოკლევის გარეშე, პრაქტიკულად შეუძლებელია გაერკვე ნაციონალიზმებში ანუ სხვადასხვა ხალხების ნაციონალიზმი, შესაბამისად მცირე შასია აღიქვა ის ემოციური ასპექტები, რომლებიც მათი კონფლიქტების “მასაზრდოებელია” (იქვე: 60-61). ეთნოსიმბოლისტების ეს დებულება ალბათ შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: ყოველი ნაციონალიზმი და მისგან მომდინარე კონფლიქტი უნიკალურია და აუცილებელია თითოეული მათგანის ზედმიწევნით კარგი შესწავლა, მათი შემდგომი მოგვარების მიზნით.

ნაციონალიზმის თითოეული მიმართულება თავის კვლევაში ეყრდნობა შესაბამისი თეორიული ბაზისს, ხოლო ამა თუ იმ დებულების დასაბუთებისთვის იყენებს ისტორიულ ფაქტებს. თუ, ამ კუთხით შევადარებო ერთმანეთს ნაციონალიზმის პარადიგმებს, მაშინ შემდეგ სურათს მივიღებო. პრიმორდიალიზმისთვის თითქმის უცხოა, როგორც თეორია, ასევე ისტორიზმი. მოდერნიზმი საკმაოდ კარგად არის აღჭურვილი თეორიით, მაგრამ მოიკლებს ისტორიზმში, ხოლო პერენიალიზმი - პირიქით. რაც შეეხება ეთნოსიმბოლიზმს, საინტერესოა, რომ მას თეორიული საფუძველი არ გააჩნია. მისთვის ძირითადად დამახასიათებელია მაკროსტორიული და კულტურულ-სოციოლოგიური მიდგომები (Smith, 2008: 61).

ეთნოსიმბოლიზმის რამდენიმე ძირითადი დებულება გარკვეულწილად საკმაოა. ერის სმიტისეულ განმარტებაში (იხ. გვ.) აღნიშნულია, რომ ერის წევრებისთის დამახასიათებელია საერთო უფლებები და მოვალეობები, რაც იმ შემთხვევაშია მისაღები, თუ საქმე გვაქვს ერ-სახელმწიფოსთან, სადაც ერის წევრები იმავდროულად ქვეყნის მოქალაქეებიც არიან. მაგრამ, სმიტი სახელმწიფოებრიობას არ მიიჩნევს ერის არსებობის გადამწყვეტ ატრიბუტად. მიუხედავად ამისა, ბუნდოვანია სმიტის პოზიცია ეთნოსებისა და ერების მიმართ მრავალეთნიკურ (მრავალეროვან) ქვეყნებში, ერთი მხრივ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სმიტის მიდგომით ესპანეთში ცხოვრობს სულ მცირე სამი ერი: კასტილიელი, კატალონიელი და ბასკი. იმავდროულად ის თვითონ სვამს შეკითხვებს: შეიძლება თუ არა ერთი ერი მეორის შემადგენელობაში შედიოდეს? აქედან გამომდინარე, უნდა მივიჩნიოთ თუ არა კატალონიელები და ბასკები ან ფლამანდიელები და ვალონები, შესაბამისად ესპანელი და ბელგიელი ერების შემადგენელ ნაწილებად? (Smith, 2008: 15) ნებისმიერ შემთხვევაში, ესპანეთში მცხოვრებ ამ ხალხების წევრებს არ ექნებათ საერთო უფლებები და მოვალეობები. აშკარაა, რომ განსხვავებული იქნება მათი მოვალეობების გარკვეული ნაწილი, რომლებიც დაკავშირებული ენასთან, სხვა კულტურულ ელემენტებთან, ისტორიულ მეხსიერებასთან, ასევე ტერიტორიასთან.

მოდერნისტები ეთნოსიმბოლისტებს ზედმეტი რომანტიულობის გამოც აკრიტიკებენ. კერძოდ, ეთნოსიმბოლიზმი დღესაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ინტელექტუალების (ინტელიგენციის) როლს ეროვნულ შენებლობაში. მოდერნისტები კი თვლიან, რომ ინტელექტუალების ღვაწლი მნიშვნელოვანი იყო XIX ს.-ში, მაგრამ მსოფლიო მნიშვნელოვნად შეიცვალა და ამჟამად ეროვნული იდეოლოგიის აგენტები პოლიტიკური მოღვაწეები გახდნენ, რომლებსაც ფაქტიურად ოკუპირებული აქვთ თანამედროვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ეროვნული მშენებლობის პოლიტიკის ინტელექტუალები პოლიტიკოსებმა ჩაანაცვლეს და ეს უკანასკნელები ამ სფეროს ექსკლუზიური მფლობელები გახდნენ? ინტელექტუალების “მარგინალიზაციაზე” უკვე ბევრ ქვეყანაში მსჯელობენ და ამის თაობაზე შეშფოთებასაც კი გამოთქვამენ. პოლიტიკური მოღვაწეები აშკარად მანიპულირებენ ეროვნული გრძნობებით, რამაც შეიძლება არასასურველი შედეგი მოიტანოს ტოტალიტარული და ავტორიტარული რეჟიმების პირობებში.

მასმედიის, განსაკუთრებით ტელევიზიის როლი იმდენად გაიზარდა, რომ ცნობილმა სოციოლოგმა ჯოვანი სარტორიმ თანამედროვე ადამიანს პომო კიდების უწოდა (Conversi, 2007: 24-25).

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც გეოგრაფების განსაკუთერულ უურადღებას იმსახურებს არის ის, თუ როგორ განიხილავენ ნაციონალიზმის სხვადასხვა მიმართულებები ურთიერთდამოკიდებულებას ერსა (ეთნოსსა) და ტერიტორიას შორის. მაგ., ეთნოსიმბოლისტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ერი უნდა ფლობდეს ტერიტორიას. მაგრამ, ამასთან დაკავშირებით რამდენიმე ასპექტი არ არის დაზუსტებული. კერძოდ, რა სამართლებრივი სტატუსი უნდა ჰქონდეს ამ ტერიტორიას? რა იგულისხმება ტერიტორიის ქვეშ: დამოუკიდებელი სახელმწიფო თუ ავტონომია? ან იქნებ, იგულისხმება ის ტერიტორია, სადაც გარკვეული ხალხი ისტორიულ წარსულში ცხოვრობდა, შემდეგ იძულებული იყო ის დაეტოვებინა, ხოლო ამჟამად ეს ტერიტორია სხვა ხალხით არის დასახლებული (მაგ., ასირიელების შემთხვევა; ებრაელები ისრაელის შექმნამდე). ზოგადად ადსანიშნავია, რომ ნაციონალიზმის მკვლევარები ნაკლებ უურადღებას აქცევენ ამ საკითხს. მაგ. ენტონი სმიტისთვის ერის ან ეთნოსის ტერიტორიისადმი კუთვნილება ნაკლებად მნიშვნელოვანია, რადგან ის ამტკიცებს, რომ ერი ფუნქციური ინსტიტუციაა, რომლის ჩანაცვლება ნაკლებადაა მოსალოდნელი, თუ გავითვალისწინებთ მის კავშირს პრიმორდიალურ იდენტობებთან.

### თავი III

#### სახელმწიფო

##### საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმები

სახელმწიფო ისტორიულად არ ყოფილა საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ერთადერთი ფორმა. დღესაც კი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ადამიანთა გარკვეული ერთობებისთვის დამახასიათებელია ადმინისტრირებისა და მმართველობის განსხვავებული ფორმები. პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმის მიხედვით ანთროპოლოგები განსახვევებენ ოთხი სხვადასხვა ტიპის საზოგადოებას. ესენია: ჯგუფური საზოგადოება, ტომობრივი საზოგადოება, საბელადო საზოგადოება და სახელმწიფო (Stoddard et al, 1989: 205-208). ისინი ერთმანეთისგან, ერთი მხრივ, სტრუქტურულად და ფუნქციონალურად, ხოლო, მეორე მხრივ, სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული განვითარების დონით განსხვავდებიან. გარდა აღნიშნულისა, გეოგრაფებისათვის საინტერესოა რა ტერიტორიული თავისებურებებია დამახასიათებელი განსხვავებული ტიპის პოლიტიკური ორგანიზაციის მქონე საზოგადოებებისთვის.

#### ჯგუფური საზოგადოება

ადამიანები სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმოცენებამდე ანუ ჯერ კიდევ 10 ათასი წლის წინ ჯგუფურ ცხოვრებას ეწეოდნენ. მათი ცხოვრების წესი ნადირობითა და შემგროვებლობით შემოიფარგლებოდა. თითოეული ასეთი ჯგუფი 100 კაცზე მეტს არ შეადგენდა. ჯგუფური საზოგადოებები მცირე რაოდენობით დღესაც გვხვდება მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტზე, სადაც იზოლირებულად, მარგინალური გარემოს პირობებში ცხოვრობენ. ჯგუფური საზოგადოების ძირითადი მახასიათებელია სოციალური თანასწორობა. ჯგუფის ყველა წევრს თანაბრი წვდომა აქვს არსებული რესურსებისა და ტერიტორიისადმი. ასეგ საზოგადოებაში ადგილი არ აქვს სიმდიდრის ინდივიდუალური წესით დაგროვებას. არსებული რესურსები ჯგუფის წევრებს შორის საჭიროებისა და მოთხოვნილების შესაბამისად ნაწილდება. ჯგუფს გააჩნია ლიდერი, მაგრამ ის არ სარგებლობს ერთპიროვნული ძალაუფლებით. გადაწყვეტილების მიღება ხდება კოლექტიურად. ჯგუფის ლიდერს ირჩევენ, შესაბამისად ეს “თანამდებობა” მემკვიდრეობით არ გადადის. ჯგუფში უცხოს მიღება გამონაკლის შემთხვევებში ხდება, მაგრამ “გაწევრიანების” შემდეგ ის ამ ჯგუფის ყველა პრივილეგიით სარგებლობს (იქვე, 1989: 205).

ჯგუფურ საზოგადოებას არ გააჩნია მისი საკუთარი ტერიტორია. არეალი, რომლის ფარგლებშიც ჯგუფი მოქმედებს მოიცავს იმ სივრცეს, სადაც ის ნადირობს ან შემგროვებლობას ეწევა. მსოფლიოს ცივ სარტყელებში ჯგუფური საზოგადოებები მთელი წლის განმავლობაში მომთაბარეობდნენ გარეული ცხოველების მიგრაციის მარშრუტებსა და გრაფიკთან შესაბამისად. ჯგუფური საზოგადოების პირობებში ადამიანებს ჯერ კიდევ არ ქონდათ ტერიტორიულობის განცდა. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ცალკეული ჯგუფები ერთსა და იმავე ადგილებში ნადირობდნენ ან მოიპოვებდნენ საკვებს. ნადირის ან მცენარეული საკვების სიმცირის შემთხვევაში ადგილი ქონდა შეხლა-შემოხლას, თუმცა უმეტეს შემთხვევებში საქმე დიდ სისხლისღვრამდე არ მიდიოდა (იქვე: 206).

## **ტომობრივი საზოგადოება**

ადამიანთა პოლტიკური ორგანიზაციის განვითარების მომდევნო ეტაპზე წარმოიშვა ტომობრივი საზოგადოებები. თანამედროვე მსოფლიოში ამ ტიპის საზოგადოებებს მიეკუთვნებიან ინდიელები და ესკიმოსები, აფრიკის მრავალი ტომი და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მთიანი რეგიონის ხალხები. ზოგიერთ შემთხვევაში ტომობრივ საზოგადოებაში აერთიანებენ ჯგუფურ საზოგადოებებსაც. საბჭოთა მეცნიერებაში ორივე ამ საზოგადოებას მოიხსენიებდნენ, როგორც პირველყოფილ თემებს ან გვაროვნულ-თემურ გაერთიანებებს. ტომი, ისევე, როგორც ჯგუფი შედგება ერთმანეთთან ნათესაური კავშირში მყოფი ადამიანებისგან. ჯგუფთან განსხვავებით, ტომში ასეულობით ადამიანია გაერთიანებული, რადგან ის ცალკულ ჯგუფებს აერთიანებს. მეტწილად, მასში რამდენიმე ჯგუფია გაერთიანებული. ტომში, ისევე, როგორც ჯგუფურ საზოგადოებაში, ლიდერის არჩევა საყოველთაო ხასიათისაა. ინდივიდუალური საკუთრება არც ტომობრივი საზოგადოებისთვის იყო დამახასიათებელი.

გარდა მსგავსებებისა, ადსანიშნავია განსხვავებებიც. მათ შორის, უმნიშვნელოვანებისა ის, რომ ტომობრივი საზოგადოებების აღმოცენება დაკავშირებულია შინამეურნეობების შექმნასთან, კერძოდ კი მემცენარეობისა და მეჯოგეობის განვითარებასთან.

ტერიტორიის მიმართ ტომს უფრო სათუთი დამოკიდებულებაა აქვს. სასოფლო ტიპის დასახლებების აღმოცენებასთან ერთად განხდა საკრალური ადგილები – სასაფლაოები, რელიგიური ან ყოფითი ტიპის სარიტუალო ადგილები. ამის გამო ტომი უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა ტერიტორიას. ტომში შემავალ ჯგუფებს გარკვეული დაპირისპირებების მიუხედავად, ისინი ერთმანეთთან თანამშრომლობენ ნადირობისა და საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. შესაბამისად, ტომის პირობებში ამაღლდა ნათესაური კავშირის გრძნობა. ჯერ კიდევ XIX ს.-ის დასაწყისში დღევანდელი ნებრასკას ტერიტორიაზე ბინადარი ფოუნის ტომი 4 ჯგუფისგან შედგებოდა. თითოეული მათგანი დამოუკიდებელი იყო, მაგრამ ისინი ერთიანდებოდნენ ბიზონებზე ნადირობის სეზონის დადგომისას ან მეზობელი ტომების დაკოტასა და სიუს წინააღმდეგ ომის წარმოების შემთხვევაში. იმავე საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც მათი მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა ჯგუფები ფოუნის “დროშის” ქვეშ გაერთიანდნენ და ერთად დასახლდნენ. ეს მაგალითი მიუთითებს, რომ გარკვეულ სიტუაციაში ტომობრივი საზოგადოება შეიძლებოდა ჯგუფურ საზოგადოებამდე ჩამოქვეითებულიყო (იქვე).

## **საბელადო საზოგადოება**

პოლიტიკური ორგანიზაციის გარდამავალი ფორმა ტომობრივი საზოგადოებასა ცენტრალიზებულ სახელმწიფოს შორის არის საბელადო საზოგადოება (ინგ. Chiefdom).<sup>47</sup> ასეთი საზოგადოებები აღმოცენდა მთიან რეგიონებში, ტყეებში, ხეობებში, კუნძულებზე, სადაც მოსახლეობა ძირითადად მემცენარეობით იყო დაკავებული. ამ ტიპის საზოგადოების მეურნეობის მართვის უმნიშვნელოვანების მახასიათებელიდან პროდუქციის წარმოებისა და განაწილების ცენტრალიზებული ხასიათი. წინამორბედებთან შედარებით, საბელადო

<sup>47</sup> საბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინით “chiefdom” აღინიშნებოდა სამხედრო დემოკრატია და ეს ტერმინი ქართულ მეცნიერებაშიც დამკვიდრდა. ამ ცნების მხოლოდ ამ მნიშვნელობით გამოყენება არასასურველია, რადგან, როგორც ტექსტიდან ჩანს ამ ტიპის საზოგადოებისთვის სამხედრო საქმიანობა მეორეხარისხოვანია. მირითადი მახასიათებელია რესურსების დაგროვებისა და განაწილების პროცესში ბელადის გადამწყვეტი როლი და ადგილი. თანამედროვე რუსულ აკადემიურ წრებში გამოიყენება ახალი ტერმინი “Вождество”.

საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურა უფრო დახვეწილია, ყალიბდება პოლიტიკური ინსტიტუტები, იწყება პროფესიული სპეციალიზაცია, იქმნება მჭიდროდ დასახლებული არეალები.

ჯგუფური და ტომობრივი საზოგადოებებისგან განსხვავებით საბელადო საზოგადოებისთვის დამახასიათებელია სოციალური უთანასწორობა. ყალიბდება სოციალური ფენები და პიროვნების რომელიმე ფენისადმი მიმართება ინსტიტუციონალიზირებულია. საზოგადოების ნებისმიერი წევრის სოციალური სტატუსი მექანიზრებით ხასიათს იძენს. ასეთი საზოგადოების სოციალური იერარქია შეგვიძლია პირმიდას შევადაროთ, რომლის სათავეში იმყოფება ბელადი, შემდეგ მოდიან პატარა ბელადები და ა.შ., პირამიდის ქვედა ნაწილში არიან ღარიბი და უქონელი ფენები. საბელადო საზოგადოების სოციალური სტრატიგიკაციისთვის დამახასიათებელი, არა მარტო ჩამოყალიბებული ადმინისტრაციული, არამედ ტერიტორიული სტრუქტურაც. კერძოდ, ბელადი ცხოვრობს დასახლების ცენტრში, ხოლო მის გარშემო – მმართველი ელიტის სხვა წარმომადგენლები. შესაბამისად, ღარიბი მოსახლეობა მათგან მოშორებით პარიფერიულ ნაწილშია განსახლებული.

საბელადო საზოგადოებები პირველად სამხრეთ-დასავლეთ აზიაში გამოჩნდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 5500 წლით ადრე (იქვე). საგულისხმოა, რომ ამავე პერიოდში მესოპოტამიის და ეგვიპტის ტერიტორიებზე პირველი სახელმწიფოები აღმოცენდა.

თანამედროვე მსოფლიოში ამგვარი საზოგადოებების თვალსაჩინო მაგალითებია წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთში მცხოვრები კუაკიუტლის და ნოოტკას საზოგადოებები და არაბული საშეიხოები. მაგრამ, ყველაზე ჩამოყალიბებულ “საბელადო საზოგადოებად” მიიჩნევა პოლინეზიის არქიპელაგიის მრავალრიცხოვან კუნძულებზე (ახალი ზელანდიიდან ჰავაის კუნძულების ჩათვლით) მცხოვრები საზოგადოებები, რომლებმაც თავიანთი განვითარების პიკს XVIII ს.-ში მიაღწიეს. მაგ., ჰავაიზე ერთ-ერთი ბელადი აღნიშნული საუკუნის მეორე ნახევარში ხელმძღვანელობდა საზოგადოებას, რომელიც 100 ათას ადამიანს ითვლიდა, თუმცა ეს იშვიათი შემთხვევა იყო. ბელადის სამფლობელოებში, ძირითადად 2-3 ათასი ადამიანი ცხოვრობდა (იქვე: 207). პოლინეზიაში ბელადი აღიარებული იყო, როგორც გვაროვნული (მექანიზრებითი), ასევე რელიგიური (განგებისგან ნაბოძები) სტატუსის მფლობელი. ის განაგებდა მიწას და სხვა რესურსებს და ამას მის ქვეშემრდომებს შორის ანაწილებდა მათი სოციალური რანგის და ერთგულების ხარისხის გათვალისწინებით. საზოგადოების მიერ დაგროვილი სიმდიდრის (რესურსების) განაწილება წარმოადგენდა უმაღლესს პოლიტიკურ აქტეს. თითოეულ პიროვნებაზე გაცემული რესურსების ოდენობის დადგენა, უპირატესად დიდი ბელადის, ასევე პატარა ბელადების კომპეტენციაში შედიოდა.

საგულისხმოა, რომ ბელადი დაკავებული იყო არა მარტო მატერიალური რესურსების განაწილებით, არამედ ის საზოგადოების წევრების შრომათმოყობასაც ხელმძღვანელობდა. ბელადს საქმიანობის წარმართვაში ემსახურებოდა ამალა, რომელიც მისი არსისა და ფუნქციებიდან გამომდინარე დღევანდელი ბიუროკრატის წინამორბედად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

საბელადო საზოგადოებებისთვის იყო ტერიტორიალობის საკმაოდ მაღალი ხარისხი იყო დამახასიათებელი, რადგან ცხოვრებისა და ფუნქციონირებისთვის აუცილებელი რესურსების მოპოვება კონკრეტულ ტერიტორიაზე ხდებოდა. ამ საზოგადოებების პატიტატი კი შეზღუდული იყო, განსაკუთრებით მათვის, ვინც კუნძულებზე, მთიან რეგიონებსა და ხეობებში ცხოვრობდა. ჭარბმოსახლეობის წარმოშობის შემთხვევაში საბელადო საზოგადოება მობილური ხდებოდა, უფრო მეტიც ის მომთაბარე ცხოვრებაზე გადადიოდა. ანთოპოლოგების ნაწილი მიიჩნევს, რომ მაგ., ჰავაიზე, თურქომანები, უილურები საბელადო საზოგადოებებს

წარმოადგენდნენ. მათ შემთხვევაში სიმდიდრის აკუმულირება ხდებოდა სხვა საზოგადოებების რესურსების მიზაცების გზით. ამ ტიპის საბელადო საზოგადოებებში ტერიტორიალობა ძალზე სპეციფიურ ხასიათს ატარებდა. არ გააჩნდათ რა სამშობლო, შესაბამისად მათში განვითარებული იყო ნათესაურ კავშირზე დაფუძნებული კულტურული და არა ტერიტორიული იდენტობა.

#### ცხრილი №

#### საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ისტორიული სტადიები

ჯგუფური საზოგადოება	ტომობრივი საზოგადოება	საბელადო საზოგადოება	სახელმწიფო
სოციალური თანასწორობა			
რესურსების თანაბარი განაწილება			
ლიდერის საყოველთაო წესით არჩევა			
“ტერიტორიის სოციალური დეფინიცია”			
გაერთიანება ნათესაური კავშირის საფუძველზე			
ცხოვრების თემური (ჯგუფური) წესი			
		სპეციალიზირებული პოლიტიკური ინსტიტუტები	
		რესურსების დივერსიფიცირებული განაწილება	
		ლიდერის სტატუსის მემკვიდრეობით გადაცემა (არ შედის სახელმწიფოები, მმართველობის რესუბლიკური ფორმით)	
		სოციალური სტრატიფიკაცია	
			პროფესიათა სპეციალიზაცია
			ბიუროკრატია
			“საზოგადოების ტერიტორიული დეფინიცია”
			კოდიფიცირებული სამართლი
			ფისკალური სისტემა
			სამხედრო სამსახური
			კერძო საქართველო

წყარო: Stoddard, Robert H., David J. Wishart & Brian W. Blouet (1989). *Human Geography: People, Places, and Cultures (2<sup>nd</sup> edition)*. Prentice Hall: Englewood Cliffs, US, გვ. 205.

## სახელმწიფო თეორიები

### სახელმწიფოს განვითარების 7 კანონი – ფრიდრიხ რატცელი

გეოგრაფებს შორის სახელმწიფოს შესახებ პირველი კომპლექსური ნაშრომი ფრიდრიხ რატცელმა შექმნა. ორგანიციზმის თეორიის ფუძემდებელი სახელმწიფოს განიხილავდა, როგორც მიწიდან ამზრდილ ცოცხალ ორგანიზმს. ის აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო განასახიერებს მასში მცხოვრები მოსახლეობის მისწრავებებს, რაც თავის გამოხატულებას პოულობს სახელმწიფო პოლიტიკაში. რატცელი ამტკიცებდა რომ თუ სახელმწიფო ცოცხალი ორგანიზმია იგი იზრდება და ამისთვის მას “სახიცოცხლო სივრცე” (*Lebensraum*)<sup>48</sup> ესაჭიროება. რატცელი, სწორედ ამით ხსნის ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის დაპყრობას. მისი აზრით, ეს ბუნებრივი პროცესია. ამასთან, ცოცხალი ორგანიზმისთვის დამახასიათებელია არა მარტო ფიზიკური, არამედ სულიერი (ინტელექტუალური) განვითარებაც. ინტელექტის გარეშე ცოცხალი ორგანიზმი სრულფასოვანი ვერ იქნება. სახელმწიფო ქმნის თავის ისტორიას, იცავს მას და ამდიდრებს კულტურული მიღწევებით.

რატცელმა ნაშრომში “პოლიტიკური გეოგრაფია” წარმოადგინა სახელმწიფოს სივრცითი განვითარების შეიდი კანონი (Norton, 1998: 218):

1. სახელმწიფოს ტერიტორია იზრდება მოსახლეობის კულტურის დონის ამაღლებასთან ერთად.
2. სახელმწიფოს სივრცითი ზრდა საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროების განვითარებით არის განპირობებული.
3. სახელმწიფოს ტერიტორიული ზრდა ხდება მცირე სახელმწიფოების ტერიტორიის ხარჯზე.
4. საზღვარი არის სახელმწიფოს პერიფერიული ორგანო, სადაც ფიქსირდება მისი ზრდა ან კლება, ე.ი. ცვლილებები მის ორგანიზმში.
5. სახელმწიფო ცდილობს მის საზღვრებში ჩართოს გეოგრაფიული გარემოს ყველაზე ის ელემენტები, რომლებსაც პოლიტიკური ღირებულება გააცნიათ. მაგ., მდინარის კალაპოტი, ზღვის სანაპირო ზოლი, რაიონები მდიდარი რესურსებით.
6. ისტორიულად ტერიტორიული ზრდის სტიმული თავდაპირველად დაბალგანვითარებულ ხალხებში ჩამოყალიბდა.
7. სახელმწიფოს ტერიტორიის გაფართოების ტენდენცია პერმანენტული პროცესია.

სახელმწიფოს ტერიტორიული გაფართოება, რატცელისთვის საყოველთაო, უნივერსალური პროცესი იყო, ხოლო ვაჭრობა და ომი სახელმწიფოს ტერიტორიული ზრდის ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

რატცელის ორგანიციზმის თეორიას XX ს.-ის პირველ ნახევარში ბევრი მიმდევარი ყავდა, რომლებმაც მისი იდეები განავრცეს და ამის საფუძველზე შესაბამისი გეოპოლიტიკურ კონცეფციები შექმნეს (იხ. გვ.).

### ცენტრალური არეალის კონცეფცია – დერვენტ უითლსი

<sup>48</sup> გერმანიაში, ნაციზმის აღმავლობის ხანაში “სახიცოცხლო სივრცის” კონცეფცია დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ნაცისტი მეცნიერები და პოლიტიკოსები გერმანიის დაპყრობითი ომების გამართლებას ცდილობდნენ “სახიცოცხლო სივრცის” გაფართოების აუცილებლობით.

ცენტრალური არეალის კონცეფციის (*Core Area Concept*) ავტორია ამერიკელი გეოგრაფი დერვეტე უიტლესი (*Derwent Whittlesey*). მისი განმარტებით ეს არის “არეალი, რომელშიც ან რომლის გარშემოც ხდება სახელმწიფოს ფორმირება” (Whittlesey, 1944: 597).

ზოგადად, ცენტრალური არეალი (ტერიტორიული ბირთვი) არის ქვეყნის ყველაზე დასახლებული, ნედლეულით და სხვა რესურსებით ყველაზე მდიდარი ტერიტორია, რომელსაც გააჩნია ცენტრალური სატრანსპორტო მდებარეობა და სადაც განთავსებულია ქვეყნის დედაქალაქი. გეოგრაფიული ბირთვი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს, არამარტო ეკონომიკური და ადმინისტრაციული, არამედ, ასევე ეროვნულ-კულტურული თვალსაზრისითაც. ენტონი დაგლას სმიტი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ცენტრალური არეალში მცხოვრები მოსახლეობა წარმოადგენდა იმ ბირთვს, რომლის გარშემოც ხდებოდა ეთნოსის ფორმირება. ბირთვის მოსახლეობა კულტურული, აქედან გამომდინარე ეთნიკური თვალსაზრისით ყველაზე პომოგენური იყო (Smith, 1988: 11).

1964 წ. ამერიკელმა გეოგრაფებმა ნორმან ფაუნდსმა და სიუ ბოლმა ჩაატარეს ძალზე საინტერესო კვლევა, რომლის მიზანიც იყო დაედგინა რამდენი ევროპული ქვეყანა აღმოცენდა ისტორიულ-ტერიტორიული ბირთვის გარშემო. აღმოჩნდა, რომ განსახილველი 24 სახელმწიფოდან 15 სწორედ ცენტრალური არეალის გარშემო ჩამოყალიბდა. ამ საკითხის სიღრმისეულმა შესწავლამ კვლევის ავტორებს საშუალება მისცა გამოეტანათ დასკვნა, რომ ამ ტიპის ქვეყნებისთვის (მაგ., საფრანგეთი, გაერთიანებული სამეფო, შვეიცარია, შვედეთი და დანია) დამახასიათებელია გაცილებით უფრო მაღალი ხარსიხის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული და სოციალურ-ეკონომიკური მდგრადობა, კიდრე მათოვის, რომელთა ფორმირებამ ტერიტორიული ბირთვის გარეშე ჩაიარა (Pounds & Ball, 1964: 40). ამგვარ მიდგომას მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები გააჩნია. ის შეიძლება გამოყენებულ იქნას, ძირითადად ევროპის, ასევე აზიის მიმართ, სადაც ერი-სახელმწიფოს მშენებლობა ბუნებრივად მიმდინარეობდა. სხვა კონტინენტებზე, განსაკუთრებით აფრიკაში თანამედროვე ტიპის სახელმწიფოების შექმნა მჭიდროდ უკავშირდებოდა ევროპულ კოლონიალიზმს, როდესაც სახელმწიფოებს შორის საზღვრების დემარკაცია, ხშირ შემთხვევაში ხელოვნურად ხდებოდა, კერძოდ – კოლონიზატორების ინტერესების გათვალისწინებით და ისტორიულ-კულტურული ფაქტორების სრული უგულვებელყოფით. მეორე მხრივ, ფაუნდსის და ბოლის მიდგომაში ხაზგასმულია ბირთვის გარშემო შექმნილი სახელმწიფოების უპირატესობა. ამით აღიარებულია “ორგანული” წარმოშობის სახელმწიფოების პრიორიტეტი, რაც თავისთავად არასასურველია. თუმცა, ესეც არ არის მთავარი. ძალზე საკამათოა ის საკითხი, რომ ისტორიული ბირთვის მქონე სახელმწიფოები გამოირჩევიან ეროვნული კონსოლიდაციის უფრო მაღალი ხარისიხით. ამის საპირისპიროდ შეიძლება დავასახელოთ მაგ., გერმანია, რომელსაც არასდროს გააჩნდა ისტორიული ბირთვი, უფრო კონსოლიდირებული სახელმწიფო, კიდრე გაერთიანებული სამეფო, სადაც წარმატებულ სოციალურ-კულტურული ინტეგრაციას ხელს უშლის ვალიური, შოტლანდიური და ირლანდიური ნაციონალიზმები.

### ფუნქციონალური მიდგომა – რიჩარდ ჰარტსპორნი

თანამედროვე სახელმწიფოების შესწავლის პიონერად, როგორც ზემოთ აღინიშნა, მიწნეულია ფრიდრიხ რატცელი, რომელმაც ჯერ კიდევ XIX ს.-ის

ბოლოს სახელმწიფო აღიარა ერთადერთ ჭეშმარიტ პოლიტიკურ ერთეულად. მოგვიანებით მისმა მიმდევრებმაც და მოწინააღმდეგებმაც სახელმწიფო განიხილეს, როგორც გეოპოლიტიკის ერთადერთი სუბიექტი. აღნიშნული იდეები პოლიტიკურ გეოგრაფიაში წინა საუკუნის შუა პერიოდამდე არ შეცვლილა.

რიჩარდ ჰარტსკორნი შეეცადა შეეცვალა კონცეფცია სახელმწიფოს არსისა და ფუნქციების შესახებ, რაც 1950 წ. წარმოადგინა თავის ნაშრომში “ფუნქციონალური მიდგომა პოლიტიკურ გეოგრაფიაში” (Muir, 1997: 116). ჰარტსკორნის მიხედვით სახელმწიფოს კვლევა არ უნდა შემოსაზღვრულიყო მხოლოდ ისტორიული უკოლუციის (ე.ი. ისტორიული მიდგომა) და სტრუქტურის ფორმირების (ე.ი. მორფოლოგიური მიდგომა) ანალიზით. ამგვარი მიდგომები საკმაოდ გავრცელებული იყო წინა საუკუნის გეოგრაფიაში, როდესაც სამეცნიერო ნაშრომების დიდი უმრავლესობა აღწერილობით ხასიათს ატარებდა. აღწერილობითობა გეოგრაფიაში მნიშვნელოვანია, მაგრამ არასაკმარისი. ჰარტსკორნს ეს კარგად ესმოდა, რის გამოც ის ახალი ინიციატივით გამოვიდა. ის მიუთითებდა, რომ ნებისმიერ სახელმწიფოში მოქმედებებს ცენტრისკენული და ცენტრიდანული ძალები (*Centripetal and centrifugal forces*) (Hartshorne, 1950: 106-110). შესაბამისად, სახელმწიფო იბრძვის არსებობისთვის, როგორც შიდა, ასევე გარეშე ძალებთან დაპირისპირების ან მათთან კონკურენციის პირობებში. ამ ბატალიებში, ჰარტსკორნის აზრით, იკვეთება სახელმწიფოს არსი და დანიშნულება ანუ *Raison d'être*<sup>49</sup> (იქვე: 111). გეოგრაფიისთვის ეს უაღრესად მნიშვნელოვანი კონცეპტი იყო, რომელმაც დასაბამისი მისცა ზოგადად სახელმწიფოს თეორიაში და კონკრეტულად გეოგრაფიულ კვლევებში ფუნქციონალურ მიდგომას (*Functional approach*).

ჰარტსკორნი აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო განახორციელებს ოთხ ძირითად ფუნქციას: ტერიტორიულს, პოლიტიკურს, ეკონომიკურს და სტრატეგიულს (ამ უკანასკნელში იგულისხმებოდა გეოპოლიტიკა – აგრ.) და დასძენდა, რომ ეს ფუნქციები არსებობს არა განცალკევებულად, არამედ ერთმანეთთან ჭიდორო ურთიერთკავშირში, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს კიდეც სახელმწიფოს ნორმალურ ფუნქციონირებას (იქვე: 127).

### პოლიტიკური და სოციალური ინტეგრაციის განმეორებადი მოდელები – კარლ დოიჩი

სახელმძღვანელოს მე-2 თავში ჩვენ განვიხილეთ კარლ დოიჩის ანალიზი ერებისა და ნაციონალიზმის ჩამოყალიბება-განვითარებიასთან დაკავშირებით. დოიჩი ამტკიცებდა, რომ თანამედროვე სახელმწიფოების აღმოცენება ევროპაში დაიწყო, რაც განაპირობა შემდეგი ცაქტორების ერთობლიობამ:

1. ნატურალური სოფლის მეურნეობიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა.
2. ცენტრალური არეალების აღმოცენება.
3. ქალაქების ზრდა.
4. საბაზო საკომუნიკაციო ბადეების (ქსელის) განვითარება
5. კაპიტალის და სამუშაო ძალის უნარ-ჩვევების აკუმულირება და კონცენტრაცია.
6. ინდივიდუალური თვითშეგნების ამაღლება და ჯგუფური ინტერესების ზრდა.
7. ეთნიკური შეგნების გამოფხილება (გაღვივება).

<sup>49</sup> *Raison d'être* (ფრანგ.) სიტყვასიტყვით – არსებობის მიზეზი, დასაბუთება. პირველად ეს ტერმინი 1864 წ. გამოიყენა ბრიტანელმა ფილოსოფოსმა ჯონ სტიუარტ მილმა ნაშრომში “არსებობის რაციონალური საფუძველი”.

8. ეთნიკური იდენტობის და პოლიტიკის შერწყმა (ეთნიკური იდენტობის პოლიტიზირება). ხდება პრივალეგირებული სოციალური ფენის ფორმირება ამჯერად ეთნიკურობის საფუძველზე (Deutsch, 1953: 172-173).

ამ ჩამონათვალში მოცემული რვა ფაქტორი შეიძლება სამ ძირითადად ჯგუფში გავაერთიანოთ, რაც საშუალებას მოგვცემს მივიდეთ დასკვნამდე, რომ დოიჩის მიხედვით თანამედროვე სახელმწიფოების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა სამმა უმნიშვნელოვანესმა ფაქტორმა, კერძოდ ინდუსტრიალიზაციაში, ურბანიზაციაში და ნაციონალიზმში. მოცემული სამეული, თავის მხრივ დამახასიათებელია მხოლოდ ერი-სახელმწიფოსთვის. დოიჩის აზრით ერი-სახელმწიფო საზოგადოების მართვის გაცილებით უფრო უფექტური ფორმაა, ვიდრე ისტორიაში მანმადე არსებული სუპრანაციონალური წარმონაქმნები (ამ შემთხვევაში იმპერიები) ან ფეოდალური ქვეყანა ან ტომობრივი გაერთიანება (იქვე: 190). დოიჩის აზრით, ამის მთავარი მიზეზი იმაში მდგომარობს, რომ კაცობიობის ისტორიაში არსებული პოლიტიკური ორგანიზაციის არცერთი ფორმისთვის არ იყო დამახასიათებელი სოციალური მობილიზაციის ისეთი ხარისხი, როგორც ერი-სახელმწიფოსთვის. კონკრეტულად ევროპული, ზოგადად კი მაღალგანვითარებული სახელმწიფოების მშენებლობის საწყისს ეტაპზე მიმდინარეობდა საზოგადოების ყველა ფენის კეთილდღეობის ზრდა, რაც განსაკუთრებული ხიბლი შესძინა ერ-სახელმწიფოს. თუმცა, სახელმწიფოს განვითარების გარკვეულ ეტაპზე დაირღვა სოციალური თანასწორობა, რამაც საზოგადოების ქვედა ფენების უკმაყოფილების ზრდასთან ერთად საზოგადოების სოციალური დეზინტეგრაცია გამოიწვია. დოიჩმა გამოოქვა ვარაუდი თანამედროვე სახელმწიფოს “დაღუპვის” შესახებ. ერი-სახელმწიფოს ერთ-ერთ ალტერნატივად, ის განიხილავდა ზესახელმწიფოებრივ და სახელმწიფოთაშორის გაერთიანებებს. საგულისხმოა, რომ დოიჩი ამის შესახებ წერდა 1953 წ. ანუ იმ დროს, როდესაც ევროკავშირის იდეა ჯერ კიდევ არ არსებობდა. ამასთან, დოიჩი ეჭვის თვალით უყურებდა ადნიშნულ გაერთიანებებსაც, რადგან ისინი არასტაბილურ ფორმირებებად მიაჩნდა, სადაც ნებისმიერ დროს შეიძლება იფეთქოს “აგრესიულმა ნაციონალიზმა”. დოიჩის აზრით, ყველაზე კარგი გამოსავალი არის არა “უნივერსალური სახელმწიფო” (იგულისხმება სახელმწიფოთაშორისი გაერთიანება), არამედ ფედერაციულ პრინციპებზე აგებული სახელმწიფო, რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნება მაღალი დონის ტექნოლოგიური და სოციალური მობილიზაცია (იქვე: 195).

### **ტერიტორიული სახელმწიფოს კონცეფცია – ჯონ ჰერცი**

საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო სამართლის ცნობილმა ამერიკელმა სპეციალისტმა ჯონ ჰერცმა (John Herz) 1957 წ. გამოაქვეყნა ნაშრომი “ტერიტორიული სახელმწიფოს აღზევება და დაკნინება”. ეს ნაშრომი დღესაც საკმაოდ აქტუალურია, განსაკუთრებით მეცნიერებების შორის.

ჰერცის კონცეფციის მთავარი თეზისი იმაში მდგომარეობდა, რომ ისტორიულად ქვეყნის (სამეფოს, საერისთაოს) ტერიტორიის სიდიდე იზრდებოდა

სამხედრო ტექნოლოგიების სრულყოფასთან ერთად. პერცი მიუთითებდა, რომ უფელესი პერიოდიდან გვიანდელ ფეოდალიზმამდე, უფრო ზუსტად კი ასაფეთქებელი ნივთიერების გამოგონებამდე ტერიტორიული ერთეულები, თუ პერიოდულად აღმოცენებულ იმპერიოებს არ ჩავთვლით, დიდი სიდიდით არ გამოირჩეოდა. უფრო მეტიც ამ პერიოდში ყველაზე დიდი გავრცელება ქალაქ-სახელმწიფოებმა მიიღო, რომლებიც შემოსაზღვრული იყო ციხე-სიმაგრეებით. ასეთ პირობებში შესაძლებელი იყო ქალაქისა და მისი მოსახლეობის თავდაცვა გარეშე მტრების შემოსევისგან. დენთისა და ზარბაზნების გამოგონების შემდეგ აშკარა გახდა, რომ ციხე-სიმაგრეების მნიშვნელობა შემცირდა (Herz, 1957: 476). შესაბამისად გაიზარდა ქვეყნების თავდაცვის არეალი ქალაქ-სახელმწიფოდან ან სამეფოდან ვესტფალიის ხელშეკრულებით დადგენილ ოფიციალურ სახელმწიფო საზღვრებამდე.

XX ს.-ის დასაწყისში, როდესაც სამხედრო არსენალი შეივსო მძიმე არტილერიითა და საფრენი ბომბდამშენი აპარატებით ძველი ტიპის საფორტიფიკაციო ნაგებობებმა პრაქტიკულად აზრი დაკარგა. II მსოფლიო ომშა, უპირველეს ყოვლისა კი ბირთვული იარაღის შექმნამ დაადასტურა, რომ ერთი, თუნდაც დიდი სახელმწიფოს ტერიტორიაც კი არ იყო საკმარისი თანამედროვე სამხედრო მანქანის დამანგრეველი ძალისგან თავდაცვის მიზნით. ამ თვალსაზრისით, 1940-იანი წლების ბოლოს მსხვილი სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანებების შექმნა (მაგ., ნატო ან “გარშავის პაქტი”) საკმაოდ ლოგიკურად გამოიყერებოდა.

პერცის ზემოთ აღნიშნული ნაშრომი 1957 წ. გამოქვეყნდა და მან საკმაოდ დიდი უურადღება მიიპყრო. მოგვიანებით სხვა მეცნიერებმა განავრცეს პერცის იდეები. ისინი მიუთითებდნენ, რომ მსოფლიოს მილიტარიზაცია არ შემოიფარგლა ჩვენი პლანეტის მასშტაბით და მან კოსმოსური სივრცეც მოიცვა. 1980-იან წლებში აშშ-მა წამოიწყო “გარსკვლავური ომების” პროგრამა, რომელიც ნატოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით კოსმოსური ტექნოლოგიების გამოყენებით თავდაცვითი ფარის შექმნას ითვალისწინებდა (Muir, 1997: 77).

## პოლიტიკური გეოგრაფიის ერთიანი ველის თეორია – სტივენ ჯონსი

ამერიკელმა მეცნიერმა სტივენ ჯონსმა (*Stephen Jones*) სახელმწიფოს ჩამოყალიბების შესახებ სხვა მეცნიერებისგან განსხვავებული კონცეფცია შეიმუშავა. ის შეეცადა დაეკავშირებინა პოლიტიკა და გეოგრაფია, უფრო კონკრეტულად კი სოციალური და საბუნებისმეტყველო თეორიები. ჯონსმა ფიზიკიდან “ისესხა” ფიზიკური ველის ცნება, რაც არის მატერიის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც დამასასიათებელია დროისა და სივრცის ყველა წერტილისათვის. ფიზიკური ველის სიდიდე, როგორც წესი იცვლება სივრცის ერთი წერტილიდან მეორეში გადაადგილების დროს ([http://en.wikipedia.org/wiki/James\\_Clerk\\_Maxwell](http://en.wikipedia.org/wiki/James_Clerk_Maxwell)). პოლიტიკის მეცნიერებიდან ჯონსმა გამოიყენა პოლიტიკური იდეის ცნება და შეეცადა დაემტკიცებინა, რომ ის იდეა წარმოადგენს პოლიტიკური არეალის ფორმირების ძირითად იმპულსს. იდეის ჩამოყალიბის შემდეგ ხდება შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება. გადაწყვეტილების პრაქტიკული განხორცილების პროცესში მიმდინარეობს მოძრაობა, რომელიც მოიცავს, როგორც მოსახლეობის, ასევე პროდუქციის, ტრანსპორტის, ინფორმაციის, ფინანსების გადაადგილებას. ამ მოძრაობის

შედეგად იქმნება ველი, სადაც ხორციელდება ყველა სახის საზოგადოებრივი (ხორციალური) აქტივობა. ველის ფორმირების საბოლოო ეტაპზე ხდება მისი საზღვრების დადგენა, რის შედეგადაც იქმნება პოლიტიკური არჯალი.

სქემატურად ჯონსის მიერ წარმოდგენილი პოლიტიკური არეალის ჩამოყალიბების პროცესი შემდეგნაირად გამოიყერება: პოლიტიკური იდეა – გადაწყვეტილება – მოძრაობა – ველი – პოლიტიკური არჯალი (Jones, 1954: 115).

ამ თეორიის კლასიკურ პრაქტიკულ მაგალითად ჯონსი ისრაელის შექმნას ასახელებდა (იქვე: 117). სიონიზმის<sup>50</sup> იდეოლოგიაში ჩადებული იყო ისრაელის სახელმწიფოს იდეა. პოლიტიკური გადაწყვეტილება გაფორმდა ბელფურის 1917 წ. დეკლარაციით. მოძრაობაში გადამწყვეტი ადგილი ქონდა ებრაელთა იმიგრაციას, რის შედეგად შეიქმნა ებრაელებით დასახლებული ველი, ხოლო გაეროს 1948 წ. რეზოლუციით დადგინდა ისრაელის სახელმწიფოს საზღვრები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჯონსი ტერმინი “პოლიტიკური არჯალი” ძირითადად გულისხმობს სახელმწიფოს, რის გამოც მის თეორიას ხშირად მოიხსენიებენ, როგორც სახელმწიფოს შექმნის ერთიანი ველის თეორიად. მიუხედავად იმისა, რომ ჯონსის თეორია საკმაოდ საინტერესო და ორიგინალურია მან გეოგრაფებს შორის სათანადო პოპულარობა ვერ მოიპოვა, სავარაუდოდ იმის გამო, რომ ის წარმოადგენს საზოგადოებრივ-გეოგრაფიული მოვლენების უნიფიცირების მცდელობას, რაც არ ესადაგება გეოგრაფიის კონცეპტუალურ და პრაქტიკულ არსეს.

## სახელმწიფო, როგორც კონტეინერი – პიტერ ტეილორი

1994 წ. გამოქვეყნდა ცნობილი ბრიტანელი გეოგრაფის პიტერ ტეილორის ნაშრომი “სახელმწიფო, როგორც კონტეინერი” (Taylor, 1994). მანამადე სახელმწიფო განიხილებოდა, როგორც მხოლოდ “ძალაუფლების კონტეინერი” (Giddens, 1985). ტეილორისეული ახალ მიდგომაში აქცენტი კეთდება სახელმწიფოს რთულ და კომპლექსურ შინაარსზე. ტეილორმა წინა პლანზე წამოსწია სახელმწიფოს ტერიტორიალობის პრინციპი. მისი მტკიცებით სწორედ ტერიტორიალობა განსაზღვრავს სახელმწიფოს, როგორც კონტეინერის მრავალფეროვან ხასიათს. კერძოდ, მსოფლიოში თავისუფალი ბაზრის და სამეწარმეო კონკურენციის პირობებში, როდესაც ხდება კაპიტალის დაგროვება სახელმწიფო გვევლინება, როგორც, არამარტო “ეკონომიკური”, არამედ, როგორც “კეთილდღეობის კონტეინერი”. ნაციონალიზმის ეპოქაში, როდესაც სახელმწიფო დგას ეროვნული ინტერესების და ფასეულობების სადარაჯოზე მას გააჩნია “კულტურული კონტეინერის” ფუნქციაც. ხელისუფლების მიერ მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ინტერესების დაცვა და ამ ჯგუფებს შორის ურთიერთობების რეგულირება მიუთითებს, რომ სახელმწიფო, ასევე არის “სოციალური კონტეინერი” (Muir, 1997: 100).

ამასთან, გავიხსენოთ, რომ ტერიტორიალობა არის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების პროდუქტი. კაპიტალიზმის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ტერიტორიალობა განაპირობებდა სახელმწიფოს ავტორქიულობას და ერთგარ იზოლაციონიზმსაც კი. ამას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ “ცივი ომის” პერიოდში სახელმწიფოთა ტერიტიული მთლიანობის საერთაშორისო პრინციპი ზედმიწევნით კარგად იყო დაცული. მაგრამ, კომუნიზმის დაცემამ და ერთიანი კაპიტალისტური მსოფლიო ეკონომიკის შექმნამ მნიშვნელოვანი კორექტივები

<sup>50</sup> ტერმინი “სიონიზმი” მომდინარეობს იერუსალიმში მდებარე მთის სახელწოდებიდან. სიონიზმი, როგორც პოლიტიკური იდეოლოგია XIX ს.-ის ბოლოს შეიქმნა. მისი დამფუძნებელი იყო ცნობილი ებრაელი მოღვაწე თეოდორ ჰერცლი. სიონიზმის მთავარი მიზანი იყო ისრაელის მიწაზე ებრაელი სახელმწიფოს შექმნა.

შეიტანა საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკაში. ადამიანების, ინფორმაციის, სამეურნეო პროდუქციის, ფინანსების მზარდმა ნაკადებმა სახელმწიფოების ფუნქციონირება გაცილებით უფრო დია და გამჭვირვალე გახადა. დღევანდელი სახელმწიფო, ადარ არის ისეთი იზოლირებული, როგორც როგორც წინა ორი საუკუნის განმავლობაში. თანამედროვე პირობებში, სახელმწიფოს, როგორც კონტეინერს ძარი გაუჩნდა და ის, რაც მისგან უნავს, უპირველეს კოვლისა არის სუვერენიტეტი. ადამიანები მათი მთავრობებისგან ითხოვენ ისეთ რეფორმებს, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობის ამაღლებას. ასეთი რამ მხოლოდ გლობალური ეკონომიკის პირობებშია შესაძლებელი. პიტერ ტეილორი ვარაუდობს, რომ ეს შეუქცევადი პროცესია, შესაბამისად, დროთა განმავლობაში მსოფლიო თვისებრივად შეიცვლება, შედეგად კი სახელმწიფოს როლი მინიმუმადე შემცირება.

### მსოფლისტებმათა ანალიზი – იმანუელ უოლერსტეინი

სახელმძღვანელოს I თავში აღინიშნა, რომ საზოგადოებრივი გეოგრაფიის განვითარებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა იმანუელ უოლერსტეინის ნაშრომმა „მსოფლისტებმათა ანალიზი და სიტუაცია თანამედროვე მსოფლიოში“. თუმცა, მნიშვნელოვანი მეცნიერული ლირებულება გააჩნია მის სხვა მონოგრაფიებსაც, როგორებიცაა: „ნაცნობი მსოფლიოს დასასრული: XXI საუკუნის სოციალური მეცნიერება“, „ლიბერალიზმის შედეგ“ და „რასა, ერი, კლასი. ორაზროვანი იდენტობები“. უოლერსტეინის „მსოფლისტებმათა ანალიზი“ არის კონცეფცია, რომელიც გვთავაზობს ისტორიული სისტემების (ე.ი. „მსოფლისტების“) გენეზისისა და ფუნქციონირების მექანიზმების აღწერას, ასევე მათი განვითარების თავისებურებების ანალიზს. მსოფლისტებას უოლერსტეინი განიხილავს, როგორც ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური პროცესების ერთობლიობას, რომელიც ყალიბდება ისტორიის ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ამ ერთობლიობის სიმყარეს განაპირობებს სისტემის შიგნით არსებული შრომის საზოგადოებრივი დანაწილება<sup>51</sup> (Валлерстайн, 2004: 51).

უოლერსტეინი გამოყოფს ორი ტიპის სისტემებს: მინისისტემებს და მსოფლისტებებს. პირველი მათგანი არსებობდა პირველყოფილი ოქმური წყობილების დროს პრიმიტიული პროტოსოციუმების სახით. რაც შეეხება, მსოფლისტებებს ის თავის მხრივ იყოფა მსოფლიო იმპერიებად და მსოფლეკონომიკებად (იქვე: 8). უოლერსტეინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მსოფლეკონომიკის შესწავლას, რადგან ის პირდაპირ არის დაკავშირებული კაპიტალიზმთან.

ამერიკელი მეცნიერი მიიჩნევს, რომ მსოფლიოში უკვე XVI ს.-ში ჩამოყალიბდა კაპიტალისტური ეკონომიკა და დაიწყო ერთიანი მსოფლიო ეკონომიკის ფორმირება. ამ პროცესის ავანგარდშიც იყო ევროპა. რამდენიმე ევროპული სახელმწიფოს წარმატებულმა განვითარებამ განაპირობა კონკურენციის ინსტიტუციონალიზაციიდან და ევროპა იქცა არა იმპერიად, სადაც

<sup>51</sup> შრომის საზოგადოებრივი დანაწილება არის საზოგადოებრივი შრომის ისტორიულად განსაზღვრული სისტემა, რაც ყალიბდება საზოგადოებრივი განვითარების პროცესში შრომითი საქმიანობის თვისებრივი დიფერენციაციის შედეგად. (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11, თბილისი, 1997, გვ. 26). შრომის დანაწილება ხდება, როგორც ეკონომიკის სექტორებისა და დარგების, ასევე გეოგრაფიული, დემოგრაფიული და სხვა ნიშნით (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=22247>).

რომელიმე ერთი ერი გაბატონდებოდა, არამედ დაახლოებით თანაბარი განვითარების მქონე ერების კონგლომერატად (ცივილიზაციად).

ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით თანდათანობით გამოიკვეთა მსოფლიოს პორიზონტალური (გეოგრაფიული) სტრუქტურა: ბირთვი – ნახევარპერიფერია – პერიფერია. ბირთვს, რომელსაც წარმოადგენს განვითარებული ქვეყნები დომინირებს “ღარიბ” პერიფერიაზე, ხოლო ამ ორს შორის ამორტიზატორის როლს ასრულებს ნახევარპერიფერია (იქვე: 49). უოლერსტეინის მიხედვით ბირთვის ცენტრი მობილურია. XX ს.-ის დასაწყისამდე ის დიდ ბრიტანეთში მდებარეობდა, შემდეგ აშშ-ის აღმოსავლეთში გადაინაცვლა, ხოლო ამჟამად ის გადაადგილდება ამავე ქვეყნის წყნარი ოკეანის სანაპიროსკენ. უოლერსტეინის ვარაუდით ოციონე წელიწადში ბირთვის ცენტრი შეიძლება ჩინეთში აღმოჩნდეს.

ნახევარპერიფერიის ქვეყნები დროთა განმავლობაში აღზევდებიან ბირთვში ან ჩამოქვეთდებიან პერიფერიაში. იმანუელ უოლერსტეინის აზრით, ნებისმიერმა ქვეყანამ ან ერმა წარმატებით უნდა გაიაროს კაპიტალიზმის სტადია, სხვა შემთხვევაში ის განწირულია სოციალურ-ეკონომიკური სიდუხჭირისთვის.

უოლერსტეინი მიიჩნევს, რომ მსოფლიოს ამგვარი პორიზონტალური მოწყობა არის პლანეტარული სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის შედეგი. ამ მხრივ, ის ეყრდნობა “დამოკიდებულების თეორიის” ძირითად პოსტულატებს.

დამოკიდებულების თეორია XX ს.-ის შუა პერიოდში შეიქმნა და მის ავტორებად მიიჩნევენ არგენტინელ ეკონომისტს რაულ პრებიშ (Raoul Prebisch) და გერმანიის დაბადებულ ბრიტანელ ეკონომისტს ჰანს ზინგერს (Hans Singer). ამ თეორიის, რომელსაც სხვაგვარად ზინგერ-პრებიშის თეზისსაც უწოდებენ, ძირითადი დებულებები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- მაღალგანვითარებული ქვეყნების უზრუნველყოფა ბუნებრივი რესურსებით, იაფი მუშა-ხელით და პროდუქციის გასაღების ბაზრებით ხდება განვითარებადი ქვეყნების ხარჯზე.
- განვითარებული ქვეყნები ქმნიან მექანიზმებს, რომლის მეშვეობითაც იზრდება მათზე განვითარებადი სამყაროს დამოკიდებულების ხარისხი. ამ მხრივ გამოიყენება სხვადსხვა სახის საშუალებები, როგორიცაა ეკონომიკური (ბანკები, ფინანსები), მასმედია, პოლიტიკური ხასიათის ზეწოლა, განათლება, კულტურა.
- იმ შემთხვევაში, თუ დარიბი ქვეყნები განიზრახავენ მდიდარი ქვეყნების დამოკიდებულებიდან თავის დახსნას, ეს უკანასკნელები მათ წინააღმდეგ გამოიყენებენ ეკონომიკურ სანქციებს და სამხედრო ინტერვენციას ([http://en.wikipedia.org/wiki/Dependency\\_theory](http://en.wikipedia.org/wiki/Dependency_theory)).

ზინგერის და პრებიშის აზრით, განვითარებადი ქვეყნების დამოკიდებულება მდიდარ ქვეყნებზე წლიდან წლამდე იზრდება. მაღალგანვითარებულმა ქვეყნებმა დარიბი სახელმწიფოების ექსპლუატაციის შედეგად შეძლეს საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობის მნიშვნელოვანი ამაღლება, რითაც თავიდან აიცილეს სოციალური ბუნტი და რევოლუციები.

მსოფლიო-სისტემათა თეორიაში განსაზღვრულია პოლიტიკის სივრცითი დონეები: ა) გლობალური, სადაც ხდება მსოფლიო ეკონომიკის ტენდენციების განსაზღვრა; ბ) ერი-სახელმწიფო, სადაც ადამიანის მიერ ხდება რეალური სამყაროს აღქმა და გ) ადგილობრივი, რომელიც წარმოადგენს ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კერას. უოლერსტეინის თეორიამ წინ წამოწია ეველა სივრცითი დონის მნიშვნელობა, ხაზი გაუსვა მყარ კავშირს

გლობალურსა და ლოკალურს შორის. საზოგადოებრივ გეოგრაფიაში ხშირად იხმარება ამ კავშირის ამსახველი ტერმინები, მაგ., “გლოკალი” ან “გლოკალური”.

მთლიანობაში უოლერსტაინი ამტკიცებს, რომ არ არსებობს მსოფლიო ქვეყნების ეკონომიკების ერთობლიობა – არსებობს ერთიანი მსოფლიო ეკონომიკა; არ არსებობს მსოფლიო ქვეყნების საზოგადოებების ერთობლიობა – არსებობს ერთიანი მსოფლიო საზოგადოება. რაც შეეხება პოლიტიკის სფეროს, ამერიკელ მეცნიერს მიაჩნია, რომ მსოფლიოს ერთიანი პოლიტიკური სისტემა ჯერ არ არსებობს. უფრო მეტიც, ის დარწმუნებულია, რომ მრავალრიცხოვანი სახელმწიფოების არსებობის გამო ჩვენი პლანეტის პოლიტიკური სისტემა დაქსაქსული და წინააღმდეგობრივია. უოლერსტაინი ამტკიცებს, რომ სახელმწიფომ, როგორც ასეთმა თავისი თავი ამოწურა (Валлерстайн, 2001: 387). უოლერსტაინის აზრით, თანამედროვე სახელმწიფო ლიბერალიზმის იდეების საფუძველზე შეიქმნა და მოგვიანებით ეს იდეები ბურჟუაზიის მიერ პროლეტარიატის ექსპლუატაციის მთავარი იარაღი გახდა. მისი აზრით, ლიბერალიზმი საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციასთან ერთად იშვა და ის “კომუნისტური ბლოკის” დაშლასთან ერთად დასრულდა (იქვე: 321). უოლერსტაინს, როგორც სხვა მარქსისტ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ლიბერალიზმის აღსასრული სახელმწიფოების კვლევას მოასწავებს.

აღსანიშნავია, რომ უოლერსტაინი დიდ ყურადღებას არ უთმობს ნაციონალიზმის, იდენტობის, ხალხების კულტურული თავისებურებების ანალიზს ანუ გვერდს უვლის იმ მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებენ მსოფლიოს კულტურული მოზაიკის არსებობას. უოლერსტაინის თეორიისთვის, როგორც ყველა მარქსისტული ნაშრომისთვის დამახასიათებელია, ერთი მხრივ, გადაჭარბებული ეკონომიკური დეტერმინიზმი, ხოლო, მეორე მხრივ, კულტურული ნიპილიზმი.

უოლერსტაინი (ნეო)მარქსისტია, თუმცა კლასიკური მარქსიზმისგან განსხვავებით ის უარყოფს განვითარების რევოლუციურ გზას და მას სახიფათოდაც კი მიიჩნევს. მისი აზრით, მომავალი მსოფლიო უნდა გახდეს ჰეშმარტად დემოკრატიული და ეგალიტარული, სადაც გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან ინტელექტუალებმა, კერძოდ კი ნეოუტოპისტებმა (იქვე: 322).

## თანამედროვე სახელმწიფო

წინა თავში ჩვენ მიმოვისილეთ ნაციონალიზმი და მასთან დაკავშირებული საკითხები. ვნახეთ, რომ ნაციონალიზმის მკვლევარები ჯერ კიდევ ვერ თანხმდებიან იმაზე ერთ თანამედროვე ფენომენია თუ ის პრიმოდრიალური წარმოშობისაა. აქვს თუ არა ადგილი მგვარ პოლემიკას სახელმწიფოსთან მიმართებაში? ცნობილია, რომ პირველი ქალაქი-სახელმწიფოები ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში დაარსდა. შუა საუკუნეების ქვეყნებში მეტნაკლებად წარმოდგენილი იყო ყველა ის სახელმწიფოებრივი ატრიბუტი, რაც დამახასიათებელია თანამედროვე სახელმწიფოებისთვის, მათ შორის: ტერიტორია, მოსახლეობა, ხელისუფლება და სახელმწიფო მართვის აპარატი, ეკონომიკა, ტარნსპორტისა და კომუნიკაციების სისტემა. მაგრამ, მათ არ ქონდათ მკაფიოდ დადგენილი და საერთაშორისო დონეზე აღიარებული საზღვრები. სხვა სიტყვებით, ზუსტად არ იყო განსაზღვრული რომელი ტერიტორია შედიოდა ამა თუ იმ ქვეყნის მფლობელობაში. შესაბამისად, XVI ს.-ის შუა პერიოდამდე ქვეყნებისთვის არ იყო დამახასიათებელი სახელმწიფო სუვერენიტეტი ანუ სახელმწიფო არ იყო ტერიტორიული ძოვლენა. ტერიტორიული სუვერენიტეტი არის ის ძირითადი ნიშანი, რითაც თანამედროვე სახელმწიფო განსხვავდება წინამდებარების სისტემების მიხნით.

## სახელმწიფო სუვერენიტეტი

ტერმინი “სუვერენიტეტი” უკავშირდება ფრანგი იურისტის ჟან ბოდენის სახელს. XVI ს.-ის დასაწყისში გამოქვეყნებულ მის ნაშრომში აღნიშნულია, რომ სუვერენიტეტი არის მონარქის აბსოლუტური და ხელშეუხებელი ძალუფლების გამოხატულება. სუვერენიტეტის ცნება გვიანდელი შუა საუკუნეების ეპოქაში ასახავდა იმ ბრძოლას, რომელიც მიმდინარეობდა ერთი მხრივ, ფეოდალური დაქსაქსულობის წინააღმდეგ და ცენტრალიზებული სახელმწიფოს შემნისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, სამოქალაქო ხელისუფლების ეკლესიის დაქვემდებარებიდან გამოსვლის მიზნით (Сергунин, 2010).

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, კერძოდ კი სადვოთო რომის იმპერიაში კათოლიკურ ეკლესიას წამყვანი ადგილი ეცავა სულიერ და საერთო საქმეებში. ის ცდილობდა სრულ დაქვემდებარებაში ეოლოდა ნებისმიერი მონარქის ან დიდებულის ხელისუფლება. პავლე მოციქულის სიტყვა, რომ არ არსებობს ხელისუფლება, თუ ის არ მომდინარეობს დვინისგან, საეკლესიო პირების მიერ იმგვარად იყო ინტერკრეტირებული, რომ ნებისმიერი საერთო ხელისუფალი რომის პაპს უნდა დაქვემდებარებოდა. უფრო მეტიც, XI ს.-ში რომის პაპმა გრიგორი VII სახელმწიფო ეჭმაკის ქმნილებად გამოაცხადა. კათოლიკური ეკლესიის მცდელობა მიმართული იყო ევროპაში სახელმწიფო წარმონაქმნების გაუქმების და ერთიანი უნივერსალური იმპერიის შექმნისკენ, რომელსაც რომის პაპი უხელმძღვანელებდა. ამგვარმა დამოკიდებულებამ უცურეაქცია გამოიწვია, როგორც საერთო მმართველების, ასევე, თვით საზოგადოების მხრიდან. ჯერ, პროტესტანტიზმის აღმოცენებამ და გავრცელებამ, მოგვიანებით კი ვესტფალიის ხელშეკრულებამ (1648 წ.) საბოლოო წერტილი დაუსვა კათოლიკური ეკლესიის დომინირებას დასავლეთ ევროპაში (ვესტფალიის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საკითხები უფრო დეტალურად აღწერილია მე-4 თავში).

ვესტფალიის ხელშეკრულებამ კაცობრიობის ისტორიაში სათავე დაუდო თვისებრივად ახალ პერიოდს, რომელსაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ

სუვერენიტეტი სახელმწიფო ეპოქა. გარდა ამისა, ამ ხელშეკრულებამ იმპულსი მისცა თანამედროვე სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესს.

გესტფალიის ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებული იყო ის ოთხი ძირითადი პრინციპი, რომელიც განსაზღვრავდა სახელმწიფო სუვერენიტეტს. ესენია:

- სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა;
- სახელმწიფო საზღვრების შეუვალობა;
- სახელმწიფოს (და არა ეკლესიის) უზენაესობა;
- სახელმწიფო საკუთარ ტერიტორიაზე დამოუკიდებლად განახორციელებს კანონების მიღებასა და აღსრულებას.

ევროპაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, XVI ს.-ის შუაში ეკლესიის სუვერენიტეტი შეიცვალა სახელმწიფო, უფრო ზუსტად კი სუვერენის სუვერენიტეტით. სუვერენის რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. სახელმძღვანელოში გამოყენებულია უან ბოდენის განმარტება, რომლის მიხედვითაც სუვერენი არის პირი, რომელიც განუსაზღვრელი დროის განმავლობაში სრულად განახორციელებს სახელმწიფო მმართველობას. აუცილებელი არ არის, რომ სუვერენი მონარქი იყოს. სუვერენი შეიძლება წარმოდგენილი იყოს იყოს ერთი ადამიანით ან ადამიანთა გაერთიანებით (მაგ., არისტოკრატია), რომლებიც განახორციელებენ სახელმწიფო მმართველობას.

ამ რადიკალურმა ცვლილებებმა იმდროინდელ სამეცნიერო-ფილოსოფიურ ნაშრომებში ჰპოვა ასახვა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ინგლისელი მოაზროვნის თომას ჰობსის (*Thomas Hobbes*) ნაშრომი “ლეგიათანი ანუ საეკლესიო და სამოქალაქო სახელმწიფოს მატერია, ფორმა და ძალაუფლება”. ეს წიგნი ჰიბრიდული ინგლისის სამოქალაქო ომის (1642-1652 წწ.) დროს დაწერა და საგარაუდოა, რომ ამ მოვლენებმა დიდი ზეგავლენა იქონია ავტორის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. ჰობსი მიიჩნევდა, რომ ადამიანების ყოფის “ბუნებრივმა მდგომარეობამ”, რომელიც შეიძლება დახასიათდეს როგორც “*Bellum omnium contra omnes*” (“ყველას ომი ყველას წინააღმდეგ”) ადამიანთა მოდგმა გაუსაძლის პირობებში ჩაიყენა. აქედან გამომდინარე, სრულიად ლოდიკური და გამართლებული იყო, რომ ადამიანებმა მიაღწიეს სოციალურ შეთანხმებას მართველობის ისეთი ფორმის შემოღების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფდა მათ უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას. ამგვარი შეთანხმების შედეგი იყო სახელმწიფოს<sup>52</sup> შექმნა. ჰობსი აბსოლუტური ძალაუფლების მომხრე იყო და მიიჩნებდა, რომ სხვა შემთხვევაში საზოგადოებას ქაოსი დაეპატრონებოდა. მმართველობის საუკეთესო ფორმად კი მას მონარქია მიაჩნდა (იქვე). ინგლისელი მოაზროვნე სახელმწიფოს ლევიათანს ადარებდა. ეს უკანასკნელი იყო ბიბლიური ურჩხული, რომელიც ღმერთმა შექმნა და მანვე გაანადგურა, მას შემდეგ, რაც მისი მართვა შეუძლებელი გახდა. ლევიათანის და სახელმწიფოს ალეგორიული შედარება შემთხვევითი არ არის. სახელმწიფო ადამიანების ქმნილებაა და მისი აღსასრულიც ადამიანების ნებაზე იქნება დამოკიდებული.

ჰობსისგან განსხვავებით ჯონ ლოკი უპირატესობას ისეთ მმართველობას აძლევდა, სადაც მაქსიმალურად იქნებოდა შესაძლებელი ადამიანის “ბუნებრივი თვისებების” შენარჩუნება. ჰობსიც და ლოკიც თავის ნაშრომებში საზს უსვამდნენ იმ ფაქტს, რომ სუვერენის ძალაუფლება იმდენად დიდი იყო, რომ ამან გამოიწვია საზოგადოების მხრიდან მისი გაუცხოება. ხალხი სახელმწიფოს ე.ი. ხელისუფლებას განიხილავდა არა მარტო, როგორც მისი უსაფრთხოების ნებაზე იქნება დამოკიდებული.

<sup>52</sup> თომას ჰობსი სახელმწიფოსთან მიმართებაში ხმარობს ტერმინს “Commonwealth” და არა “State”.

დამცველს, არამედ, როგორც ინსტიტუტს, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო ინდივიდის პიროვნულ განვითარებისა და მატერიალურ კეთილდღეობისთვის. იმის გამო, რომ სუვერენი ვერ უზრუნველყოფდა ამ ამოცანის შესრულებას ხალხი შეეცადა მმართველობის ფორმა შეეცვალა. ამერიკისა და საფრანგეთის XVIII ს.-ის რევოლუციების ძირითადი მოტივი ახალი ტიპის ხელისუფლების შექმნა იყო. ამ რევოლუციებით საფუძველი ჩაეყარა სუვერენის სუვერენიტეტის შეცვლას ხალხის სუვერენიტეტით ანუ დემოკრატიით.

“ხალხის სუვერენიტეტის” იდეა XVIII ს.-ის ფრანგმა განმანათლებელმა ჟან-ჟაკ რუსომ (*Jean-Jacques Rousseau*) გააქცია. მისი აზრით, სუვერენი არის ხალხი ანუ “პოლიტიკური ორგანიზმი”, რომელიც აღჭურვილია ძალაუფლებით, რომ მართოს საზოგადოება მისი და არა ხელისუფლების ინტერესებიდან გამომდინარე. სუვერენიტეტის მატარებელი არის ის ხელისუფლება, აღნიშნავდა რუსო, რომელიც გამოხატავს საყოველოათ ნებას (Pycco, 1998: 220–221). იმავე ს.-ში მოღვაწე მეორე ფრანგმა განმანათლებელმა შარლ მონტესკიემ (*Charles Montesquieu*) წინა პლანზე წამოსწია იდეა სახელმწიფო მმართველობის ისეთ ფორმაზე, სადაც პრიორიტეტული იქნებოდა ხელისუფლების დაყოფის პრინციპი. ხალხის სუვერენიტეტის იდეა იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ მან ასახვა პოვა ბევრი სახელმწიფოს კანონმდებლობაში. მაგ., აშშ-ის კონსტიტუცია (1787 წ.) იწყება ცნობილი სიტყვებით “ჩვენ, ამერიკის შეერთებული შტატების ხალხი . . .”, რითაც ხაზგასმულია, რომ ხელისუფლების წყარო არის ხალხი (წყარო).

ხალხის სუვერენიტეტის დოქტრინა უალტერნატივო იყო დაახლოებით საუკუნენახევრის განმავლობაში, სანამ XX ს.-ის დასაწყისში ცნობილმა გერმანელმა პოლიტოლოგმა და სოციოლოგმა მაქს ვებერმა არ წარმოადგინა “ლეგიტიმური ძალადობის” კონცეფცია. ვებერის აზრით, იმის გამო, რომ სახელმწიფოში მხოლოდ ხელისუფლება ფლობდა ძალის გამოყენების ექსკლუზიურ უფლებას, ის იყო ერთადერთი სუვერენი. მარქსიზმ-ლენინიზმის თეორებიკოსებმა განვითარებულ ეს თეზისი და ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ კაპიტალიაზმის პირობებში ხელისუფლება ძალას კლასობრივი ჩაგრის მიზნით იყენებდა.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირი შეეცადა კორექტივები შეეტანა სუვერენიტეტის ცნებაში. ამ მიზნით საბჭოელმა იდეოლოგებმა წარმოადგინეს “ეროვნული სუვერენიტეტის” კონცეფცია. ეს იყო ყველასთვის ცნობილი “ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპი”. საბჭოთა მთავრობის წინადადებით ეს პრინციპი შეტანილ იქნა გაეროს წესდებაში და ამ ორგანიზაციის მიერ მიღებულ სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებში. კომუნისტური ბლოკის მთავრობები დარწმუნებული იყინენ, რომ ამ პრინციპის საერთაშორისო აღიარება მწვანე შექს აუნთებდა ეროვნულ-განმანათავისუფლებელ მოძრაობებს კოლონიურ ქვეყნებში, რითაც “დასავლურ იმპერიალიზმს” დიდი ზიანი მიადგებოდა. ეს ასეც მოხდა, როდესაც 1950-70-იან წლებში მოხდა აზიისა და აფრიკის მასობრივი დეკოლონიზაცია. თუმცა, 1980-იანი წლების ბოლოს საბჭოთა რესპუბლიკებში აღმოცენებულმა ეროვნული მოძრაობებმა ამავე პრინციპის საფუძველზე მოითხოვეს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფა. საბჭოთა ხელისუფლებას ბუმერანგივით დაუბრუნდა თავის დროზე ინიცირებული “ხალხთა თვითგამორკვევა”.

### ჰელსინკის აქტი

კომუნისტური ბლოკის დაშლის შემდეგ სუვერენიტეტის ცნების დახვეწა ძირითადად ნეოლიბერალური მსოფლმხედველობის კარნაბით წარიმართა. ჯერ ლიბერალების და შემდგომ ნეოლიბერალების წარმატებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ სუვერენიტეტის ინტერპრეტირება ხდება საერთაშორისო

დოკუმენტებში დაფიქსირებული დირებულებებისა და ნორმების საფუძველზე ნეოლიტერალები განარჩევენ შემდეგი სამი ძირითადი სახის სუვერენიტეტს:

- **სახელმწიფო სუვერენიტეტი**, რაც ნიშნავს ხელისუფლების უზენაესობას ქვეყნის შიდა საქმეებში და მის დამოუკიდებლობას საერთაშორისო ასპარეზზე. ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ხელისუფლება სრულად და სხვა სახელმწიფოებისგან ჩაურევლად განახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ფუნქციებს. ის დამოუკიდებლად წარმართავს საერთაშორისო ურთიერთიბებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის ნებაყოფლობით ახდენს გარკვეული უფლებების დელეგირებას საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის.
- **ეროვნული სუვერენიტეტი** დაკავშირებულია ხალხთა თვითგამორკვევასთან. ეს საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი წინააღმდეგობრივი პრინციპია. ერთი მხრივ, აღნიშნულია, რომ სახელმწიფო მცხოვრებ ხალხს, ამ შემთხვევაში ეთნიკურ ან რელიგიურ უმცირესობას აქვს თვითგამორკვევის, მათ შორის ამ სახელმწიფოდან გამოყოფის უფლება. მეორე მხრივ, საერთაშორისო სამართალი არ ადგენს ამ პრინციპის რეალიზების პროცედურებსა და საშუალებებს.
- **ხალხის სუვერენიტეტი** გულისხმობს, რომ სახელმწიფოს მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ საზოგადოებრივ და სახელმწიფო საქმეებში ფართო და დაუბრკოლებელი მონაწილეობის უველა საშუალება. ნეოლიტერალები აღნიშნავენ, რომ ხალხის სუვერენიტეტი უველა დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობის ფუნდამენტია. ხალხი თავის ნებას გამოხატავს თავისუფალი არჩევნების, რეფერენდუმების გზით და, აქედან გამომდინარე ხალხი არის სახელმწიფო ხელისუფლების სათავე და უმაღლესი ხელისუფლება (Sørensen, 1999: 590–604).

უახლეს ისტორიაში სხვადასხვა პოსტკოზიტისტური (კრიტიკული) სამეცნიერო და იდეოლოგიური მიმართულებების გააქტირულების შედეგად სუვერენიტეტთან მიმართებაში შეიქმნა ალტერნატიული მიდგომები. პოსტმოდერნისტები პოსტსტრუქტურალისტები, ფემინისტები, ნეომარქსისტები, კონსტრუქტივისტები სუვერენიტეტის ერთმანეთისგან განსხვავებულ დეფინიციებს გვთავაზობენ, თუმცა უველანი ერთხმად აღნიშნავენ, რომ გლობალიზაციის ეპოქაში სუვერენიტეტი უოველგვარ აზრს კარგავს, რადგან პოლიტიკურ სცენას ტოვებს მისი ძირითადი მატარებელი – სახელმწიფო. პოსტკოზიტისტები მიუთითებენ, რომ მიმდინარეობს სახელმწიფო სუვერენიტეტის დელეგირება, ერთი მხრივ, სუბნაციონალური ერთეულებისთვის (ფედერაციის სუბიექტები, ოლქები, პროვინციები და ა.შ.), ხოლო, მეორე მხრივ, სუპრანაციონალური (საერთაშორისო) ორგანიზაციებისთვის და ტრანსნაციონალური კომპანიებისთვის. უფრო მეტიც, პოსტკოზიტისტები ამტკიცებენ, რომ სახელმწიფო არა მარტო რუდიმენტია, არამედ სახითო მოვლენადაც კი იქცა. ისინი აღნიშნავენ, რომ სახელმწიფოები ცდილობენ არ დაკარგონ პოლიტიკურ ასპარეზზე მანამადე არსებული პრივილეგირებული პოზიციები, რის გამოც ხელოვნურად ძაბვენ მდგომარეობას ახალი

შეიარაღებული კონფლიქტების, ეპონომიკური კრიზისების, გარემოს გაუარესების გზით. ნეოლიბერალუდი არ ეთანხმებიან ამგვარ მოსაზრებებს და მიუთითებენ, რომ ნაადრევია “სუვერენიტეტის”, შესაბამისად “სახელმწიფოს” დასაფლავება. მათ მიაჩნიათ, რომ სუვერენიტეტის ინსტიტუტი ამჟამად ახალი გამოწვევებისადმი ადაპტირებას პროცესშია (იქვე: 604).

სუვერენიტეტის ცნების ისტორიული ევოლუციის მიმოხილვის შემდეგ საშუალება გვაქვს გავაკეთოთ მასთან დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა.

სუვერენიტეტი არის გარკვეულ ტერიტორიაზე უმაღლესი ხელისუფლების განხორციელება. ამ განმარტებაში ხაზგასმულია სამი სიტყვა: ტერიტორია, უმაღლესი და ხელისუფლება. სუვერენიტეტთან მიმართებაში თითოეული მათგანს მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს, კერძოდ::

- ხელისუფლება ფლობს ძალაუფლებას;
- ხელისუფლება არის ტერიტორიის მართვის უმაღლესი (უზენაესი) ორგანო;
- სუვერენიტეტი ტერიტორიული ფენომენია.

გეოგრაფიული მასშტაბის მიხედვით სუვერენიტეტი შეიძლება იყო შიდა და საგარეო. სახელმწიფოს სუვერენიტეტი უნდა იყოს აღიარებული სხვა სახელმწიფოების მიერ. თანამედროვე მსოფლიოში სუვერენულია მსოლოდ გაეროს წევრი-სახელმწიფოები.

სახელმწიფო სუვერენიტეტი არის სახელმწიფოს ტერიტორიაზე უმაღლესი ხელისუფლების განხორციელება. იმ შემთხვევაში, თუ გარკვეულ გარემოებათა გამო ხელისუფლების იურისდიქცია არ ვრცელდება სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე საქმე გვაქვს შეზღუდულ ტერიტორიულ სუვერენიტეტთან. თანამედროვე სახელმწიფოებში ადგილი აქვს სუვერენიტეტის დელეგირებას, ერთი მხრივ, ფედერალური ან ადმინისტრაციული ერთეულებისთვის და, მეორე მხრივ, საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის ან სახელმწიფოთაშორისო გაერთიანებისთვის. ასეთი სიტუაციასთან მიმართებაში ზოგიერთი მეცნიერი ხმარობს ტერმინს “ნაწილობრივი სუვერენიტეტი”, თუმცა ეს ტერმინი არ ასახავს აღნიშნული მოვლენის არსეს, შესაბამისად მისი გამოყენება არასასურველია.

თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფო სუვერენიტეტის “შეზღუდვა” ინტენსიურ ხასიათს იღებს. ამასთან დაკავშირებით წნდება კითხვა იმის თაობაზე, თუ რამდენად არასასურველია ან თუნდაც წამგებიანია ასეთი სიტუაცია თვით სახელმწიფოებისთვის? დემოკრატიულ ქვეყნებში სუვერენიტეტის ნაწილის დელეგირება სუბნაციონალური ერთეულებისთვის და სამოქალაქო საზოგადოებისთვის იმაზე მეტყველებს, რომ ხელისუფლების ფუნქციონირება უფრო გამჭვირვალე და ანგარიშგებადი ხდება. ეს სახელმწიფოსთვის და მისი ყოველი მოქალაქისთვის ძალზე პოზიტიური მოვლება. ნებისმიერი სახელმწიფოს მონაწილეობა საერთაშორისო ურთიერთობის სისტემაში, კერძოდ კი მის მიერ საერთაშორისო დოკუმენტებით დადგენილი ვალდებულებების შესრულება იმის მნიშვნელოვანი გარანტია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა მხრიდან მიმდინარეობს ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მონიტორინგი. დემოკრატიულმა ქვეყნებმა, გარდა აღნიშნულისა შეძლეს კოლექტიური უსაფრთხოების (ნაწო) და საერთო ეკონომიკური განვითრების (მაგ., ეკონომიკური, ნაფტა) სისტემების ორგანიზება.

აღსანიშნავია ისიც, რომ თანამედროვე საერთაშორისო სისტემა ჯერ კიდევ შორს არის სრულყოფისგან. მსოფლიოში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ომებს,

სისხლიან კონფლიქტებს, “ეთნიკურ წმენდას” და გენოციდსაც კი. გაეროს მიღებული აქვს მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომელთა განხორციელება საშუალებას იძლევა თავიდან იქნას აცილებული ან დროულად შეჩერებული მასობორვი ძალადობა და სისხლისღვრა. მიუხედავად ამისა, ამ დოკუმენტებით განსაზღვრული დონისძიებების განხორციელება ვერ ხერხდება, რადგან ამას ხელს უშლის ცალკეული ძლიერი ქვეყნების გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ამბიციები. სამწუხაროდ, საერთაშორისო ორგანიზაციებს ჯერჯერობით არ შესწევთ უნარი შეაჩერონ ბირთვული იარაღის მქონე ქვეყნების იმპერიული მისწრაფებები. როდესაც, ეს ხდება ადგილი აქვს ერთი სახელმწიფოს სუვერენიტეტის ხელყოფის მცდელობას მეორეს მხრიდან.

## სახელმწიფოს ფუნქციები

სახელმწიფოს ფუნქციების იმდენი კლასიფიკაცია-ტიპოლოგია არსებობს, რამდენი მეცნიერი მუშაობს ამ საკითხებზე. მათ შორის ყველაზე მარტივი და იმავდროულად ამომწურავი არის ჯინ გოტმანის (*Jean Gottmann*) მიერ შემუშავებული კლასიფიკაცია, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს ასრულებს ორ ძირითად ფუნქციას:

- უზრუნველყოფს მოსახლეობის უსაფრთხოებას; და
- ქმნის ადამიანის განვითარების შესაძლებლობას (*Gottmann, 1973: 14*).

ცნობილმა ბრიტანელმა მეცნიერმა რონ ჯონსტონმა (*Ron Johnston*) შემოგვთავაზა სახელმწიფოს ფუნქციების გაფართოებული ჩამონათვალი, რომელიც ექვსი პუნქტისგან შედგება (*Jonston, 1982: 11-15*). ეს ფუნქციებია:

*უსაფრთხოების – სახელმწიფო ახორციელებს ქვეყნის ტერიტორიის და მოსახლეობის დაცვის ფუნქციას, რომელიც, თავის მხრივ რამდენიმე მიმართულებას მოიცავს, კერძოდ:*

- იგი იცავს თავის მოქალაქეებს ფიზიკურად, როგორც კრიმინალური ელემენტებისაგან, ასევე გარეშე მტრებისაგან (აგრესია, დივერსია, ტერორიზმი და ა.შ.) ჯარის, პოლიციის, უშიშროების სამსახურების მეშვეობით.
- გარდა ამისა, მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა ხორციელდება ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვის მხრივაც.
- სახელმწიფო იცავს მოქალაქეების ეკონომიკურ ინტერესებსაც (საბაჟო სამსახურის, შრომის ბირჟის, საგადასახადო სამსახურის მეშვეობით).
- სახელმწიფო იცავს საკუთარი ქვეყნის ეთნო-დემოგრაფიულ სიტუაციის, მაგ., მიგრაციული პროცესების რეგულირების გზით.
- სოციალურ-კულტურულ ინტეგრაციის (ერთიანი კულტურულ პოლიტიკური სივრცის) დაცვისათვის სახელმწიფო იურიდიკური განათლების სისტემას და ასევე მოქალაქეობის ინსტიტუტს.
- სახელმწიფო ყურადღებას უთმობს საზოგადოების ტრადიციების, თვითმყოფადობის და მისი მორალური დირებულებების შენარჩუნებას. ამ მიზნით იგი იყენებს განათლების, საინფორმაციო (მას-მედიის ჩათვლით) და სამეცნიერო ინსტიტუტებს.

*სახამართლო – სხვადასხვა სახის დავების, კონფლიქტების, გაუგებრობების გადასაწყვეტად, რომელიც წარმოიშვება ფიზიკური და*

იურიდიული პირების ურთიერთობაში სახელმწიფო ქმნის სასამართლო და საარბიტრაჟო ინსტიტუტების ქსელს, რომლებიც ხელმძღვანელობენ კანონით და თავისუფალი არიან სამთავრობო და პოლიტიკური ორგანიზაციების ზეგავლენისაგან.

**მაკონსოლიდირებელი** (შემაჯავშირებელი) – საზოგადოებაში მიმდინარეობს რთული პროცესები, რაზეც ზეგავლენას ახდენს, როგორც შინაგანი, ასევე საგარეო ფაქტორები. ყოველტვის მოიძებნება სახელმწიფოსადმი მტრულად განწყობილმა ძალები, რომლებიც შეეცდებიან ხელი შეუწყონ მოცემული ქვეყნის დესტაბილიზაციას, მათ შორის საზოგადოების სოციალურ და კულტურულ-პოლიტიკურ დეზინტეგრაციას. ამ შემთხვევაში, სახელმწიფო ცდილობს არასასურველი პროცესების კორექტირებას, საზოგადოების ერთობის აღდგენას, მშვიდობიანი ეთნო-კულტურული და რელიგიური ატმოსფეროს დამკვიდრებას. სახელმწიფოს პოლიციურის გარდა, იდეოლოგიური ფუნქციაც გააჩნია, რომლის შემუშავება და განსაკუთრებით განხორციელება რთული, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი საქმეა. რიგ შემთხვევებში, ხელისუფლებას არაპოპულარული პოლიტიკის გატარებაც კი უხდება.

**ფასილიტაციის** – ქვეყნის საწარმოო და საფინანსო ინფრასტრუქტურა სათანადო კონტროლისა და კოორდინაციის გარეშე წარმოშობს მოსახლეობის სოციალური დაუცველობის პრობლემას. სახელმწიფოს ვალია დაარეგულიროს ურთიერთობა მეწარმეებსა და დასაქმებულებს (ასევე სხვა სოციალურ ჯგუფებს შორის) ძირითადად მოლაპარაკებებისა და დიალოგის პროცესის მეშვეობით. ამ თვალსაზრისით სახელმწიფო გვევლინება უფრო როგორც ფასილიტატორი, ვიდრე მოსამართლე ან მომრიგებელი.

**საინკუსტიციო** – თანამედროვე ეკონომიკაში, განსაკუთრებით მისი განვითარების კრიზისულ პერიოდებში ადგილი აქვს სხვადასხვა სახის საწარმოების და ბანკების გაკოტრებას, რაც თავის მხრივ იწვევს სოციალური სიტუაციის გართულებას (უმუშევრობა, სიღატაკე და ა.შ.). სახელმწიფო ერევა ამ პროცესში და ცდილობს გადაარჩინოს ეს საწარმოები და ბანკები. მეორე მხრივ, სახელმწიფო ცდილობს ფული დააბანდოს თავის სამეურნეო ან ინტელექტუალურ პოტენციალში. დაბანდებული კაპიტალი გარკვეული დროის შემდეგ შემოსავლის სახით უბრუნდება პროცესის ყველა მონაწილეს: სახელმწიფოს, მეწარმეს, დასაქმებულს. შემოსავლის გარკვეული ნაწილი ხმარდება სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებას.

**ბიუროკრატული** – მოსახლეობას ყველაზე მეტად ეს ფუნქცია არ უყვარს, თუმცა მის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სახელმწიფოს ფუნქციონირება. მართვის სტილსა და ეფექტიანობაზე დამოკიდებულია ქვეყნის სოციალური სტაბილურობა, ეკონომიკური ძლიერება, უსაფრთხოების ხარისხი. სახელმწიფოს უნდა ყავდეს მაღალკვალიფიციური ბიუროკრატია, მაგრამ თვითონ არ უნდა იყოს ბიუროკრატული.

### **სახელმწიფოს ტერიტორია: ფორმირების ფაქტორები, კონფიგურაცია, მდებარეობა**

დაახლოებით 200 წლის წინ მსოფლიოში მხოლოდ 23 სუვერენული სახელმწიფო არსებობდა. 1980 წ. მათმა რიცხვმა 160 მიაღწია (Goertz & Diehl, 1992: 35). ამჟამად მსოფლიოში 193 სუვერენული სახელმწიფოა.

კონტინენტების მიხედვით სახელმწიფოების განაწილება შემდეგნაირად გამოიყერება:

- ევრაზია – 90, მათ შორის:
- ევროპა – 46

• აზია – 44

- აფრიკა – 54
- ჩრდილოეთ ამერიკა – 23
- ავსტრალია და ოკეანეთი – 14
- სამხრეთ ამერიკა – 12

ზემოთ ჩამოთვლილი, ყველა ქვეყანა გაეროს წევრი-სახელმწიფოა. წმინდა საყდარს (ქალაქ სახელმწიფო ვატიკანს) განსაკუთრებული სტატუსი აქვს (იხ. ჩანართი №). კიდევ 64 ქვეყანა მიიჩნევა დაქვემდებარებულ ტერიტორიად. ჯერ კიდევ 2-3 ათწლეულის წინ ამ ტერიტორიებს მოისხიერდნენ, როგორც კოლონიურ ქვეყნებს და არა დაქვემდებარებულ ტერიტორიებს. სახელწოდების ცვლილება გამოწვეულია იმით, რომ ეს ქვეყნები არ იძრდვიან დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის. აღსანიშნავია, რომ მათი დიდი უმრავლესობა წარმოადგენს კარიბის ზღვის აუზში, წყნარ და ატლანტის ოკეანებში მიმობნეულ პატარა კუნძულოვან დარიბ ქვეყნებს. იმის გამო, რომ მათ არ გააჩნიათ წიაღისეული ან სხვა სახის სიმდიდრები მათი მოსახლეობის კეთილდღეობა ძირითადად დამოკიდებულია მათი “მფარველი” სახელმწიფოების ფინანსურ და სხვა სახის დახმარებაზე. ეს ტერიტორიები მსოფლიოს მხოლოდ რვა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში შედის. დაქვემდებარებული ტერიტორიების რაოდენობით გამოირჩევა საფრანგეთი (16), გაერთიანებული სამეფო (15) და აშშ (14). მათგან განსხვავებით არსებობს ქვეყანათა, ტერიტორიათა გარკვეული რაოდენობა, სადაც ადგილი აქვს სეპარატისტულ მოძრაობებს. ზოგიერთი მათგანი დე-ფაქტო გამოიყო ამა თუ იმ სახელმწიფოს, მაგრამ მათი საერთაშორისო აღიარება არ მომხდარა. “ანომალიური ტერიტორიების“ საკითხს მოგვიანებით განვიხილავთ.

ჩანართი №

წმინდა საყდარი

წმინდა საყდარი (ლათ. *Sancta Sedes*) არის რომში კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპალური იურისდიქცია ანუ ეპისკოპალური საყდარი. მისი მეთაურია რომის პაპი. წმინდა საყდარი მსოფლიოს უძველესი სუვერენული ერთეულია. მისი სამოქალაქო სუვერენიტეტი ჯერ კიდევ 601 წ. იღებს სათავეს.

წმინდა საყდარი არის საერთაშორისო საჯარო სამართლის სუვერენული სუბიექტი, რომელიც ფლობს სტატუსს *persona sui generis* (განსაკუთრებული ნიშნის მქონე სუვერენული პერსონა). ეს ნიშნავს, რომ წმინდა საყდარი არ არის სუვერენული სახელმწიფო, მაგრამ საერთაშორისო სისტემაში მას განსაკუთრებული ადგილი უკავია. საკმარისია ითქვას, რომ წმინდა საყდარს დამყარებული აქვს დიპლომატიური ურთიერთობები მსოფლიოს 179 სახელმწიფოსთან.

ეშირად ერთმანეთთან აიგივებენ წმინდა საყდარს და ქალაქ-სახელმწიფო ვატიკანს. ეს არასწორი მიღვომაა. ვატიკანი წმინდა ეპარქიის დამატებით სუვერენულ ტერიტორიას წარმოადგენს. ვატიკანი, როგორც სუვერენული ტერიტორია 1929 წ. ლატერანის ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა. ვატიკანის უმაღლესი აღმასრულებელ პირია პაპის მიერ დანიშნული რომის კურიის კარდინალი. მსოფლიოს სახელმწიფოებს დიპლომატიური ურთიერთობები აქვთ არა ქალაქ-სახელმწიფო ვატიკანთან, არამედ წმინდა საყდართან.

წმინდა საყდარი სარგებლობს გაეროს მუდმივი მეთვალყურის სტატუსით. ის თეოკრატიული არჩევითი მონარქია. პაპის არჩევა ხდება *კონკლავის*

(კარდინალების კოლეგიის) მიერ. რომის პაპი განახორციელებს სამ მნიშვნელოვან ფუნქციას:

- სამოქალაქო სუვერენის;
- რომის ეპისკოპოსის – კათოლიკური ეკლესიის მეთაურის;
- ქალაქ-სახელმწიფოს ვატიკანის სუვერენის.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანი, რაც წმინდა საყდარს სუვერენული სახელმწიფოსგან განასხვავებს არის ის, რომ მას არ ყავს მუდმივი მოქალაქეები. რომის პაპს დაახლებით 600-მდე ქვეშემრდომი ყავს. მათ 90%-ზე მეტს სასულიერო პირები შეადგენენ. წმინდა საყდრის მოქალაქება არ მოიპოვება დაბადებით ან ნატურალიზაციით, რადგან მისი მინიჭება მხოლოდ პაპის პრეროგატივაა. ტურიზმი წმინდა საყდრის ეკონომიკის ერთადერთი დარგია. მისი ხაზინა ძირითადად მორწმუნეთა შემოწირულობებით ივსება.

წყარო: [http://en.wikipedia.org/wiki/Holy\\_See](http://en.wikipedia.org/wiki/Holy_See)

პირველი შთაბეჭდილება, რაც მსოფლიოს პოლიტიკური რუკის დათვალიერებისას გვიჩნდება არის ის, რომ ქვეყნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ტერიტორიის სიდიდით და ფორმით. ქვეყნების ტერიტორიების ფორმირება მიმდინარეობდა რთული ისტორიულ-პოლიტიკური ფაქტორების ზემოქმედებით. მსოფლიოში არ მოიძებნება არცერთი ქვეყანა, რომელსაც არ გადაეტანოს ომები. ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიის ზრდა ან შემცირება, როგორც წესი ომებისა და შეიარაღებული კონფლიქტების გზით ხდებოდა.

ვესტფალიის ხელშეკრულების ძალით სახელმწიფოებს შორის საზღვრების დადგენაში, როგორც ადრე აღინიშნა, მხოლოდ ევროპული სახელმწიფოები მონაწილეობდნენ. შესაბამისად, ევროპული ქვეყნების ტერიტორიული გაფართოება, ფორმალურად ევროპის ტერიტორიის გარეთ მდებარე “არავის მიწების” მიერთების ხარჯზე შეიძლება მომხდარიყო. ვესტფალიის შემდგომ პერიოდში ტერიტორიის “მოპოვება” შემდეგი გზებით ხდებოდა (ხდება):

- ტერიტორიის აღმოჩენა და ოკუპაცია (*Discovery and Occupation*) ევროპული სახელმწიფოებისთვის მათი ტერიტორიული ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალება იყო. გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქიდან დაწყებული XIX ს.-მდე ევროპულმა ქვეყნებმა აღმოაჩინეს და დაიკავეს (ოკუპირება მოახდინეს) ორივე ამერიკის, ოკეანეთის და აფრიკის დაუსახლებელი ტერიტორიები. ამ პროცესში ევროპელები ხელმძღვანელობდნენ “ტერა ნულიუს” (*Terra nullius*) პრინციპით, რომელის მიხედვითაც, თუ მიწა არავის ეპუთვნოდა მაშინ მისი მფლობელი ხდებოდა ის, ვინც მას პირველი დაეპატრონებოდა. თუმცა, სიტუაცია რთულდებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც ესა თუ ის დასახლებული იყო ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. ევროპელებმა გამოსავალი იპოვნეს და აღნიშნულ შემთხვევაში დაიწყება აღმოჩენის დოქტრინის (*Discovery Doctrine*) ძირითადი პრინციპის გამოყენება. ამ პრინციპის მიხედვით თუ ტერიტორიაზე პრეტენზიას ორი პირი აცხადებდა, მაშინ ის იმ ადამიანის საკუთრება ხდებოდა, რომელიც სახელმწიფოს ქვეშემრდომი იყო. ორივე ამერიკაში, აფრიკასა და ოკეანეთში სახელმწიფოები, შესაბამისად მოქალაქეობის ინსტიტუტიც არ

არსებობდა. აქედან გამომდინარე, თუ მიწაზე პრეტენზიას ევროპელი და ადგილობრივი აბორიგენი აცხადებდნენ, მაშინ ის ევროპელის საკუთრება ხდებოდა. აშშ-ში აღმოჩენის დოქტრინა გამოიყენებოდა არა მარტო მიწის მესაკუთრის განსაზღვრის საქმეში, არამედ 1830 წ.-დან დიდი ხნის განმავლობაში ის წარმოადგენდა ტრადიციული განსახლების არეალებიდან ინდიელეთა სხვა ტერიტორიებზე გადასახლების სამართლებრივ საფუძველსაც ([http://en.wikipedia.org/wiki/Discovery\\_doctrine](http://en.wikipedia.org/wiki/Discovery_doctrine)). XX ს.-დან ანუ მას შემდეგ, რაც მსოფლიოს გეოგრაფიულ რუკაზე აღარ დარჩა თეთრი ლაქები ტერიტორიის აღმოჩენისა და ოკუპაციის პრინციპი პრაქტიკულად დავიწყებას მიეცა.

- **პრესკრიფცია (Prescription).** ეს მიდგომა გულისხმობს, რომ ერთი სახელმწიფოს გარკვეული ტერიტორია, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში დაკავებული აქვს მეორე მათგანს, ხდება ამ უკანასკნელის საკუთრება პირველი სახელმწიფოს მხრიდიან ამაზე პრეტენზიების არქონის შემთხვევაში. ევროპელების მიერ დაპყრობილ ხალხებს არ გააჩნდათ ერთიანი მმართველობა, რაც კოლონიზაციონის მხრიდან კვალიფიცირდებოდა, როგორც მომჩივანი მხარის არარსებობა. ამგვარი სამარტლებრივი ცუდლუტობის გზით ევროპელები ცდილობდნენ დაპატრონებოდნენ დაპყრობილი ხალხების მიწებს. XX ს.-ში დეკოლონიზაციის პროცესის შედეგად ევროპელები იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ თითქმის ყველა ის ტერიტორია, რომელიც თავის დროზე პრესკრიფციის მეშვეობით გაიფორმეს. თუმცა, მათ მაინც მოახერხეს ატლანტის და წყნარი ოკეანების მთელი რიგი კულტურების შენარჩუნება. თანამედროვე საერთაშორისო სამართალში პრესკრიფციის პრინციპი პრაქტიკულად ადარ გამოიყენება.

- **დაპყრობა და ანექსია (Occupation and Annexation).** კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში ეს იყო ტერიტორიის მითვისების ყველაზე ნაცადი მეთოდი. მისი მიღწევის საუკეთესო საშუალება ძალის გამოყენება, კერძოდ კი ომი იყო. დამპყრობელი იკავებს რომელიმე სახელმწიფოს გარკვეულ ან მთელ ტერიტორიას, აუქმებს მის კანონმდებლობას და სახელმწიფო ინსტიტუტებს, თავის იურისდიქციას ავრცელებს დაპყრობილ ტერიტორიაზე და იწყებს მის მართვას. ანექსიის აღიარების საფუძველს წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულება ან სხვა სახელმწიფოების მიერ ამ ანექსიის აღიარება. მაგ., 1910 წ. იაპონიამ მოახდინა კორეის ანექსია, 1938 წ. გერმანიამ – ავსტრიის, ხოლო 1940 წ. საბჭოთა კავშირმა – ბალტიის ქვეყნების (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი). თანამედროვე მსოფლიოში ანექსიის მაგალითია დასავლეთ საპარა, რომლის ტერიტორია ერთმანეთში გადაინაწილეს მავრიტანიამ და მაროკომ. გაერომ ეს ანექსია უკანონოდ სცნო (Glassner, 1993: 62). საერთაშორისო თანამეგობრობას ანექსიის ფაქტების მიმართ ძლაზე უარყოფითი დამოკიდებულება აქვს. ამის გამო, გავრცელება დაიწყო “ფარულმა ანექსიამ”. მაგ., ცნობილია, რომ “სამხრეთ ოსეთის” სეპარტისტებს სურდათ ამ ტერიტორიის რუსეთთან მიერთება. რუსეთმა თავი აარიდა საერთაშორისო საზოგადოებრიობის მოსალოდნელ მწვავე

რაექციას და მიერთების ნაცვლად “სამხრეთ ოსეთი” დამოუკიდებლობა აღიარა. სინამდვილეში ცხინვალის რეგიონი რუსეთის დე ფაქტო ნაწილს წარმაოდგენს, სადაც სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე რუსეთის იურისდიქცია ვრცელდება.

- **აკრეცია (Accretion).** სახელმწიფოს ტერიტორია შეიძლება გაიზარდოს ბუნებრივი პროცესების შედეგადაც. ეს ძირითადად ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ორი სახელმწიფოს სახელმწიფო საზღვარი მდინარეზე გადის. წყალდიდობების და მიწისძვრების დროს მდინარე კალაპოტს იცვლის და ამის შედეგად რომელიმე სახელმწიფოს ბუნებრივად ემატება ხმელეთის ნაწილი. საერთაშორისო სამართლის ნორმებით ავულზია ანუ მდინარის კალაპოტის შეცვლა არ იწვევს სახელმწიფო საზღვრის ცვლილებას. მიუხედავად იმისა, რომ ამა თუ იმ ქვეყნამ აღწერილი გზით შეიძლება შემოიმატოს ან დაიკავოს ხმელეთის უმნიშვნელო ნაწილი ეს რიგ შემთხვევებში მოსაზღვრე რეგიონში კონფლიქტის მიზეზიც კი შეიძლება გახდეს. საქმე იმაშია, რომ კალაპოტის ცვლილების გამო მდინარის ნაპირზე მანამდე მდებარე დასახლებამ შესაძლოა დაკარგოს მდინარეზე გასასვლელი. თუ გავითვალისწინებთ, რომ განვითარებად ქვეყნებში მდინარე შეიძლება წარმოადგენდეს ადამიანების შემოსავლის ერთადერთ წყაროს (თევზჭერა, ირიგაცია) ადგილი მისახვდრი იქნება, თუ, რატომ შეიძლება გახდეს ავულზია დაპირისპირების მიზეზი.

- **ტერიტორიის იჯარით გაცემა/აღება.** ეს ტერიტორიის ფლობის დროებითი, თუმცა მნიშვნელოვანი ფორმაა. იჯარით აღებულ ტერიტორიებზე, როგორც წესი ხდება სამხედრო ბაზების ან სატრანსპორტო-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის შექმნა. ძლიერი სახელმწიფოებისთვის საკუთარ თავდაცვისუნარიანობის ამაღლება დაატერიალური შემოსავლის მიღება გადამწყვეტი პრიორიტეტია. საბჭოთა კავშირმა 1962 წ. ფინეთს 50 წლიანი იჯარით გადასცა საიმაას არხის 4 კილომეტრიანი მონაკვეთი. ამით ფინეთს საშუალება მიეცა მოკლე გზით დაემყარებინა კავშირი ფინეთის პორტებსა და საიმაას ტბებს შორის.

XIX ს.-ის ბოლოს და XX ს.-ის დასაწყისში ჩინეთმა იჯარით გასცა კვანტუნის ოლქი, რომლითაც სხვადასხვა დროს სარგებლობდნენ რუსეთის იმპერია, სსრკ, იაპონია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი.

1903 წ. აშშ-მა პანამის მთავრობისგან უფლება მიიღო გამოეყენებინა, დაეკავებინა და გაეკონტროლებინა პანამის არხი. ამჟამად ეს არხი პანამის იურისდიქციაშია (Glassner, 1993: 62-63).

- **ტერიტორიის ნებაყოფლობით გადაცემა.** არცოუ ისე შორეულ წარსულში საქმაოდ გავრცელებული მოვლენა იყო ერთი სახელმწიფოს გარკვეული ტერიტორიის მეორესთვის გადაცემას მათ შორის დადებული შეთანხმების (ფულადი გარიგების ჩათვლით) საფუძველზე. აშშ ამის კლასიკური მაგალითია. დღევანდელი ამერიკის ტერიტორიის უდიდესი ნაწილის ფორმირება სწორედ ამ გზით მოხდა (იხ. ჩანართი №).

## ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიის ფორმირება

ამერიკის შეერთებული შტატების დღევანდელი ტერიტორიის კოლონიზაცია ევროპელების მიერ XVII ს.-ის დასაწყისში დაიწყო და ამ პროცესმა ინგლისური ხასიათი XVIII ს.-ში მიიღო. ამ პერიოდში შეიქმნა ჩამოყალიბდა ინგლისური, ფრანგული, ჰოლანდიური და ესპანური კოლონიები. აშშ-ს კოლონიური ტერიტორიები პირველად 1775 წლის გაერთიანდნენ, რაც დაფიქსირდა ფილადელფიის პირველ კონგრესზე. იმავე წელს კოლონიებმა დაამარცხეს ინგლისის ჯარები, ხოლო 1776 წლის 4 ივნისს ფილადელფიის მეორე კონგრესზე, რომელშიც 13 შტატის წარმომადგენლები იდებდნენ მონაწილეობას, აშშ-ს დამოუკიდებლობა გამოაცხადდა.

დიდმა ბრიტანეთმა 1783 წ. აღიარა აშშ-ის დამოუკიდებლობა, რაც გაფორმდა პარიზის ხელშეკრულებით. ამ დროისთვის აშშ-ის მისი დრევანდელი ტერიტორიის დაახლებით 1/3-ს შედგენდა (იხ. ნახ. №).

XIX ს.-დან ახალგაზრდა ამერიკული სახელმწიფოს მთავრობამ სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით დაიყო ახალი ტერიტორიების შემოერთება. კერძოდ, 1803 წელს აშშ-მა საფრანგეთისაგან შეისყიდა (დღევანდელი კურსით 233 მილ. დოლარად) ლუიზიანა, რომელიც დიდ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა, თანამედროვე ლუიზიანას შტატიდან ჩრდილოეთით კანადის საზღვრამდე. 1810 წ. ამერიკის გამგებლობაში გადავიდა ესპანური დასავლეთ ფლორიდა, ხოლო 1818 წ. აღმოსავლეთ ფლორიდა. 1845 წ. ამერიკამ შემოიერთა ტეხასი, რომელიც 6 წლის განმავლობაში დამოუკიდებელი იყო. 1846-48 წწ. ამერიკა-მექსიკის ომის შედეგად აშშ-მა მოახდინა დღევანდელი კალიფორნიის, ნევადას, იუტას და არიზონის ტერიტორიების ანექსია. თუმცა, შტატების მთავრობამ მექსიკას კომპენსაციის სახით გადაუხადა 374 მილ დოლარი (დღევანდელი კურსით). 1846 წ. დიდი ბრიტანეთთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე აშშ-ის შემადგენლობაში შევიდა ორეგონის მხარე (აშშ-ის თანამედროვე ტერიტორიის უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი). 1853 წ. ამერიკამ მექსიკისგან შეისყიდა სასაზღვრო ზონაში მდებარე 10 კილომეტრიანი მონაკვეთი, რომელშიც 279 მილ. დოლარი (დღევანდელი კურსით) გადაიხდა. ამ ტერიტორიაზე მოგვიანებით გაიყვანეს რკინიგზა, რომელმაც ქვეყნის დასავლეთი და აღმოსავლეთი დააკავშირა. 1867 წ. კი აშშ-მა ძალზე იაფად (დღევანდელი კურსით 120 მილ. დოლარი) რუსეთის იმპერიისგან შეიძინა ალასკა.

საინტერესო ისტორია აქვს ჰავაის კუნძულებს. XIX ს.-ის ბოლომდე ის მონარქიას წარმოადგენდა. 1893 წ. ინგლისელი და ამერიკელი ბიზნესმენების ხელშეწყობით ჰავაიზე სახელმწიფო გადატრიალება მოხდა. ქვეყნის სათავეში მოსულმა ახალმა პროამერიკულმა ხელისუფლებამ ჰავაი ჯერ რესპუბლიკად გამოაცხადა, ხოლო 1900 წ. კი - აშშ-ის შემადგენელ ნაწილად. 1959 წ. ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე ჰავაის კუნძულები ამერიკის 50-ე შტატი გახდა.

1898 წ. ესპანურ-ამერიკული ომის შემდეგ და ნახევარი მილიარდი დოლარის (დღევანდელი კურსით) სანაცვლოდ ესპანეთმა ამერიკას გადასცა თავისი კოლონიები: ფილიპინები, გუამი და პუერტო რიკო. ამ ორ უკანასკნელს აშშ-ის ასოცირებულ ტერიტორიების სტატუსი აქვს. კიდევ ერთი ყოფილი ესპანური ტერიტორიაზე – კუბაზე ამერიკის პროტექტორატი დაწესდა.

ამჟამად, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ამერიკის დაქვემდებარებაში არის 14 პატარა კუნძულოვანი ქვეყნა. მსოფლიოს კიდევ ათზე მეტ ქვეყანაში

ამერიკას იჯარის წესით აღებული მათი ტერიტორიები, სადაც განლაგებულია მისი სამხედრო ბაზები. ეს ქვეყნებია: იტალია, გერმანია, საბერძნეთი, ბაჟრეინი, სამხრეთ კორეა, იაპონია, ავღანეთი, ესპანეთი, კუვეიტი, ჯიბუთი, ბრაზილია, გაერთიანებული არაბული საემიროები.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ აშშ-ს საკუთრივ მისი და მისდამი დაქვემდებარებული ტერიტორიები მოპოვებული აქვს ყველა იმ საშუალებების გამოყენებით, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ. ამ თვალსაზრისით ის უნიკალური სახელმწიფოა.

წყაროება: <http://www.u-s-history.com/pages/h1646.html> და [http://en.wikipedia.org/wiki/United\\_States\\_territorial\\_acquisitions](http://en.wikipedia.org/wiki/United_States_territorial_acquisitions)

ტერიტორიის ფორმის მიხედვით მეცნიერ-გეოგრაფები განასხვავებენ შემდეგი ტიპის სახელმწიფოებს:

**კომპაქტური** – მანძილი ქვეყნის გეოგრაფიული ცენტრიდან საზღვრებამდე მეტნაკლებად თანაბარია. ასეთი ფორმის ტერიტორია შედარებით ადვილი სამართვია, როგორც სატრანსპორტო-ეკონომიკური, ასევე ადმინისტრაციული თვალსაზრისით. კომპაქტური კონფიგურაციის ქვეყნების მაგალითებია: უნგრეთი, საფრანგეთი, პოლონეთი, ნიგერია, ურუგვაი.

**ფრაგმენტული** – ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ტერიტორია “გაფანტულია”. ასეთი ფორმის ქვეყნების ორი ტიპი შეიძლება გამოვყოთ. ერთი მხრივ, ქვეყნის ტერიტორია არქიპელაგებზე ან ერთდროულად კონტინენტზე და კუნძულებზე შეიძლება იყოს განლაგებული. მაგ., ფილიპინები, დიდი ბრიტანეთი, დანია, ინდონეზია, იაპონია. მეორე მხრივ, ერთი ქვეყნის კონტინენტზე ნაწილებს შორის არ არსებობს საერთო საზღვარი. ამის მაგალითებია, აზერბაიჯანი, აშშ, რუსეთი, ომანი.

**წაგრძელებული** – ქვეყნის ასეთი კონფიგურაცია, როგორც წესი განპირობებულია ლანდშაფტურ-გეოგრაფიული პირობებით. მაგ., საზღვარი ჩილესა და არგენტინას შორის ანდების მთებზე გადის. ვიეტნამი მისი მეზობლებისგან გამოყოფილია ანამის (ჩიონგშონის) მთებით. გამბია ვიწრო ზოლად არის განთავსებულია მდინარე გამბიის ორივე სანაპიროზე. ამ გარემოებების გამო სამივე დასახელებულ ქვეყანას წაგრძელებული ფორმა აქვს.

**პერფორირებული** – მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნის ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოები მდებარეობს. აქედან მომდინარეობს ტერმინი “პერფორირებული”, რაც ნიშნავს გაბურღულს, გამჭოლს. ასეთი ქვეყნებია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, რომლის ტერიტორიაზე მდებარობს ლესოტო; იტალია, სადაც განლაგებულია ვატიკანი და სან-მარინო; სენეგალი, რომლის ტერიტორიაზე “შეჭრილია” გამბია.

**კომბინირებული** – რამდენიმე ქვეყნის ფორმა წარმოადგენს კომპაქტური და წაგრძელებული ფორმების ერთგვარ კომბინაციას. ასეთი კონფიგურაციის ქვეყნის მაგალითებია ტაილანდი, ანგოლა, ავღანეთი.

ტერიტორიის ფორმას პრაქტიკულად არანაირი კავშირი არ აქვს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონესთან. ნორვეგიას ტერიტორიას წაგრძელებული ფორმა აქვს, რაც მას ხელს არ უშლის, რომ იყოს მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალგანვითარებული ქვეყანა, იმ დროს, როდესაც კონპაქტური კონფიგურაციის მქონე სიერა ლეონე – ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილია.

ქვეყნის ფორმაზე გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს მის მდებარეობას. მდებარეობა სივრცის შემადგენელი კომპონენტია და მასაც

სიგრცის დარად რამდენიმე გაზომილება აქვს. მოცემულ შემთხვევაში განვიხილავთ მხოლოდ აბსოლუტი და შედარებითი მდებარეობებს. აბსოლუტი მდებარეობა გვაჩვენებს, თუ სად მდებარეობს ესა თუ ის სახელმწიფო მსოფლიოს (პოლიტიკურ) რუკაზე. სახელმწიფოს შედარებითი მდებარეობის დახასიათებისას მხედველობაში მიიღება ამ მდებარეობის, როგორც ბუნებრივ-გეოგრაფიული, ასევე პოლიტიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლები. მაგ., აქვს თუ არა სახელმწიფოს გასასვლელი ზღვაზე; როგორი ხასიათისაა მისი საზღვრები; რომელ სახელმწიფოებს ესაზღვრება; რამდენად ხელსაყრელია მისი მდებარეობა სატრანსპორტო-გეოგრაფიული თვალსაზრისით და ა.შ.

ზღვასთან სიახლოვე, უფრო ზუსტად კი ზღვაზე გასასვლელი სახელმწიფოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სატრანსპორტო-ეკონომიკური ასპექტია. ზღვაზე გასასვლელი აადვილებს სატრანსპორტო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებას, როგორც ერთი ქვეყნის ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილებს შორის, ასევე მის ურთიერთობას სხვა ქვეყნებთან. ეს თავის მხრივ ხელს უწყობს სახელმწიფოს პოლიტიკურ წონას ამაღლებას საერთაშორისო სისტემაში.

სახელმწიფოს, რომელსაც არ გააჩნია ზღვაზე ე.ი. მსოფლიო ოკეანეზე გასასვლელი ჩაკეტილ სახელმწიფოს (*Landlocked State*) უწოდებენ. მსოფლიოში 43 ჩაკეტილი სახელმწიფოა. ეს სახელმწიფოების<sup>53</sup> (კონტინენტების მიხედვით):

- აფრიკა (16 სახელმწიფო): ბოტსვანა, ბურკინა ფასო, ბურუნდი, ეთიოპია, ზამბია, ზიმბაბვე, ლესოტო, მალავი, მალი, ნიგერი, რუანდა, სვაზილენდი, სამხრეთ სუდანი, უგანდა, ჩადი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა.
- ევრაზია (სულ 25), მათ შორის:
  - ევროპა (15): ავსტრია, აზერბაიჯანი, ანდორა, ბელორუსი, ლიხენშტეინი, ლუქსემბურგი, მაკედონია, მოლდოვა, სან მარინო, სერბეთი, სლოვაკეთი, სომხეთი, უნგრეთი, შვეიცარია, ჩეხეთი.
  - აზია (10): ავღანეთი, ბუტანი, თურქეთი, ლაოსი, მონღოლეთი, ნეპალი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი.
- სამხრეთ ამერიკა (2): ბოლივია, პარაგვაი.
- ჩრდილოეთ ამერიკა: არცერთი
- ოკეანეთი: არცერთი ([http://en.wikipedia.org/wiki/Landlocked\\_country](http://en.wikipedia.org/wiki/Landlocked_country)).

მოცემული ჩამონათვალიდან ჩანს, რომ ჩაკეტილი სახელმწიფოების რაოდენობით გამოირჩევა აფრიკა და ევროპა. თეორიულად აფრიკაში მეტი ჩაკეტილი სახელმწიფო შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ აქ მნიშვნელოვანი როლი საზღვრების ხელოვნურად ფორმირების ფაქტორმა ითამაშა. აფრიკის ქვეყნების შორის სახელმწიფო საზღვრები დეკოლონიზაციის პროცესში შეიქმნა. ამ პროცესში მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული თითოეული სახელმწიფოს ინტერესი, რომ ზღვაზე გასასვლელი ქონდა, რაც უმეტეს შემთხვევებში დაკმაყოფილებული იყო. დასავლეთ აფრიკა ამის კარგი მაგალითია.

ამასთან, ყველა სახელმწიფოს ზღვაზე გასასვლელი არა აქვს და ვერც ექნება. მათ შორის არიან ისეთი დიდი სახელმწიფოები, როგორიცაა ყაზახეთი, უზბეკეთი, ეთიოპია, მონღოლეთი, ბელორუსი. ნებისმიერი ჩაკეტილი სახელმწიფო მნიშვნელოვან სირთულეებს განიცდის ზღვაზე გასასვლელის

<sup>53</sup> ამ სიაში არ მოხვდა წმინდა საყდარი (ვატიკანი), იმ მიზეზით, რომ ის არ არის სუვერენული სახელმწიფო.

არქონის გამო. კიდევ უფრო რთულადაა იმ ჩაკეტილი სახელმწიფოების საქმე, რომლებიც, სხვა ჩაკეტილ სახელმწიფოებს ესაზღვრებიან (მაგ., უზბეკეთი და ლიხტენშტეინი). გარკვეულ შემთხვევებში ზღვაზე გასავლელის მქონე ქვეყნებმა შეიძლება არაკეთილსინდისიერად გამოიყენონ აღნიშნული გარემოება ჩაკეტილი სახელმწიფოების მიმართ. მაგ., დააწესონ მადალი ტარიფები მათ ტერიტორიაზე ტვირთების გატარებისთვის ან სულაც არ გაატარონ ეს ტვირთები.

ჩაკეტილი სახლემწიფოები დიდი ხანი იბრძოდნენ იმისთვის, რომ საერთაშორისო დონეზე გათვალისწინებულიყო მათი ორი ძირითადი მოთხოვნა, კერძოდ 1) მიეღოთ ზღვამდე და ზღვიდან თავისუფალი ტრანზიტის უფლება და 2) შექმნილიყო პირობები იმისთვის, რომ მათაც თავისუფალად მიეღოთ მონაწილეობა ზღვის რესურსების ათვისებაში.

1982 წ. გაერომ მიიღო კონვენცია, რომელიც აღიარებს ჩაკეტილი სახელმწიფოების ზღვაზე თავისუფალი გასვლის უფლებას. ამ უფლების რეალიზაცია შესაძლებელია მეზობელ სატრანზიტო სახელმწიფოსთან დადებული სპეციალური შეთანხმების საფუძველზე. ჩაკეტილ სახლემწიფოებს უფლება აქვთ ყავდეთ გემები, გამოიყენონ სატრანზიტო სახელმწიფოების პორტები ამ გემების სადგომად, მიღსადენები და საკომუნიკაციო კაბელები გაიყვანონ მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიულ წყლებში<sup>54</sup>. შვეიცარიას დიდი ხანია ურთიერთმომგებიანი საზღვაო ურთიერთობები აქვს დამყარებული მსოფლიოს 10-ზე მეტ ქვეყანასთან. მისი **თვეზესაჭერი** ფლოტი ერთ-ერთი წარმატებულია ევროპაში. ჩეხეთის გემების ნავსაყუდელია პოლონური პორტი შეცინი, რაც გათვალისწინებულია აღნიშნულ ქვეყნებს შორის დადებული ხელშეკრულებით (Glassner, 1993: 400).

გაცილებით რთულად არის საქმე ჩაკეტილი სახლემწიფოების მიერ ზღვის რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით. საზღაო ქვეყნები ჯიუტად ცდილობენ შეინარჩუნონ ტერიტორიულ წყლებში არსებული რესურსების ათვისების ექსპლუზიური უფლება, მითუმეტეს, რომ რიგ შემთხვევებში საქმე ეხება ენერგომატარებლებს. ეკონომიკურის გარდა, არსებულ სიტუაციაში უარყოფით როლს პოლიტიკური ფაქტორიც თამაშობს. ცნობილია, რომ მეზობელ სახელმწიფოებს შორის დაძაბული, რიგ შემთხვევებში კონფლიქტურ ურთიერთობებსაც კი აქვს ადგილი. მთლიანობაში, ჩაკეტილი სახელმწიფოები ჯერჯერობით ვერ ახერხებენ იმ ინტერესების რეალიზაციას, რაც დაკავშირებულია ზღვის რესურსების თავისუფალ ათვისებასთან.

საქართველო უშუალოდ ესაზღვრება ორ ჩაკეტილ სახელმწიფოს, კერძოდ კი აზერბაიჯანსა და სომხეთს. აზერბაიჯანისთვის და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებისთვის ზღვამდე უმოკლესს მანძილს საქართველოს ტერიტორია წარმოადგენს. იგივე შეიძლება ითქვას სომხეთზეც, თუკი გავითვალისწინებთ, რომ მას თურქეთთან დიპლომატიური ურთიერთობა არ აქვს. ჩვენი ქვეყნის ურთიერთობა სამხრეთ კავკასიის დანარჩენ ორ სახელმწიფოსთან გარკვეულწილად სატრანზიტო პოლიტიკაზეც არის დამოკიდებული.

## საზღვრები

მოსაზღვრე სახელმწიფოების ტერიტორიები გამიჯნულია, როგორც წესი აფიციალურად დადგენილი საზღვრებით. სახელმწიფო საზღვარი<sup>55</sup> არის

<sup>54</sup> ტერიტორიული წყლების განმარტება იხილეთ მე-4 თავში.

<sup>55</sup> ინგლისურენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში განასხვავებენ ტერმინებს "Frontier", "Border" და "Boundary". პირველი აღნიშნავს ნებისმიერი სახის საზღვარს, ხოლო უკანასკნელი ორი გამოიყენება სახელმწიფო (პოლიტიკურ) საზღვართან მიმართებაში.

კანონით, ხელშეკრულებით ან პრაქტიკით დადგენილი წარმოსახვითი ხაზი, რომელიც ერთმანეთისგან გამოყოფს სუვერენულ სახელმწიფოებს.

გეოგრაფები ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდნენ საზღვრების შესწავლას. ლიმოლოგია არის გეოგრაფიის ერთ-ერთი ქვედაგი, რომლის ამოცანაა საზღვრების წარმოშობის, ევოლუციისა და ცვლილებების კვლევა. საზღვარი სახელმწიფოს მნიშვნელოვანი შემადგენელი ატრიბუტია. ის შემოსაზღვრავს იმ ტერიტორიას, რომელზეც და იურე (ფორმალურად) მაინც ვრცელდება სახელმწიფოს იურისდიქცია. საზღვრი არა მარტო განაცალკევებს სახელმწიფოებს, არამედ მისი მეშვეობით ხდება მათ შორის კავშირების დამყარება. შესაბამისად, საზღვარი არის გეოპოლიტიკური კატეგორია.

სახელმწიფო საზღვრის ფორმირება რთული პროცესია და მოიცავს ოთხ შემდეგ ეტაპს (Glassner, 1993: 76):

- საწყის ეტაპზე ხდება საზღვრის დეფინიცია, რისი მთავარი მიზანიც არის იმის დადგენა, თუ რომელ ტერიტორიაზე და ადგილებში უნდა გაიაროს საზღვარმა;
- მეორე ეტაპზე ადგილი აქვს საზღვრის დელიმიტაციას, რომლის დროსაც განისაზღვრება საზღვრის გავლების ზუსტი გეოგრაფიული კოორდინატები. ამავე ეტაპზე გარკვეულ ადგილებში შეიძლება განთავსდეს სხვადასხვა სახის სადემარკაციო ნიშნები - ბოძები, ლობები, კედლებიც კი.
- მესამე ეტაპზე, რაც გულსიხმობს საზღვრის დემარკაციას ადგილი აქვს დადგენილი საზღვრების შესახებ ოფიციალური ინფორმაციის გადაცემას საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, უპირველეს ყოვლისა გაეროსთვის. იმავდროულად მიმდინაროებს სადემარკაციო ნიშნების განთავსება სახელმწიფო საზღვრის მთელ პერიმეტრზე.
- საბოლოო ეტაპზე სახელმწიფო განახორციელებს საზღვრის ადმინისტრირებას. სახელმწიფოში, იქმნება საზღვრის დაცვის უწყება. ამ უწყების მთავარი ამოცანაა განახორციელოს სახელმწიფო საზღვრის დაცვა. გარდა ამისა, საზღვარის გარკვეულ მონაკვეთებზე ეწყობა სასაზღვრო-გამშვები და საბაჟო პუნქტები. ნებისმიერ სახელმწიფოს გააჩნია კანონმდებლობა, რომელიც ადგენს საზღვარზე ადამიანებისა და ტრანსპორტის მოძრაობის და ტვირთების გატარების პროცედურებს.

მსოფლიოს პოლიტიკურ რუკის ზედაპირული ანალიზიც კი საშუალებას გვაძლევს გამოვიტანოთ დასკვნა იმის თაობაზე, რომ არსებობს რამდენიმე განსხვავებული ტიპის სახელმწიფო საზღვარი. მათ შორის უკელაზე გავრცელებულია გეომეტრიული და ბუნებრივ-პოლიტიკური საზღვრები.

გეოგრაფიული საზღვრები გავრცელებულია ყოფილ კოლონიურ ქვეყნებში, სადაც საზღვრების დელიმატაცია ჩატარდა ყოფილი მეტროპოლიტების ან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. აფრიკის სახელმწიფოების უმრავლესობას შორის საზღვარი წარმოადგენს წარმოსახვით სწორ ხაზებს. ასეთი ტიპის საზღვარია აშშ-სა და კანადას შორის დიდი ტბებიდან წყნარი ოკეანის სანაპირომდე (იხ. სურათი №).

ძუნებრივ-პოლიტიკური ანუ ლანდშაფტურ-პოლიტიკური საზღვრები გადის ბუნებრივი ლანდშაფტების ისეთ ერთეულებზე, როგორიცაა მდინარე, ტბა, მთაგრეხილი, ხეობა და სხვა. ეს განსაკუთრებით ნათლად ვლინდება ევროპაში, სადაც ეთნო-კულტურული ერთობების განსახლების სისტემის ფორმირება

სწორედ ფიზიკურ-გეოგრაფიული ნიშნით მიმდინარეობდა. მაგ., ალპები იტალიას განაცალკევებს შვეიცარიის, საფრანგეთის, ავსტრიის, ლიხტენშტეინისა და სლოვენიისგან. პირინეები ერთმანეთისგან გამოყოფს ესპანეთსა და საფრანგეთს. მდინარე დუნაი წარმოადგენს სახელმწიფო საზღვარს სლოვაკეთსა და უნგრეთს, ასევე რუმინეთსა და ბულგარეთს შორის. გერმანიას, შვეიცარიას და საფრანგეთს შორის საზღვრის ნაწილი მდინარე რაინზე გადის.

სახელმწიფო საზღვრების დელიმიტაციის დროს ხშირად გამოიყენება ისეთი კულტურული კრიტერიუმები, როგორიცაა ერების, ეთნოსების, რელიგიების, ენების გავრცელების არეალები. ამ შემთხვევაში იქმნება კულტურულ-პოლიტიკური საზღვრები. ბევრი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ოფიციალური საზღვრების დადგენისთვის ეს საუკეთესო საშუალებაა. ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ ძალზე რთულია ეთნიკურად პომოგენური ტერიტორიების გამოყოფა. თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნების უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ 100 წლის წინ იმპერიების ნაწილს წარმოადგენდა. მეტროპოლიები დაკურობილი ხალხების მიმართ იყენებდნენ პრინციპს “დაყავი და იბატონე”. კოლონიზატორები ცდილობდნენ შეეცვალათ ამ ხალხების ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურულ-ისტორიული საზღვრების შეცვლას. ამის ნათელი ამგალითია მაგ., საბჭოთა კავშირი.

საბჭოთა კავშირის არსებობის პირველივე ეტაზე შეიქმნა მოკავშირე რესპუბლიკები. მათი ტერიტორიების ფორმირება არ მომხდარა იქ მცხოვრები ხალხების ისტორიულ-კულტურული განვითარების თავისებურებების გათვალისწინებით. საბჭოთა ხელმძღვანელობამ შეგნებულად მიმართა ეთნიკურად შერეული ტერიტორიების ფორმირების პოლიტიკას. შედეგად, ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში შექმნა ან ავტონომიური რესპუბლიკები ან ავტონომიური ოლქები ან უბრალოდ ტერიტორიული არეალები, სადაც მოსახლეობის დიდი ან მნიშვნელოვანი ნაწილს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები წარმოადგენდნენ. მაგ., 1922 წ. საქართველოში შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელიც მანმადე არ არსებობდა. მოლდოვას “მიუერთეს” სლავებით დასახლებული დნესტრისპირეთის ტერიტორია. აზერბაიჯანის შემადგენლობაში შევიდა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი, რომელიც ძირითადად სომხებით იყო დასახლებული. ფერგანის დაბლობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩართეს უზბეკეთის შემადგენლობაში, სადაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილს ტაკიები წარმოადგენდნენ და ა.შ. ბოლშევიკური მმართველობა იმედოვნებდა, რომ ეთნიკური ანკლავები “მეხუთე კოლონიას”<sup>56</sup> როლს შეასრულებდა იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მოკავშირე რესპუბლიკა სსრკ-დან გამოყოფას მოინდომებდა. ბოლშევიკების მიერ ჯერ კიდევ 1920-იან წლებში ჩადებული ეს ნამები მოქმედებაში მოვიდა 1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანი წლების დასაწყისში.

საზღვრების გარკვეული ნაწილი ჩამოყალიბდა სხვა ფაქტორების ზემოქმედებით. მაგ., კუნძულ ბორნეოზე მაღაიზიასა და ინდონეზიას შორის სახელმწიფო საზღვარმა გაიარა მეჩხრად დასახლებულ ჯუნგლებზე. სხვა სიტყვებით დელიმიტაციამდე ეს ადგილი აუთვისებელი იყო. უკვე საზღვრის დადგენის შემდეგ ორივე სახელმწიფომ დაიწყო სასაზღვრო ზოლის ეკონომიკური ათვისება და განსახლების ქსელის შექმნა. ასეთი ტიპის საზღვარს ანტეკლებური საზღვარი ეწოდება.

<sup>56</sup> ტერმინი “მეხუთე კოლონია” წარმოსდგება ესპანეთის სამოქალაქო ომის პერიოდიდან (1936-39 წწ.). მას შემდეგ რაც ფრანგისტი გენერალი ემილიო მოლა ოთხი კოლონით მიადგა მადრიდს მან განაცხადა, რომ მადრიდის აღებისთვის მის განკარგულებაში იყო მეხუთე კოლონაც ანუ მისი მადრიდელი მომხრეები. ზოგადად, აღნიშნული ტერმინი გამოიყენება იმ ადამიანების აღსანიშნავად, რომლებიც მოცემულ ქვეყანაში უცხო სახელმწიფოს დასაყრდენს წარმოადგენენ.

საზღვისპირა რეგიონების განსახლების ეთნო-დემოგრაფიულმა ხასიათმა და მისმა დინამიკამ შეიძლება გამოიწვიოს ცვლილებები საზღვრის კონფიგურაციაში. მაგ., საზღვარი ჩინეთსა და ვიეტნამს შორის ხშირად გამხდარა ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობების გამწვავების მიზეზი. საქმე იმაშია, რომ მოსაზღვრე რაიონებში განსახლების ქსელი სწრაფად იცვლებოდა და რთული იყო საზღვრის გავლება ჩინურ და ვიეტნამურ დასახლებებს შორის. ამ სახელმწიფოებს შორის დღევანდელი სახელმწიფო საზღვრის დადგენას დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდა. საზღვარს, რომელიც ხანგრძლივი ისტორიული ევოლუციის პროცესის შედეგად განისაზღვრება სუბკუპენტური საზღვარი ეწოდება.

აზიისა და აფრიკის დეკოლონიზაციის პროცესში არ იყო გათვალისწინებული მთელი რიგი ხალხების ნება, შესაბამისად საზღვრების დელიმიტაცია ჩატარდა სუბიექტურად და მიკერძოებულადაც კი. XIX ს.-ში კუნძული ახალი გვინეა დაიპყრეს და ერთმანეთში გაინაწილეს ნიდერლანდებმა, დიდიმა ბრიტანეთმა და გერმანიამ. პაპუასებით დასახებული ეს კუნძული გაიყო ახალ გვინეად და დასავლეთ პაპუად. ეს უკანასკნელი, გახდა ნიდერლანდების კოლონიის – ვესტ ინდოეთის ნაწილი. 1949 წ. ინდონეზიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, მაგრამ დასავლეთ პაპუა ჯერ კიდევ ნიდერლანდების მმართველობის ქვეშ რჩებოდა. იყო იმის შანსი, რომ ეს ტერიტორია შეერთებოდა მონათესავე ხალხით დასახებულ პაპუა ახალ გვინეას, მაგრამ პოლანდიელები ამის წინააღმდეგ წავიდნენ. 1962 წ. ინდონეზიის ჯარები შეიქრნენ ამ ტერიტორიაზე და იქიდან პოლანდიელები განდევნეს. ამის შედეგად, ისტორიული დასავლეთ პაპუა ადგილობრივი პაპუასების ნების საწინააღმდეგოდ ინდონეზიის ნაწილი გახდა (De Blij & Murphy 2003: 214). აღწერილი შემთხვევა არის თავსმოხვეული საზღვრის ერთ-ერთი მაგალითი.

ისტორიაში ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც ძლიერი სახელმწიფოები მათ შორის სიტუაციის უკიდურესი გამწვავების თავიდან აცილების მიზნით თანხმდებოდნენ ბუფერი სახელმწიფოს შექმნასზე. მაგ., ტაილანდი აღმოცენდა, როგორც ბუფერი სახელმწიფო ფრანგულ ინდონეზითა და ბრიტანულ ინდოეთს შორის. ავღანეთის შექმნა იყო ერთგვარი კომპრომისი რუსეთსა და ბრიტანეთს შორის (Taylor & Flint: 162–163). ამ გზით შექმნილი სახელმწიფოების საზღვარი მეცნიერებაში განიხილება, როგორც სახელმწიფოებო საზღვარი (Jones, S., 1959: 151).

შემთხვევით პრაქტიკაში არის მაგალითები, როდესაც ორ სახელმწიფოს შორის საზღვარი ოფიციალურად გაუქმდა, მაგრამ ის რჩება ორ ტერიტორიას შორის ერთგვარ კულტურულ წყალგამყოფად. ასეთი ტიპის საზღვარს რელიეფურ საზღვარს უწოდებენ. ამის მაგალითად შეიძლება დასახელდეს საზღვარი, ჩრდილოეთ ვიეტნამსა და სამხრეთ ვიეტნამს შორის, რომელიც 1976 წ.-მდე სახელმწიფო საზღვარს წარმოადგენდა.

ზემოთ აღინიშნა, რომ საზღვარს გააჩნია ძალზე მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური დატვირთვაც. ნებისმიერი სახელმწიფოსთვის სასურველია, რომ საზღვარი ქონდეს იმ ქვეყანასთან (ქვეყნებთან), რომელთანაც მას აკავშირებს კულტურული, პოლიტიკური, სატრანსპორტო-ეკონომიკური ინტერესები. ქვემოთ მოცემულ ჩანართში აღწერილია ისტორია, რომელიც ცხადყოფს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თურქეთისთვის აზერბაიჯანთან (კონკრეტულად ნაირი განთანა) საერთო საზღვრის არსებობა.

მსოფლიოში ყველა სახელმწიფო საზღვარი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე დადგენილი ან წარმოადგენს ქვეყნებს შორის დავის საგანს. ტერიტორია, რომელზეც არ ვრცელდება რომელიმე ქვეყნის იურისდიქცია გაეროს განმარტებით არის ნეიტრალური ტერიტორია. მაგ., კუპეიტსა და საუდის არაბეთს შორის არსებობდა 5,7 ათ.კვ.კმ ტერიტორია, რომელსაც გარკვეული პერიოდში ნეიტრალური ტერიტორიის სტატუსი ქონდა, სანამ 1969 წ. ამ ქვეყნებმა არ მიაღწიეს შეთანხმებას მისი გაყოფის შესახებ. სამაგიეროდ, დღემდე გადაუჭრელია 7 ათ. კვ.კმ ტერიტორიის საკითხი, რომელიც ერაყსა და საუდის არაბეთს შორის მდებარეობს. 1981 წ. ამ ქვეყნებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ამ ტერიტორიის გაყოფის თაობაზე, მაგრამ ეს შეთანხმება ძალაში არ შესულა (Glassner, 1993: 115). გაეროს სტანდარტებით კი ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული ტერიტორია არცერთი დასახელებული ქვეყნის გამგებლობაში არ შედის.

სახელმწიფო საზღვარი არ შემოიფარგლება მხოლოდ სახმელეთო საზღვრით. სახელმწიფოს იურისდიქციაში შედის აგრეთვე შიდა წყლები და ტერიტორიული წყლები (*ი. ნახ. №*). სახელმწიფოს კავშირი გარე წყლებთან განისაზღვრება საერთაშორისო საზღვაო სამართლით.

შიდა წყლები მოიცავს ზღვებს, ტბებს, მდინარეებს, არხებს და სხვა სახის წყალსაცავებს, რომელიც სახელმწიფოს საზღვრებშია მოქცეული.

ტერიტორიული წყლები ან ტერიტორიული ზღვა არის სახელმწიფოს სანაპიროს ნაწილი, რომელიც, როგორც წესი ვრცელდება ზღვის (ოკეანის) მიქცევის ზოლიდან 12 საზღვაო მილის<sup>57</sup> მანძილზე. იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნებს განაცალკევებს მდინარე, პატარა ტბა, სრუტე, ფიორდი, მაშინ სახელმწიფო საზღვარი გადის მისი მთავარი ფარვატერის<sup>58</sup> შუაში. შიდა და ტერიტორიულ წყლებზე სახელმწიფოს სუვერენიტეტი სრულად ვრცელდება.

გარდა, ზემოთ აღნიშნულისა საერთაშორისო საზღვაო სამართლით დადგენილია კიდევ ორ საზღვაო სივრცე, სადაც ზღვასთან მიმდებარე სახელმწიფოს შეუძლია განახორციელოს თავისი სამეურნეო და სხვა სახის საქმიანობა. ერთ-ერთი მათგანი არის მომიჯნავე საზღვაო ზონა (*Contiguous Maritime Zone*), რომელიც ვრცელდება სახელმწიფოს სანაპიროდან 24 საზღვაო მილის მანძილზე, უფრო ზუსტად კი მოიცავს საზღვაო სივრცეს ტერიტორიული წყლების საზღვრიდან კიდევ 12 საზღვაო მილის მანძილზე. ეს ზოლი სახელმწიფო უწყებების მიერ გამოიყენება საბაჟო, ფისკალური, საიმიგრაციო და სანიტარული კონტროლის განხორციელებისთვის ([http://en.wikipedia.org/wiki/Maritime\\_boundary](http://en.wikipedia.org/wiki/Maritime_boundary)).

ქვეყნის სანაპიროს საწყისი ხაზებიდან 200 საზღვაო მილის მანძილზე ვრცელდება განსაკუთრებული ეკონომიკური (საზღვაო) ზონა (*Exclusive Economic (Maritime) Zone*), სადაც ამ სახელმწიფოს უფლება აქვს მოიპოვოს ბუნებრივი რესურსები, ააშენოს ან დაამოწავოს ხელოვნური კუნძულები, დანადგარები, შენობები, ჩაატაროს სამეცნიერო კვლევები და გარემოსდაცვითი სამუშაოები (იქვე).

სამწუხაროდ, ყველა ქვეყანა არ იცავს საერთაშორისო საზღვაო სამართლით დადგენილ ნორმებს. მაგ., ბრაზილიამ, პერუმ, სიერა-ლეონემ, ურუგვაიმ ცალმხრივად გაზარდეს 12 მილიანი ტერიტორიული წყლების ზონა მათთვის სასურველ მანძილამდე. გარდა ამისა, საერთაშორისო წესებით დაშვებულია თევზის თავისუფალი რეწვა იმ საზღვაო ზონაში, რომელიც ესაზრვება ქვეყნის ტერიტორიულ წყლებს. ზოგიერთი ქვეყანა მიმართავს

<sup>57</sup> 1 საზღვაო მილი = 1,8 კილომეტრს.

<sup>58</sup> მთავარი ფარვატერი არის მდინარის, ტბის, სრუტის და ა.შ. უკლაზე დრმა ადგილი.

სხვადასხვა ხერხებს, რომ სხვებს ამაში ხელი შეუშალოს. კონფლიქტები სახელმწიფოებს შორის არამარტო ხმელეთზე, არამედ მდინარეებსა და ზღვებზეც ხშირად წარმოიშვება.

ზოგადად სახელმწიფოს ტერიტორიის, კერძოდ კი საზღვრებზე საუბრისას გვერდს ვერ ავუგლით ისეთ საინტერესო პოლიტიკურ-გეოგრაფიულ წარმონაქმნებს, როგორიცაა ანკლავი და ექსკლავი.

ტერმინი “ანკლავი” ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს ჩაკეტილს, ჩახურულს. ინგლისურენოვან ლიტერატურაში ეს ტერმინი პირველად 1868 წ. გამოიყენეს, ხოლო 30 წლის შემდეგ ხმარებაში შემოვიდა ტერმინი “ექსკლავი”.

ანკლავი არის გარკვეული სახელმწიფოს ტერიტორიით გარშემორტყმული სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილი (Винокуров, 2007:18). ექსკლავი არის სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილი, რომელიც ესაზღვრება სხვა სახელმწიფოს ან სახელმწიფოებს, ამასთან დარა-სახელმწიფოსთან საერთო საზღვარი არ გააჩნია.

ანკლავი და ექსკლავი, როგორც ზემოთ მოცემული განმარტებებიდან ჩანს არის სუვერენული სახელმწიფოების ტერიტორია. ანკლავად და ექსკლავად არ შეიძლება ჩაითვალოს ის ტერიტორია, რომელიც საერთაშორისო სამართლის შესაბამისად გააჩნია დაქვემდებარებული ტერიტორიის სტატუსი.

განარჩევენ ორი სახის ანკლავს. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს ნაწილი მთლიანად არის გარშემორტყმული სხვა სახელმწიფოს ტერიტორიით საქმე გვაქს სრულ ანკლავთან, ხოლო თუ ანკლავის გარკვეული ტერიტორია ესაზღვრება ზღვას, მაშინ ეს არის ნაწილობრივი ანკლავი. სრული ანკლავის მაგალითებია ლივია ესპანეთის ნაწილი საფრანგეთის ტერიტორიაზე ან სოფ. არცვაშენი – სომხეთის ნაწილი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. ყირგიზეთის ტერიტორიაზე არის უზბეკეთის 4 სოფელი და, პირიქით 2 უზბეკური დასახლება გარშემორტყმულია ყირგიზეთის ტერიტორიით.

ნაწილობრივი ანკლავის მაგალითებია მაგ., ესპანური ქალაქები სეუტა და მელილია, რომლებიც ხმელთაშუა ზღვას და მაროკოს ესაზღვრება. აშშ-ის ნაწილი ალასკა, რომელიც კანადას და ჩრდილო ყინულოვან და წყნარ ოკეანებს ესაზღვრება. გიბრალტარი, რომელიც გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში შედის ესაზღვრება ესპანეთსა და ხმელთაშუა ზღვას.

ექსკლავის მაგალითია მაგ., ნახიჭევანი, რომელიც აზერბაიჯანის ნაწილია და ის ესაზღვრება თურქეთს, სომხეთს და ირანს. მეორე თვალსაჩინო მაგალითია კალინინგრადის ოლქი – რუსეთის ექსკლავი, რომელიც ევროკავშირის ორ სახელმწიფოს (პოლონეთსა და ლიტვას) და ბალტიის ზღვას ესაზღვრება. მადჰას ნახევარკუნძული, რომელიც ომანის შემდგენელი ნაწილია ესაზღვრება გაერთიანებულ არაბულ საემიროებს და სპარსეთის ყურეს. ანკლავისგან განსხვავებით, არ განასხვავებენ სრულ და ნაწილობრივ ექსკლავებს.

უკლა ექსკლავი იმავდროულად არ არის ანკლავი და პირიქით. ანკლავი შეიძლება ექსკლავადაც მივიჩნიოთ, თუ ის მხოლოდ ერთ სახელმწიფოს ესაზღვრება. მაგ., ზემოთ აღნიშნული ლივია არის ესპანეთის ექსკლავი და ანკლავი საფრანგეთში. მაგრამ, ნახიჭევანი ან კალინინგრადი არის შესაბამისად აზერბაიჯანის და რუსეთი ექსკლავი, მაგრამ არა ანკლავი რომელიმე სახელმწიფოში, რადგან თითოეული მათგანი ერთზე მეტ სახელმწიფოს ესაზღვრება.

ხანდახან ანკლავად მოიხსენიებენ სუვერენულ სახელმწიფოსაც. გვხდება ასეთი ტერმინი “ანკლავი სახელმწიფო” (მაგ., ლესოტო ან გამბია). ასეთი მიღვმა მეცნიერული თვალსაზრისით არამართებულია.

## სახელმწიფო მმართველობის ფორმები

სახელმწიფო მმართველობის ფორმა არის უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების სისტემის ორგანიზაციის მეთოდი. სახელმწიფო მმართველობის ფორმა განსაზღვრავს ხელისუფლების ორგანების ფორმირების წესს, მექმედების ვადებს, ასევე მოსახლეობისა და ამ ორგანების ურთიერთობებს და მათში მონაწილეობის ძირითად ასპექტებს (Чиркин, 1999: 138).

ჯერ კიდევ არისტოტელემ გამოყო მმართველობის სამი ფორმა, რომელიც ხორციელდება ერთპიროვნულად (მონარქია), ადამიანთა ვიწრო წრის (არისტოკრატია) და ხალხის მიერ (დემოკრატია) ([www.constitution.org/ari/polit\\_04.htm](http://www.constitution.org/ari/polit_04.htm)).

თანამედროვე მეცნიერებასა და პრაქტიკაში, მმართველობის ფორმის მიხედვით განასხვავებენ ორი ტიპის სახელმწიფოებს: მონარქიებს და რესპუბლიკებს.

მონარქიული ეწოდება იმ სახელმწიფოს, სადაც უმაღლესი ხელისუფლება ერთი ადამიანის – მონარქის (სუვერენის) ხელშია. როგორც, წესი მონარქს ხელისუფლება მემკვიდრეობით გადაცემა, თუმცა არსებობს არჩევითი მონარქიებიც. უძველეს და შუა საუკუნეებში მონარქის ძალაუფლება განუყოფელი იყო და ის მას საკუთარი შეხედულებისამებრ განახორციელებდა. ამჟამად, მსოფლიოში ასეთი ტიპის სულ რამდენიმე მონარქიაა. დღესდღეობით ბევრი სუვერენის ძალაუფლება დიდწილად შეზღუდულია დემოკრატიული სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ. მონარქის ძალაუფლების ხარისხის მიხედვით განასხვავებენ კონსტიტუციურ და აბსოლუტურ მონარქიებს.

კონსტიტუციური მონარქიებში მონარქის ძალაუფლება შეზღუდულია კონსტიტუციით, დაუწერელი სამართლით ან ტრადიციებით. საკონსტიტუციო მონარქიებში უმაღლესი პირის ხელისუფლება მნიშვნელოვნად არის შეზღუდული კონსტიტუციის და/ან პარლამენტის მიერ, იმდენადაც კი, რომ ქვეყნის სუვერენის პარლამენტის ნებართვის გარეშე მინისტრის დანიშვნა ან გათავისუფლებაც კი არ შეუძლია. განასხვავებენ კონსტიტუციური მონარქიების ორ სახეობას:

1. საპარლამენტო მონარქია, სადაც მონარქს არ გააჩნია დიდი ძალაუფლება და ის ძირითადად წარმომადგენლობით ფუნქციებს ასრულებს. შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ საპარლამენტო მონარქიებში მონარქის ძალაუფლება უფრო სიმბოლურია, ვიდრე რეალური. ასეთ ქვეყნებში რეალური ძალაუფლება პარლამენტის ხელშია. საპარლამენტო მონარქიებია: გაერთიანებული სამეფო, ნიდერლანდები, შვედეთი, დანია, ესპანეთი, ნორვეგია, ბელგია, ანდორა, იაპონია, მალაიზია, მაროკო. თუმცა, ამ უკანასკნელს რთულია საპარლამენტო მონარქია უწოდო, რადგან მაროკოს მეფე რალურად გაცილებით მეტი უფლებებით სარგებლეობს, ვიდრე ეს ქვეყნის კონსტიტუციით არის განსაზღვრული.

მალაიზია დანარჩენი მონარქიებისგან გამოირჩევა იმით, რომ აქ მმართველობის კოლეგიალური (კოლეგიალური) ფორმა არსებობს. გარდა ამისა, მალაიზიის სახელმწიფო მეთაურის თანამდებობა არჩევითია, რაც მონარქიისთვის უნიკალური მოვლენაა. ქვეყნის ცხრა ფედერალური ერთეულის ხელმძღვანელები, ძირითადად სულთნები ხუთ წელიწადში ერთხელ იკრიბებიან და მათი შემადგენლობიდან ქვეყნის მეფეს ირჩევენ. მისი ძალაუფლება შეზღუდულია, ერთი მხრივ,

ფედერაციის სუბიექტების მეთაურების, ხოლო, მეორე მხრივ, ქვეყნის პარლამენტისა და მინისტრთა კაბინეტის მიერ.

2. დუალისტური მონარქია, სადაც მონარქის ძალაუფლება შეზღუდულია კონსტიტუციითა და პარლამენტით, ძირითადად საკანონმდებლო სფეროში, თუმცა აღმასრულებელ სფეროში მას მნიშვნელოვანი ფუნქციები აქვს. ასეთი მონარქიებია: ლუქსემბურგი, ლიხტენშტეინი, იორდანია, მონაკო, გაერთიანებული არაბული საემიროები. მმართველობის უნიკალური ფორმით ხასიათდება არაბული საემიროები, რადგან ამ ქვეყნის მეთაური კონსტიტუციით ყოველთვის აბუ დაბის ემირი ხდება. აბუ დაბიმ ეს იმით “დაიმსახურა”, რომ ქვეყნის ნავთობის მარაგის 80% სწორედ აქ არის თავმოყრილი. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა 6 საემიროს (ე.ი. მონარქიის) ნაკრებს წარმოადგენს მის მეთაურს პრეზიდენტის ტიტული აქვს.

ბევრი სპეციალისტის აზრით მონარქია, კონსტიტუციურიც კი ისტორიული გადმონაშოთია. ასეა თუ ისე, კონსტიტუციური მონარქიები პოლიტიკურად უფრო სტაბილური სახელმწიფოები არიან, ვიდრე რესპუბლიკები. მათში დემოკრატიის დონე არაფრით არ ჩამოუვარდება რესპუბლიკების ანალოგიურ მახასიათებელს.

აბსოლუტურ მონარქიებში ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალის (მეფე, ემირი, ხალიფა, სულთანი) ძალაუფლება პრაქტიკულად შეუზღუდავია. უფრო მეტიც, ზოგიერთ ქვეყანაში, მაგ. საუდის არაბეთში მეფე არის თეოკრატიული მონარქი ანუ ის არის ქვეყნის არა მარტო პოლიტიკური და სამხედრო, არამედ რელიგიური მეთაურიც. ბრუნეის გარდა, მსოფლიოს დანარჩენი ოთხი აბსოლუტური მონარქია არაბეთის ნახევარკუნძულზეა კონცენტრირებული და ესენია: საუდის არაბეთი, კატარი, ომანი და კუვეიტი (ამ უკანასკნელს ხანდახან კონსტიტუციურ მონარქიებს აკუთვნებენ).

რესპუბლიკა, როგორც მმართველობის ფორმა თავისი სტრუქტურით რადიკალურად განსხვავდება მონარქიისაგან. რესპუბლიკის უმაღლეს პირს (პრეზიდენტს) ირჩევს ხალხი ან ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი. იმის მიხედვით, თუ როგორი წესით არის არჩეული პრეზიდენტი განარჩევენ საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკებს. საპრეზიდენტო რესპუბლიკაში მოსახლეობა პრეზიდენტს ირჩევს პირდაპირი და საყოველთაო არჩევნების გზით, ხოლო საპარლამენტო რესპუბლიკაში მოსახლეობა ირჩევს პარლამენტს, ხოლო ეს უკანასკნელი თავისი შემადგენლობიდან ირჩევს პრეზიდენტს. თუმცა, არსებობს გამონაჯლისები, მაგ., ისრაელში, რომელიც საპარლამენტო რესპუბლიკა მოსახლეობა პირდაპირი გზით ირჩევს ქვეყნის პრემიერ-მინისტრს. საპრეზიდენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტი არის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური და ფართო უფლებებით სარგებლობს.

საპრეზიდენტო რესპუბლიკის კლასიკური მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატები. ასეთი ტიპის რესპუბლიკებია სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოები, ფინეთი, საფრანგეთი, პორტუგალია, ეგვიპტე, ფილიპინები, ავსტრია, ხორვატია, ირანი, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნები. საპრეზიდენტო რესპუბლიკებში აღმასრულებელ ხელისუფლებას განახორციელებს პრეზიდენტი და ასეთი ქვეყნების უმრავლესობაში პრემიერ-მინისტრის თანამდებობა არ არსებობს. საპარლამენტო რესპუბლიკებია

გერმანია, პორტუგალია, თურქეთი, იტალია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, საბერძნეთი, შვეიცარია.

როგორც, საპარლამენტო, ასევე საპრეზიდენტო რესპუბლიკებში ქვეყნის მეთაური არის პრეზიდენტი, თუმცა საპარლამენტო რესპუბლიკებში, განსაკუთრებით ევროპაში პრეზიდენტი განახორციელებს წარმომადგენლობით და არა აღმასრულებელ ფუნქციებს, რაც მიუთითებს მისი ძალაუფლების სიმბოლურ ხასიათზე. ასეთ ქვეყნებში, რეალური ძალაუფლება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრთა კაბინეტის ხელშია.

უკანასკნელ ათწლეულში ბევრ ქვეყანაში დაინერგა “შერეული” ანუ “დუალისტური” ანუ “ნახევრადსაპრეზიდენტო” მოდელი, რომელსაც, ასევე “ფრანგულ” მოდელსაც უწოდებენ. ასეთი ტიპის მმართველობა ითვალისწინებს ერთდოულად პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის პოსტების არსებობას. ეს იმას ნიშნავს, რომ მმართველობის ეს ფორმა შეითავსებს, როგორც საპრეზიდენტო, ასევე საპარლამენტო რესპუბლიკების ელემენტებს. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ პრეზიდენტი არჩეულია ხალხის მიერ, ხოლო პრემიერ-მინისტრი და მინისტრთა კაბინეტი აირჩევა პარლამენტის მიერ. ქვეყნის მმართველობის ამ ფორმის კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ “შერეულ” რესპუბლიკებში პრეზიდენტი ლამის მონარქთან არის გათანაბრებული, რადგან ის უშუალოდ არ არის პასუხისმგებელი არც საკანონმდებლო და არც აღმასრულებელი ხელისუფლების წარუმატებლობაზე. ამ ტიპის ქვეყნების პრაქტიკამ დაბადასტურა, რომ ეს მართლაც ასეა. “შერეული” მმართველობის ქვეყნებში პრეზიდენტი უფრო მაღლა დგას ვიდრე პარლამენტი ან მთავრობა. საკანონმდებლო ან სამთავრობო კრიზისი მთავრდება, როგორც წესი პალამენტის დათხოვნით ან მინისტრთა კაბინეტის გადადგომით, ხოლო პრეზიდენტი თავის პოსტს ინარჩუნებს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნული კრიზისები არ იწვევს “ხელისუფლების ვაკუუმს”, რაც ხშირად ხდება საპარლამენტო ან “კლასიკურ” საპრეზიდენტო რესპუბლიკებში. “შერეული” ტიპის მმართველობა საკამოდ გავრცელებულია ყოფილ საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

### სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული (ადმინისტრაციულ-პოლიტიკური) მოწყობის ფორმები

სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული (ადმინისტრაციულ-პოლიტიკური) მოწყობის ფორმა განსაზღვრავს სახელმწიფო ხელისუფლების ტერიტორიული ორგანიზაციის ხასიათს, კერძოდ კი დამოკიდებულებას ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებასა და მისი შემადგენელ ტერიტორიულ ერთეულებს შორის.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მხრივ განასხვავებენ უნიტარულ და ფედერაციულ სახელმწიფოებს.

ფედერაციული სახელმწიფო შედგება ადმინისტრაციულ-პოლიტიკური სუბიექტებისაგან, რომლებსაც გააჩნიათ საკუთარი საკანონმდებლო, აღმასრულებელი ან სასამართლო ხელისუფლება, რიგ შემთხვევებში კონსტიტუციაც, სახელმწიფო სიმბოლიკა. ფედერაციის სუბიექტები ქმნიან ცენტრალურ ხელისუფლებას და მას გადასცემენ გარკვეულ ფუნქციებს. მაგ., საგარეო პოლიტიკის, ერთიანი საფინანსო-საკრედიტო სისტემის, ეროვნული უშიშროების და სხვა ამ დონის საკითხები წარმოადგენს ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივას. სახელმწიფო დონის მმართველობის ორგანოებს არ შეუძლიათ ფედერაციის სუბიექტის სტატუსის გაუქმება.

უნიტარულ სახელმწიფოებულია გონიერებულია სახელმწიფოების სახელმწიფოების შემადგენელ ნაწილებს არ გააჩნიათ საკუთარი საკანონმდებლო, აღმასრულებელი ან სასამართლო ხელისუფლება, კონსტიტუცია, სახელმწიფო სიმბოლიკა (დროშა, დერბი, პიმი). ბენტრალური ხელისმიერი სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანესია ტერიტორიული მთლიანობის საკითხი. გაბატონებულია აზრი, თითქოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფორმა პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასთან. ასევე, ხშირად გვხვდება მოსაზრება, იმის შესახებ, რომ ფედერალურ სახელმწიფოებში უფრო გავრცელებულია სეპარატიზმი, ვიდრე უნიტარულ სახელმწიფოებში. ეს მცდარი აზრია. სეპარატიზმის პრობლემა გაცილებით უფრო კომპლექსურია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს და იგი მითუმეტეს არ არის დამოკიდებული სახელმწიფოს ტერიტორიულ მოწყობაზე. მაგ., დიდი ბრიტანეთი ან ესპანეთი უნიტარული სახელმწიფოები არიან, მაგრამ ათწლეულების განმავლობაში შესამჩნევი იყო სეპარატისტული ტენდენციები (შესაბამისად, ბასკეთში და ჩრდილოეთ ირლანდიაში). ასევე მცდარია აზრი იმის შესახებ, რომ სეპარატიზმს არ აქვს ადგილი ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ სახელმწიფოებში. ისევ და ისევ, მოვიყვანთ დიდი ბრიტანეთის ან ესპანეთის მაგალითს და გავიხსენოთ, რომ ეკონომიკურად აყვავებულ კანადას 1995 წელს კინადამ გამოეყო კვებეკი. სეპარატიზმს ვერ აჩერებს გერც ცენტრალური ხელისუფლების სიძლიერე, თვით დიქტატორული ან ტოტალური რეჟიმიც კი. საკმარისია გავიხსენოთ საბჭოთა კავშირის ან ერაყის (ქურთების სეპარატიზმი) მაგალითები. არსებობს მოსაზრება, რომ ტერიტორიული მთლიანობა დამოკიდებულია ქვეყნის მოსახლეობის ეთნიკურ ან რელიგიურ ხასიათზე. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფაქტორი მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი. მაგ. შვეიცარია დასახლებულია ძირითადად ოთხი ეთნოსის წარმომადგენლებით. ამასთან, სეპარატისტულ ტენდენციებს ადგილი არა აქვს არც ფრანგულ, არც იტალიურ, არც გერმანულ და არც რეტორომანულ თემში, თუმცა თითოეულ მათგანს შვეიცარიიდან გამოყოფის სამართლებრივი და პოლიტიკური საშუალება გააჩნია.

ამჟამად მსოფლიოში 27 ფედერაციული სახელმწიფოა:

- აფრიკა (5 სახელმწიფო) – ეთიოპია, კომორის კავშირი (კომორის კუნძულები), ნიგერია, სუდანი, სამხრეთ სუდანი.
- ევრაზია (12), მათ შორის:
  - ევროპა (6) – ავსტრია, ბელგია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, გერმანია, რუსეთი, შვეიცარია.
  - აზია (6) – გაერთიანებული არაბული საუმიროები, ერაყი, ინდოეთი, მალაიზია, ნეპალი, პაკისტანი.
  - ოკეანეთი (3) – ავსტრალია, მიკრონეზია, პალაუ.
- სამხრეთ ამერიკა (3) – არგენტინა, ბოლივია, ბრაზილია.
- ჩრდილოეთ ამერიკა (4) – აშშ, კანადა, მექსიკა, სენტ კიტს და ნევისი.

ფედერალური ქვეყნების პარლამენტები შედგება ორი პალატისაგან: ზედა პალატა იქმნება ფედერაციის სუბიექტების მთავრობების წარმომადგენლებისაგან (ასეთი პრაქტიკაა ევროპასა და აზიაში), ან სენატორებისაგან, ე.ი. ფედერალურ მხარეებში არჩეული დეპუტატებისაგან (ამერიკული პრაქტიკა). ქვედა პალატა

ყველა ქვეყანაში ერთნაირი წესით ფორმირდება – პირდაპირი (სახალხო) არჩევნებით.

ფედერალური სუბიექტების ხასიათის მიხედვით შეიძლება გამოიყოს ფედერაციების სამი ძირითადი ტიპი:

- **ეთნუ-ულტრული** – ფედერაციის სუბიექტები დასახლებულია სხვადასხვა ეთნოსებით (მაგ., ინდოეთი, მალაიზია, შვეიცარია, ბელგია) ან კონფესიური ჯგუფებით (მაგ., ნიგერია).
- **ტერიტორიული** – ამ შემთხვევაში ფედერაციას ქმნიან კუთხეები (პროვინციები, ტერიტორიები), რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში განცალკევებულად არსებობდნენ, თუმცა ამ ტერიტორიების მოსახლეობა ერთი და იმავე ერს წარმოადგენს (მაგ., გერმანია, ავსტრია, არაბეთის გაერთიანებული საემიროები). დაახლოებით ამავე ნიშნით არიან შექმნილი ლათინური ამერიკის ფედერაციული სახელმწიფოები.
- **შერეული** – ამ შემთხვევაში გამოიყენება ზემოთ აღნიშნული ორივე პრინციპი. ამის მაგალითებია რუსეთი, როდესაც

განასხვავებენ უნიტარული სახელმწიფოების სხვადასხვა ფორმებს, მათ შორის გამოვყოფთ ასიმეტრიულ ფედერაციას და დეცენტრალიზებულ უნიტარულ სახელმწიფოს. არასწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ, რომ ასიმეტრული ფედერაცია არის ფედერაციული სახელმწიფოს ერთ-ერთი სახეობა. ასიმეტრული ფედერაცია არის ისეთი უნიტარული სახელმწიფო, სადაც მის ერთ ან რამდენიმე რეგიონს გააჩნია პოლიტიკური ავტონომიის სტატუსი. ასეთებია, მაგალითად ესპანეთი სამი ავტონომიით (ბასკეთი, კატალონია და გალიცია), ფინეთი და დანია, სადაც ავტონომიის სტატუსი აქვთ შვედებით დასახლებულ შესაბამისად ოლანდის და ფარერის კუნძულებს, დიდი ბრიტანეთი – ჩრდილოეთი ირლანდია, უკრაინა – ყირიმის ავტონომია, ისრაელი – პალესტინის ავტონომია. საქართველოც ასიმეტრული ფედერაცია, სადაც ორ სუბიექტს – აჭარასა და აფხაზეთს მინიჭებული აქვთ ავტონომიის სტატუსი.

დეცენტრალიზებული სახელმწიფო არის ისეთი სახელმწიფო, სადაც მის შემადგენელ ნაწილებს არ გააჩნიათ ადმინისტრაციული ავტონომიის სტატუსი, მაგრამ მინიჭებული აქვთ ფართო კომპეტენცია თვითმმართველობის საკითხებში. უნიტარული სახელმწიფოს დეცენტრალიზებული ფორმა საკმაოდ მასშტაბურ ხასიათს იღებს ევროპაში. ამ ტიპის სახელმწიფოებია: იტალია, ნიდერლანდები.

აღსანიშნავია, რომ ცივილიზებულ მსოფლიოში საკმაოდ ძლიერია ფედერალიზმის ტენდენციები. ფედერალიზმი არ უნდა გაგაიგივოთ ფედერაციასთან. ფედერალიზმის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს დეცენტრალიზაციაში. ამჟამად, ბევრ ქვეყანაში ძლიერდება დეცენტრალიზაციის ტენდენციები ანუ იზრდება აღგილობრივი თვითმმართველობების როლი. ამ გზას პირველად ევროკავშირის ქვეყნები დაადგნენ. ბელგია შექმნა, როგორც უნიტარული სახელმწიფო და ეტაპობრივად ფედერაციად გარდაიქმნა. მაგ., ესპანეთში და დიდი ბრიტანეთში შეიქმნა პოლიტიკური ავტონომიები, რომელთა უფლებებიც სულ უფრო ფართოვდება. ამ პროცესს განსაკუთრებული იმპულსი თვით ევროკავშირის შექმნამ მისცა. საგულისხმოა, რომ ევროკავშირში გაწევრიანებამ შეაჩერა ან შეარბილა აღმოსავლეთ ევროპაში მანამდე არსებული სეპარატისტული მოძრაობები, მაგ., უნგრული სეპარატიზმი რუმინეთსა და სლოვაკეთში. ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოებში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს უკვე აღარ აქვთ იმის განცდა, რომ მათ კულტურულ თვითმყოფადობას ან უფლებებს არსებითი საფრთხე ემუქრება. ისინი

დარწმუნებული არიან, რომ გაერთიანებულ ევროპაში მათი ინტერესები მაქსიმალურად იქნება დაცული.

## დასკვნა

თუ, შევაჯამებოთ ზემოთ განხილულ საკითხებს, მივალო დასკვნამდე, რომ თანამედროვე სახელმწიფოს მისი წინამორბედებისაგან განსხვავდება პოლიტიკური ორგანიზაციის რთული და მრავალფეროვანი ფორმით. თანამედროვე სახელმწიფოსთვის დამახასიათებელია შემდეგი ძირითადი ნიშნები:

- **მემკვიდრეობითობა (Continuity in time and space).** ხელისუფლების ცვლილება არ იწვევს სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირების შეჩერებას ან შეწყვეტას.
- **ტრანსცენდენტულობა (Transcendence).** სახელმწიფო წარმოადგენს საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის, უმაღლეს ფორმას. მისი უზენაესობა (ტრანსცენდენტულობა) ერთნაირად ვრცელდება, როგორც მმართვის სუბიექტებზე (მართველ ორგანოებზე), ასევე მმართვის ობიექტებზე (მოქალაქეებზე).
- **პოლიტიკური ორგანიზაცია (Political organization).** ხელისუფლების ინსტიტუტები (მთავრობა, პარლამენტი, სასამართლო, ბიუროკრატია, პოლიცია და სხვა) ცენტრალიზებული მართვის პირობებში კოორდინირებულად მოქმედებენ, რის შედეგადაც იქმნება ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკური ორგანიზმი.
- **ხელისუფლება (Authority).** ხელისუფლება მისდამი რწმუნებულ ტერიტორიაზე ინარჩუნებს წესრიგს ძალოვანი სტრუქტურების (პოლიცია, ჯარი, უშიშროება) მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ ამ სტრუქტურებზე მონოპოლიას მხოლოდ სახელმწიფო ფლობს.
- **სუვერენიტეტი (Sovereignty).** სახელმწიფო სუვერენული ერთეულია, რაც, იმაზე მიუთითებს, რომ მისი იურისდიქცია ვრცელდება მოცემულ ტერიტორიაზე და მის მოქალაქეებზე. ყველა სახელმწიფო ტერიტორიულია, რაც იმას ნიშნავს, რომ მას გააჩნია საერთაშორისო დონეზე აღიარებული საზღვრები.
- **ერთგულება (Allegiance).** სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირების საფუძველს წარმოადგენს მოქალაქეების ერთგულება (ლოიალობა). მოქალაქე ვალდებულია დაემორჩილოს სახელმწიფო კანონებს. თავის მხრივ, სახელმწიფო იცავს მოქალაქის ლირსებას და უსაფრთხოებას (Morris, 1998: 288-289 და Gill, 2003: 2-5)

## IV თავი გეოპოლიტიკა

*"The politics of a state lies on its geography"*

Napoleon Bonaparte

"სახელმწიფოს პოლიტიკა მის გეოგრაფიაზე გადის"  
ნაპოლეონ ბონაპარტე

### გეოპოლიტიკის ცნება

გეოპოლიტიკა, როგორც მეცნიერება აღმოცენდა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე. ტერმინი "გეოპოლიტიკა" პირველად გამოიყენა შვედმა მეცნიერმა რუდოლფ ჩელენმა, რომელმაც აღნიშნა, რომ გეოპოლიტიკა არის დოქტრინა, რომელიც სახელმწიფოს განიხილავს, როგორც გეოგრაფიულ ორგანიზმს ან სივრცით ფენომენს (მოვლენას). მისი განმარტებით გეოპოლიტიკა სახელმწიფოს გეოგრაფიული გონია.

გეოპოლიტიკის მრავალი განმარტება გვხვდება. ერთ-ერთის მიხედვით გეოპოლიტიკა არის მეცნიერება დედამიწისა და პოლიტიკური პროცესების ურთიერთობების შესახებ.

სხვა განმარტების მიხედვით გეოპოლიტიკა არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში გეოგრაფიული, ეკონომიკური და სხვა ფაქტორების გავლენას.

ორივე განმარტებიდან ჩანს, რომ გეოპოლიტიკა სწავლობს სახელმწიფოს გარე სამყაროსთან მიმართებაში და მისი მთავარი ამოცანაა გამოიკვლიოს სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობების სივრცითი ასპექტები. სხვაგვარად, გეოპოლიტიკა არის საერთაშორისო სივრცით აღჭურველი ძალაუფლება.

XIX ს-ის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში პარალელურად მიმდინარეობდა ორი ერთმანეთისგან განსხვავებული გეოპოლიტიკური სკოლის, კერძოდ გერმანული ორგანიციზმის და ანგლო-ამერიკული გეოსტრატეგიის ჩამოყალიბება.

ორგანიციზმის სკოლის დამაარსებელი და გეოგრაფიული დეტერმინიზმის მიმდინარეობის ფუძემდებელი იყო გერმანელი გეოგრაფი ფრიდრიხ რატცელი.<sup>59</sup> ის თავისი მსოფლიმსედველობით ევროპის დარვინისეული თეორიის მიმდევარი იყო. აქედან გამომდინარე, მსოფლიოს ისტორიის განხილვისას იგი ემსრობოდა იმ იდეას, რომ ამა თუ იმ ხალხის ხასიათზე და თვისებებზე გადამწყვეტ როლს გეოგრაფიული გარემო თამაშობდა.

ფრიდრიხ რატცელი დედამიწას განიხილავს, როგორც ერთიან ცოცხალ ორგანიზმს, რომელიც მუდმივად იცვლება. მსოფლიოს ისტორია მისი აზრით დასაბამს იდებს იმ მომენტიდან, როდესაც ადამიანმა დაიწყო ზღვის ათვისება. სუპერსახელმწიფოებად ის განიხილავდა იმ ქვეყნებს, რომლებიც ზღვაზე ბაგონობდნენ, კერძოდ რომი, ესპანეთი, ინგლისი. რატცელი, ასევე დიდ უურადღებას უთმობდა მსოფლიოს კლიმატის ზეგავლენას ხალხთა

<sup>59</sup> ფრიდრიხ რატცელი (1844-1904). პოლიტიკური გეოგრაფიის სულისხამდგელი. ავტორი მონოგრაფიებისა: "პოლიტიკური გეოგრაფია", "დედამიწა და სიცოცხლე", "შედარებითი დედამიწაომცოდნება", "ხალხთმცოდნება", "პოლიტიკური გეოგრაფია", "ანტორპოგეოგრაფია".

განვითარებაში. მან გამოყო ადამიანზე კლიმატის ზემოქმედების სამი ძირითადი ფაქტორი:

- ადამიანის სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობაზე გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს სინათლე, სითბო, ნალექები, ტემპერატურა, ქარები. იგი თვლიდა, ტენიანი ჰავა ადუნებს ადამიანს, იმ დროს როდესაც მშრალი კლიმატი ნერვულ სისტემას აღიზიანებს. ამის გამო, რატცელის აზრით განსხვავებული ხასიათი აქვთ, ფრანგებს, რომლების ცხოვრობენ პროვანსში (ხმელთაშუაზღვისპირეთი) და ბრეტონელს (ატლანტის ოკეანის სანაპირო), თუნდაც ტეხასელს და კალიფორნიელს.
- კლიმატი, თვლიდა რატცელი განაპირობებს ხალხთა გადასახლებას. კონტინენტური ჰავა ადამიანებს მომთაბარე ცხოვრებისაკენ უბიძგებს, მაგრამ საკმარისია ისინი მოხვდნენ ზღვის ჰავის პირობებში, რომ თავს ანებებენ მომთაბარეობას და იქვე სახლდებიან.
- კლიმატზე დამოკიდებულია მეურნეობის ტიპი. ისლანდიაში, სადაც მემცნარეობა ვერ განვითარდება მოსახლეობამ ხელი მიჰყო მეცხვარეობას და მეთევზეობას. ამერიკის სამხრეთ შტატებში, სადაც მოდის თამბაქო და ბამბა განვითარდა მონათმფლობელობა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ფრიდრიხ რატცელი მნიშვნელოვან დაზუსტებას აკეთებდა ზემოთ აღნიშნულ წესის მიმართ. იგი მიიჩნევდა, რომ რაც უფრო მაღალი განვითარების სტადიაზე იმყოფებოდა ხალხი, მით უფრო ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა კლიმატის ზეგავლენას მეურნეობის ტიპზე ან განსახლების ადგილზე. ტემპერატურული ცვალებადობები დადგებით ზეგავლენას ახდენს ადამიანთა ორგანიზმზე, იმ დროს, როდესაც ტროპიკული კლიმატი (წელიწადის ნებისმიერ დროს აქ ერთნაირი ტემპერატურა) ადუნებს და ამძიმებს ადამიანს.

ნაშრომში “ხალხთმცოდნეობა” გერმანელი მეცნიერი ავითარებს თეზისს იმის შესახებ, რომ ადამიანების ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ასპექტები: შრომა, ქორწინება, გადაადგილება და სხვა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმ კლიმატურ-გეოგრაფიულ გარემოზე, სადაც ისინი ცხოვრობენ. ცხოვრების წესის მეორე მნიშვნელოვან ფაქტორად რატცელი ასახელებს კულტურას. იგი თვლის, რომ სადაც უფრო მაღალია საზოგადოებრივი წარმოების კულტურა, მით უფრო მაღალია მოსახლეობის რაოდენობა და სიმჭიდროვე.

რატცელი მიიჩნევდა, რომ ველური ხალხები განწირული არიან დაღუპვისათვის ორი მიზეზის გამო, კერძოდ თვითლიკვიდაციისა და უფრო მაღალი კულტურის ზემოქმედების გამო. ეს ორივე ფაქტორი ერთდროულად მოქმედებს. მისი აზრით, რომ კულტურა უფრო თავისუფალს ხდის ადამიანს, ერს. ამასთან, იგი დასძენდა, რომ ადამიანის, ერის ბუნების ზემოქმედებისაგან მთლიანი განთავისუფლება არასდროს მოხდება. რაც უფრო მაღალია კულტურის დონე, მით უფრო ნაკლებად არის დამოკიდებული ადამიანი, ერი ბუნებრივ პროცესებზე და მით უფრო პარმონიულ კავშირშია იგი ბუნებასთან.

ძალზე მნიშვნელოვანია, იმის აღნიშვნა, რომ ფრიდრიხ რატცელი ძალზე ფრთხილად ეკიდებოდა გეოგრაფიული დეტერმინიზმისა და ორგანიზმის თეორიული დებულებების იდეალიზაციას. ის მიანიშნებდა, რომ სახელმწიფოს ცოცხალ ორგანიზმთან შედარება მხოლოდ ანალოგიად და სხვა არაფერი.

ალბათ, ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ რატცელს არასდროს შეუმუშავებია პოლიტიკური რეკომენდაციები (Glassner: 1993: 224).

**რუდოლფ ჩელენი<sup>60</sup>** (Rudolf Kjellén) თავს რატცელის მიმდევრად თვლიდა. გეოპოლიტიკას ჩელენი მიიჩნევდა პოლიტოლოგიის ნაწილად. ჩელენის მიაჩნდა, რომ გეოპოლიტიკა არის მეცნიერება სახელმწიფოს, როგორც სივრცეში განვითარებულ გეოგრაფიული ორგანიზმის შესახებ.

ჩელენის მთავარი თეზისი იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ცოცხალი ორგანიზმია ემთხვევა რატცელის ანალოგიურ განმარტებას. თავის ნაშრომში "სახელმწიფო, როგორც ცხოვრების ფორმა" ჩელენი აღნიშნავდა: "სახელმწიფო არის ადამიანის ცხოვრების ცალკეული მხარეების ხელოვნური კონგლომერატი, რომელიც შეკონტრიტულია კანონთა საფუძველზე. მას ისტორიული ფესვები საკმაოდ ღრმად აქვს გადგმული, ხოლო რეალობაში მისთვის, როგორც ადამიანისათვის დამახასიათებელია ტენდენცია ზრდისაკენ". (**Source**)

ჩელენმა წამოაყენა ეკონომიკური განვითარების ავტარქიულობის იდეა. ის ამტკიცებდა, რომ ძლიერი სახელმწიფო ეკონომიკური თვალსაზრისით მაქსიმალურად თვითუზრუნველყოფილი უნდა ყოფილი. თუ, ქვეყანა გარკვეული ნედლეულის დეფიციტს განიცდიდა, ამ შემთხვევაში, მას ეს დანაკლისი კოლონიური ან ვასალური ტერიტორიების ხარჯზე უნდა შეევსო.

ჩელენმა გააანალიზა რა კაპიტალიზმის, კერძოდ სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარების პროცესი და პირველი მსოფლიო ომის შედეგები ივარაუდა, რომ გერმანიაში ადგილი ექნებოდა პარლამენტარიზმის ლიკვიდაციას და დიტატურის ჩამოყალიბებას. გამოდის, რომ გერმანიაში ნაციზმის გამარჯვება მან დიდი ხნით ადრე იწინასწარმეტყელა.

რატცელისგან განსხვავებით, რომელიც სახელმწიფოს დაბალი განვითარების ბიოლოგიურ ორგანიზმებს ადარებდა, ჩელენის მიაჩნდა, რომ სახელმწიფო მაღალგანვითარებული ორგანიზმია, რომელიც როგორც ნებისმიერი მოაზროვნე ბიოლოგიური არსება იბრძვის არსებობისათვის. ამ ბრძოლაში, ჩელენის აზრით მოქმედებს ბუნებრივი გადარჩევის პრინციპი, ე.ი. მან გეოპოლიტიკაში სოციალური დარვინიზმის პრინციპი შემოიტანა. ჩელენის აზრით ბუნება მიმდინარეობს ბრძოლა არსებობისათვის, ხოლო პოლიტიკაში – ბრძოლა სივრცისათვის.

ჩელენი რატცელის მსგავსად მიიჩნევდა, რომ სახელმწიფოს ბრძოლა სივრცისათვის არის გამოწვეული ბუნებრივი მოტივაციით. თუ სახელმწიფომ არ გაიფართოვა სასიცოცხლო სივრცე, მაშინ ის აღმოჩნდება სხვა სახელმწიფოს აგრესის სუბიექტი. ერს, ჩელენი განიხილავდა, როგორც სახელმწიფოს სულ და მიუთითებდა, რომ ეროვნული პომოვენურობა ხელს უწყობდა საერთო კულტურის, იდენტობისა და ფასეულობების ჩამოყალიბებას (Chapman, 2011: 17).

ჩელენისთვის სახელმწიფოს არსებობის უმთავრეს პირობაა ძალა. მისი აზრით, ძალა უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე კანონი, რადგან, თუ კანონის უკან ძალა არ დგას ის ვერ აღსრულდება. სახელმწიფო უნდა განახორციელებდეს აქტიურ პოლიციურ ფუნქციას. ეს იდეა დისონანსში მოდიოდა იმ დროისათვის საკმაოდ პოპულარულ ლიბერალ-დემოკრატიულ იდეებთან. კერძოდ, ლიბერალი დემოკრატის მიხედვით სახელმწიფო ემსახურება ხალხის კეთილდღეობის იდეას და არა პირიქით, რის გამოც სახელმწიფოს პოლიციური ფუნქციები საკმაოდ შეზღუდული უნდა იყოს. სხვათაშორის, ჩელენის იდეა სახელმწიფოს

<sup>60</sup> რუდოლფ ჩელენი (1864-1922) - შევდი პოლიტოლოგი, უპსალას უნივერსიტეტის პროფესორი. 1899 წ. ერთ-ერთ შევედურ ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაში მან პირველმა იხმარა ტერმინი "გეოპოლიტიკა". მისი უმნიშვნელოვანები ნაშრომებია "სახელმწიფო, როგორც ორგანიზმი" (1916 წ.) და "სახელმწიფო, როგორც ცხოვრების ფორმა".

გადამეტებული პოლიციური უფლებების შესახებ მოგვიანებით განახორციელეს ბოლშევიკებმა, რაც საბოლოო ჯამში იმაში გადაიზარდა, რომ სახელმწიფო კი არ არსებობდა ხალხისათვის, არამედ პირიქით - ხალხი სახელმწიფოსათვის.

გერმანიის მაგალითზე, ჩელენმა განავითარა იდეა კონტინენტური სახელმწიფოს შესახებ. მისი აზრით, ევროპაში ღერძის ფუნქციას გერმანია ასრულებდა. მას უპირისპირდებოდნენ საფრანგეთი (ასევე კონტინენტური ტიპის სახელმწიფო) და საზღვაო სუპერსახელმწიფო ინგლისი. ამის მიზეზად, ჩელენს ის ფაქტი ესახებოდა, რომ გერმანელი (რუსების მსგავსად) ერთ ახალგაზრდაა, ხოლო ინგლისელები და ფრანგები კი ძველი ერები არიან.

პირველი მსოფლიო ომის დასრულებისა და ვერსალის ხელშეკრულების დადების შემდეგ რუდოლფ ჩელენმა ჩამოაყალიბა გლობალური გეოპოლიტიკის განმსაზღვრელი სამი გეოგრაფიული ფაქტორი: ტერიტორიული ზრდა, ტერიტორიული მდგრადობა და გადაადგილების თავისუფლება.

ჩელენის აზრით, ინგლისისათვის დამახასიათებელი იყო გადაადგილებისა (ძლიერი ფლოტის გამო) და ტერიტორიული ზრდის შესაძლებლობა (დიდი რაოდენობის კოლონიები), მაგრამ მის ტერიტორიებს აკლდა მდგრადობა, რადგან ინგლისის კოლონიები გაბნეული იყო მთელ მსოფლიოში. საპირისპიროდ, რუსეთს გააჩნდა ტერიტორიული მდგრადობა, რადგან მისი კოლონიები ბირთვის (მეტროპოლის) გარშემო მდებარეობდნენ, გარდა ამისა რუსეთი ფლობდა უზარმაზარ ტერიტორიას, მაგრამ მას არ გააჩნდა თბილ ზღვებზე გასასვლელი, შესაბამისად შეზღუდული იყო გადაადგილებაში.

1917 წ. გერმანულ ენაზე გამოიცა ჩელენის მონოგრაფია “სახელმწიფო, როგორც ორგანიზმი”. ამ დროისთვის უკვე ნათელი იყო, რომ გერმანია ომს აგებდა. მიუხედავად ამისა, ჩელენის იდეები სახელმძღვანელოდ იქცა ომის შემდეგომი პერიოდის გერმანელი რევანშისტებისთვის. ორგანიზმის, ჩელენისეული ხედვა პოპულარული გახდა 1920-30-იანი წლების იაპონიასა და იტალიაშიც (Glassner: 1993: 224-225).

ორგანიციზმის თეორიის პარალელურად, დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში ვითარდებოდა გეოსტრატეგიის სამეცნიერო-პრაქტიკული სკოლა. მისი მამამთავრი იყო ამერიკელი ალფრედ მაჰენი (Alfred Mahan)<sup>61</sup>. გეოგრაფ-დეტერმინისტებისგან განსხვავებით მაჰენმა ყურადღება არა იმდენად სახელმწიფოს არსისა და განვითარების შესწავლას დაუთმო, არამედ საერთაშორისო ურთიერთობების თავისებურებების კვლევას და ამერიკის მთავრობისთვის შესაბამისი პოლიტიკური რეკომენდაციების შემუშავებას.

მაჰენი თავის კვლევებში მივიდა დასკვნამდე, რომ მსოფლიოში გადამწყვეტი გავლენის მოპოვება მხოლოდ საზღვაო სუპერსალისთვის არის ხელმისაწვდომი. მისი აზრით, ვაჭრობის და ბიზნესის განვითარებისთვის საკმარისი არ იყო მხოლოდ სატრანსპორტო ფლოტის არსებობა. აუცილებელი იყო ძლიერი სამხედრო ფლოტილიის შექმნა და მისი მეშვეობით მსოფლიოს სხვადასხვა კუთხებში სამხედრო პლატფორმების დაარსება. მაჰენმა ჩამოაყალიბა 6 ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის თალოსოკრატიულ ე.ი. საზღვაო სიძლიერეს. ეს ფაქტორებია:

- გეოგრაფიული მდებარეობა. გააჩნია, თუ არა ქვეყანას ზღვაზე (ოკეანეზე) გასასვლელი. რაც უფრო მეტ ზღვაზე (ოკეანეზე) გადის მით უკეთესია. მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანა მდებარეობდეს ძირითად

<sup>61</sup> ალფრედ მაჰენი (1840-1914 წწ.) იყო საზღვაო ისტორიკოსი, მწერალი და აშშ-ის საზღვაო ძალების ადმირალი. მან დაწერა 20-მდე წიგნი, რომელთა შორის უმთავრესია “საზღვაო ძალის გავლენა მსოფლიოს ისტორიაზე: 1660-1783 წწ.” და “საზღვაო ძალის გავლენა მსოფლიოს ისტორიაზე: საფრანგეთის რევოლუცია და იმპერია, 1793-1812 წწ.”

სანაოსნო გზებთან, სხვა შემთხვევაში ამ გზების სიახლოეს მას სამსედრო ბაზები უნდა გააჩნდეს.

- სანაპიროს ბუნებრივ-გეოგრაფიული ხასიათი. როგორია ქვეყნის სანაპირო ზოლის კონფიგურაცია? რამდენი მდინარე ჩაედინება ზღვაში? რადმენად გამოსადეგია ეს მდინარეები სანაოსნოდ? სასურველია, რომ სანაპირო ზოლი შეჭრილ-შემოჭრილი იყოს უბეებით, ყურეებით, სრუტეებით და ის დაქსაქსული იყოს ნავიგაციისთვის გამოსადეგი მდინარეებით. მნიშვნელოვანია, რომ ბუნებრივი ლანდშაფტი ქმნიდეს სანაპირო ზოლის სამსედრო თავდაცვის ხელსაყრელ პირობებს.
- სანაპირო ზოლის სივრცე. გრძელი სანაპირო ზოლი კარგია მეთევზეობის და ვაჭრობის განვითარებისთვის, მაგრამ ის რთული დასაცავია გარეშე აგრესის შემთხვევაში.
- მოსახლეობის რაოდენობა. მოსახლეობის რიცხოვნობა ქვეყნის საზღვაო სიძლიერის პირდაპირპროპორციულია.
- ეროვნული ხასიათი. ხალხი მოწოდებული უნდა იყოს ნაოსნობის განვითარებისთვის.
- მთავრობის პოზიცია. ქვეყნის მთავრობა უნდა ავლენდეს კეთილ ნებას ნაოსნობას განვითარების საქმეში. ქვეყნის ხელისუფლება პრიორიტეტს უნდა ანიჭებდეს თალოსოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას (Glassner, 1993: 225).

მექენი ძალზე დიდი ყურადღებას უთმობდა აზიაში მიმდინარე მოვლენების ანალიზს. ჯერ კიდევ XIX ს-ის ბოლოს ის მივიდა დასკვნამდე, რომ რუსეთი შეეცდებოდა ჩინეთზე და აქედან გამომდინარე, წყნარი ოკეანის მოელ აღმოსავლეთ სანაპიროზე კონტროლის მოპოვებას. მან, ასევე იწინასწარმეტყველა, რომ რუსეთს ამ იდეის ხორცშესხმაში დიდ წინააღმდეგობას გაუწევდნენ დიდი ბრიტანეთი, გერმანია, აშშ და იაპონია.

მექენმა აღიარება მოიპოვა, არამარტო, როგორც თეორეტიკოსმა, არამედ, როგორც პრაქტიკოსმაც. მისი პოლიტიკური რეკომენდაციები მოიცავდა ძალზე მნიშვნელოვან გეოსტრატეგიულ ასპექტებს. მექენი დაუინებით ურჩევდა ამერიკის მთავრობას, რომ შემოიეროთებინა ჰავაის კუნძულები, გავლენა მოეპოვებინა კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებზე, გაეყვანა სრუტე, რომელიც დააკავშირებდა ატლანტისა და წყნარ ოკეანებს. პრეზიდენტი თეოდორ რუზველტის ადმინისტრაციამ გაითვალისწინა და განახორცილა მისი რამდენიმე რეკომენდაცია. ალფრედ მექენის ნაშრომები დიდი პოპულარობით სარგებლობდა, არა მარტო აშშ-ში, არამედ იაპონიაში, გერმანიაში და დიდ ბრიტანეთში.

გეოსტრატეგიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იყო ჰელფორდ მაკინდერი (Halford Mackinder)<sup>62</sup>. ის მექენზე გაცილებით ახალგაზრდა იყო და მისი მოღვაწეობის წლები სარკინიგზო ტრანსპორტის ბუმს დაემთხვა.

<sup>62</sup> ჰელფორდ მაკინდერი (1861-1947 წწ.) – ინგლისელი დორდი. ოქსფორის უნივერსიტეტის გეოგრაფიის პროფესორი და ლონდონის ეკონომიკის სკოლის დირექტორი. 1920-1922 წწ. - ინგლისის პარლამენტის წევრი, ხოლო 1920-1945 წწ. - დიდი ბრიტანეთის იმპერიული სანაოსნო კომიტეტის თავმჯდომარე. მისი ავტორობით შეიქმნა უმნიშვნელოვანესი მონოგრაფიები, მათ შორის: “ისტორიის გეოგრაფიული ღერძი” (1904წ.), “დემოკრატიული იდეალები და რეალობები” (1919 წ.) და “სფეროსებრი მსოფლიო და მშვიდობის მოპოვება” (1943 წ.).

რკინიგზის სწრაფმა განვითარებამ მნიშვნელოვნად შეცვალა ძალთა ბალანსი საზღვაო (თალოსოკრატიულ) და სახმელეთო (თელულოკრატიულ) ქვეყნებს შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. მაკინდერი, მექენის მსგავსად, საზღვაო სიძლიერის აპოლოგეტი იყო, მაგრამ, როგორც ჭკვიანი მეცნიერი, ის დროულად მიხვდა, რომ XIX საუკუნე უკვე ისტორიას ჩაბარდა და ახალ საუკუნეში საზღვაო სახელმწიფოებს უპირატესობის შენარჩუნებისათვის დაჭირდებოდათ თვისებრივად ახალი გეოპოლიტიკური ხედვისა და სტრატეგიის შემუშავება.

მაკინდერმა, როგორც გეოგრაფმა უურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ XX საუკუნეში, სახმელეთო, უპირველეს ყოვლისა სარკინიგზო ტრანსპორტი საშუალებას მისცემდა მთელ რიგ ქვეყნებს, რომ მაქსიმალურად აეთვისებინათ მათ ხელთ არსებული მინერალური და სხვა სახის რესურსები. ამ მხრივ, მაკინდერის აზრით, ყველაზე დიდი პოტენციალი ევრაზიას გააჩნდა. გარდა ამისა, მაკინდერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რეგიონის (ქვეყნის) მდებარობას. ის ამტკიცებდა, რომ ცენტრალური მდებარეობა არის ყველაზე ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა. ცნება "ცენტრალური მდებარეობა" ფარდობითია. ნაშრომში "დედამიწის გეოგრაფიული დერძი" (1904 წ.) მაკინდერმა დედამიწა დაყო გეოპოლიტიკურ ზონებად (ტერიტორიებად). მისი აზრით, დედამიწის გეოგრაფიულ დერძს წარმოადგენდა ევრაზიას კონტინენტი. მოგვიანებით მაკინდერმა გადასინჯა პირვანდელი კონცეფცია, გარკვეული ცვლილებები შეიტანა მასში და რაც მთავარია "გეოგრაფიული დერძის" ნაცვლად იხმარა ტერმინი "პართლენდი", რომელიც დღემდე ფართოდ გამოიყენება. პართლენდი მაკინდერის მიხედვით ევრაზიას ცენტრში მდებარობს და ამ მდებარეობის გამო არის ყველაზე ხელსაყრელი ტერიტორია, საიდანაც შესაძლებელია გლობალური გავლენის მოპოვება.

მაკინდერს მიაჩნდა, რომ უკანასკნელი ორი ათასწლეულის მანძილზე პართლენდი, როგორც გეოპოლიტიკური ზონა ცვლილებას განიცდიდა. ფეოდალურ ეპოქაში პართლენდი მოიცავდა ცენტრალ აზიას, საიდანაც ხდებოდა ბარბაროსული ტომების მიერ "ცივილიზებული" ხალხების დაპყრობა. თავდაპირველად ამით დაკავებული იყვნენ ალანები და ჰუნები, ხოლო მოგვიანებით მონფოლები. მაკინდერი აკეთებს დასკვნას, რომ ევროპული ცივილიზაციის ფორმირება მოხდა ამ ბარბაროსული ტომების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში და, შესაბამისად ევროპის განვითარებაზე გადამწყვეტი ზეგავლენა სწორედ აზიამ ითამაშა.

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ მსოფლიოში შეიცვალა ძალთა ბალანსი. წინა პლაზე გამოვიდნენ საზღვაო სახელმწიფოები: პორტუგალია, ესპანეთი, პოლანდია, საფრანგეთი, ინგლისი. XX საუკუნის დასაწყისიდან კვლავ იცვლება მსოფლიოს გეოპოლიტიკური ბალანსი და მთავარ როლს პოლიტიკურ პროცესებში ისევ კონტინენტური სახელმწიფოები თამაშობდნენ. პართლენდის საზღვრები გაიზარდა, რადგან საზღვაო სახელმწიფოებს არ შეეძლოთ დიდი კონტინენტური ტერიტორიების კოლონიზაცია. ამის გამო პართლენდის ტერიტორია იზრდება და ვრცელდება აღმოსავლეთი ევროპიდან წყნარ ოკეანემდე. პართლენდი, რომელსაც სხვანაირად "ცენტრალურ მატერიესაც" უწოდებდნენ, მოიცავდა აღმოსავლეთ ევროპის ნაწილს (რუსეთის ევროპული ნაწილი), კავკასიას, ცენტრალურ აზიას, ციმბირს და აღმოსავლეთ აზიას. პართლენდს ესაზღვრებოდა ტერიტორია, რომელსაც მაკინდერმა უწოდა "შიდა ნახევარმთვარე" (დასავლეთ ევროპა, ახლო აღმოსავლეთი, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია). და ბოლოს, "გარე ნახევარმთვარე" ("შეოფლიო კუნძული"), რომელიც მოიცავდა ორივე ამერიკას, დიდი ბრიტანეთს, იაპონიას, აფრიკას და ოკეანეთს.

XX საუკუნემდე, ზემოთ ნახსენები სამივე ზონის ქვეყნებს შორის ერთგვარი ბალანსი არსებობდა, რადგან ტექნოლოგიის და განსაკუთრებით

სატრანსპორტო საშუალებების განვითარების დონე ჯერ არ იძლეოდა დიდი ტერიტორიების დაპყრობისა და მათი გაკონტროლების საშუალებას. მაგრამ XX ს. სამრეწველო ბუმმა, რაც უპირველეს ყოვლისა ახალი ტიპის სატრანსპორტო საშუალებების შექმნაზე აისახა, მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. მაკინდერი მიიჩნევდა, რომ ან სიტუაციაში გაძლიერდებოდა ორი კონტინენტური სახელმწიფო: რუსეთი და გერმანია. იმის გამო, რომ რუსეთი ფლობდა დიდ გეოგრაფიულ სივრცეს და ბუნებრივ რესურსებს მისი პერსპექტივა განსაკუთრებული იყო. მაკინდერი ფიქრობდა, რომ მომავალი ბრძოლა მსოფლიოს ბატონობაზე რუსეთსა და ინგლისს შორის წარიმართებოდა. ეს იდეები მაკინდერმა ჩამოაყალიბა მის ახალ ნაშრომში "დემოკრატიული იდეალები და რეალობები", რომელიც 1919 წელს შეიქმნა. ამ ნაშრომში გხვდებით კონცეფციას, რომელიც მოგვიანებით აფორიზმად იქცა:

- ის ვინც ფლობს აღმოსავლეთ ევროპას, "ცენტრალურ მატერიკსაც" დაუუფლება;
- ის ვინც გაბატონებულია ცენტრალურ მატერიკზე, მსოფლიო კუნძულზეც გაბატონდება;
- ის ვინც მართავს მსოფლიო კუნძულს, მთელ მსოფლიოს დაეპატრონება.

1924 წ. მაკინდერმა წამოაყენა ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც ჰართლენდს დაბალანსება ხელეწიფებოდა მხოლოდ შუა (მიდლენდის) ოკეანეს, ასე უწოდებდა ის ჩრდილოეთ ატლანტიკას. მას მიაჩნდა, რომ დასავლეთ ევროპელები და ამერიკელები წარმოადგენდნენ ერთა ერთობას, ხოლო მათი განსახლების არეალს (საბჭოთა კავშირიდან წყნარი ოკეანის დასავლეთ სანაპირომდე) მან უწოდა დასავლური ცივილიზაციის მთავარი გეოგრაფიული საცხოვრისი (ჰაბიტატი).

1943 წელს მაკინდერი აქვეყნებს მონოგრაფიას, სადაც ასახულია ის რეალობები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას გამოიკვეთა. მან ჰართლენდის ახალი საზღვრები დაადგინა, როლებიც დაემთხვა საბჭოთა კავშირის საზღვრებს. მისი აზრით, უახლოეს მომავალში მსოფლიო ჰართლენდსა და გარე ნახევარმთვარის სახელმწიფოებს შორის ახალი დაპირისპირების მოწმე გახდებოდა. ამ დაპირისპირების ბედს მნიშვნელოვნად გადაწყვეტდა ის, თუ ვის მიემხრობოდა "შიდა ნახევარმთვარე" (Glassner, 1993: 226-227).

მაკინდერის თეორიის ძირითადი თეზისები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- გეოგრაფიულ ფაქტორებს უშუალო ზეგავლენა აქვთ ისტორიის მსვლელობაზე;
- გეოგრაფიული მდებარეობა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სახელმწიფოს სიძლიერესა თუ სისუსტეს;
- ტექნიკურ პროგრესს კორექტივები შეაქვს სახელმწიფოთა "მოქმედების არეალების" გეოგრაფიაში; ამ პროგრესის შედეგები განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით.
- ევრაზია წარმოადგენს გლობალური პოლიტიკური პროცესების ცენტრს.

მაკინდერის ნაშრომებმა დიდი როლი ითამაშა გეოპოლიტიკური აზრის განვითარების მხრივ. მიუხედავად ამისა, ნათლად ჩანს მათი სუსტი მხარეებიც. ინგლისელმა მეცნიერმა ჯეროვნად ვერ შეაფასა აშშ-ის პოტენციალი და არ მიიჩნევდა მას მომავალ მსოფლიო ლიდერად. გლობალური ძალაუფლების მსჯელობისას ის განსაკუთრებულ აქცენტს საზღვაო ძალებზე აკეთებდა, ამასთან, მხედველობიდან გამორჩა საჭაერო სიძლიერის მნიშვნელობა. მაკინდერი, თავისი ეპოქის პირმშო იყო და მის მსოფლმხედველობაში გეოგრაფიული დეტერმინიზმის იდეები დომინირებს.

მაკინდერს სიცოცხლეშივე ბევრი კრიტიკოსი ყავდა. მათ შორის გამოირჩეოდა ნიკოლას სპიქმენი<sup>63</sup> (*Nicolas Spykman*). იყო ამერიკელი მეცნიერი, რომელიც მოღვაწეობდა ამ საუკუნის პირველ ნახევარში. სპიქმენისათვის გეოპოლიტიკა იყო არა მეცნიერება, არამედ ეფექტური საერთაშორისო პოლიტიკის შემუშავების ანალიტიკური ხერხი.

სპიქმენი თვლიდა, რომ მაკინდერნა გადააფასა მომთაბარე ტომების ზეგავლენა "შიდა ნახევარმთვარის" (*Rimland*) ფორმირებაზე. ეს უკანასკნელი სპიქმენის აზრით თავისთავად ჩამოყალიბდა. სპიქმენი, ასევე არ ეთანხმებოდა მაკინდერს ჰართლენდის საკითხშიც. ის ამტკიცებდა, რომ ჰართლენდი ჩამოყალიბდა საზღვაო ზოლიდან წამოსული პოლიტიკური იმპულსების ხარჯზე და არა პირიქით. სპიქმენი მაკინდერისაგან განსხვავებით თვლიდა, რომ ჰართლენდს ფლობს ის ვინც ფლობს რიმლენდს და არა პირიქით.

სპიქმენმა ჩამოაყალიბა სახელმწიფოს გეოპოლიტიკური სიძლიერის განსაზღვრის 10 შემდეგი კრიტერიუმი:

- ტერიტორიის სიდიდე;
- საზღვრების ხასიათი;
- მოსახლეობის რაოდენობა;
- ფინანსური სიძლიერე;
- ეკონომიკური განვითარების დონე;
- წიაღისეული სიმდიდრეები;
- ეთნიკური ერთგვარობა;
- სოციალური ინტეგრაციის დონე;
- პოლიტიკური სტაბილურობა;
- ეროვნული ხასიათი.

გარდა ამისა, სპიქმენმა გეოპოლიტიკაში შემოიტანა ტერმინი "შიდა ოკეანე", რაც იგივეა, რაც შიდა ზღვა. მისი აზრით ატლანტის ოკეანე შიდა ოკეანეს წარმოადგენდა იმ ალიანსისთვის, რომელსაც მან ატლანტიკური კონტინენტი უწოდა. მასში შემავალ ქვეყნებს აერთიანებდათ (და დღესაც აერთიანებთ) დასავლეთ ევროპულ ლიბერალურ იდეოლოგიაზე აღმოცენებული საერთო კულტურა და დემოკრატიული დირებულებები და, აქედან გამომდინარე საერთო სამხედრო-პოლიტიკური მიზნები. სპიქმენის მიხედვით ატლანტიკური კონტინენტის გონი დასავლეთ ევროპა და ამერიკის აღმოსავლეთ სანაპირო იყო, უპირველეს ყოვლისა, კი ნიუ-იორკი, ხოლო ამ ალიანსის მამოძრავებელი ძალა კი - აშშ. სპიქმენმა იწინასწარმეტყველა, რომ მომავალში ევროპის როლი

<sup>63</sup> ნიკოლას სპიქმენი (1893-1943 წწ.) – დაიბადა ნიდერლანდებში. დაამთავრა ბერკლის უნივერსიტეტი. 1920 წ. გახდა იელის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა პროფესორი. მისი ცნობილი ნაშრომებია: "ამერიკის სტრატეგია მსოფლიო პოლიტიკაში" (1942 წ.) და "მშვიდობის გეოგრაფია" (1944 წ.).

მსოფლიოს პოლიტიკაში დაკნინდებოდა და იგი ამერიკის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური დანამატი გახდებოდა.

სპიქერი პოლიტიკაში ძალის გამოყენების მომხრე იყო და მიიჩნევდა, რომ ატლანტიკურმა კონტინგენტმა ჩრდილოეთ აფრიკისა და აზიის სანაპირო ზოლი რკალში უნდა მოაქციოს და ის თავისი გავლენის სფეროში მოაქციოს. გეოპოლიტიკაში ამას ანაკონდას ხტრატეგიას (*მეთოდი*) უწოდებენ (Rix, 2010:41).

“ხალხთა თვითგამორკვევის” პრინციპის რეალიზაციაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამერიკელმა გეოგრაფმა და დიპლომატმა აიზია ბოუმენმა<sup>64</sup> (*Isaiah Bowman*). მაკინდერისგან განსხვავებით მას სჯეროდა, რომ “მსოფლიო წესრიგის” საუკეთესო საშუალებას მრავალრიცხვან სახელმწიფოთა თანამებობრობა წარმოადგენდა. ის მხარს უჭერდა ერთა ლიგის შექმნას, რადგან მიაჩნდა, რომ სწორედ სუპრანაციონალურ ორგანიზაციას ხელეწიფებოდა ზოგადად სახელმწიფოთა, მათ შორის პატარა და განვითარებადი ქვეყნების, ასევე ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვა. ვერსალის (პარიზის) 1918 წლის კონგრესზე ბოუმენი მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა, რადგან ის იყო პრეზიდენტ გუდროუ ვილსონის მთავარი მრჩეველი ტერიტორიულ საკითხებში. პარიზის საბოლოო დოკუმენტში ამერიკის დელუგაციის პოზიციამ მნიშვნელოვანი ასახვა ჰქონდა, რაშიც ლომის წილი აიზია ბოუმენის მიუძღვოდა.

XX საუკუნის 20-იან წლებში საფუძველი ჩაეყარა გერმანიის გეოპოლიტიკურ სკოლას. ამ სკოლის დამაარსებელი და იდეური ხელმძღვანელი იყო გეოგრაფი და გენერალი კარლ ჰაუშერი (Karl Haushofer). სამეცნიერო ლიტერატურაში ეს სკოლა დღემდე გერმანული ტრანსკრიფციით, კერძოდ “Geopolitik” მოიხსენიება. ამას ძირითადი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ჰაუშერის და მისი მიმდევრების თანამშრომლობამ გერმანიის ნაცისტურ მთავრობასთან უაღრესად უარყოფითი დადი დაასვა ამ სკოლას. უფრო მეტიც, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გეოპოლიტიკა ცრუმეცნიერებად გამოცხადდა და ამაში “დამსახურება” სწორედ გერმანული “Geopolitik” წარმომადგენლებს მიუძღვით.

1924 წ. ჰაუშერის დაარსა ყოველთვიური ჟურნალი “Zeitschrift für Geopolitik”, სადაც იბეჭდებოდა პრონაცისტური პუბლიკაციები, რეპორტაჟები, რეკეტიც კი. “Geopolitik” წარმოადგენდა სკოლას, რომლის ძირითადი დანიშნულება იყო ნაციონალურ-სოციალისტური იდეაბის და გერმანიის მიერ წარმოებული დაპყრობითი ომების მეცნიერებლი არგუმენტაცია. სინამდვილეში ამ სკოლას ბევრი არაფერი აკავშირებდა სამეცნიერო საქმიანობასთან. ის უფრო სააგიტიაციო-პროპაგანდისტულ ცენტრს შეიძლება შევადაროთ. ჰაუშერის თავის ნაშრომებში გამოიყენა, ერთი მხრივ, რატცელისა და ჩელენის ორგანიზაციის, მეროე მხრივ, მეცნიერის გეოსტრატეგიის კონცეპციები და ისინი ნაცისტურ-შოვინისტური იდეაბით გააზაგა (Glassner, 1993: 228). “Geopolitik”-ის სკოლის წარმომადგენელთა ნაშრომებსა და პუბლიკაციებში განსაკუთრებული უურადღება ეთმობოდა რატცელის სასიცოცხლო სივრცის და ჩელენის ავტარქიულობის კონცეპტებს.

<sup>64</sup> აიზია ბოუმენი (1878-1950 წწ.) – კანადაში დაბადებული ამერიკელი მეცნიერი და სახელმწიფო მოღვაწე. ამერიკის გეოგრაფიული საზოგადოების დირექტორი. 1918 წ. პარიზის კონგრესზე ამერიკის დელუგაციის წამყვანი სპეციალისტი ტერიტორიულ საკითხებში. II მსოფლიო ომის დროს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველი ტერიტორიულ საკითხებში. მისი უკელავებელი მნიშვნელოვანი ნაშრომია “ახალი მსოფლიო-პრობლემები პოლიტიკურ გეოგრაფიაში” (1921 წ.).

კარლ ჰაუსპოფერმა განავრცო "რკინის კაიზერის" ოტო ბისმარკის იდეები. ჰაუსპოფერი, როგორც ბისმარკი თვლიდა, რომ გერმანიის კავშირს იაპონიასა და რუსეთთან გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა საზღვაო სახელმწიფოებთან დაპირისპირებაში. ჰაუსპოფერმა და მისი სკოლის წარმომადგენლებმა შეიძულება "დიდი სივრცის" თეორია. ამ თეორიის თანახმად, მსოფლიოში არსებობდა ორი დაპირისპირებული ძალა: ანგლო-ამერიკული და კონტინენტური (რუსეთი, იაპონია, გერმანია). პირველი ძალა ცდილობდა გაფართოებულიყო გეოგრაფიული პარალელების მიმართულებით - დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ხოლო მეორე ძალა შეეცდებოდა გაფართოებას ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ჰაუსპოფერი ვარაუდობდა, რომ ამერიკა შეეცდებოდა აღმოსავლეთ ნახევარსფეროში ექსპანსიას და გერმანელი მეცნიერის აზრით კონტინენტური სახელმწიფოები ამას წინ უნდა აღდგომოდნენ. გერმანიას, კერძოდ უნდა გაევრცელებინა თავისი გავლენა აფრიკაზე, რუსეთს - ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიაზე, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში იაპონიის მეცადინეობით უნდა ჩამოყალიბებულიყო უსაფრთხოების ზონა. აშშ-ს გეოპოლიტიკური გავლენა გავრცელდებოდა ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაზე.. ჰაუსპოფერს მიაჩნდა, რომ აღნიშნული იდეების რალიაზაციისთვის აუცილებელი იყო მოსკოვი-ბერლინი-ტოკიოს კონტინენტური ბლოკის შექმნა.

"Geopolitik" გერმანიის გარდა მხოლოდ იაპონიაში იყო პოპულარული. სხვა ქვეყნებში მისდამი დამოკიდებულება, უკეთეს შემთხვევაში ინდეფერენტული, უმეტესად კი მკაცრად უარყოფითი იყო. "Geopolitik"-ის სკოლა დაიშალა ნაციისტური გერმანიის დაცემათან ერთად.

XX საუკუნის მეორე ნახევარში გეოპოლიტიკური თეორიებისა და კონცეპციების შემუშავებაში იმძლავრეს ანგლო-ამერიკული სკოლის წარმომადგენლებმა, რომლებმაც განავითარეს მაკინდერისა და სპიქმენის იდეები. გერმანული გეოპოლიტიკური სკოლის წარმომადგენლები მეორე მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების გამო ჩრდილში მოექცნენ. ამან გამოიწვია კონტინენტური ევროპის გეოპოლიტიკური აზრის დასუსტება. აღსანიშნავია, რომ წინა საუკუნის 50-იანი წლების შუამდე ევროპაში ადგილი არ ჰქონია რამდენადმე ღირებული გეოპოლიტიკური კონცეფციის ან დოქტრინის შემუშავება-რეალიზაციას. ამით შესანიშნავად ისარგებლა ამერიკამ და ევროპას თავს მოახვია თავისი გეოპოლიტიკური კურსი. ამის ნათელი დადასტურებაა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის (ნატო) შექმნა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის გეოსტრატეგიის სამეცნიერო სკოლამ განსაკუთრებული აქცენტი საპარო სიძლიერეზე გააკეთა. ამ მიმართულების პიონერად მიჩნეულია ცნობილი ამერიკელი მფრინავი, გამომგონებელი, ბიზნესმენი და მოაზროვნე ალექსანდერ დე სევერსკი (*Alexander de Seversky*).<sup>65</sup> ჯერ კიდევ 1940-იან წლებში დე სევერსკი გამოვიდა საპარო ბაზების მასობრივი მშენებლობის იდეით. მას მიაჩნდა, რომ ამერიკას და კანადას საპარო თავდაცვის ძირითადი ხაზი უნდა გადიოდეს არა ატლანტის ან წყნარი ოკეანების სანაპიროებზე, არამედ ჩრდილო ყინულოვანი ოკეანის

<sup>65</sup> ალექსანდერ დე სევერსკი (1894-1974 წწ.) – დიაბადა რუსეთში. მფრინავად მსახურობდა რუსეთის ფლოტში. 1917 წლის რუსეთი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ საცხოვრებლად ამერიკაში გადავიდა. 1927 წ. გამოიგონა ბომბდამშენის პირველი ავტომატური სამიზნე. როგორც მფრინავს, დამყარებული აქვს არაერთი საპარო რეკორდი. იყო ავიოკომპანია "Republican Aviation Corporation" დამარსებელი და მფლობელი. მის კალამს ეკუთვნის მონოგრაფიები: "გამარჯვების მიღწევა საპარო ძალის მეშვეობით" (1942 წ.) და "საპარო სიძლიერე: გადარჩენის მთავარი საშუალება" (1950 წ.).

სანაპიროსთან. ასეთი დასკვნის არგუმენტი ეფუძნებოდა იმ გეოგრაფიულ ფაქტს, რომ რუსეთიდან აშშ-მდე უმოკლესი გზა ჩრდილოეთ პოლუსზე გადის. ამ რეკომენდაციის საფუძველზე აშშ-მა და კანადამ ალასკისა და ჩრდილოეთ კანადის ტერიტორიაზე შექმნეს ჰაერსააწინააღმდეგო სარადარო და საავიაციო ბაზების სამეშელონიანი საკმაოდ ძვირადღირებული სისტემა (Glassner, 1993: 250).

დე სევერსკი ამტკიცებდა, რომ საპარტო ძალების ზრდასთან ერთად აშშ-ს აღარ დასჭირდებოდა მცირე ომების წარმოება და უცხოეთში განლაგებული ძვრადღირებული სამხედრო ბაზების შენარჩუნება. მისი აზრით ამერიკას უნდა ეზრუნა უფრო თავდაცვითი, ვიდრე შემტევი სამხედრო სისტემის შექმნაზე. თუმცა, მისი “ამერიკული ციხესიმაგრის” კონცეფციამ ამერიკელი პოლიტიკოსების და სამხედროების მხარდაჭერა ვერ მოიპოვა (იქვე: 251).

“ცივი ომის” პირობებში ევროპამ თანდათანობით აუდო ალლო ახალ რეალობებს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დადგა კარდინალური გადაწყვეტილებების მიღების დრო, რადგან სხვა შემთხვევაში ის მსოფლიო პოლიტიკური არენის პერიფერიაზე აღმოჩნდებოდა. ახალი ევროპული იდეები გერმანიასა და საფრანგეთში აღმოცენდა. 1951 წ. შეიქმნა ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება (ქვეგ) (*ECSC – European Coal and Steel Community*). მასში გაწევრიანდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (გვრ), ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, საფრანგეთი და იტალია. 1954 წ. გერმანიის კანცლერმა კონრად ადენაუერმა წამოაყენა ერთიანი ევროპის იდეა. ის მიუთითებდა, რომ ევროპას მსოფლოდ ამ გზით შეეძლო შეენარჩუნებინა თავისუფლება და უსაფრთხოება. უკვე 1957 წ. ქვეგ-ის ქვეყნებმა დაარსეს ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა (EEC – *European Economic Community*). ამით საფუძველი ჩაეყარა ევროკავშირის შექმნის იდეას. საფრანგეთში ევროპული ინტეგრაციის იდეის განვითარებასთან იზრდებოდა ანტი-ამერიკული განწყობები. პრეზიდენტ შარლ დე გოლის ინიციატივით საფრანგეთი ნატო-დან გამოვიდა (დე-ფაქტო 1959 წ., დე-იურე 1966 წ.) და დაიწყო დამოუკიდებელი გეოპოლიტიკური კურსის რეალიზაცია. საფრანგეთმა გააძლიერა ურთიერთობები საბჭოთა კავშირთან და გერმანიასთან. დე გოლს მიაჩნდა, რომ მომავალში ატლანტიკიდან ურალამდე უნდა ჩამოალიბებულიყო ერთიანი ევროპული სივრცე. ასე ჩაისახა “ევროპული კონტინენტალიზმის” კონცეფცია.

პარალელურად ვითარდებოდა ამერიკული გეოპოლიტიკური სკოლა. “ცივი ომის” წარმოება მოითხოვდა ახალი გეოსტრატეგიის შემუშავებას. 1960-იან წლებში ამერიკელი გეოპოლიტიკოსები პირობითად ორ ჯგუფად გაიყვნენ. მათი ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ აღმოსავლეთზე (იგულისხმებოდა “სოციალისტური ბანაკი” და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირი) გამარჯვება შესაძლებელი იქნებოდა მასთან რადიკალური დაპირისპირების (სამხედრო დაპირისპირების ჩათვლით) გზით. მეცნიერთა მეორე ნაწილი კი გამოდიოდა ამ ორი იდეოლოგიური სისტემის დაახლოების ანუ კონვერგენციის იდეით. ამ უკანასკნელის მომხრებმა შექმნეს ახალი დოქტრინა, რომელიც ცნობილია “გეოპოლიტიკური მონდიალიზმის” ანუ “ახალი მსოფლიო წესრიგის” სახელწოდებით. იმავდროულად, ევროპაში პრიორიტეტული გახდა “კონტინენტალიზმის” და “ახალმა მემარჯვენერიზმის” იდეოლოგია.

ზემო აღნიშნულ პერიოდში ნიკოლას სპიქმენის მიმდევრებმა განავრცეს მათი მასწავლებლის ნააზრევი და მასში გარკვეული კორექტივები შეიტანეს. ამერიკელმა პოლიტოლოგმა სოლ კოენმა (Saul Cohen)<sup>66</sup> მსოფლიო დაყო თოხ შემდეგ გეოპოლიტიკურ რეგიონად:

<sup>66</sup> სოლ კოენი – ამერიკელი გეოგრაფი. ჰარვარდის, შემდეგ ჰანტერ კოლეჯის პროფესორი. ქუინზ კოლეჯის მოქმედი საპატიო პრეზიდენტი. გეოპოლიტიკის სფეროში მისი ცნობილი ნაშრომებია: “გეოგრაფია და პოლიტიკა დანაწევრებულ მსოფლიოში” (1974 წ.), “მსოფლიო სისტემის

- ზღვისპირა რეგიონები, მკვეთრად გამოხატული საზღვაო ორიენტაციით და, რომლებსაც გააჩნიათ ფლოტი და პორტები;
- კონტინენტური ბირთვი, რომელიც დაშორებულია საზღვაო რეგიონებისაგან;
- უწყვეტი სარტყელი ზღვისპირა რეგიონებისა, რომლებსაც არ გააჩნიათ ჩამოყალიბებული საზღვაო ორიენტაცია;
- სხვა, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით დამოუკიდებელი რეგიონები.

**ჰენრი კისინჯერმა (Henry Kissinger),<sup>67</sup>** ცნობილმა ამერიკელმა დიპლომატმა და მეცნიერმა, გამოიყენა კოენის იდეა, რომლის მიხედვითაც ევრაზიაში არსებობს “უწყვეტი სარტყელი საზღვაო რეგიონებისა, რომლებსაც არ გააჩნიათ ჩამოყალიბებული საზღვაო ორიენტაცია” და ჩამოყალიბა ახალი კონცეფცია. მისი აზრით, ამერიკის საგარეოპოლიტიკური სტრატეგია მოწოდებული უნდა ყოფილიყო, რომ გაერთიანებინა ევრაზიის დანაწევრებული საზღვაო ზოლი და იგი საკუთარი კონტროლისათვის დაექვემდებარებინა. ამერიკას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცია იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც პართლენდისაკენ იხრებოდნენ ან ნეიტრალურ პოლიტიკას განახორციელებდნენ. ეს რთული ამოცანა იყო, რადგან ცივი ომის პერიოდში ამერიკის ადმინისტრაცია საგარეო პოლიტიკაში ძირითადად “შეკავების პოლიტიკის” პრინციპებით ხელმძღვანელობდა, რომელსაც ყოველთვის დადგებითი შედეგები ვერ მოჰქმნდა, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებთან მიმართებაში. კისინჯერის რჩევით პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა უფრო მოქნილი გახდა ამერიკის საგარეოპოლიტიკური მეთოდები. კერძოდ, მან მიმართა “მათრასისა და თაფლაკერის” პოლიტიკას. ეს იმას ნიშნავდა, რომ ერთი ქვეყნის წინააღმდეგ ამერიკას შეეძლო განეხორციელებინა საომარი მოქმედებები, მაგრამ სხვასთან (მაგ., ჩინეთთან) განავითარებდა ეკონომიკურ თანამშრომლობას. თეორიული თვალსაზრისით კისინჯერმა გამოიყენა “რეალური პოლიტიკის” (“Realpolitik”)<sup>68</sup> ანუ “პოლიტიკური რეალიზმის” მიდგომები, რომელსიც აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში მანამადე ნაკლები ყურადღება ექცეოდა. “Realpolitik”-ის ძლიერი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ მისი განხორციელების დროს ნაკლები ყურადღება ექცევა პოლიტიკურ მორალსა და იდეოლოგიურ ფასეულობებს. “პოლიტიკური რეალიზმის” მთავარი ამოცანაა მიღწეულ იქნას ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე კონკრეტული მიზანი, თუნდაც ეს ეწინააღმდეგებოდეს ქვეყნის ძირითად იდეოლოგიურ პრინციპებს. ამგვარი პოლიტიკა შეიძლება გამოყენებულ იქნას მოკლევადიან პერსპექტივაში რომელიმე მიზნის მიღწევის თვალსაზრისით. “რეალური პოლიტიკის” გრძელვადიან პერსპექტივაში გამოყენება საფრთხეს უქმნის ქვეყნის ფასეულობათა სისტემას (რეალური პოლიტიკის ერთ-ერთი ისტორიული მაგალითი აღწერილია № ჩანართში, იხ. გვ.).

გეოპოლიტიკა” (2002 წ.) და “გეოპოლიტიკა: საერთაშორისო ურთიერთობათა გეოგრაფია” (2008 წ.).

<sup>67</sup> ჰენრი კისინჯერი – ამერიკელი მეცნიერი და დიპლომატი. დაიბადა გერმანიაში 1923 წ. ნობელის პრემიის დაურევაზე (1973 წ.). აშშ-ის პრეზიდენტების ნიქსონისა და ფორდის ადმინისტრაციაში მსახურობდა სახელმწიფო მდივნის ეროვნული უშიშროების მრჩევლის პოსტზე. მისი ყველაზე ცნობილი ნაშრომია: “დიპლომატია” (1994 წ.).

<sup>68</sup> ტერმინი “Realpolitik” XIX ს.-ის შუაში სამეცნიერო სტარებაში შემოიტანა გერმანელმა მეცნიერმა ლუდვიგ ფონ როშემ (Ludwig von Rochau). ამ მიმართულების დიდი მოტრფიალე იყო ნიკოლას მაკიაველი. რეალური პოლიტიკის პრაქტიკული გამოყენების დიდოსტატად მიიჩნევა გაერთიანებული გერმანიის პირველი კანცლერი ოტო ფონ ბისმარკი.

ამასთან, კისინჯერი არ ივიწყებდა ბირთვული შეგავების პოლიტიკასაც. კერძოდ, მისი რეკომენდაციით, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ამერიკის სამხედრო ბაზების, მათ შორის ატომური იარაღის განლაგებისას მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული ამ სახელმწიფოების გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური თავისებურებანი.

მნიშვნელოვანია, რომ “*ცივი ომის*” პერიოდში ატლანტიზმის მიმდევრებმა სწრაფად აუდეს ალლო სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ახალ მიღწევებს, რაც აისახა კოსმოსური და საავიაციო ტექნიკის განვითარებაზე. ამ დარგების მიღწევებმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ზღვაზე დომინირების აუცილებლობის იდეა, რადგან შორ მანძილზე მოქმედი ახალი ბალისტიკური რაკეტების გამოყენების პირობებში მრავალრიცხოვანი ფლოტილის არსებობა აზრს კარგავდა. “ატლანტისტთა” სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მათ შესანიშნავად გამოიყენეს ტექნიკის ახალი მიღწევები და ისინი თალოსოკრატიული იდეების სამსახურში ჩააყენეს. იმ დროს, როდესაც თელუროკრატიული საბჭოთა კავშირი პასიური სამხედრო თავდაცვის მშენებლობით იყო დაკავებული, აშშ-მ შექმნა კოსმოსური ლაზერული სამხედრო სისტემა, რომლის მეშვეობითაც გადამწყვეტ სამხედრო უპირატესობას მიაღწია. ამ უპირატესობამ განაპირობა ამერიკის “ცივ ომში” წარმატება, რასაც მოყვა ჯერ “პერსეტროიკა”, ხოლო მოგვიანებით საბჭოთა კავშირის ტერიტორიული დაშლაც.

1990-იან წლებში ატლანტიზმის თეორიამ ამერიკაში ახალი განვითარება მიიღო “ნეოატლანტიზმის” თეორიის სახით. ამ სამეცნიერო მიმართულების მამამთავრად ითვლება ცნობილი ამერიკელი მეცნიერი სამუელ ჰანტინგტონი (Samuel Hantington).<sup>69</sup> ნაშრომში “ცივილიზაციათა შეჯახება” მან გაანალიზა, ერთი მხრივ, დასავლეთ-აღმოსავლეთისა და, მეორე მხრივ, საზღვაო და კონტინენტური სახელმწიფოების ურთიერთობები. ჰანტინგტონი მივიდა იმ დასკვანმდე, რომ “ატლანტისტების” და “ევრაზიელების” დაპირისპირება ცივილიზაციური ხასიათისა. მისი აზრით, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის არსებობს მნიშვნელოვანი კულტურული განსხვავებები. კერძოდ, ის აღნიშნავდა, რომ დასავლური ცივილიზაციისათვის დამახასიათებელია ლიბერალური დემოკრატია, საბაზრო ეკონომიკა, ინდივიდუალიზმი, ადამიანის უფლებების პრიმატი, იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთისთვის ნიშანდობლივია კოლექტივიზმი, ტრადიციონალიზმი, პატერნალიზმი და ა.შ. ჰანტინგტონის აზრით, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დაპირისპირება მომავალში კიდევ უფრო გამწვავდება, რადგან ამ უკანასკნელში გაიზრდება რელიგიური და ცივილიზაციური ფაქტორების როლი.

აღნიშნული სიტუაციის გათვალისწინებით, ჰანტინგტონის რეკომენდაციით, დასავლეთმა უნდა გაატაროს რიგი დონისძიებებისა, რაც უზრუნველყოფს მის დომინირებას, კერძოდ:

- გააფართოვოს თანამშრომლობა ამერიკასა და დასავლეთ ევროპას შორის;

<sup>69</sup> სამუელ ჰანტინგტონი (1927-2008 წწ.). 18 წლის ასაკში წარჩინებით დაამთავრა იელის უნივერსიტეტი. დოქტორის ხარისხი მოიპოვა ჰარვარდის უნივერსიტეტში. აკადემიური საქმიანობა დაიწყო კოლუმბის უნივერსიტეტში, ხოლო 1963 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორად. მისი ცნობილი ნაშრომებია: “მესამე ტალღა: დემოკრატიზაცია XX საუკუნის ბოლოს” (1991 წ.), “ცივილიზაციათა შეჯახება” (1991 წ.), “კულტურა მოქმედებაში: როგორ აყალიბებენ დირექტულებები საზოგადოებრივ პროგრესს” (2000 წ.).

- არ დაუშვას სხვადასხვა გეოპოლიტიკური ცენტრებს შორის ისეთი თანამშრომლობა, რომელიც მიმართული იქნება დასავლეთის წინააღმდეგ;
- მხარდაჭერა აღმოუჩინოს დასავლურ ცივილიზაციასთან იმ ერების ინტეგრირებას, რომელიც მასთან ახლოს არიან კულტურული ორიენტაციით;
- წინ აღუდეს ლოკალური კონფლიქტების გლობალურ ომებში გადაზრდას;
- ხელი შეუწყოს დასავლური ინსტიტუტების გაძლიერებას მსოფლიოს მასშტაბით;
- შეზღუდოს ისლამური და **კონფუციური** სახელმწიფოების სამხედრო ექსპანსია სხვა რეგიონებში.

ატლანტიზმის პარალელურად ვითარდებოდა მონდიალიზმის კონცეპციები. კაცობრიობის გაერთიანების იდეა დიდი ხანია არსებობდა, თუმცა კონცეპციის სახე ამ იდეამ XX საუკუნეში მიიღო. დაახლოებით 150 წლის წინ ფრანგმა მეცნიერმა კონტრა წამოაყენა კაცობრიობის სრული ინტეგრაციის იდეა. კონტამდე 4 წლით ადრე მარქება და ენგელსმა დაახლოებით ასეთივე აზრი ჩამოაყალიბეს “კომუნისტურ მანიფესტში”, იმ განსხვავებით, რომ ისინი გაერთიანებას სთავაზობდნენ მხოლოდ მუშათა კლასს: “პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით” – ასე ჟღერდა მათი ლოზუნგი. ახალი გლობალური ცივილიზაციის ფორმირება არაორდინარული იდეა იყო, რომელიც გულისხმობდა მსოფლიო ხალხების გაერთიანებას სახელმწიფოთა ტერიტორიული საზღვრების მოშლისა და ერთიანი საერთაშორისო მთავრობის ჩამოყალიბების გზით.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მონდიალისტური იდეების შემუშავება ამერიკის შეერთებულ შტატებშიც დაიწყო. ამ კონცეპციის განხორციელებაზე მუშაობენ სხვადასხვა მონდიალისტური ორგანიზაციები, უპირველეს ყოვლისა “ბილდელბურგის ჯგუფი”. 1973 წ. ამ ჯგუფის ლიდერებმა ჩამოაყალიბეს “სამმხრივი კომისია”. ორივე ორგანიზაციას ცნობილი ამერიკელი ბანკირი დევიდ როკფელერი ხელმძღვანელობდა. მონდიალიზმის პროექტის ფინანსურ ცენტრებს, არაოფიციალური ინფორმაციით, წარმოადგენენ მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი. ყველა ამ ორგანიზაციის მიზანი იყო მონდიალიზმის იდეების განვითარება და განხორციელებისათვის ხელშეწყობა. კომისიის ინტელექტუალურმა ცენტრმა, რომელსაც **ზბიგნევ ბჟეჟინსკი** (Zbigniew Brzezinski),<sup>70</sup> ხელმძღვანელობდა ჩამოაყალიბა რამდენიმე ვარიანტი ერთიან მსოფლიო სისტემაზე გადასვლისა და ამ სისტემაში ამერიკის წამყვანი როლის შესახებ. ერთ-ერთი ვარიანტი ითვალისწინებდა კონვერგენციას, ე.ი. შერწყმას, შეერთებას. კონვერგენციის თეორიის ფუძემდებლად ითვლება რუსული წარმოშობის ამერიკელი სოციოლოგი პიტირიმ სოროკინი. 1970-იან წლებში ეს

<sup>70</sup> ზბიგნევ ბჟეჟინსკი – ამერიკელი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. დაიბადა 1928 წ. პოლონეთში. ჯონს პოტეინსის უნივერსიტეტის პოლფესორი. 1977-81 წწ. აშშ-ის პრეზიდენტის ჯიმი კარტერის აღმინისტრაციაში მსახურობდა სახელმწიფო მდივნის ეროვნული უშიშროების მრჩევლია პოსტზე. ავტორი მრავალი ცნობილი ნაშრომისა, მათ შორის: “დიდი ჩავარდნა: XX საუკუნეში საბჭოთა კავშირის დაბადება და სიკვდილი” (1989 წ.), “დიდი საჭადრაკო დაფა: ამერიკის ბატონობა და მისი გეოსტრატეგიული იმპერატივები” (1997 წ.), “არჩევანი: მსოფლიო ბატონობა ან გლობალური ლიდერობა” (2004 წ.).

თეორია გადამუშავეს კისიჯერმა და ბეჭინსკიმ. ახალი მიღებომის მიხედვით უნდა შექმნილიყო ახალი კულტურულ-იდეოლოგიური ცივილიზაცია, რომელიც შეითვისებდა კაპიტალიზმისა და სოციალიზმის იდეებს. თუმცა, კომუნისტური ბლოკის და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კონვერგენციის თეორიამაც დაკარგა თავისი აქტუალობა.

კომუნისტური ბლოკისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიოში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. სპეციალისტები და პოლიტიკოსები იძულებული გახდნენ გადაეხედათ მონდიალიზმის ჯერ კიდევ განუხორციელებელი იდეებისთვის. შედეგად, ახალი მონდიალისტური კონცეპტები პრაქტიკულად ერთდროულად იშვა, როგორც ამერიკაში, ასევე ევროპაში.

აშშ-ში პოპულარული გახდა ახალი მონდიალისტური კონცეფცია “სამყაროს დასახულის” შესახებ, რომლის ავტორია ამერიკელი პოლიტოლოგი ფრენსის ფუკუიამა. მისი აზრით, XX ს.-ის ბოლოს მსოფლიოში დამყარდა ამერიკული წესრიგი, რომელიც ეფუძნება თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას და ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებს. ფუკუიამას აზრით, საბჭოთა კავშირის და სოციალისტური სისტემის არსებობა კაპიტალისტური სამყაროს განვითარებას რაციონალურ მარცვალს ანიჭებდა. კომუნისტური იდეოლოგიის დამარცხების შემდეგ კი მსოფლიო განვითარება ირაციონალურ რელსებზე გადავიდა. კერძოდ, დაიწყო ახალი ეტაპი მსოფლიოს თანამეგობრობის განვითარებაში, რაც გულისხმობდა მის სრულ ინტეგრაციას თავისუფალი ბაზრისა და დემოკრატიის გარშემო. ფუკუიამა ამტკიცებს, რომ მსოფლიო მრავალპოლარული გახდება და მის მართვაში წამყან როლს ითამაშებს საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც მსოფლიო მთავრობის როლს შეასრულებს.

ზოგიერთმა ევროპელმა მეცნიერმა გაიზიარა ფუკუიამას იდეები და განავრცო ისინი. ფრანგმა მეცნიერმა ჟაკ ატალიმ, რომელიც პრეზიდენტი ფრანსესა მიტერანის მრჩეველი იყო, ჩამოაყალიბა “გეოგრანომიკის” კონცეფცია. ამ კონცეფციის მიხედვით მსოფლიოში ჩამოყალიბდება სამი მძლავრი ეკონომიკური ცენტრი: ამერიკული (მოიცავს ორივე ამერიკას), ევროპული (ევროკავშირის ტერიტორია) და წყნარი ოკეანის (იაპონია, ჩინეთი, სინგაპური, ტაივანი და ა.შ.). ეს ცენტრები გადაინაწილებენ მსოფლიოს ეკონომიკური გავლენის მხრივ და მათ შორის ადგილი არ ექნება აშკარა დაპირისპირებას. ატალის აზრით, სწორედ გეოეკონომიკა და არა გეოპოლიტიკა გახდება ახალი მსოფლიო წესრიგის განმსაზღვრელი ფაქტორი.

ატალის იდეები განავითარა იტალიელმა მეცნიერმა კარლო სანტორომ. ფუკუიამასაგან განსხვავებით ის მიიჩნევს, რომ მსოფლიო მრავალპოლარული არ იქნება. ორპოლარული მსოფლიოს დანგრევა, სანტოროს აზრით, მსოფლიო ცივილიზაციურ კატაკლიზმებამდე მიიყვანს, კერძოდ გაიზრდება ეროვნული თვითშეგნება და გაბატონდება ნაციონალიზმი, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპაში, რუსეთში, “მესამე სამყაროს” ქვეყნებში. ამას შედეგად მოყვება დიდი ქვეყნების რდვევა, ლოკალური და რეგიონული ომები და ამის შედეგად მსოფლიო მივა ერთიანი მთავრობის შექმნის იდეამდე. აღსანიშნავია, რომ სანტორო ერთდროულად იზიარებს, როგორც პანტინგტონის, ასევე ფუკუიამას იდეებს.

მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ ნეომონდიალიზმისა და ნეოატლანტიზმის მსოფლმხედველობები, მიუხედავად ბევრი განსხვავებისა, ერთნაირად განიხილავს მსოფლიოს მომავალს, სადაც ცენტრალური ადგილი უკავია მსოფლიო მმართველობის შემნის საკითხს. XVIII ს.-ში აღმოცენებული ეს იდეა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. მისი მთავარი მამოძრავებელი ძალაა გლობალიზაცია, ხოლო ხელშემშლელი – ერი-სახელმწიფოები.

1990-იანი წლებიდან მოყოლებული გეოგრაფიულ და სხვა სოციალურ მეცნიერებებში მტკიცედ მოიკიდა ფეხი ამერიკული პოსტსტრუქტურალიზმის პირმშომ - კრიტიკულმა გეოპოლიტიკამ.

კრიტიკული გეოპოლიტიკა გამოდის იმ საბაზისო კონცეფტიდან, რომ ადამიანებს დროთა განმავლობაში უყალიბდებათ გარკვეული ცოდნა, წარმოდგენები, იდეები გეოგრაფიული ადგილების შესახებ. ეს იდეები ზეგავლენას ახდენს და განაპირობებს კიდევ მათ ქცევას და არჩევანს. კრიტიკული გეოპოლიტიკა ამტკიცებს, რომ ადგილებთან მიმართებაში პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება არის არა მარტო პოლიტიკოსების და სახელმწიფო მოღვაწეების პრეროგრატივა, არამედ ჩვეულებრივი ადამიანების უფლებაც. გეოპოლიტიკის კრიტიკული ფრთის წარმომადგენლები მიუთითებენ, რომ მოქალაქეები და მათი გაერთიანებები სულ უფრო და უფრო ინტენსიურად ახდენენ აღნიშნული უფლების რეალიზაციას.

ზოგადად, კრიტიკული გეოპოლიტიკის წარმომადგენლები აკრიტიკებენ კლასიკური გეოპოლიტიკის თეორეტიკოსებს იმის გამო, რომ ამ უკანასკნელებს პოლიტიკური მოვლენების განმსაზღვრელ ძალად ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორები მიაჩნდათ. “კლასიკოსების” მიხედვით პოლიტიკური პროცესები ვითარდება ბუნების კანონების, ე.ი. გეოგრაფიული დეტერმინიზმის ლოგიკის საფუძველზე. სახელმწიფო განიხილება, როგორც სოციალური ორგანიზმი, რომელიც იბადება, ვითარდება, ე.ი. იერთებს ახალ ტერიტორიებს ან პირქიო, სხვა სახელმწიფოს ნაწილი ხდება, იშლება, “კვდება” (წყვეტის არსებობას). კლასიკური გეოპოლიტიკის მიხედვით გამოდის, რომ ნებისმიერი პოლიტიკური მოვლენა, მაგ. ომი გამოწვეულია ბუნებრივ-გეოგრაფიული კანონებით და არა პოლიტიკური ლიდერების გადაწყვეტილებებით. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ კლასიკური გეოპოლიტიკა პრაქტიკულად უგულველყოფს სივრცის სოციალურ წარმოშობასა და შინაარს.

წინა თავებში აღინიშნა (იხ. გვ. №№), რომ დღევანდელი გეოპოლიტიკა გამოირჩევა, როგორც სახელმწიფო, ასევე არასამთავრობო აქტორების სიმრავლით. ბევრ შემთხვევაში იმის დადგენაც კი ძნელია, თუ რომელი აქტორი რა როლს თამაშობს. უფრო მეტიც, ძნელი განსასაზღვრია ამა თუ იმ გეოპოლიტიკურ პროცესში ვისი როლია უფრო მნიშვნელოვანი, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების. ამის გამო, ამერიკელი მეცნიერი კოლინ ფლინტი თანამედროვე გეოპოლიტიკური პროცესების დახასიათებისას იყენებს ტერმინს “უწერიგო (არეული) გეოპოლიტიკა” (“*Mess Geopolitics*”) (Flint, 2006: 208).

კრიტიკული გეოპოლიტიკის წარმომადგენლები აკრიტიკებენ კლასიკურ გეოპოლიტიკას, იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ცდილობდა დაეხატა გაუბრალოებური სურათი საერთაშორისო სისტემის ფუნქციონირების შესახებ. გავიხსენოთ, რომ XIX ს.-ის ბოლოს და XX ს.-ის დასწყისში გამოჩნდა ბევრი თეორია, რომელიც აღწერდა, თუ როგორ უნდა წარემართა პოლიტიკა ამა თუ იმ ქვეყანას საერთაშორისო სისტემაში მისი ადგილისა და როლის დამკვიდრების მიზნით. კრიტიკული გეოპოლიტიკოსები ცდილობენ ხაზი გაუსვან ამგვარი მიღებას სისუსტეს. ისინი ამტკიცებენ, რომ მცდელობა დაინახო მსოფლიოს პოლიტიკის განვითარების მოდელი მხოლოდ შექმნილი სიტუაციების აღწერის საფუძველზე, ე.ი. სიტუაციური ცოდნის (*Situated knowledge*) გამოყენებით არასწორი დასკვნების გამოტანამდე მიგვიყვანს.

პოსტმოდერნისტები აღნიშნავენ, რომ თანამედროვე გეოპოლიტიკის ამოცანაა იმ რესურსების, ქმედებების და რეპრეზენტაციების იდენტიფიცირება, რომლებიც განაპირობებენ ტერიტორიის კონტროლს. ისინი ხაზს უსვამენ, რომ

ტერიტორიის გაკონტროლება უფრო ფართო მოვლენაა, ვიდრე სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პრაქტიკული ქმედება, თუნდაც ომი.

კრიტიკული გეოპოლიტიკა დღესდღეობით წარმოადგენილია რამდენიმე მიმართულებით:

- ფორმალური გეოპოლიტიკა განიხილავს აკადემიურ და საექსპერტო სექტორებში შემუშავებულ თეორიებსა და მიდგომებს;
- პრაქტიკული გეოპოლიტიკა დაკავებულია სამთავრობო ინსტიტუტების და მისი ცალკეული წარმომადგენლების მოღვაწეობისა და მათი განცხადებების ანალიზით;
- პოპულარული გეოპოლიტიკა სწავლობს მასობრივი კულტურის (მასმედია, ლიტერატურა, ხელოვნება და სხვა) იმ პროდუქციას, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასთან საერთაშორისო არენაზე ან სხვა ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებთან მიმართებაში;
- სტრუქტურული გეოპოლიტიკა იკვლევს გლობალიზაციის ცალკეული პროცესების ზეგავლენას თანამედროვე გეოპოლიტიკური კონცეფციების შემუშავებაზე.

გარდა ამისა, თანამედროვე გეოპოლიტიკაში (ზოგადად პოლიტიკაში) განსაკუთრებული ადგილი უკავია რეპრეზენტაციას (Representations). ის უნდა გავიგოთ, როგორც გეოპოლიტიკური ან საგარეოპოლიტიკური მიზნებისა და ამოცანების საჯარო წარმოდგენა და მათი “პი-არი”. ხშირად, რეპრეზენტაცია განსხვავებულად წარიმართება ქვეყნის შიგნით და საგარეო მიმართულებით. სახელმწიფოს მართვის ხელოვნების (Statemanship) კუთხით ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ქმედება და რეპრეზენტაცია. მაგ., ამ საუკუნის დასაწაყისში აშშ-ის და მისი მოკავშირეების სამხედრო ოპერაცია ერაყსა და ავღანეთში არის ქმედება, ხოლო ბრძოლა “გლობალური ტერორიზმის” ანუ “ბოროტების დერძის” წინააღმდეგ არის რეპრეზენტაცია (Flint, 2006: 16). ქვემოთ მოცემულია რეპრეზენტაციის ერთ-ერთი მაგალითი ერთ-ერთი ერაყის თანამედროვე ისტორიიდან.

ჩანართი №

### ერაყის ხელისუფლების მიერ მიერ კუვეიტის ოკუპაციის და ანექსიის რეპრეზენტაცია

მსოფლიოში დღესდღეობით 21 არაბული ქვეყანაა. მათ შორისაა რესპუბლიკები და მონარქიები, ფედერაციები და უნიტარული ქვეყნები, სეკულარული და თეოკრატიული რეჟიმები. მიუხედავად, ასეთი დაქსაქსულობისა არაბთა ერთობისა და სოლიდარობის საკითხი ყოველთვის იყო ზოგადარაბული იდეოლოგიის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი.

თანამედროვე არაბული ნაციონალიზმი ორგვარია. პირველი ეფუძნება არაბთა პოლიტიკურ გაერთიანებას. ამ იდეოლოგიის სულიერი მამამთავარი იყო ეგვიპტის პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის (1954-70 წწ.), რომელიც ცდილობდა პრაქტიკული ნაბიჯები გადაედგა ამ მიმართულებით. ნასერი მიიჩნევდა, რომ არაბთა ერთობა აუცილებელია ამერიკული, ფრანგული და ბრიტანული აგრესის შეკავების და ისრელის წინააღმდეგ ბრძოლაში, ასევე არაბთა მიწაზე მშვიდობისა და კეთილდღეობის დამკვიდრებისთვის. ნასერის აზრით, არაბული ერთიანობა უნდა განხორციელებულიყო სამოქალაქო ფასეულობების და არა ტრადიციული ისლამის საფუძველზე. ამ პროცესის

ნაწილად უნდა განვიხილოთ ეგვიპტისა და სირიის გაერთიანება, რომელიც მხოლოდ სამი წელი გაგრძელდა.

არაბული ნაციონალიზმის მეორე მიმართულება ასახავს დღევანდელ რეალობას. არაბთა დაყოფა ორ ათეულ სახელმწიფოდ განპირობებული იყო ისტორიული გარემოებებით. არაბები დიდი ხნის განმავლობაში იყვნენ ოსმალეთის იმპერიის ნაწილი, შემდეგ მათზე გაბატონდნენ ბრიტანელები, ფრანგები და იტალიელებიც კი. არაბულ სამყაროში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა სხვადასხვაგარად მიმდინარეობდა, ამდენად გასაკვირი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ არაბთა ცალკეულ ჯგუფებს საკუთარი, რიგ შემთხვევებში განსხვავებული ინტერესებიც კი ჩამოუყალიბდათ.

არაბული კულტურული იდენტობის კატალიზატორად იქცა ისრაელის სახელმწიფოს შექმნა და შემდგომი პერიოდის ებრაულ-არაბული ომები. 1967 და 1973 წლების ისრაელის სამხედრო წარმატებების შედეგად რიგმა არაბულმა სახელმწიფოებმა ისრაელთან სამშვიდობო ხელშეკრულებები გააფორმა. ამ ფაქტებმა, გარდა იმისა, რომ შელახა არაბთა თავმოყვარეობა, ასევე უარყოფითი ზეგავლენა იქონია არაბულ ერთიანობაზე.

ზემოთ აღნიშნულ პერიოდში ორი ათეულიდან მხოლოდ ორი არაბული ქვეყანა – ერაყი და სირია - ავლენდა ლიად მტრულ დამოკიდებულებას აშშ-სა და ისრაელის მიმართ. ორივე ქვეყანაში გაბატონებული იყო “ბაასის”,<sup>71</sup> იდეოლოგია. ის წარმოადგენდა ნაციონალიზმისა და სოციალიზმის სინთეზს. ბაასისტები მხარს უჭერდნენ სეპულარული, მოდერნისტული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და უარყოფდნენ ისლამური ფუნდამენტალის გზას. ანტი-ამერიკული რიტორიკა იქცა ერაყის ძირითად გეოპოლიტიკურ კოდად, განსაკუთრებით სადამ ჰუსეინის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ. ეს უკანასკნელი შეეცადა ერაყი ექცია არაბული სამყაროს ლიდერად. 1980 წ. ერაყმა ომი დაიწყო ირანთან, რომელიც 8 წელი გაგრძელდა. აღსანიშნავია, რომ ამ ომში ამერიკელთა სიმპათიები ერაყის მხარეზე იყო, რადგან ერთი წლით ადრე ირანელმა ისლამისტებმა დაამხეს შაჟ მოჰამედ რეზა ფეჰლევის პრო-ამერიკული რეჟიმი. ერაყმა ამ ომში ვერ მიაღწია რამდენადმე მნიშვნელოვან წარმატებას და სადამმა გადაწყვიტა, რომ აუცილებელი იყო შთამბეჭდავი გეოპოლიტიკური შედეგის მომგანი ქმედების განეხორციელება.

ერაყი და კუვეიტი ოსმალეთის იმპერიის ნაწილი იყო, სანამ მე-19 საუკუნის ბოლოს დიდმა ბრიტანეთმა კუვეიტზე დე ფაქტო პროტექტორატი არ დააწესა. ამ რეგიონში ბრიტანელთა პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტს სპარსეთის ყურის კონტროლი წარმოადგენდა, იმ მიზნით, რომ აქ არ გაბატონებულიყო გერმანია, რომელიც პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის სამხედრო-პოლიტიკური მოქავშირე იყო. გერმანიას ჩაფიქრებული ქონდა რკინიგზის მშენებლობა ბალდადიდან ბასრამდე, რაც მას საშუალებას მისცემდა ერაყის ნავთობი სპარსეთის ყურის გავლით ევროპაში გაეტანა. ამის საპასუხოდ, ბრიტანელებმა განახორციელეს კუვეიტის საზღვრების იმგვარი დემარკაცია, რომ ბასრას სატრანსპორტო მდებარეობა ნაკლებად მნიშვნელოვანი და მიმზიდველი გახდა. ასე შეიქმნა კუვეიტის თანამედროვე სახელმწიფო.

სადამ ჰუსეინს კუვეიტის ისტორიის შესახებ სხვა მითი ქონდა მომზადებული. ის შეეცადა მსოფლიო თანამეგობრობა დაერწმუნებინა, რომ კუვეიტი ისტორიული ერაყის შემადგენელი ნაწილი იყო, რომლის ცენტრიც იყო ქალაქი ბასრა. ეს სინამდვილეს არ შეესაბამებოდა, მაგრამ ისტორიის ფალსიფიცირება ერაყის მმართველისთვის საჭირო იყო კუვეიტში შეჭრის დასაბუთებისთვის.

<sup>71</sup> “ბაას” – არაბული სოციალისტური აღორძინების პარტიის შემოკლებული სახელწოდება.

რეალურად კი, ერაყის მიერ კუვეიტის ოკუპაციას და ანექსიას გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მიზეზები ქონდა. კუვეიტი მსოფლიოში ნავთობის ერთ-ერთი მსხვილი მწარმოებელია. მისი ნავთობის საბაზოების ხელში ჩაგდება ირანთან ომით დასუსტებულ ერაყს დიდი ეკონომიკურ მოგებას მოუტანდა. გარდა ამისა, ერაყი დაეპარტონებოდა სპარსეთის უბის იმ ნაწილს, საიდანაც ხდება ნავთობის ტრანსპორტირება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, რაც აამაღლებდა მის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას. და ბოლოს, სადამი პირველ რეალურ ნაბიჯს გადადგამდა არაბული სამყაროს ლიდერობის მოსაპოვებლად.

აღნიშნული მიზეზები, ცხადია დიად არ გაცხადებულა. პირიქით, სადამ პუსეინმა კუვეიტის ოკუპაციის ერთ-ერთ მიზეზად დაასახელა პალესტინის საკითხის მოგვარების სურვილი. მისი განცხადებით, პალესტინელები მსოფლიოში ყველაზე დაჩაგრულ ერს წარმოადგენდნენ, რომელთა მიწები და სუვერენიტეტი სიონისტებმა მიითვისეს. სადამმა წამოაყენა ულტიმატუმი, რომლის მიხედვითაც ერაყი მანმადე არ დატოვებდა კუვეიტს, სანამ არ აღდგებოდა პალესტინური სახელმწიფო და ისრაელი არ დაუბრუნებდა მას წართმეულ ტერიტორიებს. ამ მოთხოვნის გასამყარებლად, ერაყელებმა ისრაელის ტერიტორიის რამდენიმე სარაკეტო იერიშიც კი განახორციელეს.

მიუხედავად იმისა, რომ ერაყმა ამ კონფლიქტში სასტიკი მარცხი იწვნია, ზემოთ აღნიშნულმა რეპრეზენტაციამ თავის საქმე გააკეთა და სადამ პუსეინის ავტორიტეტი არაბთა შორის მნიშვნელოვნად ამაღლდა. ბევრმა ის გმირადაც კი შერაცხა, რომელმაც, მათი აზრით დიდი ვაჟკაცობა გამოავლინა იმით, რომ ამერიკულ და სიონისტურ ძალებს დაუპირისპირდა.

წარმოდგენილი მაგალითი იმის ნათელი ილუსტრაციაა, თუ როგორ შეიძლება ეროვნული ან რელიგიური იდეებით მანიპულირება გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მიზნების მიღწევისთვის. სამწუხაროდ, მსოფლიოს პოლიტიკური ისტორია რეპრეზენტაციის არაერთ ასეთ მაგალითს იცნობს.

წყარო: Flint, 2006: 94-99

მოცემული მაგალითი საგულისხმოა რამდენიმე თვალსაზრისით. უპირველეს ყოვლისა, აშშ-ის ადმინისტრაციამ ვერ გაითვალისწინა აულტურული (რელიგიური, ეთნიკური) დირებულებების ძლიერი როლი ეროვნული (ამ შემთხვევაში ცივილიზაციური) მობილიზაციის საქმეში. თუმცა, ეს არ მთავარი. მნიშველოვანია ის, რომ ამერიკელმა პოლიტიკოსების გეოპოლიტიკური ხედვა ვერ გასცდა “კლასიკური გეოპოლიტიკის” ნააზრევს. მთლიანობაში, კრიტიკული გეოპოლიტიკის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ამერიკის გადაუჭრელი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ის რჩება კლასიკური ტიპის იმპერიად და არ სურს საკუთარი თავის გარდაქმნა. მსოფლიო კი სწრაფად იცვლება და მოითხოვს ახლებურ და კრიტიკულ აზროვნებას.

## გეოპოლიტიკური ეპოქები

კაცობრიობის განვითარების ისტორია შეიძლება განვიხილოთ, როგორც გეოპოლიტიკურ ეპოქათა თანმიმდევრული ცვლა. ყოველ გეოპოლიტიკურ ეპოქას გააჩნია მისთვის დამახასიათებელი ძალა ბალანსი, გავლენათა სფეროები, საგარეოპოლიტიკური ინტერესები, საზღვრების ცვლილება და ა.შ.

თანამედროვე გეოპოლიტიკური ეპოქები სათავეს XVII ს.-დან, კერძოდ ვესტფალიის ხელშეკრულებიდან ჩაეყარა. 1648 წ. დადგებულმა სამშვიდობო ხელშეკრულებამ<sup>72</sup> წერტილი დაუსვა კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის 30-წლიან მოებს საღვთო რომის იმპერიაში. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ამ ხელშეკრულებამ ბიძგი მისცა ევროპაში ახალი სამართლებრივ-პოლიტიკური წესრიგის დამყარებას, რამაც, თავის მხრივ განაპირობა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ფორმირება. ვესტფალიის სისტემამ დააკანონა საერთაშორისო ურთიერთობების ახალი სამართლებრივი პრინციპები, მათ შორის:

- გაათანაბრა კათოლიკებისა და პროტესტანტების რელიგიური სტატუსი. შესაბამისად, გაუქმდა ევროპაში ადრე მოქმედი პრინციპი “რელიგიურ აღმსარებლობას განსაზღვრავს ხელისუფლება”.
- გაუქმდა გერმანიის იმპერატორის უზენაესობის სტატუსი საღვთო რომის იმპერიის ტერიტორიაზე. ამიერიდან, ამ იმპერიაში შემავალი ყველა ქვეყნის მონარქი თანასწორი უფლებებით სარგებლობდა.
- შეიცვალა საერთაშორისო სამართლის სუბიექტების ცნება. თუ, მანმადე ასეთად მონარქი ითვლებოდა, ამიერიდან ევროპული სამართლის სუბიექტი სუვერენული სახელმწიფო გახდა.
- ხაზგასმული იყო, რომ სახელმწიფო მისდამი რწმუნებულ ტერიტორიაზე სრულად განახორციელებდა საკუთარ იურისდიქციას, რაც ნიშნავდა სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპის საერთაშორისო აღიარებას.
- შეიცვალა დამოკიდებულება ალიანსებისა და კოალიციების შექმნას ან გაუქმებასთან დაკავშირებით. სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობებში მანამადე არსებული სისისტე წარსულს ჩაბარდა. ახალ პირობებში ევროპულ სახელმწიფოებს საშუალება მიეცათ მოკავშირები შეერჩიათ მათი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე (Peace of Westphalia. [http://en.wikipedia.org/wiki/Peace\\_of\\_Westphalia](http://en.wikipedia.org/wiki/Peace_of_Westphalia)).

“ვესტფალიის პრინციპები” ჭეშმარიტად რევოლუციური იყო. როგორც, წინა თავში აღინიშნა მისმა პრაქტიკულმა განხორცილებამ მნიშვნელოვნად განაპირობა თანამედროვე ერი-სახელმწიფოების ჩამოყალიბება. გარდა ამისა, საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრდა ძალა ბალანსის პრინციპი, რომლის მიზანი იყო, რომ რომელიმე ქვეყნას (ან ქვეყნების გაერთიანებას) არ მისცემოდა საშუალება გამხდარიყო დომინანტი ძალა საერთაშორისო ურთიერთობებში

<sup>72</sup> ვესტფალიის სამშვიდობო ხელშეკრულება მოიცავდა ორ დოკუმენტს, რომლებიც ოფიციალურად გაფორმდა 1648 წლის 15 მაისს და 24 ოქტომბერს, შესაბამისად ოსნაბრიუკსა და მიუნისტერში. ორივე შემთხვევაში კათოლიკურ ქვეყნებს წარმოადგენდა საღვთო რომის იმპერია, ხოლო, პროტესტანტულ ქვეყნებს, შესაბამისად შვედეთის სამეფო და საფრანგეთი.

საერთაშორისო ურთიერთობებში სხვასასხვა სახის სისტემები არსებობს. დანართში №? მოცემულია საერთაშორისო სისტემების ტიპოლოგიის ერთ-ერთი მაგალითი.

კუსტომური გეოპოლიტიკური კატეგორია ერთობ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. ევროპაში ძალთა ბალანსი პრაქტიკულად არ დარღვეულა შემდგომი 150 წლის განმავლობაში.

დანართი №

### ძალთა ბალანსი

ძალთა ბალანსი პოლიტიკური რეალიზმისა და ნეორეალიზმის საკვანძო ცნებაა. საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთმა გამოჩენილმა თეორეტიკოსმა მორტონ კაპლანმა (*Morton Kaplan*) შექმნა საერთაშორისო სისტემათა ტიპოლოგია, რომელშიც წარმოდგენილია ექვსი შემდეგი სახის სისტემა:

- ძალთა ბალანსის სისტემა. ამ შემთხვევაში, კაპლანის აზრით, წარმოდგენილი უნდა იყოს მინიმუმ ხუთი სუპერსახელმწიფო, სხვა შემთხვევაში მოხდება მისი ტრანსფორმაცია ბიპოლარულ სისტემად.
- სისტემი ბიპოლარული სისტემა, რომელშიც მოქმედებს ორი ურთიერთდაპირისპირებული კოალიცია (ბლოკი). ასეთი სისტემის პირობებში საერთაშორისო პოლიტიკურ არებაზე ნეიტრალური ან მიუმხრობელი სახელმწიფოების და, რაც მთავარია საერთაშორისო ორგანიზაციების როლი პრაქტიკულად მინიმუმამდეა დაყვანილი.
- მოქნილი ბიპოლარული სისტემა, რომელიც წარმოდგენილია არა მარტო სახელმწიფოებით, არამედ, ასევე ბლოკებითა ან კოალიციებით. ეს სისტემა შეიძლება ორგვარი იყოს, კერძოდ იურარქიული, სადაც კოალიციაში გამოკვეთილია ერთი ლიდერი-სახელმწიფოს როლი და არაიურარქიული, სადაც კოალიციას არ ყავს აშკარა ლიდერი.
- უნივერსალური სისტემა. საერთაშორისო ურთიერთობებში წამყვან როლს თამაშობს საერთაშორისო ორგანიზაცია (დღევანდელი სიტუაციით - გაერო). დადგენილია და მკაცრად არის დაცული საერთაშორისო სისტემის წესები.
- საერთაშორისო იურარქიული სისტემა. ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ აღარ არსებობენ ერი-სახელმწიფოები და იქმნება ერთიანი მსოფლიო მართველობა (მონდიალისტური პროექტი).
- კეტოს სისტემა ითვალისწინებს, რომ საერთაშორისო სისტემის ნებისმიერ აქტორს უფლება აქვს გამოიყენოს კეტოს უფლება და დაბლოკოს გადაწყვეტილების მიღება. ასეთი სისტემა გამოიყენება მაგ., გაეროს უშიშროების საბჭოში და ეუთოში (Kaplan, 1965: 21-50).

ზემოთ მოცემული ტიპოლოგიიდან საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია კარგად იცნობს პირველ ორი სისტემას. პირველი მათგანი მოქმედებდა მაგ., მსოფლიო ომებს შორის პერიოდში, ხოლო მერე - “ცივი ომის” ეპოქაში. დანარჩენი სისტემები თეორიული ხასიათისაა.

ნაპოლეონის ომების (1792-1815 წწ.) შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, რაც დაფიქსირდა ვენის კონგრესზე (1814-15 წწ.). აღსანიშნავია, რომ ვენის კონგრესს სხვაგვარად “ევროპულ კონცერტს” უწოდებენ, რაც მიანიშნებს მის მნიშვნელობაზე კონკრეტულად ევროპის და ზოგადად მსოფლიოს პოლიტიკურ ისტორიაში.

ვენის კონგრესში მონაწილეობა მიიღო ყველა ევროპის ყველა მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა აქტორმა, გარდა ოსმალეთის იმპერიისა. პირველად საერთაშორისო სისტემის ფარგლებში ჩამოყალიბდა ძლიერი სახელმწიფოს ანუ სუპერსახელმწიფოს (*Superpower*) ცნება. ასეთებად აღიარებული იყო ის ოთხი სახელმწიფო, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ნაპოლეონ ბონაპარტის დამარცხებაში, კერძოდ ავსტრია, რუსეთი, პრუსია და დიდი ბრიტანეთი და, ასევე საფრანგეთი, რომლის სათავეში ბურბონთა დინასტია დაბრუნდა. საბოლოოდ გაფორმდა მრავალმხრივი დიპლომატია, რამაც სათავე დაუდო ევროპის კოლექტიურ უსაფრთხოებას. შემდგომში ამ სუბკონტინენტზე არსებული მნიშვნელოვანი პრობლემები განიხილებოდა და შეძლებისდაგვარად წყდებოდა საერთაშორისო კონფერენციებზე, მაგ., პარიზის (1856 წ.), ლონდონის (1871 წ.), ბერლინის (1878 წ.). ამგვარმა მიღვომამ საშუალება მისცა ევროპელებს ძალთა ბალანსი I მსოფლიო ომამდე შეენარჩუნებინათ, თუმცა XIX საუკუნის შუაში რუსეთს ქონდა მცდელობა ეს ბალანსი დაერღვია. **ჩანართი №** საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ, თუ როგორ მოხერხდა აღნიშნულ პერიოდში ევროპაში ძალთა თანაფარდობის შენარჩუნება.

ვენის კონგრესმა შემოიღო დიპლომატიური რანგები (ელჩი, კონსული და ა.შ.). საერთაშორისო პრაქტიკაში დღემდე მოქმედებს ამ კონგრესის მიერ მიღებული კონვენცია დიპლომატიური ხელშეუხებლობის შესახებ. ვესტფალიისაგან განსხვავებით ვენის ფორუმმა დაუშვა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტი გამხდარიყო არა მარტო სახელმწიფო, არამედ სახელმწიფოთა გაერთიანება (კოალიცია).

გეოპოლიტიკური ოვალსაზრისით ძალზე დიდი მნიშვნელობა ქონდა იმ ფაქტს, რომ ვენის კონგრესმა დააფიქსირა მსოფლიოში შექმნილი ახალი ტერიტორიული რეალობები, სხვა სიტყვებით შეიქმნა ევროპულ სახელმწიფოებს შორის კოლონიების დანაწილების ახალი ნუსხა. ვენის კონგრესიდან I მსოფლიო ომამდე პერიოდი ისტორიულ-პოლიტიკურ კვლევებში განხილულია, როგორც ვენის გეოპოლიტიკური ეპოქა.

ჩანართი №

ყირიმის ომი: ძალთა ბალანსის პრინციპი მოქმედებაში

ვენის კონგრესიდან დაახლეობით სამიოდე ათწლეულის შემდეგ რუსეთი შეეცადა დაერღვია ევროპაში არსებული ძალთა ბალანსი. რუსეთის იმპერიამ, რომელმაც თავისი საზღვრები აღმოსავლეთით წყნარ ოკეანემდე გააფართოვა, მოინდომა დასავლეთის მიმართულებითაც ანალოგიური მანევრი ჩაეტარებინა. რუსეთი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მის ტერიტორიულ ექსპანსიას შავი ზღვის აუზში. დასუსტებული ოსმალეთის იმპერიის დამარცხებით და კონსტანტინოპოლის აღებით რუსეთი მოიპოვებდა დარდანელისა და ბოსფორის სრუტეებზე კონტროლს. ამის შედეგადაც შავი ზღვა გადაიქცეოდა რუსეთის შიდა ზღვად, რაც მას საშუალებას მისცემდა სრულად გაეკონტროლებინა ისტორიული “აბრეშუმის გზა”. რუსეთს უფრო შორს მიმავალი გეგმებიც ქონდა. ის, ასევე ლამობდა ბალკანებზე ფეხის მოკიდებასაც, სადაც მის მოკავშირეებად მოიაზრებოდნენ მართლმადიდებელი სლავი ხალხები – მონტენეგროელები,

სერბები და მაკედონიელები. გარდა ამისა, მის გეგმებში შედიოდა ტერიტორიების გაფართოება სამხრეთ კავკასიაში, დუნაისპირეთში, ბალტის ზღვის აუზში და შორეულ აღმოსავლეთშიც (კამჩატკა). ამ ჩანაფიქრების ნაწილის აღსრულებაც კი, განსაკუთრებით შავ ზღვასთან მიმართებაში, რუსეთს აქცევდა ევროპის, შესაბამისად მსოფლიო ჰეგემონად (Зайончковский, 2002: 23-35).

რუსეთის აღნიშნული გეოსტრატეგიული ჩანაფიქრი, ცხადია, სრულ წინააღმდეგობაში მოდიოდა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ინტერესებთან, რომლებმაც 1953 წ. ოქტომბერში ოსმალეთთან ერთად რუსეთს ომი გამოუცხადეს, მას შემდეგ, რაც რუსულმა ჯარმა დაიკავა ოსმალეთის დაქვემდებარებაში მყოფი მოლდავეთი და ვალახია. რუსეთს იმედი ქონდა, რომ მის მიერ პროვინციებულ ომში მას მხარს დაუჭერდნენ მისი ერთგული მეკავშირეები ავსტრია და პრუსია. მაგრამ, ეს უკანასკნელები, ისევე, როგორც სხვა ევროპელი ერები რუსეთის ევროპაში გაბატონების კატეგირიული წინააღმდეგები აღმოჩნდნენ. ავსტრიამ და პრუსიამ თავიდან ნეიტრალიზირდებოდა, ხოლო მოგვიანებით ბრიტანელებთან და ფრანგებთან გაერთიანდნენ რუსეთის წინააღმდეგ ომში. თითქოს ლოგიკას იყო მოკლებული იყო იმგვარი ალიანსის ჩამოყალიბება, რომელიც გააერთიანებდა ტრადილციულ მტრებს, ერთი მხრივ, ფრანგებს, ხოლო, მეორე მხრივ, გერმანელებს და ავსტრიელებს, მაგრამ ამ შემთხვევაში ამოქმედდა რეალური პოლიტიკის პრინციპები. აღნიშნული გაერთიანება შედგა, რადგან ამ სახელმწიფოებმა მათი ეროვნული ინტერესებისთვის უფრო დიდ საფრთხედ მიიჩნიეს ევროპაში ძალთა ბალანსის რადიკალური ცვლილება, კერძოდ რუსეთის სახით ახალი ჰეგემონის გამოჩენა (იქვე: 134).

ყირიმის ომი დასავლეთ ევროპელებისა და ოსმალეთის სრული გამარჯვებით დასრულდა. რუსეთმა დაკარგა გარკვეული ტერიტორიები კავკასიაში, გასასვლელი მდინარე დუნაიზე, პროტექტორატი მოლდოვასა და ვალახიაზე. რაც მთავარია, პარიზის 1956 წ. ხელშეკრულებით რუსეთს ჩამოერთვა შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტის უფლება.

ამერიკის შეერთებული შტატები ბუნებრივია არ მონაწილეობდა ვენის კონგრესში, მაგრამ, მიუხედავად ამისა თავისებურად გამოეხმაურა ნაპოლეონის ომების დასასრულს. ამერიკა რესპუბლიკა იყო და ის იმპერიალიზმის, უფრო ზუსტად კოლონიალიზმის წინააღმდეგ გამოდიოდა. ის ყოველთვის ცდილობდა დაესუსტებინა ევროპული იმპერიალიზმი. ამერიკელებმა ისარგებლეს ევროპაში ომებით გამოწვეული პოლიტიკური ქაოსით და მხარი დაუჭირეს ლათინური ამერიკის ხალხების ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობებს. 1922 წ. აშშ-მა აღიარა არგენტინის, ჩილეს, კოლუმბიისა და მექსიკის დამოუკიდებლობა (Blacksell, 2006: 156).

1823 წ. ივლისში აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ ქუინსი ადამსმა (*John Quincy Adams*) გააკეთა განცხადება, რომ ამერიკა (იგულისხმება, როგორც ჩრდილოეთ, ასევე სამხრეთ ამერიკა) ჩაპეტილი იყო ევროპული კოლონიზაციისთვის. “ამერიკა ამერიკელებისათვის” ასეთი იყო ამ განცხადების სულისკვეთება. ადამსის ეს იდეა ლეიტმოტივად დაედო ამერიკის პრეზიდენტის ჯეიმს მონროს (*James Monroe*) 1923 წ. 2 დეკემბრის ყოველწლიურ საპრეზიდენტო მოხსენებას “ამერიკის მდგომარეობს შესახებ” (“State of Union”) კონგრესის წინაშე. თავის მოხსენებაში მონრომ ხაზგასმით აღინიშნა, რომ ევროპელთა ნებისმიერი მცდელობა აღადგინონ ან დაარსონ კოლონიური მმართველობა ამერიკაში, ამერიკის შეერთებული შტატების აღმინისტრაციის მიერ შეფასდება, როგორც მის წინააღმდეგ მიმართული აგრესის აქტი, რაც

გამოიწვევს შესაბამის რეაგირებას. თავის მხრივ, აშშ ვალდებულებას იდებდა არ ჩარეულიყო ევროპის სახელმწიფოების და არც მათი არაამერიკული კოლონიების საქმეებში. ეს გამოსვლა მოგვიანებით მოინათლა, როგორც “მოხროს დოქტრინა”.

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტ მონროს აგრესიული ტონი გამჟარებული არ იყო ამერიკის სამხედრო პოტეციალით, რადგან იმდორისთვის ქვეყანას არ გააჩნდა რამდენამდე ანგარიშგასაწევი საზღვაო ფლოტი. მაგრამ, საქმე იმაში იყო, რომ აშშ-ის ზურგს უკან იდგა იმ დროისთვის ჭეშმარიტად უძლიერესი თალოსოკრატიული სახელმწიფო – დიდი ბრიტანეთი. ამ უკანასკნელს პრაქტიკულად არ გააჩნდა კოლონიები სამხრეთ ამერიკაში და ცდილობდა ამ რეგიონში ესპანეთისა და პორტუგალიის პოზიციების შესუსტებას. ამასთან, ვენის კონგრესის შეთანხმებიდან გამომდინარე დიდ ბრიტანეთს არ შეეძლო დასახელებული ქვეყნების პოლიტიკის წინააღმდეგ აშკარა გალაშქრება. სამაგიუროდ, ამ მიზნით ის აქტებდა და ზურგს უმაგრებდა აშშ-ს. უნდა აღინიშნოს, რომ “მოხროს დოქტრინის” გაუდერებიდან შემდგომი დახსლოებით ერთი საუკუნის განმავლობაში დიდი ბრიტანეთი რეალურ სამხედრო დახმარებას უწევდა აშშ-ს (იქვე: 157-158). სამხრეთ ამერიკაში ესპანეთისა და პორტუგალიის ჰეგემონიის დასასრული მოასწავებდა ამ კონტინენტზე “ძალთა ბალანსის” დამყარებას, რაც მთლიანად შესაბამებოდა ბრიტანეთის და აშშ-ის ეროვნულ ინტერესებს.

მთლიანობაში, “მოხროს დოქტრინის” რეალიზაციამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ჯერ ლათინურ ამერიკაში, შემდგომ კი მთელს მსოფლიოში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობების გაფართოებას და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების აღმოცენებას. საერთაშორისო სისტემის აქტორებად ხელ-ხელა მოგვევლინენ სამხედრო და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით სუსტად განვითარებული ქვეყნები. მიუხედავად იმისა, რომ ისინი გადამწყვეტ ზეგავლენას ვერ ახდენდნენ მსოფლიო პოლიტიკაზე, აშკარაა, რომ მათი გამოჩენით საერთაშორისო სისტემამ გაცილებით მრავალფეროვანი ხასიათი შეიძინა. XIX ს.-ის განამვლობაში ეს ტენდენცია სულ უფრო და უფრო მეტ ძალას იკრებდა, ხოლო I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მან განსაკუთრებული განვითარება მიიღო.

პირველი მსოფლიო ომი (28 ივლისი, 1914 წ. – 11 ნოემბერი, 1918 წ.) მანამადე არსებული ომებისგან გამოირჩეოდა მსხვერპლის, გეოგრაფიული გავრცელების, ტექნიკური და ფინანსური რესურსების გამოყენების უზარმაზარი მასშტაბებით. ამ ომში დაიღუპა 12 მილ. და დაშავდა 55 მილ. ადამიანი ([http://www.gazeta.ru/news/lenta/2008/11/11/n\\_1294259.shtml](http://www.gazeta.ru/news/lenta/2008/11/11/n_1294259.shtml)). საბრძოლო მოქმედებების თაეტრი გავრცელდა ევროპაზე, ახლო აღმოსავლეთზე, აფრიკაზე, ჩინეთზე და ოკეანეთის კუნძულებზე. სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობდა 30-ზე მეტი სახელმწიფოს საჯარისო ფორმირებები.

I მსოფლიო ომის ძირითადი მონაწილეები იყვნენ, ერთი მხრივ, გერმანია, ავსტრო-უნგრეთი, ოსმალეთის იმპერია და ბულგარეთი, ხოლო, მეორე მხრივ, “ანტანა”: დიდი ბრიტანეთი, რუსეთი და საფრანგეთი.

გლობალურ ომის წარმოშობას მრავალმხრივი მიზეზები აქვს. I მსოფლიო ომის მიზეზებიდან შეიძლება გამოვყოთ ტერიტორიული, ეკონომიკური და საგაჭრო ინტერესები, მილიტარიზაცია და ავტოკრატია, ძალთა ბალანსის დარღვევა. ეს უკანასკნელი ფაქტორის მნიშვნელობა გადამწყვეტი აღმოჩნდა.

XX საუკუნის დასაწყისისთვის საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა მოახერხეს თავიანთი ზღვისიქითა ტერიტორიების მაქსიმალურად გაფართოება ძირითადად აფრიკისა და აზიის კოლონიების ხარჯზე. ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა რუსეთთან მიმართებაში, ოდონდ იმ განსხვავებით, რომ რუსეთის

იმპერიას კონტინენტური გავრცელების გამო კომპაქტური ხასიათი ქონდა. კოლონიების არსებობა ამ იმპერიების მნიშვნელოვან ეკონომიკურ და სავაჭრო პოტენციალს წარმოადგენდა, რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახებოდა მეტროპოლიების მოსახლეობის კეთილდღეობაზე. გერმანია და ავსტრო-უნგრეთი კოლონიების ანუ კლასიკური გეოპოლიტიკის პოზიციიდან “სასიცოცხლი სივრცის” დეფიციტს განიცდიდნენ. დასუსტებული და დაშლის პირას მყოფი ოსმალეთის იმპერიის მონაწილეობა I მსოფლიო ომში კი შეიძლება აიხსნას, როგორც მცდელობა შეეკავებინა ბრიტანული, ფრანგული და რუსული ექსპანსია ახლო აღმოსავლეთში.

I მსოფლიო ომის ბოლო ფაზაში, კერძოდ 1917 წ. თებერვალში რუსეთში ადგილი ქონდა ჯერ ბურუუაზიულ რევოლუციას, რომლის შედეგადაც დაემხო მონარქიული მმართველობა, ხოლო იმავე წლის ოქტომბერში (ახალი სტილით ნოემბერში) სოციალისტურ რევოლუციას. რუსეთის სათავეში მოვიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (სსრკ კომუნისტური პარტიის წინამორბედი) ვლადიმერ ლენინის მეთაურობით. ახლადშექმნილი ბოლშევიკური მთავრობის გადაწყვეტილებით რუსეთმა შეაჩერა მისი მონაწილეობა ომში. ამ გადაწყვეტილებიდან გამომდინარე “სოციალისტური რუსეთი” იმულებული იყო მისოვის დამამცირებელი ხელშეკრულება (“ბრესტის ზავი”) გაეფორმებინა გერმანიასთან. ომის დასრულების შემდეგ პარიზის ხელშეკრულებით ბრესტის ზავი გაუქმდებულად გამოცხადდა.

I მსოფლიო ომის შედეგად დაიშალა ოთხი იმპერია, კერძოდ ოსმალეთის, ავსტრო-უნგრეთის, რუსეთის და გერმანიის. ამით მნიშვნელოვანი იმპულსა მიეცა ევროპის ერთა თვითგამორკვევის პროცესს (იხ. რუპა №). შეიქმნა აგსტრიის და გერმანიის რესპუბლიკები. ძირითადად სამხრეთ სლავებით დასახლებული ტერიტორიები, მათ შორის სლოვენია, მონტენეგრო, ხორვატია შეუერთდა სერბიის სამეფოს, რომელიც მოგვიანებით იუგოსლავიად გარდაიქმნა. დამოუკიდებლობა გამოაცხადეს ბელორუსიამ, უკრაინამ, უნგრეთმა, დანციგმა (დღევანდელი პოლონური ქალაქი გდანსკი და მიმდებარე ტერიტორიები), ჩეხებსლოვაკეთმა, პოლონეთმა, უნგრეთმა, ლატვიამ, ესტონეთმა, ლიტვამ, ფინეთმა, საქართველომ, აზერბაიჯანმა და სომხეთმა (1920-21 წწ.-ში მოხდა ამ უკანასკნელი სამი სახელმწიფოს ოკუპაცია და ანექსია სოციალისტური რუსეთის მიერ).

საფრანგეთმა გერმანიისგან დაიბრუნა ელზასი და ლოტარინგია და მოახდინა საარის მხარის ოკუპაცია. იტალიას ერგო სამხრეთ ტიროლი და ისტრია. რუმინეთმა შემოიერთა ყოფილი უნგრული ტერიტორიები ტრანსილვანია და სამხრეთ დობრუჯა. საბერძნეთის მფლობელობაში გადავიდა აღმოსავლეთ თრაკია. გერმანიის კუთვნილი სამხრეთ შლეზვიგი გადაეცა დანიის სამეფოს, ხოლო ზემო სილეზია - პოლონეთს. ტერიტორიული ცვლილებების პარალელურად მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ევროპის სატრანსპორტო-ეკონომიკურ უსაფრთხოებას. ამ მხრივ უმნიშვნელოვანების იყო ზავი ზღვის სრუტების დემილიტარიზაციის ფაქტი.

პარალელურად, ომში გამარჯვებულმა დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა გააგრძელეს კოლონიური ტერიტორიების გაფართოება. მაგ., საფრანგეთმა დაიკავა სირია, კამერუნისა და ტოგოს გარკვეული ნაწილები, ხოლო დიდმა ბრიტანეთმა ერაყი, პალესტინა, ტანზანია და სამხერთ-დასავლეთ აფრიკა.

გერსალის ხელშეკრულების ძალით ომში დამარცხებულ გერმანიას მნიშვნელოვანი სანქციები დაუწესდა: განხორციელდა რაინის ოლქის დემილიტარიზაცია; მას აეკრძალა 100 ათასზე უფრო დიდი არმიის შექმნა, ასევე ჯავშანტექნიკის, სამხედრო გემებისა და თვითმფრინავების წარმოება. გერმანიის

სამხედრო საზღვაო ფლოტის დიდი ნაწილი გამარჯვებულმა ქვეყნებმა დაინაწილეს ([http://en.wikipedia.org/wiki/World\\_War\\_I](http://en.wikipedia.org/wiki/World_War_I)).

ზემოთ აღნიშნული ყველა გეოპოლიტიკური და სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები გაფორმდა ვერსალის (პარიზის) 1918 წლის 28 ივნისის ხელშეკრულებით, რომელიც ძალაში 1920 წლის 10 იანვარს შევიდა. პარიზის ფორუმის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა იმაში მდგომარეობდა, რომ მან დასაბამი მისცა ერთა ლიგის<sup>73</sup> შექმნას, რომელიც 1920 წელს შეუდგა საქმიანობას. ამით, მსოფლიოს ისტორიაში დასრულდა ვენის და დაიწყო “ვერსალის გეოპოლიტიკური ეპოქა”.

ერთა ლიგამ ვერ მიაღწია დიდ წარმატებებს. მან ვერ შეძლო შექმნებინა საბჭოთა კავშირის და ნაცისტური გერმანიის მიერ ევროპის მთელი რიგი დამოუკიდებელი ქვეყნების ოკუპაცია-ანექსია და, ზოგადად – თავიდან აეცილებინა მეორე მსოფლიო ომი. ლიგა გარკვეულ პერიოდში 58 წევრს ითვლიდა, მაგრამ მისი დაშლის მომენტში მასში მხოლოდ 23 ორგანიზაცია იყო დარჩენილი. ერთა ლიგის მთავარი სისუსტე იმაში მდგომარეობდა, რომ მასში არასდროს არ გაწევრიანებულა აშშ, ხოლო საბჭოთა კავშირის მოღვაწეობამ ამ ორგანიზაციის ფარგლებში მხოლოდ ხუთი წელი (1934–1939 წწ.) გასტანა. საერთაშორისო სისტემის უზენაეს ორგანოში ამ სახელმწიფოების არმონაწილეობა იმის ძირითადი მიზეზი გახდა, რომ 1930-იანი წლების მიწურულს ევროპაში ძალთა ბალანსი დაირღვა. გასათვალისწინებელია, რომ სტრუქტურა (სისტემა) სრულფასოვნად ვერ იფუნქციონირებს, თუ ის განიცდის მნიშვნელოვანი ელემენტების დეფიციტს. აქედან, შეიძლება დავასკვნათ, რომ იმდროინდელი საერთაშორისო სისტემა ჯერ კიდევ არ იყო ისეთი პრაგმატული და რეალისტური, როგორიც დღესაა.

თანამედროვე მეცნიერ-გეოგრაფები სინანულით აღნიშნავენ, რომ ვერსალის საბოლოო დოკუმენტის შემუშავებში აშკარად შეიმჩნეოდა გეოგრაფიული მიდგომების დეფიციტი, რითაც ასე მდიდარი იყო ვენის ხელშეკრულება. ეს კიდევ უფრო დასანაია, თუკი გავისხენებთ, რომ პარიზის კონგრესის მუშაობაში საკაოდ აქტიური მონაწილეობა მიიღო ამერიკელმა გეოგრაფმა აიზია ბოუმენმა (იხ. გვ. №№). ევროპის ახალი პოლიტიკური რუკის ფორმირება წარიმართა ცალკეული ქვეყნების პოლიტიკური ამბიციების და არა სისტემური მიდგომის საფუძველზე (ამის ერთ-ერთი მაგალითი წარმოდგენილია № ჩანართში). მთელ რიგ შემთხვევებში, განსაკუთრებით კი საზღვრების დელიმიტაციის დროს არ იყო გათვალისწინებული ცალკეული ტერიტორიების მნიშვნელოვანი ისტორიული, ეთნო-დემოგრაფიული და გეოგრაფიული თავისებურებები.

### “ვერზონის ხაზი”

ჩანართი №

I მსოფლიო ომის ბოლოს ანტანტის წევრებმა მიაღწიეს შეთანხმებას პოლონეთის სახელმწიფოს აღდგენის შესახებ. ამავე შეთანხმების საფუძველზე პოლონეთის შემდაგენლობაში უნდა შესულიყო ტერიტორიები, რომელსაც ომადე ფლობდნენ რუსეთი, გერმანია და ავსტრო-უნგრეთი. ვერსალის ხელშეკრულებაში პოლონეთის დასავლეთ საზღვარი მკაფიოდ იყო დადგენილი. სამაგიეროდ, ვერ მოხერხდა და გადაიდო აღმოსავლეთ საზღვრის დელიმიტაცია.

<sup>73</sup> ერთა ლიგა იყო გაეროს წინამორბედი საერთაშორისო ორგანიზაცია. მისი მთავარ ფუნქციებში შედიოდა განიარაღების პროცესის წარმართვა, კონფლიქტების პრევენცია, კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ქვეყნებს შორის დავების გადაწყვეტა, მსოფლიოში კეთილდღეობის ზრდის ხელშეწყობა და სხვა. 1946 წ. ერთა ლიგამ თვითონიკიდაციით დაასრულა თავისი მოღვაწეობა.

ამის ძირითადი პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ ეს რეგიონი, სადაც ცხოვრობდნენ პოლონელები, ლიტველები, უკრაინელები, ბელორუსები, ებრაელები, თავისი მრავალეთნიკური შემადგენლობით გამოირჩეოდა.

აღმოსავლეთ საზღვრის არარსებობა 1919 წ. პოლონეთისა და რუსეთს შორის სამხედრო კონფლიქტის მიზეზი გახდა. იმავე წელს საქმე ჩაერიგნ ევროპული სახელმწიფოები და განაახლეს დიპლომატიური მოლაპარაკებები. ამ პროცესს ევროპელთა მხრიდან ხელმძღვანელობდა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ლორდი ჯორჯ კერზონი (George Curzon). ბრიტანელმა დიპლომატმა ოფიციალური ნოტა გაუგზავნა რუსეთს, სადაც მისგან მოითხოვდა საომარი მოქმედებების შეწყვეტას და რუსული ჯარების დახევას იმ წარმოსახვით საზამდე, რომელიც გადიოდა გროდნოს, ბრესტ-ლიტოვსკსა და ლვოვს შორის. როგორიც აღმოჩნდა ამ უკანასკნელთან საზღვრის დადგენა. თავდაპირველ ვარიანტში ლვოვი რუსეთის ტერიტორაზე აღმოჩნდა, თუმცა გეგმა “ბ”-ს მიხედვით ის უკვე პოლონეთს მიაკუთვნეს.

საზღვრის დელიმიტაციის განხილული გეგმა დიპლომატიის ისტორიაში ცნობილია, როგორც “კერზონის ხაზი”. ეს გეგმა პრაქტიკულად სრულყოფილად ასახავდა რეგიონის ეთნო-დემოგრაფიულ სიტუაციას. საზღვრის დადგენისას მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული ეთნიკური უკრაინელების, ლიტველების, პოლონელების და ბელორუსების განსახლების თავისებურებები.

აღსანიშნავია, რომ რუსეთმა არ მიიღო ევროპელთა შემოთავაზება საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ და გააგრძელა საომარი მოქმედებები. ეს მილიტარისტული კამპანია რუსეთისთვის სავალალოდ დასრულდა. მან დაკარგა არა მარტო ის რასაც სთავაზობდნენ, არამედ სხვა ტერიტორიებიც, რომლებიც მოგვიანებით პოლონეთის შემადგენლობაში გადავიდა.

II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ “კერზონის ხაზი” კვლავ აქტუალურ საკითხად იქცა. 1945 წ. საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის ახალი სახელმწიფო საზღვარი უმნიშვნელო ცვლილებებით კერზონის ხაზე (თავდაპირველი ვარიანტი) გავიდა და ადარსასდროს შეცვლილა.

წყარო: Blacksell, 2010: 163-164.

ევროპაში I მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი ძალთა მყიფე ბალანსი ოციოდე წელიწადში დაირღვა. ევროპელი პოლიტიკოსების უნიათობამ და უპასუხისმგებლობამ მსოფლიო იმ კატასტროფის წინაშე დააყენა, რომელიც II მსოფლიო ომის სახელწოდებითაა ცნობილი.

II მსოფლიო ომი, რომელიც ექვსი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა (1 სექტემბერი, 1939 წ. – 2 სექტემბერი, 1945 წ.). ეს ომი უპრეცედენტო იყო ყველა იმ კრიტიკულით, რომლითაც შესაძლებელია ომის შეფასება. II მსოფლიო ომში ჩართული იყო 72 სახელმწიფო; საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა მსოფლიოს სამ კონტინენტზე და ოთხივე ოკეანეზე; ომი შეეხო ჩვენი პლანეტის მოსახლეობის 80%-ს. ეს იყო პირველი და საბერი ეროვნული, უკანასკნელი შემთხვევაში, როდესაც გამოიყენებულ იქნა ატომური იარაღი. ომმა შეიწირა 60-65 მილ. ადამიანის სიცოცხლე. დაღუპულთა ნახევარზე მეტი სამოქალაქო პირი იყო ([http://en.wikipedia.org/wiki/World\\_War\\_II](http://en.wikipedia.org/wiki/World_War_II)).

მეცნიერები მრავლად ასახელებენ იმ მიზეზებს, რომელთა გამო შესაძლებელი გახდა გლობალური ომის გაჩადება. თუმცა, ყველა თანხმდება, რომ ძირითადი გერმანიის სათავეში ანტიუმანური ნაციონალ-სოციალისტური პარტიის გამოჩენა იყო. მეორე მხრივ, ისიც აღსანიშნავია, რომ ევროპა დიდი ხანი უკმევდა გუნდორუს ადოლფ ჰიტლერს და მის პარტიას. მთელი ცივილიზებული მსოფლიო, განსაკუთრებით კი ევროპა თვალს ხუჭავდა იმ ტერორზე, რაც ნაცისტებმა გერმანიაში ებრაელთა მიმართ განახორციელეს.

ევროპელებმა არანაირი ყურადღება არ მიაქციეს ადოლფ ჰიტლერის მიერ ჯერ კიდევ 1925 წელს გაკეთებულ განცხადებას იმის თაობაზე, რომ გერმანიას სჭირდება “სასიცოცხლო სივრცის” გაფართოება აღმოსავლეთით. უფრო მეტიც, 1938 წელს დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის ლიდერებმა ხელი მოაწერეს მიუნხენის შეთანხმებას, რომლის ძალითაც ჩეხებსლოვაკეთის ერთ-ერთი რეგიონი – სუდეტები გერმანიას გადაეცა. 1940 წ. გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა გააფორმეს პაქტი თავდაუსხმელობის შესახებ, რომელსაც თან ერთვოდა საიდუმლო ოქმი. ეს საიდუმლო დოკუმენტი საფუძვლად დაედო ხელმომწერ სახელმწიფოებს შორის აღმოსავლეთ ევროპაში გავლენის სფეროების დანაწილებას. კერძოდ, ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპაში მათი გავლენის ზონებს შორის გამყოფ ხაზად მიიჩნიეს ლიტვის ჩრდილოეთ საზღვარი. რაც ნიშნავდა, რომ გერმანია პრეტენზიას აცხადებდა ფინეთზე, ესტონეთსა და ლატვიაზე, ხოლო საბჭოთა ინტერესის სფეროდ ცხადდებოდა ლიტვა. ნაცისტები და ბოლშევიკები შეთანხმდნენ, ასევე პოლონეთის ტერიტორიის გაყოფაზე. გარდა ამისა, გერმანიამ ბესარაბია (დღევანდელი მოლდოვას ნაწილი) საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროდ აღიარა.

დიპლომატიურ არენაზე მიღწეულმა წარმატებებმა გერმანიას ხელ-ფეხი გაუხსნა სამხედრო აგრესის განხორციელებისთვის. იორნიულია, რომ ნაცისტურმა გერმანიამ თავისი საომარი მანქანა მიმართა არამარტო ევროპის მცირე სახელმწიფოების, არამედ საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგაც.

II მსოფლიო ომში “დურძულ ბლოკი” წარმოადგენდნენ გერმანია, იაპონია, იტალია, თურქეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, ფინეთი, სლოვაკეთი, ურავი და ფორმალურად კიდევ რამდენიმე სახელმწიფო. “ანტიტლერულ კოალიციაში” გაერთიანდნენ დიდი ბრიტანეთი (ყველა თავისი დომინიონი), აშშ, საბჭოთა კავშირი, საფრანგეთი, იუგოსლავია, ჩინეთი, დანია, ნორვეგია, ბელგია, ნიდელანდები და სხვები.

გერმანიამ და მისმა მოკავშირებმა ამ ომში სასტიკი დამარცხება განიცადეს. 1945 წ. გერმანიის ქალაქ ნიურნბერგში დაიწყო პროცესი, სადაც ასამართლებდნენ ნაცისტ ლიდერებს და პიტლერის დროინდელ გერმანულ სამთავრობო და იდეოლოგიურ ორგანიზაციებს. ეს. სასამართლო პროცესი თითქმის ერთი წელი გაგრძელდა. საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის განაჩენით ნაცისტური გერმანიის 12 ლიდერს (მათ შორის მარტინ ბორმანს დაუსწრებლად) მიესაჯა სიკვდილით დასჯა (ჩამოხრჩობით), ხოლო დანარჩენებს – სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა. უფრო მნიშვნელოვნი იყო ის ფაქტი, რომ ნაცისტური იდეოლოგია კანონგარეშედ გამოცხადდა.

1946 წ. გერმანიის ქალაქ პოცდამში გაიამართა ომში გამარჯვებული სამი მთავარი სახელმწიფოს – საბჭოთა კავშირის, აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის ლიდერთა საერთაშორისო კონფერენცია, რომელმაც იმსჯელა ევროპის მოწყობის გზებზე. გამარჯვებული ტრიუმვირატის გადაწყვეტილებით გერმანიას ჩამოერთვა ტერიტორიები, რომელსაც ის ფლობდა 1937 წლის მდგომარეობით და ისინი დაუკანონდათ საფრანგეთს, საბჭოთა კავშირს (დღევანდელი კალინინგრადის ოლქი) და პოლონეთს. მთლიანობაში გერმანიის ტერიტორიულმა დანაკარგმა ომამდელთან შედარებით 25% შეადგინა. რაც მთავარია, გერმანია გაიყო ორ სახელმწიფოდ. თავის მხრივ, პოლონეთმა საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ დათმო გარკვეული ტერიტორიები, რომლებიც 1940 წლამდე მის შემადგენლობაში შედიოდა. თუმცა, პოლონეთი მაინც მოგებაში დარჩა, რადგან მიერთებული ყოფილი გერმანული ტერიტორიები ინფრასტრუქტურით და ეკონომიკურად გაცილებით უფრო განვითარებული იყო, კიდრე ის რაც მან სსრკ-ს დაუთმო.

II მსოფლიო ომით დასრულდა ვერსალის და დაიწყო პოცდამის გეოპოლიტიკური ეპოქა. ამ ომის ძირითადი შედეგი იმაში მდგომარეობდა, რომ ჯერ ევროპა, შემდეგ კი მთელი მსოფლიო ორ დაპირისპირებულ იდეოლოგიურ, ეკონომიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ ნაწილად გაიყო. საბჭოთა კავშირმა კომუნისტური რეჟიმები შექმნა პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში, რომელიც გერმანული ოკუპაციისაგან გაათავისუფლა. პოლონეთი, ჩეხოსლოვაკეთი, უნგრეთი, რუმინეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ბულგარეთი და იუგოსლავია (ეს უკანასკნელი რამდენიმე წლის შემდეგ განუდგა სსრკ-ს) საბჭოთა კავშირის ბუნებრივ მოკავშირებად იქცნენ. დემოკრატიული დასავლეთისთვის ეს იყო არსებული, მაგრამ მიუღებელი რეალობა. ჯერ ნატოს (1949 წ.), ხოლო ორიოდე წელიწადში “ვარშავის პაქტის” შექმნით “გაფორმდა” ორპოლარული მსოფლიო წესრიგი. მორტონ კაპლანის კლასიფიკაციის მიხედვით ეს იყო ხისტი ბიპოლარული ხისტება, რომელშიც მოქმედებდა ორი ერთმანეთის მიმართ მკვეთრად დაპირისპირებული კოალიცია. მათ შორის დააბულობა ათწლეულების განმავლობაში ომის ზღვარზე ბალანსირებდა, თუმცა საბედნიეროდ არ გადასულა ცხელ ფაზაში. პოლიტიკის ისტორიის სპეციალისტები 1945-91 წლებს სამართლიანად უწოდებენ “ცივი ომის” ეპოქას.

ჩანართი №

### “რკინის ფარდა”

ტერმინი “რკინის ფარდა” ჯერ კიდევ XIX ს.-ში გამოიყენებოდა, მაგრამ მისი დამკვიდრება საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით დაკავშირებულია დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრის უინსტონ ჩერჩილის სახელთან.

1946 წ. 5 მარტს ჩერჩილი ქ. ფულტონში (მისური, აშშ) სიტყვით გამოვიდა ვესტმინსტერის კოლეჯში, სადაც მან აღნიშნა შემდეგი:

“ევროპის კონტინენტზე **შეუძინიდან** ტრიუქტამდე, ბალტის ზღვიდან აღრიატიკის ზღვამდე ‘რკინის ფარდა’ დაეშეა, რის მიღმაც **აღმოჩნდა** ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყველა უძველესი ქვეყნის დედაქალაქი: ვარშავა, ბერლინი, პრაღა, ვენა<sup>74</sup>, ბუდაპეშტი, ბელგრადი, ბუქარესტი და სოფია. ეს **ჩინებული** ქალაქები თავისი მოსახლეობით **აღმოჩნდა** იქ, რასაც მე უწოდებ “საბჭოთა გაგლების სფეროს”. კოველი მათგანი ამა თუ იმ ფორმით საბჭოთის მხრიდან განიცდის არა მარტო ზეგავლენას, არამედ მოსკოვის ძალები და ზოგ შემთხვევაში უსაზღვროდ მზარდ კონტროლს ექმედებარება” (Wilde, 2012).

“რკინის ფარდა” ევროპის არამარტო პოლიტიკურ, არამედ მნიშვნელოვან გეოგრაფიულ ბარიერად იქცა. ამ ბარიერმა რამდენიმე ათწლეული იარსება, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო ევროპის ისტორიაში. საბედნიეროდ, მას შემდეგ, რაც XX საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ ევროპის 10 სახელმწიფო ევროკავშირში გაერთიანდა, “რკინის ფარდა” ისტორიულ მოგონებად იქცა.

უკმაყოფილება ხისტი ორპოლარული მსოფლიოს არსებობით აისახა საშუალო და სუსტად განვითარებული ქვეყნების პოზიციაზე. “განვითარებადი სამყარო” შეეცადა დაეფიქსირებინა, რომ მსოფლიოში არსებობდა “მესამე პოლუსიც”, რომელიც მხარს არ უჭერდა სამხედრო-პოლიტიკური კოალიციებს და თავის თავს მათ მიღმა განიხილავდა.

<sup>74</sup> მოგვიანებით საბჭოთა კავშირმა ჯარები გაიყვანა ვენიდან და ზოგადად ავსტრიაში. რისი წყალობითაც ავსტრია კომუნისტური ბლოკის მიღმა აღმოჩნდა.

ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი 1955 წ. გადაიდგა, როდესაც ბანდუნგის (ინდონეზია) კონფერენციაზე ჩამოყალიბდა აზისა და აფრიკის ხალხთა ერთიანი ფრონტი. კონფერენციის პოლიტიკური პლატფორმას წარმოდგენდა ანტიმპერიალიზმი და ანტიკოლონიალიზმი. უკვე ერთი წლის შემდეგ ხუთი ქვეყნის ლიდერების შეხვდრაზე გადაწყდა, რომ შექმნილიყო “მიუმხრობლების მოძრაობა” (*Non-Aligned Movement*).<sup>75</sup> 1961 წ. ბელგრადის კონფერენციაზე ეს მოძრაობა ოფიციალურად გაფორმდა. როგორც, ამ ორგანიზაციის სახელწოდებიდან ჩანს მისი წევრი-სახელმწიფოები არ შედიან არცერთ სამხედრო-პოლიტიურ ბლოკში. “მიუმხრობლები” გამოდიოდნენ და დღესაც გამოდიან მსოფლიოში არსებული სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის წინააღმდეგ. ამ ორგანიზაციაში უდიდესი როლი ითამაშა აფრიკის დეკოლონიზაციის საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ პერიოდში მიუმხრობელი ქვეყნების ავტორიტეტი სულ უფრო იზრდება, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (მაგ., ინდოეთი, ბრაზილია), ისინი კვლავ რჩებიან გლობალური ეკონომიკური და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პერიფერიაზე. (<http://www.nam.gov.za/background/background.htm>).

ხისტი ბიპოლარულობა დისკომფორტს ნატოში მონაწილე ქვეყნებსაც უქმნიდა. ამ მხრივ, ყოველთვის მწვავე იყო საფრანგეთის პოზიცია. 1978 წ. საფრანგეთის პრეზიდენტი ვალერი ჟისკარ დ'ესტენი აღნიშნავდა, რომ აუცილებელი იყო “მრავალპოლარული სამყაროს ორგანიზება, სადაც გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ორ სუპერსახელმწიფოზე არ იქნებოდა დამოკიდებული” (Dickinson, 2010).

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე, კერძოდ 1987 წ. ცნობილმა ამერიკელმა ისტორიკოსმა პოლ კენედიმ (*Paul Kennedy*) იწინასწარმეტყველა, რომ მსოფლიოში მოხდებოდა ძალთა ბალანსის ცვლილება, რის შედეგადაც დაახლოებით 2009 წლისთვის საერთაშორისო სისტემა მრავალპოლარული გახდებოდა. ამაზე მიანიშნებდა გლობალური ეკონომიკური განვითარების იმდროინდელი ტენდენციები, რომლებსაც კენედის აზრით, აუცილებლად მოყვებოდა სამხედრო-პოლიტიკური ძალთა ბალანსის რადიკალური გარდაქმნა. ამ იდეას 1991 წ. გამოეხმაურა სამუელ ჰანტინგტონი, რომლიც აღნიშნავდა, რომ მომავალი XXI საუკუნე ჭეშმარიტად მრავალპოლარული იქმებოდა (იქვე).

საბჭოთა კავშირის დაშლით დასრულდა პოცდამის და დაიწყო ბელოვეჟის<sup>76</sup> გეოპოლიტიკური ეპოქა, რომლისთვისაც დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ამერიკის უპირობო გლობალური ლიდერობა. I

ამგვარი მოლოდინის მიუხედავად, ამერიკაზე გაძლიერდა პოლიტიკური და მორალური ზეწოლა მისი მსოფლიო ჰეგემონობის გამო. პოსტმოდერნისტულ სამყაროში ჰეგემონის სტატუსის ქონა საკმაოდ არაპოპულარულია. ამერიკაც იძულებული გახდა უკან დაეხია, რაც ეტაპობრივად აისახა მისი პოლიტიკური ავტორიტეტის დაცემაზე. ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ ერთი მხრივ,

<sup>75</sup> მიუმხრობლების მოძრაობის დამფუძნებლებად მიიჩნევიან ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯავახარლარ ნერუ, იუგოსლავიის პრეზიდენტი იოსებ ბროზ ტიტო, იდონეზიის პრეზიდენტი აქმედ სუკარონო, განის პრეზიდენტი ნკამე ნკრუმა და ეგვიპტის პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი. ეს ორგანიზაცია დღესდღეობით 119 წევრ-სახელმწიფოს ითვლის.

<sup>76</sup> ტერმინი “ბელოვეჟის გეოპოლიტიკური ეპოქა” დაკავშირებულია ბელოვეჟის ტევრთან (ბელოვეჟის ტერიტორია). 1991 წ. დეკემბერში აქ შეიკრიბნენ რუსეთის ფედერაციის, უკრაინის და ბელორუსის პრეზიდენტები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას დამოუკიდებლ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის შესახებ, რაც ფაქტოურად საბჭოთა კავშირის დაშლას ნიშნავდა. ოფიციალურად სსრკ დაიშალა მას შემდეგ, რაც იმავე წლის 25 დეკემბერს მისმა მოქმედმა პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა მოიხსნა უფლებამოსილებები, ხოლო 26 დეკემბერს საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს ზედა პალატაში მიიღო №142 დეკლარაცია საბჭოთა კავშირის დაშლის შესახებ.

მსოფლიო ეკონომიკაში იზრდება სხვა ქვეყნების და რეგიონების როლი, შესაბამისად აშშ აღარ არის უპირობო ეკონომიკური ლიდერი, ხოლო, მეორე მხრივ, გლობალური ეკონომიკა იმდენად გადაჯაჭვულია, რომ გასათვალისწინებელია ყველა ეკონომიკური აქტორის ინტერესები. აქედან გამომდინარე, ამერიკამ მისი საერთაშორისო პოლიტიკის გაძლიერი მონოპოლარულობიდან მრავალპოლარულობისაკენ მიმართა. ამაზე მეტყველებს ბარაკ ობამას ადმინისტრაციის ოფიციალურ პირთა განცხადებიც. კერძოდ, 2009 წ. ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმა განაცხადა “ჩვენ ვაშენებთ მრავალპოლარულ მსოფლიოს”. სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა კიდევ უფრო შორს წავიდა, როდესაც აღნიშნა, რომ აშშ შეეცდება მნიშვნელოვან საერთაშორისო აქტორებთან თანამშრომლობის გაფართოებას და კონკურენციის შემცირებას, რაც ხელს შეუწყობს ძალთა ბალანსის დამყარებას არა “მრავალპოლარულ”, არამედ “მრავალპარტიორულ” მსოფლიოში (იქვე).

**იმანუელ ულერსტეინის** აზრით, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომით დასრულდა ახალი მსოფლიო წესრიგის პირველი აქტი (Wallerstein, 2008). ცნობილი ამერიკელი მეცნიერი “ახალ მსოფლიო წესრიგის” ცხადია მრავალპოლარულ მსოფლიოს გულისხმობებს.

მსოფლიოს “ახალი წესრიგი” მნიშვნელოვნად განსხვავდება მისი წინამორბედებისგან. ძირითადი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ თვისებრივად შეიცვალა დამოკიდებულება “პოლარულობის” არსის მიმართ. ტრადიციულად “პოლარულობა” აღიქმებოდა, როგორც მსოფლიოში ძალაუფლების განაწილება (ბალანსი) სახელმწიფოებს ან მათ ალიანსებს (კოალიციებს, ბლოკებს) შორის მათი გლობალური ან რეგიონული პეგემონური მდგომარეობის მიხედვით. დომინანტური მდგომარეობის განსაზღვრაში გადამწყვეტი ადგილი ეთმობოდა სახელმწიფოს ან ალიანსის სამხედრო-პოლიტიკურ პოტენციალს. უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც თავიდან იქნა აცილებული ბირთვული ომის საფრთხე ძირებული შეიცვალა საერთაშორისო სისტემის დღის წესრიგი და იმ აქტორთა სია, რომლებიც ამ დღის წესრიგს ადგენენ. “ცივი ომის” აქტუალური საერთაშორისო პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები განისაზღვრებოდა, როგორც წესი საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის ან უკეთეს შემთხვევაში ნატოსა და “ვარშავის პაქტის” მიერ. დღეს ანალოგიურ პროცესში ჩართული არიან, ერთი მხრივ, აშშ, რუსეთი, ჩინეთი, იაპონია, ევროკავშირის წამყვანი ქვეყნები, რიგ შემთხვევებში კიდევ რამდენიმე სახელმწიფო (მაგ., ინდოეთი), მეორე მხრივ, გაერო, ნატო, ევროკავშირი, დიდი შვიდიანი (G-7), დიდი რვიანი (G-8), დიდი ოცეული (G-20), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), მსოფლიო ბანკი (The World Bank), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია (OPEC), რეკონსტრუქციისა და განვითრების საერთაშორისო ბანკი (IBRD), ენერგეტიკული სააგენტო (IEA). სამართლიანი იქნებოდა ამ სიაში მსოფლიოს ოცამდე უდიდესი ტრანსნაციონალური კომპანიების შეყვანა, რომლებსაც გადამწყვეტი სიტყვა ეთქმით გლობალური ეკონომიკური პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში.

ზემოთ მოცემული ჩამონათვალის ზედაპირული ანალიზიც კი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, თუ რამდენი ახალი მოთამაშე გამოჩნდა მსოფლიოს პოლიტიკურ არენაზე და, რაც მთავარია, რამდენად გაიზარდა თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღებაში ეკონომიკური და კომერციული პროფილის მქონე ორგანიზაციათა როლი.

წამყვანი ექსპერტები და მიმომხილვები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ XXI ს.-ის საერთაშორისო სისტემის წარმართველი ფაქტორი, უფრო ეკონომიკურია, ვიდრე სამხედრო-პოლიტიკური ან გეოგრაფიული. მსოფლიმხედველობრივი შემობრუნება “გეოპოლიტიკიდან გეოეკონომიკისაკენ” ერთ დღეში არ მომხდარა. მას საფუძველი ჯერ კიდევ ცივი ომის ბოლო პერიოდში ჩაეყარა. ამაში მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვით პენტი კისინჯერსა და ზბიგნევ ბუჟინსკის, რომლებიც ჯერ კიდევ 30-40 წლის წინ ცდილობდნენ შეეცვალათ ამერიკის საგარეოპოლიტიკური პარადიგმა. ამერიკის იმდროინდელი პოლიტიკა ორიენტირებული იყო საბჭოთა საფრთხის შემცირებაზე, რაც გულისხმობდა ადექვატური სამხედრო-პოლიტიკური დონისმიერების განხორცილებას. მაგ., სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში კომუნიზმის ექსპანსიის შეკავების მიზნით აშშ ვიეტნამის ომში ჩაება, რომელიც მისთვის საბოლოო ჯამში წარუმატებელი აღმოჩნდა. ჯერ კიდევ მაშინ, ამერიკელი სპეციალისტები პრეზიდენტის ადმინისტრაციას მოუწოდებდნენ, რომ კომუნისტური ბლოკის წინააღმდეგ გამოეყენებინა არა სამხედრო, არამედ ეკონომიკური ბერკეტები. ამერიკის მთავრობამ უარი ვერ თქვა მილიტარიზაციაზე, მაგრამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაციები და გარკვეული ძალისხმევა რეგიონული გეოეკონომიკური პროექტების განხორციელებისაკენ მიმართა. ამგვარი პოლიტიკა საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა, რამაც მნიშვნელოვანად გაამყარა აშშ-ის პოზიციები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთში. ამერიკამ ხელსაყრელი ეკონომიკური თანამშრომლობა დაამყარა ამ და სხვა რეგიონების ქვეყნებთან, რომელთა უმრავლესობასაც დიქტატორული რეჟიმები მართავდნენ. ამგვარ რეჟიმებთან პოზიტიური ურთიერთობის დამყარება პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა ამერიკის მიერ აღიარებულ დემოკრატიულ ფასეულობებს. აშკარა გახდა, რომ “თეთრ სახლს” მოუხდა მისი პოლიტიკის ფუნდამეტური პრინციპების უკანა პლანზე გადატანა. “თავისუფალი სამყაროს” ლიდერი (სხვა შემთხვევებში ეკროპული ქვეყნებიც) საკუთარი ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე ორმაგი სტანდარტების პოლიტიკას მიმართავდა. სამწუხაროდ, ასეთია “პოლიტიკური რეალიზმის” (ამჟამად “ნეორეალიზმის”) არსი. უურადსაღებია ბრიტანელი გეოგრაფის მარკ ბლექსელის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ თანამედროვე გეოპოლიტიკა აღარც “კლასიკურია” და არც “კრიტიკული”, სინამდვილეში ის “პრაგმატული გეოპოლიტიკაა” (Blacksell, 2006: 165).

## გეოპოლიტიკური კოდები

ერაყში სამხედრო ოპერაციის (2003 წ.) დაწყებამდე ცოტა ვინმეს თუ ეგონა, რომ დიდი ბრიტანეთი ამ ომში აშშ-ის აქტიური და ერთგული მოკავშირე გახდებოდა. დიდ ბრიტანეთს, გამომდინარე მისი სამხედრო და ეკონომიკური სიძლიერიდან ნამდვილად ხელეწიფებოდა მოსალოდნელ საომარ მოქმედებებში სრულფასოვანი ჩართვა. მაგრამ, ბრიტანული საზოგადოებრივი აზრი ამ იდეას რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა. ამის გათვალისწინებით, ტონი ბლერის მთავრობას შეეძლო უმნიშვნელო როლი ეთამაშა დაგეგმილ სამხედრო ოპერაციაში, უფრო მეტიც, საერთოდ უარი ეთქვა ჯორჯ ბუშის გეგმებზე, მითუმეტეს, რომ ევროპის ქვეყნების უმრავლესობა მას ამაში მსარს დაუჭირდა. მიუხედავად ამისა, დიდი ბრიტანეთი აღნიშნულ სამხედრო კამპანიაში ჩაერთო. ეს არ იყო იოლი გადაწყვეტილება, მაგრამ მისი მიღებისას გათვალისწინებულ იქნა გეოპოლიტიკური ფაქტორები და მათგან გამომდინარე სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები. მოცემულ თავში განვიხილავთ, თუ როგორ ზეგავლენას ახდენს გეოპოლიტიკური გარემოებები ქვეყნის პოლიტიკურ გადაწყვეტილებების მიღებაზე და, პირიქით, როგორ აისახება პოლიტიკური ქმედებები გეოპოლიტიკურ ვითარებაზე გლობალურ, რეგიონულ თუ ლოკალურ დონეებზე.

საშუალება, რომლის მეშვეობითაც ქვეყანა აყალიბებს თავის საგარეო-პოლიტიკურ ორიენტირებს არის გეოპოლიტიკური კოდი<sup>77</sup> (Flint, 2006: 55). გეოპოლიტიკური კოდი გააჩნია კველა ქვეყანას. მსოფლიოს ქვეყნების უდიდესი ნაწილისთვის ამ კოდის მოქმედების გეოგრაფიული არეალი სამეზობლოთი შემოიფარგლება. სუსტი ქვეყნის ძირითადი მცდელობა მიმართულია იქითკენ, რომ განავითაროს ვაჭრობა მეზობელ ქვეყნებთან და თავიდან აიცილოს სამხედრო აგრესია. მეტნაკლებად განვითარებული ქვეყანები ცდილობენ შეიმუშაონ რეგიონული გეოპოლიტიკური კოდი. მაგ., ეგვიპტე არაბული სამყაროს წამყვანი ქვეყანაა, თურქეთის გავლენა ვრცელდება ცენტრალურ აზიაზე, სამხრეთ კავკასიაზე და ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაზე. ირანი ანგარიშგასაწევი ძალაა ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ აზიაში. თითებზე ჩამოსათვლელია ის ქვეყნები, რომლებსაც ხელეწიფებათ გლობალური კოდის შემუშავება და მისი რეალიზაცია. ამ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნებიან გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთივე წევრი-სახელმწიფო: აშშ, რუსეთი, საფრანგეთი, ჩინეთი და დიდი ბრიტანეთი, ასევე, გერმანია, იაპონია და იტალია. სპეციალისტთა ნაწილს ინდოეთიც გლობალურ ძალად მიაჩნია. ნებისმიერ შემთხვევაში მსოფლიოს სუპერსახელმწიფოთა რიცხვი ძალზე მცირეა. შესაბამისად, გეოგრაფიული თვალსაზრისით გეოპოლიტიკური კოდი შეიძლება განვიხილოთ გლობალურ, რეგიონულ და ლოკალურ (სახელმწიფო ან მისი ნაწილი) ანუ მაკრო, მეზო და მიკრო დონეებზე (მასშტაბით). აქვე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ გეოპოლიტიკური შედეგების დადგომის მხრივ ამ დონეების განცალკევება არამართლზომიერია, რადგან ერთ გეოგრაფიულ დონეზე მიმდინარე გეოპოლიტიკური პროცესი სხვა დონეებზეც აუცილებლად აისახება. მაგ., 2008 წლის აგვისტოში რუსეთსა და საქართველოს შორის საომარი მოქმედებები ლოკალურ დონეზე მიმდინარეობდა, თუმცა ამ ომის

<sup>77</sup> ტერმინი “გეოპოლიტიკური კოდი” პირველად გამოიყენა ცნობილმა ამერიკელმა ისტორიკოსმა ჯონ ლუის გადისმა ნაშრომში “სამხედრო შეკავების სტრატეგია” (John Lewis Gaddis. *Strategies of Containment*. Oxford: Oxford University Press, 1982).

გეოპოლიტიკურმა იმპლიკაციებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ძალთა ბალანსზე რეგიონული და გლობალური მასშტაბით.

ნებისმიერი ქვეყანა საკუთარ გეოპოლიტიკურ კოდს განსაზღვრავს შემდეგი ხუთი შემდეგი ფაქტორის გათვალისწინებით:

- ვინ არიან არსებული და პოტენციური მოკავშირეები;
- ვინ არიან არსებული და პოტენციური მტრები;
- რამდენად არის შესაძლებელი არსებული მოკავშირეების შენარჩუნება და ახალი მოკავშირეების შეძენა;
- რამდენად არის შესაძლებელი არსებული მტრების შეკავება, აქედან გამომდინარე პოტენციური საფრთხეების მინიმიზირება ან სულაც თავიდან აცილება;
- როგორ უნდა წარმოჩინდეს წინა ოთხი ფაქტორი, ერთი მხრივ, საკუთარი საზოგადოების, ხოლო მეორე მხრივ, საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე (Taylor & Flint, 2000: 62)

დავუბრუნდეთ დიდი ბრიტანეთის მაგალითს. მისი მოკავშირეების რიცხვში შედიან ეკროკავშირის და ნატოს წევრი სახელმწიფოები. 1990-იანი წლების დასაწყისში ამ სიაში გამოჩნდნენ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები, რომლებიც ჯერ კიდევ “ცივი ომის” დროს დიდი ბრიტანეთის მტრებად განიხილებოდნენ. ეს ფაქტი ცხადყოფს, თუ რამდენად არაპროგნოზირებადი და დინამიურია საერთაშორისო პოლიტიკა. მსოფლიოში მნიშვნელოვანი როლის და გავლენის შენარჩუნების მიზნით დიდმა ბრიტანეთმა დაარსა თანამეგობრობა, რომელიც მისი ყოფილი კოლონიებისგან შედგება. ეს უკანასკნელი ნაკლებად წარმატებული პროექტი აღმოჩნდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ის ზიმბაბვემ დატოვა. ქვეყნის ძირითადი მტერი საბჭოთა კავშირი წინა საუკუნის ბოლო ათწლეულის დასაწყისში დაიშალა. მისი სამართალმემკვიდრე რუსეთი რჩება ნისლიანი ალბიონის მეტოქედ, მაგრამ, ის აღარ განიხილება როგორც მნიშვნელოვანი საფრთხე. სამაგიეროდ, ბრიტანელთათვის წინა პლანზე გამოვიდა ისეთი ძალა, როგორიცაა გლობალური ტერორიზმი. ამ საფრთხემ დიდი ბრიტანეთისთვის განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა მას შემდეგ, რაც მან აქტიური მონაწილეობა დაიწყო ავღანეთისა და ერაყის ანტიტერორისტულ ოპერაციებში (Flint, 2006: 57).

მოკავშირეების შენარჩუნების სტრატეგია მრავალასპექტიანია. ეკონომიკური და ბიზნეს კავშირების გაღრმევება სტრატეგიის უკეთეს ეფექტიანი საშუალებაა. ეკროკავშირის ქვეყნებს შორის იმდენად მჭიდრო და ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკური კავშირები დამყარდა, რომ რომელიმე წევრი სახელმწიფოსთვის ამ გაერთიანების დატოვება სრული ეკონომიკური კოლაფსის ტოლფასი იქნება. საქმაოდ დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს კულტურული და საგანმანათლებლო კავშირების განმტკიცებას. ამგვარი კავშირები გრძელვადიან პერპექტივაზე არის გათვლილი. მოკავშირეობის განმტკიცება, როგორც წესი ადგილად მიღწევადია მსგავსი რელიგიური, ლინგვისტური ან ცივილიზაციური ფასეულობების საფუძველზე.

ნებისმიერი ქვეყნისთვის სამხედრო კავშირების განვითარება მნიშვნელოვანი ხერხია, ერთი მხრივ საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავების, ხოლო, მეორე მხრივ საკუთარი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების საქმეში. თუმცა ეს გზა ხიდათსაც შეიცავს, რადგან რომელიმე

სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკთან ურთიერთობამ შეიძლება გააღიზიანოს სხვა სახელმწიფო ან სამხედრო გაერთიანება. მაგ., საქართველოს სურვილი გამხდარიყო ნატოს წევრი იმდენად მიღებელი აღმოჩნდა რუსეთის თვის, რომ ამ უკანასკნელმა ამის აღსაკვეთად რადიკალურ პოლიტიკურ და სამხედრო ზომებსაც (2008 წლის აგვისტოს ომი) კი მიმართა.

მრავალფეროვანია ის საშუალებებიც, რომელთა მეშვეობითაც ხდება მტრების შეკავება. საკუთარი სამხედრო პოტენციალის გაძლიერება ამის ერთ-ერთი ხერხია. “ცივი ომის” პერიოდში იყო იმის საშიშროება, რომ ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებს შორის ბირთვული ომი გაჩაღებულიყო. ამერიკამ გამოიყენა სამხედრო შეკავების სტრატეგია, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ის იმდენად ავითარებდა თავის შეიარაღებას, რომ საბჭოების, როგორც მინიმუმ არ ჩამორჩენოდა. დროის განმავლობაში ნატოს და ვარშავის პაქტის ქვეყნებმა იმდენი ბირთვული იარაღი აწარმოეს, რომ სრულიად შესაძლებელი იყო დედამიწის 15-ჯერ განადგურება. ასეთ პირობებში ცხადი გახდა, რომ მესამე მსოფლიო ომში არათუ ვერავინ გაიმარჯვებდა, არამედ ცოცხალიც კი არავინ გადარჩებოდა. მსოფლიოში დღესაც მრავლად არის ბირთვული იარაღი, მაგრამ ამგვარი ომის საშიშროება პრაქტიკულად აღმოფხვრილია. მერე მხრივ, მშვიდობის შენარჩუნება ბევრად არის დამოკიდებული დიპლომატიაზე. ამ მხრივ, დიპლომატიის მთავარი ამოცანაა “შეარბილოს” სახელმწიფოთა შორის არსებული წინააღმდეგობები და წინაპლანზე სამშვიდობო ინიციატივები წამოსწოოს.

ეკონომიკური სანქციები საერთაშორისო თანამეგობრობის არსენალის კიდევ ერთი მძლავრი იარაღია. სანქციები გამოიყენება იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც არ ასრულებენ საერთაშორისო ვალდებულებებს ან მათი პოლიტიკა საფრთხეს უქმნის სხვა სახელმწიფოების უსაფრთხოებას. 1990-იან წლებში გაეროს არ გასჭირვებია სანქციების შემოღება ერაყის წინააღმდეგ, მას შემდეგ რაც ამ უგანანასკნელმა აშკარა სამხედრო აგერსია განახორციელა კუვეიტის წინააღმდეგ. უფრო მეტიც, გაეროს უშიშიროების საბჭომ მიიღო ერთსულოვანი გადაწყვეტილება ერაყის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის ჩატარების შესახებ.

სანქციების შემოღება როგორც დამოუკიდებელი ისეთ ვითარებაში, როდესაც გადაიკვეთება ძლიერი სახელმწიფო გადამდების ინტერესები. ამ საუკუნის პირველი ათწლეულის დამლევს დასავლეთის ქვეყნებმა წინადაღებით მიმართეს ირანს, რომ მას შეეჩერებინა ბირთვული წარმოება, რადგან ეს ხიფათს უქმნიდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების, უპირველეს ყოვლისა კი ისრაელის უსაფრთხოებას. ირანის ხელისუფლებამ უგულვებელყო ეს მოწოდება, რადგან მისი განცხადებით ბირთვული არსენალი მას ესაჭიროებოდა უნერგეტიკული პრობლემების გადაჭრის მიზნით. ამ პასუხმა არ დაკმაყოფილა ნატოს ქვეყნები, რის შედეგადაც აშშ გამოვიდა ირანის ეკონომიკური ბლოკადის ინიციატივით. ამგვარი სანქციები შესაძლოა ფატალური აღმოჩნდეს ირანის ეკონომიკისთვის, რადგან მისი საბიუჯეტო სახსრების შევსება მნიშვნელოვანწილად ენერგომატების ექსპორტის გადატენილების გადატენილების უზრუნველყოფით დამოკიდებული. ირანის წინააღმდეგ რადიკალური ეკონომიკური სანქციების დაწესება გაეროს უშიშროების საბჭოს დონეზე როგორც იქნება, რადგან ამის ეწინააღმდეგება ჩინეთი, რომლის ნაკობის იმპორტის დიდი ნაწილი სწორედ ირანზე მოდის.

გეოპოლიტიკური რეპრეზენტაციები, როგორც წინა ქვეთავმში აღინიშნა უაღრესად ყურადსაღები ფაქტორია. მასზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ამა თუ იმ პოლიტიკური კამპანიის წარმატება. 2003 წელს ერაყში მსხვილმასშტაბიანი ოპერაციის დაწყებას წინ უსწრებდა ტერორისტული აქტები, რომელიც რამდენიმე ქვეყანას შეეხო, მათ შორის დიდ ბრიტანეთს და ესპანეთს. ესპანეთის პრემიერ-მინისტრმა ხოსე მარია აზმარმა მხარი დაუჭირა ესპანეთის

მონაწილეობას ერაყის კამპანიაში, რის შემდეგაც დაკარგა საზოგადოებრივი მხარდაჭერა და წაგო მომავალი არჩევნები. საპირისპიროდ, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა დიდი პოლიტიკური კაპიტალი შეიძინა. ბლერმა მისი ესპანელი კოლეგისგან განსხვავებით შეძლო ბრიტანული საზოგადოებრიობის დარწმუნება იმაში, რომ ერაყის ოპერაცია კ.ი. გლობალურ ტერორიზმთან ბრძოლა აამაღლებდა დიდი ბრიტანეთის უსაფრთხოებას დამ ის საერტაშორისო პრესტიჟს. ეს მაგალითი მიუთითებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პოლიტიკური მიზნების იმგვარად დასაბუთება, რომ ის მოწონებულ და მხარდაჭერილ იქნას საზოგადოების მხრიდან.

გეოპოლიტიკურ კოდს, როგორც წესი სამთავრობო დოკუმენტის სახე აქვს. ის შეიძლება იყოს საჯარო ან კონფიდენციალური ხასიათის. გლობალიზაციის გპოქაში სახეზეა არაფორმალური გაერთიანებების მზარდი როლი. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ გეოპოლიტიკური კოდის შემუშავება შპკ აღარად მხოლოდ მთავრობების პრივილეგია. ქვემოთ, მოცემულია ამის ერთ-ერთი მაგალითი.

ჩანართი №

### 1998 წლის ფატვა: ისლამისტ-ფუნდამენტალისტთა გეოპოლიტიკური კოდი

1998 წლის თებერვალში ლონდონში გამოცემულმა არაბულენოვანმა გაზეთმა “**ალ-ქადს ალ-არაბი**” გამოაქვეყნა მიმართვა, რომელსაც ხელს აწერდა ხუთი ცნობილი ისლამისტი მოღვაწე, მათ შორის უსამა ბენ-ლადენი. ამგვარ მიმართვას არაბულად ფატვა ეწოდება. მიმართვის ტექსტი იწყებოდა ყურანის ციტირებით, კერძოდ აღნიშნული იყო, რომ “ალაპმა შექმნა არაბეთის ნახევარკუნძული, მისი უდაბნო და ველები, შემოსაზღვრა ის ზღვებით”. დღეს ეს მიწა, აღნიშნავდნენ შემდგომ მიმართვის ავტორები, მძიმე განსაცდელშია, რადგან მას შემოესიენ ჯვაროსანთა ახალი ურდოები, რომდებიც უტევენ მუსლიმებს, სახლდებიან მათ ტერიტორიებზე, ანადგურებენ მათ ნათესებს და ითვისებენ მათ კუთვნილ სიმდიდრეებს. “ამ მძიმე სიტუაციაში ჩვენ და თქვენ ვალდებული ვართ განვიხილოთ მიმდინარე მოვლენები და შევჯერდეთ არსებული პრობლემის გადაწყვეტის გზებზე. შპკ 9 წელია, რაც აშშ-ს ოკუპირებული აქს ისლამის უწმინდესი ადგილი – არაბეთის ნახევარკუნძული. ის ძარცვას მის სიმდიდრეებს, აკონტროლებს ქვეყნის ხელისუფალთ, ამცირებს მის ხალხს, ატერორებს მის მეზობლებს და იყენებს აქ განლაგებულ სამხედრო ბაზებს მეზობელ მუსლიმ ხალხებზე თავდასხმის პლაცდარმად”.

მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ ყველაფერთან ერთად ამერიკელებს სურთ გააძლიერონ ისრაელი, განდევნონ იქიდან პალესტინელები. ამასთან, ხაზგასმული იყო, რომ არაბული სახლემწიფოების ლიდერებს არ ძალუბთ სიონისტურ პოლიტიკასთან გამკლავება, რის გამოც “ალ-ქადა” სათავეში ჩაუდგება ანტი-ამერიკულ და ანტი-სიონისტურ მოძრაობას. ტექსტის ბოლო ნაწილში წარმოდგენილი იყო მოწოდება: “. . . ჩვენ მივმართავთ ყველა მორწმუნე მუსლიმს, მათ ვისაც სურთ მიიღონ დვთის წყალობა, რომ დახოცონ ამერიკელები და **ფული**, ყველგან და ნებისმიერ დროს, როდესაც კი ამის საშუალება აქნებათ”.

მოცემული ტექსტი საგულისხმოა რამდენიმე თვალსაზრისით:

- 1991 წლის სპარსეთის უბის კონფლიქტის შემდეგ საუდის არაბეთში შექმნილი ამერიკელთა სამხედრო ბაზები მიჩნეულია, როგორც ამ ქვეყნის ოკუპაცია. ხაზგასმულია, რომ ამერიკელები ჩაგრავენ მუსლიმებს. აღნიშნულია, რომ ამერიკელები ისლამის წმინდა მიწას

(ე.ო. საუდის არაბეთს) იყენებენ სხვა მუსლიმური ქვეყნებზე სამხედრო იერიშებისთვის. ტექსტის ამ ნაწილებში იღენტიფიცირებულია მუსლიმთა მთავარი მტრები – აშშ და მისი მოკავშირე ისრაელი.

- ტექსტის ავტორები მიმართავენ არა კონკრეტული ქვეყნების მოქალაქეებს, არამედ ყველა მუსლიმს, მოუწოდებენ რა მათ, რომ ერთად (“ჩვენ და ოქვენ”) უნდა გადაჭრან არსებული პრობლემა. ეს ნიშნავს, რომ “ალ ქაედას” ლიდერებმა ყველა მორწმუნე მუსლიმი თავიანთ მოკავშირებად მიიჩნიეს.
- მოკავშირეთა შენარჩუნებისა და ახალი მოკავშირეების შეძენის მიზნით “ალ ქაედას” ლიდერები ცდილობენ ითამაშონ მუსლიმური სოლიდარობის გრძნობაზე. კერძოდ, ტექსტში აღნიშნულია, რომ საუდის არაბეთში ამერიკელთა ყოფნა და სხვა არაბულ სახელმწიფოებზე განხორციელებული სამხედრო ოპერაციები სხვა არაფერია, თუ არა ახალი ჯვაროსნული ლაშქრობა. ეს კი მუსლიმთათვის უადრესად უარყოფითი მუხტის მატარებელია.
- მტრების საპასუხო მოქმედებების შეზღუდვის მიზნით მიმართვის ავტორები არ მოუწოდებენ არაბული ან სხვა მუსლიმური ქვეყნების მთავრობებს დახმარების ან მხარდაჭერისაკენ, რადგან სხვა შემთხვევაში ეს უკანასკნელები დაიმსახურებდნენ ამერიკელების რისხვას. ფატვას შემქმნელები, როგორც აღინიშნა მიმართავენ ყველა მართლმორწმუნე მუსლიმს.
- ისლამურ სამყაროში (ახალი) მტრების არშეძენის მიზნით ავტორები მწვავედ არ აკრიტიკებენ საუდის არაბეთის ხელისუფლებას, მიანიშნებენ მხოლოდ იმაზე, რომ მას არ ძალუმს გაუმკლავდეს ამერიკულ ექსპანსიას.
- ტექსტში მოცემული იდეები “შევუთულია” ყურანის ციტატებით, რაც იდეოლოგიურად აძლიერებს მიმართვის შინაარს და უფრო მისაღებს ხდის მას მუსლიმთა საზოგადოებრივი აზრისთვის.

მთლიანობაში, წარმოდგენილი ფატვა არის ტიპიური გეოპოლიტიკური კოდი, რომელიც, როგორც ზემოთ შევიცადეთ გვეჩენებინა მთიცავს ამ უანრისთვის დამახასიათებელ ყველა ძირითად ასპექტს. უმთავრესი, როთაც ეს მიმართვა სხვა გეოპოლიტიკური ხასიათის დოკუმენტებისგან განსხვავდება არის ის, რომ ის პირდაპირ და დაუფარავად მოუწოდებს სისხლისღვრისაკენ.

წყარო: Flint, 2006: 70-73

გეოპოლიტიკური კოდი კონცეფტუალური ხასიათის დოკუმენტია. ცხადია, ამგვარი ტექსტის სახით წარმოდგენილი კოდი ბევრი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო ყოველთვის არ და ვერ ხორციელდება. გარკვეულ შემთხვევებში გეოპოლიტიკური კოდში ჩამოყალიბებული მიზნები მტრის დაშინებისა ან დეზორიენტაციისათვის არის განკუთვნილი. სწორედ ასე აღიქვეს “ძენ-ლადების ფატვა” ამერიკელმა პოლიტიკოსებმა. მათ ჯეროვანი ყურადღება არ დაუთმეს დაზვერვის იმ ანგარიშებს, სადაც აღნიშნული იყო, რომ ისლამისტი ფუნდალისტების მუქარა რეალური იყო. 2001 წ. 11 სექტემბერს განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში მომხდარმა ტერორისტულმა აქტებმა თანამედროვე მსოფლიო ახალი რეალობის -

“გლობალური ტერორიზმის” საფრთხის წინაშე დააყენა. შესაბამისად, აშშ-ს უნდა მოეხდინა მყისიერი რეაგირება, არა მხოლოდ სამხედრო, არამედ ახალი პოლიტიკის, მათ შორის გეოპოლიტიკური კოდის შემუშავების და მისი რეპრეზენტაციის მხრივაც.

ამერიკის, ისევე, როგორც მსოფლიოს ისტორიაში წარმოიშვა უნიკალური სიტუაცია. თუ, მანამდე პოლიტიკურ საფრთხეს გარკვეული მისამართი ქონდა ამა თუ იმ ქვეყნის ან ქვეყნების გაერთიანების სახით, 9 სექტემბერის მოვლენებმა დაანგრია ეს სტერეოტიპი და ოვრისებრივად ახალ გლობალურ ფენომენს დაუდო სათავე. ახლადმოვლენილ საფრთხეს არ გააჩნდა ზუსტი გეოგრაფიული კოორდინატები. საერთაშორისო ტერორიზმის ძლიერი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ის არ წარმოადგენს რომელიმე პოლიტიკურ-გეოგრაფიულ ერთეულს. მისი ქსელი მსოფლიოს მრავალ ქვეყანას შეიძლება მოიცავდეს.

ზოგადად მსოფლიოს და კონკრეტულად ამერიკას მსოფლიოს არ გააჩნდა ორგანიზებულ მსხვილმასშტაბიან ტერორიზმთან ბრძოლის რამდენადმე ღირებული გამოცდილება. შესაბამისად ამ საკითხში ჯეროვნად გარკვევას, დამნაშავეთა წრის დადგენას, შემდეგომ მათ დაკავებას ან ლიკვიდაციას დიდი დრო დასჭირდებოდა. დრო კი არ ითმენდა, რადგან ამერიკული საზოგადოებრივი აზრი მთავრობისგან ადექვატურ რეაგირებას, პრაქტიკულად შეურისმიერებას მოითხოვდა. ამ საქმეში დაყოვნება ადვილი შესაძლებელია აღქმულიყო, როგორც ამერიკის ორგანიზაციული სისუსტე, შესაბამისად ეჭვავეშ დადგებოდა მისი, როგორც მსოფლიო ლიდერის ავტორიტეტი. ალბათ, ამით შეიძლება აიხსნას ის შეცდომები, რომლებიც დაუშვეს ამერიკელმა სპეციალისტებმა და პოლიტიკოსებმა აღნიშნული ანტი-ტერორისტული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. შედეგად, ამერიკა და მისი მოკავშირები ჩაებნენ ორ ომში, რომლიდანაც გამოსავალი დღესაც არ ჩანს.

**№ ჩანართში** მოცემულია ზემოთ აღნიშნული ტერორისტული აქტების შემდეგ “თეორი სახლის” მიერ შემუშავებული გეოპოლიტიკური კოდების და ანტი-ტერორისტული ღონისძიებების რეპრეზენტაციის დახასიათება.

### **ჩანართი № “გლობალური ტერორიზმის” წინააღმდეგ ბრძოლის რეპრეზენტაცია აშშ-ის აღმინისტრაციის მიერ**

2002 წელს გამოქვეყნდა აშშ-ის “სახელმწიფოს უსაფრთხოების სტრატეგია” (National Security Strategy (NSS), რომელსაც სხვაგვარად ბუშის დოქტრინა უწოდეს. ზოგადად “სახელმწიფოს უსაფრთხოების სტრატეგია” (ტექსტში შემდგომ “სუს”) არის ყოველწლიური მოხსენება, სადაც ჩამოყალიბებულია აშშ-ის გეოპოლიტიკური კოდი. ამას წინ უძღვდა ჯორჯ ბუშის ყოველწლიური “მიმართვა ქვეყნის მდგომარეობის შესახებ” (State of Union Address, 2002). ამ ორივე მოხსენების მთავარი მიზანი, ცხადია ანტი-ტერორისტული სტრატეგიის წარმოდგენა იყო. 2012 წლის “სუს-ში” ხაზგასმული იყო ის ფაქტი, რომ “ბრძოლა გლობალური ტერორიზმის წინააღმდეგ განსხვავდება ნებისმიერი სხვა ომისგან, რომელსაც ადგილი ქონია კაცობრიობის ისტორიაში” (NSS, 2002). **Flint, 2006: 72**

პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის აღმინისტრაციამ ახალი მსოფლიო წესრიგის უმთავრეს მიზნად დაისახა გლობალური მასშტაბის ომი ტერორიზმის წინააღმდეგ. ამ მიზნის მისაღწევად დასახულ იქნა ორი ძირითადი ამოცანა: 1) ტერორისტების ბანაკების განადგურება, მათი გეგმების ჩაშლა და ტერორისტების გასამართლება; 2) ტერორისტების და მათი სპონსორი სახელმწიფოების მიერ ქიმიური, ბიოლოგიური და ბირთვული იარაღის

წარმოების და გამოყენების პრევენცია. აქედან გამომდინარე, განიხაზღვრა მთავარი მტკი - “გლობალური ტერორიზმი”.

არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ სექტემბრის ტერაქტების მთავარი ორგანიზაციი “ალ-ქადა” იყო. შესაბამისად, უკვე 2002 წლის ოქტომბერში აშშ-მა და მისი მოკავშირებმა დაიწყეს სამხედრო ოპერაცია ავღანეთში, რომლის მთავარი მიზანი იყო თალიბების რეჟიმის დამხობა და ამ ქვეყანაში “ალ-ქადას” ორგანიზაციული სტურუქტურის ლიკვიდაცია.

ანტი-ტერორისტული სტრატეგიის მეორე ამოცანის გადაწყვეტამ მოითხოვა არა მარტო ტერორისტული ორგანიზაციების, არამედ მათ უკან მდგარი სახელმწიფოების იდენტიფიცირება. ამასთან დაკავშირებით, ამერიკის პოზიცია წარმოადგინა ჯორჯ ბუშმა მის ყოველწლიურ გამოსვლაში კონგრესის წინაშე, ამერიკის პრეზიდენტმა აღნიშნა შემდეგი:

“ჩვენი მეორე ამოცანაა, რომ წინ აღვუდგეთ იმ რეჟიმებს, რომლებიც აფინანსებენ ტეროროზმს და მასობრივი განადგურების იარაღის წარმოებით საფრთხეს უქმნიან ჩვენს მეგობრებს და მოკავშირებს. / . / ჩვენ ვიცხობთ მათ ბუნებას. ჩრდილოეთ კორეა არის რეჟიმი, რომელიც აწარმოებს მასობრივი განადგურების რაკეტებს და იარაღს, იმ დროს, როდესაც მისი მოსახლეობა გაჭირვებაში ცხოვრობს.

ირანი მიზანდასახულად აწარმოებს ამ იარაღს და ხელს უწყობს ტერორის ექსპორტს. ამას ხელმძღვანელობს ერთი მუჭა არარჩეული ადამიანებისა, რომელიც აღშობს საკუთარი ხალხის სურვილს იცხოვროს თავისუფალ გარემოში.

ერაყი მტკილი დამოკიდებულებას ავლენს ამერიკის მიმართ და მხარს უჭერს ტერორს. ათწლეულზე მეტია, რაც ერაყული რეჟიმი აგრძელებს ციმბირული წყლელის, ნერვული პარალიზმების გაზების და ბირთვული იარაღის დამზადებას. ეს არის რეჟიმი, რომელმაც მომწამლავი გაზები გამოიყენა საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ, რის შედეგადაც დაიღუპა ათასობით ადამიანი. . .

ეს სახელმწიფოები და მათი ტერორისტი მოკავშირეები წარმოადგენენ “ბოროტების დერბე” და საფრთხეს უქმნიან მშვიდობას მთელ მსოფლიოში. მასობრივი განადგურების იარაღის წარმოებით ეს რეჟიმები წარმოდგენენ უდიდეს და მზარდ საფრთხეს. მათ შეუძლიათ ეს იარაღი მიაწოდონ ტერორისტებს. . . მათ კი ხელეწიფებათ ის გამოიყენონ ჩვენი მოკავშირეების ან შეერთებული შტატების წინააღმდეგ. ნებისმიერ შემთხვევაში ინდივერუნტულობა კატასტროფის ტოლფასი იქნება.

ჩვენს კოალიციაში მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე ჩვენ საშუალებას არ მივცემთ ტერორისტებს და მათ დამფინანსებელ სახელმწიფოებს, რომ გამოიყენონ ნედლეული, ტექნოლოგიები და ექსპერტიზა მასობრივი განადგურების იარაღის შექმნის და მისი შემდგომი გაავრცელების მიზნით.

ვისურვებდი დინჯად გვემოქმედა, მაგრამ დრო არ ითმენს. მე არ დაველოდები მოვლენების განვითარებას, იმ სიტუაციაში, როდესაც საფრთხე კარს მოგვადგა. . . ამერიკის შეერთებული შტატები უფლებას არ მისცემს მსოფლიოს ყველაზე საშიშ რეჟიმებს, რომ საფრთხე შეგვიქმნან ყველაზე გამანადგურებელი იარაღით” (State of Union Address, 2002).

ამ რეპრეზენტაციაში რამდენიმე საგულისხმო ასპექტია. როგორც, ზემოთ აღინიშნა მოხდა მთავარი მტკის იდენტიფიცირება. ოფიციალური ვაშინგტონის განმარტებით ეს იყო “ბოროტების დერბი”, რომელშიც შედიოდნენ ტერორისტული ორგანიზაციები და მათი სპონსორი სახელმწიფოები. ამთავითვე

უნდა აღინიშნოს, რომ ჯორჯ ბუშმა ანტიტერორისტული ოპერაციის რეპრეზენტაცია “ცივი ომისთვის” დამახასიათებელ სტილში შემოგვთავაზა. გამოყენებულ იქნა ნაცნობი ლექსიკა, მაგ., “ომი ბოროტების წინააღმდეგ” ან “ბოროტების დერძი”, ანალოგიური იმისა, რაც გამოიყენებოდა ჯერ კიდევ 1980-იან წლებში პრეზიდენტ რონალდ რეიგანის მმართველობის დროს. გარდა ამისა, ტერმინი “ომი გლობალური ტერორიზმის წინააღმდეგ” ბუნდოვანი იყო. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს არსებობს მხოლოდ ერთი გლობალური ტერორისტული ორგანიზაცია, თუმცა ცნობილია, რომ მსოფლიოში ბევრი ასეთი ორგანიზაცია მოქმედებს.

გარდა ამისა, “თეთრმა სახლმა” გვერდი ვერ აუარა დამკვიდრებულ ტრადიციას და მოახდინა ტერორიზმის **ჰერსონიფიცირება**. დასახელდა ტეროროზმის მხარდაჭერი სახლმწიფოები, კერძოდ ჩრდილოეთ კორეა, ირანი და ერაყი (უფრო ადრე თაღიბების რეჟიმი). თაღიბების რეჟიმის როლი ანტიამერიკული ტერორისტული ჯგუფების შემნასა და მხარდაჭერაში მეტნაკლებად ცნობილი ფაქტია, მაგრამ ერაყის ან ირანის მთავრობების მონაწილეობა აღნიშნულ პროცესში დღემდე არ დამტკიცებულა. კიდევ უფრო გაუგებარი იყო ამ სიაში ჩრდილოეთ კორეის შეევანა, რადგან ამ ქვეყნის ხელისუფლებას არანაირი კავშირი არ ქონია ანტი-დასავლურ ტერორისტულ ორგანიზაციებთან.

ამერიკის პრეზიდენტი განსახილველ გამოსვლაში შეეცადა გამოეკვეთა ამერიკის, როგორც მსოფლიო ლიდერის როლი. ზოგადად, მსოფლიო პეგემონი სამხედრო ოპერაციის რეპრეზენტაციის ან განსხორციელების დროს სხვა სახლმწიფოებისგან განსხვავებულად იქცვა. 2002 წ. ამერიკის ხელისუფლებამ მიზნად დაისახა ერაყში შეჭრა. საინტერესოა, რომ ნატოს ფრაგლებში კამათის საგანს წარმოადგენდა არა სუვერენულ ქვეყანაში (ამ შემთხვევაში ერაყში) ამერიკის სამხედრო ინტერვენციის ლეგიტიმურობის საკითხი, არამედ ის, თუ რამდენად დასაბუთებული იყო სადამ პუსეინის მონაწილეობა ცნობილ ტერაქტებში ან ერაყის მთავრობის მიერ მასობრივი განადგურების იარაღის წარმოების ფაქტი. ჯორჯ ბუშმა განაცხადა: “შეერთებული შტატები არის თავისუფლების დამცველი მთელს მსოფლიოში, რის გამოც ეს შეტევა (იგულისხმება 9 სექტემბრის ტერორისტული აქტები – ავტ.) ჩვენს წინააღმდეგ განსხორციელდა.” და კიდევ: “ჩვენ ავარიდებთ მსოფლიოს ამ ბოროტმოქმედებს. ჩვენ თავს მოვუყრით მშვიდობის მოყვარულ ხალხებს და შევებრძოლებით ტერორიზმს” (Flint, 2006: 99-100). ამ გამონათქვამებიდან ჩანს, რომ “თეთრი სახლი” თავის თავს აღიარებს თავისუფალი სამყაროს უპირობო ლიდერად და ამის გამო შესაძლებლად მიაჩნია “თავისუფალი სამყაროს” სახლით მოქმედება. ასეთი უაპელაციო განცხადებები ძალიან ხშირად დათვურ სამსახურს უწევდა მსოფლიოს ძლიერ სახლმწიფოებს.

ამერიკამ განსაზღვრა მოკავშირეები – ეს იყო ანტი-ტერორისტული კოალიცია, რომელშიც შედიოდა ნატოს წევრი ქვეყნები და სხვა სახლმწიფოები, მათ შორის საქართველო. მიუხედავად ამისა, ერაყში ინტერვენციის გამო ამერიკას დიდი წინააღმდეგობა შეხვდა მისი ზოგიერთი ევროპელი პარტნიორის მხრიდან. ეს უკამყოფილება დღითიდღე იზრდებოდა. უფრო მეტიც, ევროპის რიგმა სახლმწიფოებმა “მიატოვეს” ბრძოლის გალი და თავიანთი საჯარისო კონტიგენტები სამშობლოში დაბრუნებს.

“თეთრი სახლი” ბუნებრივია შეეცადა შეეძინა ახალი მოკავშირეები, განსაკუთრებით განვითარებად სამყაროში. ამ მიზნით, ანტიტერორისტული ოპერაცია მან წარმოადგინა, როგორც გლობალური აქცია, რომლის ბენეფიციარი იქნებოდა, არამარტო აშშ არამედ, ყველა ის ქვეყანა, რომელიც, როგორც სახლმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა აღნიშნა “. . . მხარს უჭერს დემოკრატიულ განვითარებას, სასამართლო რეფორმას, კონფლიქტების

მოგვარებას, სიღარიბის შემცირებას, ეკონომიკურ გრადაქმნებს და ჯანდაცვის და განათლების პროგრამებს” (იქვე: 100).

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, ამერიკულმა სპეცსამსახურებმა და პოლიციამ უზრუნველყველების ქვეყნის შიდა უსაფრთხოება. მერიკის ტერიტორიაზე ახალ ტერორისტულ აქტებს ადგილი აქ ქონია.

იუსტიციაზე ამისა, საერთაშორისო სარბიელზე მტრების შეკავების ან ახალი მტრების არშეძენის ამერიკული პოლიტიკა ეფექტიანი ვერ გამოდგა. დღევანდელი სიტუაცია ავდანეთსა და ერაყში იმაზე მიუთითებს, რომ წინააღმდეგობა შესაბამისად თალიბების და სადამისტების მხრიდან პაკისტანის დედაქალაქ ისლამაბადის მახლობლად იყო. პაკისტანი ყოველთვის ითვლებოდა ამერიკის მოკავშირედ, მაგრამ ავდანეთში გაჩაღებული ომის შედეგად პაკისტანელთა, კერძოდ კი პუშტუნთა შორის მნიშვნელოვნად გაძლიერდა ანტიამერიკული განწყობები.

შეერთებული შტატების ახალმა ადმინისტრაციამ გაითვალისწინა 2002 წლის საჯარო გამოსვლებსა და წერილობით ანგარიშებში დაშვებული შეცდომები და მის მომდევნო რეპორტებში აშშ-ის გეოპოლიტიკური კოდიც უფრო მკაფიოდ და არგუმენტირებულად არის ჩამოყალიბებული. კერძოდ, ნაკლები ყურადღება ეთმობა მსოფლიოში ამერიკის წამყვან როლს და მეტი აქცენტი კეთდება საერთაშორისო დოკუმენტებით განმტკიცებულ ადამიანის და ხალხების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებზე. სახელმწიფო უსაფრთხოების სტრატეგიის შესწორებულ ვარიანტში წინა პლანზე წამოწეულია ისეთი ღირებულებები, როგორიცაა თავისუფლება, ეკონომიკური განვითარება და სოციალური კეთილდღეობა. აღნიშნულია, რომ გლობალურ ტერორიზმთან წარმატებული ბრძოლა მხოლოდ ამ პირობებშია შესაძლებელი (იქვე, 74). ამჟამად, ამერიკის ურთიერთობებში განვითარებად სამყაროსთან პრიორიტეტი ენიჭება დემოკრატიულ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. აქედან გამომდინარე, აშშ მოკავშირედ მიიჩნევს იმ ქვეყნებს, რომლებიც განვითარების ამ კურსს აირჩიენ.

მთლიანობაში, აშშ-ის მხრიდან ანტიტერორისტული კამპანიის რეპრეზენტაციას ბევრი სუსტი მხარე გააჩნდა. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ “თეორმა სახლმა” ვერ შეძლო, არათუ ახალი მოკავშირეების, არამედ ტრადიციული პარტნიორების დარწმუნება, რომ “ომი ტერორიზმის წინააღმდეგ” საჭიროა ყველასთვის და არა მხოლოდ ამერიკისთვის.

## გამოყენებული ლიტერატურა

დავითაშვილი, ზურაბი. ნაციონალიზმი და გლობალიზაცია, **თბილისი კაჭკაჭიშვილი, იაგო (2008). ხოციალური თეორია. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“.** ფროლოვა ი.ტ. (რედ.) (1982). ფილოსოფიის ლექსიკონი (მე-4 გამოცემა). **თბილისი წერეთელი, მიხეილ (1991). ერი და კაცობრიობა. თბილისი ჰეივუდი, ენდრიუ (2007), პოლიტოლოგია (მეორე გამოცემა). გამომცემლობა თბილისი.**

- Agnew, John (1987). *Place and Politics: The Geopolitical Mediation of State and Society*. Allen & Unwin: Boston, US.
- Alter, Peter (1990). *Nationalism*. Edward Arnold: London.
- Anderson, Benedict (1991). *Imagined Communities*. Verso: London.
- Anderson, Benedict (1998). *The Spectre of Comparisons: Nationalism, Southeast Asia and the World*. Verso: London.
- Anderson, James (1988). Nationalist Ideology and the Territory. In Johnston R.J., D.J. Knight and E. Kaufman (eds.). *Nationalism, Self-determination and Political Geography*. Groom Helm: London.
- Anthias, Floya & Nira Yuval-Davis (1989). Introduction. In Yuval-Davis, N. & Anthias, F. (eds.). In *Women–Nation–State*. Macmillan: London.
- Banton, Michael (2007). Weber on Ethnic Communities: A critique. *Nations and Nationalism* 13 (1): 19–35.
- Barth, Fredrik (1969). Reprinted in Ethnic Groups and Boundaries. In Sollors W. (ed), *Theories of Ethnicity: A Classical Reader*. New York University Press: NY.
- Bauer, Yehuda (2002). *Rethinking the Holocaust*. Yale University Press: New Haven, US.
- Blacksell, Mark (2006). *Political Geography*. Routledge: London.
- Brubacker, Rogers (2005). The ‘Diaspora’ Diaspora. *The Ethnic and Racial Studies* 28 (1): 1–19.
- Calhoun, Craig (1993). Nationalism and Ethnicity. *Annual Review of Sociology* 19: 211–239.
- Calhoun, Craig (1997). *Nationalism*. Open University Press: Buckingham, UK.
- Calhoun, Craig (2007a). Nationalism and Cultures of Democracy. *Public Culture* 19 (1): 151–173.
- Calhoun, Craig (2007b). *Nations Matter: Culture History and the Cosmopolitan Dream*. Routledge: London and New York.
- Castree, Noel (2003). Connections and Boundaries in an Interdependent World. In Holloway, S.L., Rice, S.P. & Valentine, G. (eds.) *Key Concepts in Geography*. Sage: London.
- Chapman, Bert (2011). *Geopolitics: A Guide to the Issues*. Praeger: Santa Barbara, US.
- (CFREU, 2000) The Charter of Fundamental Rights of the European Union. *Official Journal of the European Communities, C 364/6*. Starsburg, 18.12.2000.
- Couclelis, H. (1992). Location, Place, Region and Space. In Abler, R. et al., *Geography’s Inner Worlds*. Rutgers University Press: New Brunswick, US.
- Conversi, Daniele (2007). Mapping the Field: Theories of Nationalism and Ethnosymbolic Approach. In Leoussi, A.S. & S. Grosby (eds.), *Nationalism and Ethnosymbolism: History, Culture and Ethnicity in the Formation of Nations*. Edinburgh University Press: Edinburgh.
- Cordell, Karl & Stefan Wolff (2010). *Ethnic Conflict: Causes–Consequences–Responses*. Polity Press: Cambridge, UK.
- Cox, Kevin R., Murray Low, and Jenifer Robinson (2008). Introduction: Political Geography: Traditions and Turns. In Cox K. R., M. Low, and J. Robinson (eds.), *The Sage Handbook of Political Geography*. Sage: Bangalore, India.

- Dahlman, Carl T. (2009). Territory. In Gallaher, Carolyn et al. *Key Concepts in Political Geography*. Sage: London.
- De Blij, Harm J. (1995). *Human Geography: Culture, Society, and Space (4<sup>th</sup> edition)*. John Wiley & Sons: New York.
- De Blij, Harm J. & Alexander Murphy (2003). *Human Geography: Culture, Society, and Space (7<sup>th</sup> edition)*. John Wiley & Sons: Hoboken, US.
- Deutsch, Karl W. (1953). The Growth of Nations: Some Recurrent Patterns of Political and Social Integration. *World Politics*, 5 (2): 168–195.
- Su, Daniel (2006). Tobler's First Law of Geography. In Warf, Barney (ed). *Encyclopedia of Human Geography*. Sage: Thousand Oaks, US.
- Dawidowicz, Lucy S. (1986). *The War Against the Jews: 1933-1945*. Bantam: New York.
- Definitions for New Race and Ethnicity Categories*. <http://nces.ed.gov/ipeds/reic/definitions.asp>
- Dickinson, Elizabeth (2010). New Order: How “the Multipolar World” Came to Be. *Foreign Policy*, May 2010. [http://www.foreignpolicy.com/articles/2009/10/19/new\\_order](http://www.foreignpolicy.com/articles/2009/10/19/new_order)
- Des Forges, Alison (1999). *Leave No One to Tell the Story: Genocide in Rwanda*. Human Rights Watch. <http://www.hrw.org/reports/1999/rwanda>. Retrieved January 12, 2007.
- Deutsch, Karl W. (1966). *Nationalism and Social Communication*. MIT and Wiley: New York.
- (ECRML, 1992) European Charter for Regional or Minority Languages. Council of Europe. *European Treaty Series – No. 148*. Strasburg, 5.10.1992.
- Easton, David (1965). *A Systems Analysis of Political Life*. Wiley: New York.
- Eriksen, Thomas H. (2008). Ethnicity, Race and Nation. In Guibernau, Montserrat & John Rex (eds.), *Ethnicity Reader: Nationalism, multiculturalism and Migration*. Polity Press: Cambridge, UK.
- Eriksen, Thomas H. (2010). *Ethnicity and Nationalism: Anthropological Perspectives (3<sup>rd</sup> edition)*. Pluto Press: London.
- Esman, Milton (2004). *An Introduction to Ethnic Conflict*. Polity Press: Cambridge, UK.
- Etkin, Nicholas (1991). *Betweenness of Place*. John Hopkins University Press: Baltimore, US.
- Fearon, James D. (2003). Ethnic Structure and Cultural Diversity by Country. *Economical Growth* 8 (2): 195–222.
- Flint, Colin (2006). *Introduction to Geopolitics*. Routledge: New York.
- Garner, Robert, Peter Ferdinand & Stephanie Lawson (2009). *Introduction to Politics*. Oxford University Press: Oxford, UK.
- Gellner, Ernst (1983). *Nations and Nationalism*. Blackwell: Oxford, UK.
- Giddens, Anthony (1985). *A Contemporary Critique of Historical Materialism: The Nation-State and Violence*. Polity/Blackwell: Cambridge, UK.
- Gill, Graeme (2003). The Nature and Development of the Modern State. Palgrave: New York.
- Gilmartin, Mary (2006). Ethnicity. In Warf, Barney (ed). *Encyclopedia of Human Geography*. Sage: Thousand Oaks, US.
- Gilmartin, Mary (2009). Nation-state. In Carolyn Gallaher et al. (eds.) *Key Concepts in Political Geography*. Sage: Chippingham, GB.
- Glassner, Martin I. (1993). *Political Geography*. John Wiley & Sons: New York.
- Goertz, Gary and Paul F. Diehl (1992). *Territorial Changes and International Conflicts*. Routledge: London , New York.
- Gogosadze, Giorgi (2011). 2008 Georgia-Russia war: Geopolitical Implications and International Law. *Bulletin Regions and Regionalism #12*. University of Lodz: Lodz, Poland: [redacted]
- Gottmann, Jean (1973). *The Significance of Territory*. University Press of Virginia: Charlottesville, US.
- Grosby, Steven. (2005). *Nationalism: A Very Short Introduction*. Oxford University Press: New York.
- Guibernau, Montserrat (2007). *The Identity of Nations*. Polity Press: Cambridge, UK.
- Harvey, David (1984). On the History and Present Condition of Geography: an Historical Materialist Manifesto. *The Professional Geographer*, 36 (1): 1–11.

- Harris, Erika (2009). *Nationalism: Theories and Cases*. Edinburg University Press: Edinburg, UK.
- Hartshorne, Richard (1950). The Functional Approach in Political Geography. *Annals of the Association of American Geographers* 40 (2): 95–130
- Herz, John H. (1957). Rise and Demise of the Territorial State. *World Politics*, 9 (4): 473–493.
- Hilberg, Raul (2003). *The Destruction of the European Jews. 3 Volume Set (3rd Edition)*. Yale University Press: New Haven, US.
- Hutchinson, John & Anthony D. Smith. (1996). *Ethnicity*. Oxford Univ. Press: Oxford, UK.
- Horovitz, Donald (1985). *Ethnic Groups in Conflict*. University of California Press: Berkley, US.
- Johnston, Ron (1982). *Geography and the State: An Essay in Political Geography*. St. Martin's Press: New York.
- Johnston, Ron (2006). *Sixty Years of Change in Human Geography*. Paper prepared for the History of Postwar Social Science Seminars, London School of Economics, April 25, 2006.
- Johnston, Ron, Michael Poulsen & James Forrest (2007). The Geography of Ethnic Residential Segregation: A Comparative Study of Five Countries. *Annals of the Association of American Geographers* 97 (4): 713–738.
- Jones, Martin, Rhys Jones & Michael Woods (2004). *Introduction to Political Geography: Space, Place and Politics*. Routledge: New York.
- Jones, Stephen B. (1954). A Unified Field Theory of Political Geography. *Annals of the Association of American Geographers* 44 (2): 111–123.
- Jones, Stephen D. (1959). Boundary Concepts in the Setting of Place and Time. *Annals of the Association of American Geographers* 49 (3): 241–255.
- Kaplan, Morton (1967). *System and Process in International Politics (2<sup>nd</sup> edition)*. John Willey & Sons: New York.
- King, Anthony (2005). Structure and Agency. In Harrington A. (ed), *Modern Social Theory*. Oxford University Press: Oxford, UK.
- Kohn, Hans (1944). *The Idea of Nationalism*. Collier Books: New York
- Kuhlke, Olaf (2006). Space, Human Geography and. In Warf, Barney (ed), *Encyclopedia of Human Geography*. Sage: Thousand Oaks, US.
- Mathewson, Kent (2006). Berkley School. In Warf, Barney (ed.), *Encyclopedia of Human Geography*. Sage: Thousand Oaks, US.
- Marston, Sallie A. (2006). Scale. In Warf, B. (ed), *Encyclopedia of Human Geography*. Sage: Thousand Oaks, US.
- Miller, Louis. Between Kulturnation and Nationalstaat: The German Liberal Professoriate, 1848–1870 (1992). *German Studies Review* 15: 33–54.
- Modelski, George & William Thomson (1988). *Seapower in Global Politics, 1494-1993*. Macmillan: London.
- Morris, Christopher W. (1998). *An Essay on the Modern State*. Cambridge University Press: Cambridge, UK.
- Muir, Richard (1997). *Political Geography: A New Introduction*. John Willey & Sons: New York.
- Nairn, Tom (1997). *The Break-up of Britain*. New Left Books: London.
- Noel, Donald L. (1968). A Theory of the Origin of Ethnic Stratification. *Social Problems* 16 (2): 157–172.
- NSS (The National Security Strategy of the United States of America) (2002). <http://merln.ndu.edu/whitepapers/USnss2002.pdf>
- Norton, William (1998). *Human Geography (3rd edition)*. Oxford University Press: Toronto-New York-Oxford.

- Oergel, Maike (2006). *Culture and Identity: Historicity in German Literature and Thought 1770-1815*. Walter De Gruyter Inc.: Berlin.
- Ordrige, Andrew W. (1981). Varieties of Nationalism. In Tivey, L. (ed). *The Nation-State: the Formation of Modern Politics*. St. Martin's: New York.
- Paasi, Anssi (2003). Territory. In Agnew, J., K. Mitchell & G. Toal (eds.). *A Companion to Political Geography*. Blackwell: Malden, US.
- Palestine and the Palestinians (1948-1967). *Britanica, Encyclopedia*. <http://www.britannica.com/EBchecked/topic/439645/Palestine/45075/The-term-Palestinian>
- Peach, Ceri (2006). The Mosaic versus the Melting Pot: Canada and the U.S.A. *Scottish Geographical Journal* 121: 3-27.
- Pounds, Norman & Sue Ball (1964). Core-Areas and the Development of the European States System. *Annals of the Association of American Geographer* 54 (1): 24-40.
- Rix, Eduard (2010). Géopolitique du Léviathan. *Terre & Peuple*. No 46: 39-41. <http://tpprovence.wordpress.com/2011/07/07/geopolitique-du-leviathan/>.
- Roskin, Michael G. et al. (2008). *Political Science: An Introduction*. Pearson Education: Upper Saddle River, US.
- Rubenstein, James M. (2003). *An Introduction to Human Geography*. Pearson Education: Upper Saddle River, US.
- Sack, Robert D. (1986). *Human Territoriality: Its Theory and History*. Cambridge University Press: New York.
- Safran, William (1991). Diasporas in Modern Societies: myths of homeland and return. In *Diaspora: A Journal of Transnational Studies* 1 (1): 83-99.
- Segal, Ronald (1995). *The Black Diaspora: Five Centuries of the Black Experience Outside Africa*. Farrar, Straus and Giroux: New York.
- Shain, Yossi & Aharon Barth (2003). Diasporas and International Relations Theory. *International Organization* 57 (3): 449-479.
- Singer, David J. (1961). The International System: Theoretical Essays. *World Politics* 14(1): 77-92.
- Šmihula, Daniel (2009). Definition of National Minorities in International Law. *Journal of US-China Public Administration* 6 (5): 45-51
- Smith, Anthony D. (1988). *The Ethnic Origins of Nations*. Blackwell: Oxford, UK.
- Smith, Anthony D. (1995). *Nations and Nationalism in a Global Era*. Polity Press: Cambridge, UK.
- Smith, Anthony D. (2001). *Nationalism: Theory, Ideology, History*. Polity Press: Cambridge, UK.
- Smith, Anthony D. (2010). *Nationalism: Theory, Ideology, History (2<sup>nd</sup> edition)*. Polity Press: Cambridge, UK.
- Sørensen, Georg (1999). Sovereignty: Change and Continuity in a Fundamental Institution. *Political Studies* 47 (3): 590-604.
- Staelheli, Lynn A. (2003). Place. In Agnew, J., K. Mitchell & G. Toal (eds.). *A Companion to Political Geography*. Blackwell Publishing: Malden, US.
- State of Union Address, 2002. <http://stateoftheunionaddress.org/2002-george-w-bush>.
- Stoddard, Robert H., David J. Wishart & Brian W. Blouet (1989). *Human Geography: People, Places, and Cultures (2<sup>nd</sup> edition)*. Prentice Hall: Englewood Cliffs, US.
- Symmons-Symonolewicz, Konstantin (1985) The Concept of Nationhood: Towards a Theoretical Clarification. *Canadian Review of Studies in Nationalism* 12 (2): 215-222.
- Taylor, Peter J. (1993). Geopolitical World Orders. In Taylor, P. (ed), *Political Geography of the Twentieth Century: A Global Analysis*. Belhaven Press: London.

- Taylor, Peter (1994). The State as Container: Territoriality in the Modern World-System. *Progress in Human Geography* 18 (2): 151–162.
- Taylor, Peter & Colin Flint (2007). *Political Geography: World-economy, Nation-State and Locality (4<sup>th</sup> edition)*. Pearson Education: Edinburg Gate, UK.
- Tivey, Leonard (1981). States, Nations and Economies. In Tivey, L. (ed), *The Nation-State: the Formation of Modern Politics*. St. Martin's: New York.
- The Third Estate* (2009). [www.lessonsnips.com](http://www.lessonsnips.com)
- Tönnies, F., J. Harris, & M. Hollis (eds.) (2001). *Community and Civil Society*. Cambridge University Press: Cambridge, UK.
- Tuan, Yi-fu (1977). *Space and Place: the Perspective of Experience*. University of Minnesota Press: Minneapolis, US.
- Unrest Reaches Paris. *New York Times*. November 6, 2005. <http://www.nytimes.com/2005/11/06/world/europe/06iht-web.1106paris.html>
- Van Dijk, Teun (1998). *Ideology: A Multidisciplinary Approach*. Sage: London.
- Wallerstein, Immanuel (2008). *The new world geopolitical order: end of act I*. <http://www.agenceglobal.com/Article.asp?Id=1727>
- Wan, Enoch & Mark Vanderwerf (2009). *A Review of the Literature on “Ethnicity” and “National Identity” and Related Missiological Studies*. [www.GlobalMissiology.org](http://www.GlobalMissiology.org)
- Warf, Barney (2006a). History of Geography. In Warf, B. (ed), *Encyclopedia of Human Geography*. Sage: Thousand Oaks, US.
- Warf, Barney (2006b). Humanistic Geography. In Warf, B. (ed), *Encyclopedia of Human Geography*. Sage: Thousand Oaks, US.
- Warf, Barney (2006c). Structuration Theory. In Warf, B. (ed), *Encyclopedia of Human Geography*. Sage: Thousand Oaks, US.
- Weber, Eugene (1979). *Peasants into Frenchmen: The Modernization of Rural France 1870-1914*. Chatto & Windus: London.
- White, George (2000). *Nationalism and Territory: Constructing a Group Identity in SouthEastern Europe*. Rowman & Littlefield Publishers: London.
- Wilde, Robert (2012). *Iron Curtain*. About.com guide. <http://europeanhistory.about.com/od/glossary/g/glironcurtain.htm>
- Williams, Colin & Anthony D. Smith (1983). National Construction of Social Space. *Progress in Human Geography* 7 (4): 502–518.

- Бромлей Ю. В. (2008). *Очерки теории этноса*, изд. 2-е доп. М.: ЛКИ.
- Винокуров Е.Ю. (2007). *Теория анклавов*. Калининград: Терра Балтика.
- Зайончковский А. М. (2002). *Восточная война 1853-1856*. СПб: Полигон.
- Козлов, Г.Я. (2006). *История и теория политических институтов в определениях, логических схемах и таблицах: учебно-методическое пособие*. Рязань: Ряз. гос. ун-т им. С.А. Есенина.
- Руссо Ж. Ж. (1998). *Об Общественном договоре*. М.: Канон-Пресс-Ц.
- Самохин, Ю.М. (2010). ЭКОНОМИЧЕСКИЕ КРИЗИСЫ И ТЕОРИЯ ДЛИННЫХ ВОЛН Н.Д. КОНДРАТЬЕВА. *ekonomika megapolisov I regionov. #3 (33).* <http://www.econmos.com/documents/journal/33/13.pdf>
- Семенов, Ю.И. (2003). *Этносы, нации, расы*. [http://scepsis.ru/library/print/id\\_75.html](http://scepsis.ru/library/print/id_75.html)

- Сергунин, А.А. (2010). Суверенитет: эволюция концепта. *Журнал ПОЛИТЭКС* 6 (4).  
<http://www.politex.info/content/view/756/30/>.
- Тишков, В.М. (2001). Этнос или этничность? В кн. *Этнология и политика*. Научная публицистика. М.: Наука.
- Черепков А. (2004). Теория "Длинных волн" Н.Д. Кондратьева. <http://ss.xsp.ru/st/019/index.php>
- Чиркин В. Е. (1999). *Государствоведение (Учебник)*. М.: Юристъ.
- Шнирельман, Виктор (2000). Ценность прошлого: этноцентристские исторические мифы, идентичность и этнополитика. В кн. *Реальность этнических мифов* (Под ред. А. Малащенко и М. Б. Олкотт). М.: Гендалльф.